



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 157

26 აპრილი
“ --- ” ----- 2024 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების
წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 86-ე მუხლის, 87-ე მუხლის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების თანდართული წლიური ანგარიში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაშვილი

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის, მიღწეული შედეგების და შეფასების ინდიკატორების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროგრამების/ქვეპროგრამების მიხედვით მიღებული და გადარიცხული გრანტების (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები) შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების
მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის გეგმა		საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	1,628,434.6	0.0	1,691,413.5	0.0
გადასახადები	884,569.6	0.0	920,297.6	0.0
გრანტები	456,112.8	0.0	443,206.8	0.0
სხვა შემოსავლები	287,752.2	0.0	327,909.1	0.0
ხარჯები	1,389,803.2	0.0	1,351,338.9	0.0
შრომის ანაზღაურება	100,425.4	0.0	92,238.4	0.0
საქონელი და მომსახურება	219,449.8	0.0	206,292.2	0.0
პროცენტი	9,053.9	0.0	8,461.1	0.0
სუბსიდიები	619,266.4	0.0	617,170.5	0.0
გრანტები	1,733.2	0.0	1,494.7	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	147,304.2	0.0	144,226.7	0.0
სხვა ხარჯები	292,570.4	0.0	281,455.3	0.0
საოპერაციო სალდო	238,631.4	0.0	340,074.6	0.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	347,672.7	0.0	246,933.2	0.0
ზრდა	407,672.7	0.0	342,084.6	0.0
კლება	60,000.0	0.0	95,151.3	0.0
მთლიანი სალდო	-109,041.3	0.0	93,141.3	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-137,894.2	0.0	64,340.5	0.0
ზრდა	0.0	0.0	64,441.2	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	64,441.2	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	137,894.2	0.0	100.7	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	137,794.2	0.0	99.0	0.0
სესხები	100.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	1.7	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-28,852.9	0.0	-28,800.9	0.0

დასახელება	2023 წლის გეგმა		საკასო შესრულება	
	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
ზრდა	0.0	0.0	23.5	0.0
საგარეო	0.0	0.0	23.5	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	28,852.9	0.0	28,824.4	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	28,852.9	0.0	28,824.4	0.0
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2023 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 138,683.1 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა



(ათას ლარებში)

დასახელება	2023 წლის გეგმა	საკასო შესრულება	შესრულება %-ში
შემოსულობები	1,688,534.6	1,786,689.1	105.8%
შემოსავლები	1,628,434.6	1,691,413.5	103.9%
არაფინანსური აქტივების კლება	60,000.0	95,151.3	158.6%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	100.0	100.7	100.7%
ვალდებულებების ზრდა	0.0	23.5	
გადასახდელები	1,826,328.8	1,722,247.9	94.3%
ხარჯები	1,389,803.2	1,351,338.9	97.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	407,672.7	342,084.6	83.9%
ვალდებულებების კლება	28,852.9	28,824.4	99.9%
ნაშთის ცვლილება	-137,794.2	64,441.2	


2023 წელს ნაშთის ცვლილების სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 137,794.2 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 64,441,2 ათასი ლარი.

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 688,534.6 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 786,689.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.8%.




სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:




I შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 628,434.6 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 691,413.5 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 103.9% და მთლიანი შემოსულობების 94.7% შეადგინა.




I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მოხილებულია 920,297.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (884,569.6 ათასი ლარი) 104%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 876,745.5 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 43,552.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადზე და საწარმოთა ქონების გადასახადზე მოდის¹, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 286,691.8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 227,355.2 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 39,529.0 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 19,807.6 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 264,306.0 ათასი ლარი) შედარებით 22,385.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2022 წლის ფაქტი - 211,841.6 ათასი ლარი)².




¹ დღგ-ს ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შედეგად, ხოლო ქონების გადასახადის ნაწილში გაიზარდა საწარმოთა ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა.

² გაიზარდა საწარმოთა ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა



დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 633,605.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (634,569.6 ათასი ლარი) 99.8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 612,439.5 ათასი ლარი) შედარებით 21,166.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული³.




³ ობილეთ შენიშვნა 1

II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 443,206.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (456,112.8 ათასი ლარი) 97.2%-ია, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 345.2 ათასი ლარი (საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 126.0 ათასი ლარი (ჩინეთის საელჩოსთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე, ატენის ქ.N16-ში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და აფხაზეთის ქ.23-ში (წყნეთის ტყე-პარკის ტერიტორია) ორი ერთეული ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობა), სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 442,735.6 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად - 555.0 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), გრანტები თვითმმართველი ერთეულის სსიპ(ებ)-დან და ა(ა)იპ(ებ)-დან - 75.6 ათასი ლარი (ა(ა)იპ თბილისის მედიათეკების გაერთიანების (ს/ნ404967067) მიერ სახაზინო ანგარიშებზე არსებული თავისუფალი ნაშთის ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხული თანხა), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 440,000.0 ათასი ლარი (მათ შორის თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, თბილისის მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით ვიდეო სამეთვალყურეო კამერების, აუდიო სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შეძენა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (მათ შორის შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება)), M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად საავანსო ვალდებულების დაფარვა, ვაგონების მოდერნიზაციის სამუშაოები, ახალი ავტობაზის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების

განსახორციელებლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის დასაფარად, ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები, თბილისის მასშტაბით ახალი (გარე განათება) სანათი წერტილების მოწყობის სამუშაოები, საქალაქო და რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხიდების და გვირაბების, წყალსადენის, სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; ზღვის უბნის (დენდროლოგიური) პარკის, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე კუნძულების და სარწყავი სისტემების მოწყობის სამუშაოები; დასუფთავების ღონისძიებების ფარგლებში სპეც ტექნიკის შეძენა; მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები, კულტურის ობიექტების, საბავშვო ბაგა-ბაღების, სპორტული მოედნებისა და ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 2,105.0 ათასი ლარი (მათ შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელების პროცესში, პროექტების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების, საკონსულტაციო და აუდიტორული მომსახურების, ვერის პარკის რეაბილიტაციის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავების, თბილისში საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების მოწოდება და ინსტალაციის სამუშაოების ანაზღაურების მიზნით, ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი) და „თბილისის მუნიციპალური სერვისების“ პროექტთან დაკავშირებით (სპეც ტექნიკის შეძენა), შპს „თბილსერვის ჯგუფსა და შპს "ჯი-თი გრუპს" შორის გაფორმებული ხელშეკრულების (52577/G-01 LOT 1 და 52577/G-01 LOT 2) ფარგლებში, დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად).



III სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 287,752.2 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 327,909.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 114%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 239,266.1 ათასი ლარი) შედარებით 88,643.0 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად პროცენტებზე, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე, მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სანქციებზე (ჯარიმები და საურავები) მოდის⁴. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 21,258.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (14,743.9 ათასი ლარი) 144.2%-ი და წინა წლის ანალოგიურ


⁴ 1. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან, სამორინეს მაგიდების და სათამაშო აპარატების გაზრდილი რაოდენობიდან, მათ შორის 2022 წელთან შედარებით სამორინეს მაგიდიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 39.86%-ით, ხოლო სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 8.83%-ით;

2. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებლის ზრდა გამოწვეულია საკანონმდებლო ცვლილებით, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.11.2022წ. N17-108 დადგენილების საფუძველზე ძალაში შევიდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ახალი განაკვეთები;

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18.03.2022წ. N8-19 დადგენილების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014წ. N17-46 დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული „დანართი 2“ ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელიც ითვალისწინებს დასუფთავების მოსაკრებლის დაწესებას სამშენებლო კატეგორიის აბონენტებისთვის 2022 წლის 1 აპრილიდან. ასევე, შპს თბილსერვის-ჯგუფის მოსაკრებლის დარიცხვა ამოღებისა და კონტროლის სამსახურის მიერ ინტენსიურად წარმოებული სტანდარტული საქმიანობის უწყვეტი სამუშაო პროცესის შედეგად, ხორციელდება ახალ აბონენტთა რეგისტრაცია და დარიცხვა-ამოღების პროცედურები, რაც თავისთავად განაპირობებს დასუფთავების მოსაკრებლის მუდმივ მოზილიზებას შესაბამის სახაზინო ანგარიშზე;

4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 2022 წლის 6 სექტემბერს N1719-IX-მს-Xმპ შეტანილი ცვლილება და ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება.

მაჩვენებელთან (ფაქტი - 10,559.8 ათასი ლარი) შედარებით 10,698.5 ათასი ლარით მეტია⁵.



რენტის სახით მობილიზებულია 5,820.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,000.0 ათასი ლარი) 97%-ია, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან მიღებულია 2,991.7 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 2,826.8 ათასი ლარი, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული რენტა - 2.0 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 165,631.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (147,050.0 ათასი ლარი) 112.6%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 23,059.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (18,095.0 ათასი ლარი) 127.4%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 16,342.1 ათასი ლარი) შედარებით 6,717.6 ათასი ლარით მეტია⁶. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 20,659.5 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 2,400.2 ათასი ლარი.


⁵ 2023 წელს ნაშთის სახით ბიუჯეტის ანგარიშებზე საშუალოდ თვეში იყო 202,910.9 ათასი ლარი, ხოლო 2022 წელს - 101,326.4 ათასი ლარი.

⁶ იხილეთ შენიშვნა 4². გარდა ამისა, 2022 წლის თებერვალში დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს B კატეგორიის ტაქსების მონიტორინგი, რის შედეგადაც მოხდა ჯარიმების და აღებული ნებართვების ზრდა.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 35.4%-ია.

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებულია 100.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (50.0 ათასი ლარი) 201.6%-ია. (გადავადების მოსაკრებელი გადახდილია 504 წვევამდელის მიერ)⁷.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 57,150.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (60,000.0 ათასი ლარი) 95.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (49,845.6 ათასი ლარი) შედარებით 7,304.7 ათასი ლარით მეტია⁸. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 29,053.7 ათასი ლარი (51%), წამახალისებელი გათამაშებიდან - 2,880.4 ათასი ლარი (5%), სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან - 1,200.0 ათასი ლარი (2%), ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან - 1.0 ათასი ლარი (0.002%), ლატარიების მოწყობაზე - 0.6 ათასი ლარი (0.001%), ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 24,014.6 ათასი ლარი (42%):



⁷ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავლების 10% ირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში, ხოლო 90% საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

⁸ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ზრდა ძირითადად გამოწვეულია სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან (მათ შორის 2023 წელს მიღებულია 1,200.0 ათასი ლარი, 2022 წელს - 60.0 ათასი ლარი), სამორინეს მაგიდების და სათამაშო აპარატების გაზრდილი რაოდენობიდან (მათ შორის 2022 წელთან შედარებით სამორინეს მაგიდიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 39.86%-ით (2023 წელს მიღებულია 23,334.7 ათასი ლარი, 2022 წელს - 16,683.7 ათასი ლარი), ხოლო სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 8.83%-ით (2023 წელს მიღებულია 29,053.7 ათასი ლარი, 2022 წელს - 26,694.5 ათასი ლარი));

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 80,460.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (65,000.0 ათასი ლარი) 123.8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 65,030.3 ათასი ლარი) შედარებით 15,430.1 ათასი ლარით მეტია⁹.

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 4,751.9 ათასი ლარი¹⁰ (მათ შორის შპს ვაჟა-ფშაველა თაუერსის მიერ გადახდილია 3,267.2 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 22 ოქტომბრის ბ01.01192952 ბრძანებით გათვალისწინებულ ობიექტთან მიმართებაში (საკადასტრო კოდი: 01.10.14.008.003, ფართობი - 4061 კვ.მ) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი).

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლიდან მიღებულია 107.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (200.0 ათასი ლარი) 53.6%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,044.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,950.0 ათასი ლარი) 53.5%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,012.4 ათასი ლარი, შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.2 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 5.1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 26.2 ათასი ლარი.


სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 123,490.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (111,747.7 ათასი ლარი)

⁹ იხილეთ შენიშვნა 4³


¹⁰ აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (3191) შემოსავლის კოდზე ჩარიცხული თანხიდან, 2,200.5 ათასი ლარი გადატანილი იქნა შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297) შემოსავლის კოდზე (მათ შორის შპს არტპოლ ლივინის (ს/ნ405584176) მიერ ჩარიცხული 1,258.3 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით (N23.1033.1160 12.07.2023წ) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (N345 21.07.2023წ) გათვალისწინებულ ობიექტთან მიმართებაში (საკადასტრო კოდი 0112.12.011.127, ფართობი - 4953 კვ.მ), შპს კოლოსი დილომის (ს/ნ405463350) მიერ ჩარიცხული 793.0 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით (N23.815.908 07.06.2023წ) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (N267 09.06.2023წ) გათვალისწინებულ ობიექტთან მიმართებაში (საკადასტრო კოდი 01.72.14.300.001, ფართობი - 7321 კვ.მ) და შპს „ფუმნარის“ (ს/ნ405586780) მიერ ჩარიცხული 149.1 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით (N23.792.874 01.06.2023წ) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით (N265 09.06.2023წ) გათვალისწინებულ ობიექტთან მიმართებაში (საკადასტრო კოდი 01.72.14.038.337), ფართობი - 1000 კვ.მ).

110.5%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 81,366.6 ათასი ლარი) შედარებით 42,123.7 ათასი ლარით მეტია¹¹. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 62,543.0 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 19,024.3 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 10,073.3 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 897.6 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 1,664.7 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 3,638.2 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 10,566.3 ათასი ლარი, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 231.9 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 693.6 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 3,260.9 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 10,896.6 ათასი ლარი.

ათასი ლარი




¹¹ იხილეთ შენიშვნა 4⁴




ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 10,664.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (6,260.6 ათასი ლარი) 170.3%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 283.2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,124.0 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 5,899.0 ათასი ლარი, შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 2,200.5 ათასი ლარი, სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 30.7 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 170.1 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 562.8 ათასი ლარი, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 368.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 95,151.3 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 34,091.1 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 27,665.8 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 6,201.0 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი, სხვა ძირითადი აქტივები - 224.3 ათასი ლარი),

მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 437.1 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 60,623.2 ათასი ლარი.




ათასი ლარი



ფინანსური აქტივების კლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებული 100.7 ათასი ლარიდან 99.0 ათასი ლარი ასახულია ვალუტა და დეპოზიტების სახით (მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სესხის უზრუნველყოფის მიზნით წინა წლებში დეპოზიტზე განთავსებული თანხის დაბრუნება: საქართველოს ბანკიდან - 14.1 ათასი ლარი, თიბისი ბანკიდან - 37.1 ათასი ლარი,


ბაზის ბანკიდან - 47.8 ათასი ლარი), ხოლო 1.8 ათასი ლარი სხვა დებიტორული დავალიანების სახით.




ვალდებულებების ზრდის სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 23.5 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების სახაზინო კოდზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების ზრდას).


ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2023 წელს გადასახდელების შესრულების 94%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1%-ით მეტია, ხოლო თანხობრივ ჭრილში 2022 წელთან (1 463,004.5 ათასი ლარი შედარებით) დახარჯულია 259,243.4 ათასი ლარით მეტი.



ათასი ლარი






2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 826,328.8 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 722,247.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 389,803.2 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 351,338.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78.5%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 407,672.7 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 342,084.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 84%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 19.9%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 28,852.9 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 28,824.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.7%-ია.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 100,425.4 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 92,238.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.8%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 6.8%-ია.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 219,449.8 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 206,292.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 94%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.3%-ია.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 9,053.9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 8,461.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.6%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 619,266.4 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 617,170.5 ათასი ლარი, რაც

გეგმის 99.7%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 45.7%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 183,687.1 ათასი ლარი;
- თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის და ხელოვნების სკოლების სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელშეწყობა, სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების დაფინანსება და სხვა ღონისძიებები - 2,109.6 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 99,960.3 ათასი ლარი;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 276,285.6 ათასი ლარი;
- გამწვანებული ტერიტორიების (პარკები, სკვერები) მოვლა პატრონობის ღონისძიებები - 28,000.0 ათასი ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარების, სპორტული ღონისძიებების (მათ შორის სპორტული ცენტრების ხელშეწყობა) და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა - 14,457.6 ათასი ლარი.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,733.2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,494.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.2%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები, სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად;

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 147,304.2 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 144,226.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.9%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.7%-ს შეადგენს.


„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- კომუნალური სუბსიდირება - 9,875.4 ათასი ლარი;
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში - 38,686.9 ათასი ლარი;
- მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა - 13.0 ათასი ლარი;
- დაავადებათა სკრინინგი (მუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტალური კიბოს სკრინინგი, პროსტატის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა) - 2,419.9 ათასი ლარი;
- სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება - 495.2 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია - 8,905.3 ათასი ლარი;
- ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) - 8,674.1 ათასი ლარი;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 2,483.3 ათასი ლარი;
- მუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 5,240.6 ათასი ლარი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 755.8 ათასი ლარი;
- თბილისის 10 რაიონში მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 25,927.1 ათასი ლარი;
- თბილისის 10 რაიონში დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები - 8,468.0 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 2,172.6 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება - 8,145.7 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 13,062.2 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება - 4,314.0 ათასი ლარი.


„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 292,570.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 281,455.3 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 96.2%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 20.8%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები 65,869.8 ათასი ლარი.
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მშენებლობა - აღდგენის ღონისძიებები - 116,520.7 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები - 47,863.9 ათასი ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების ღონისძიებები - 2,991.7 ათასი ლარი.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დაცვენა, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულება:

■ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 117,572.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (130,676.8 ათასი ლარი) 90%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 6.9%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 87,492.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (96,935.4 ათასი ლარი) 90.3%-ია. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სარეზერვო ფონდის ხარჯები;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 8,471.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (9,064.4 ათასი ლარი) 93.5%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 21,608.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (24,677.0 ათასი ლარი) 87.6%-ია.

■ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 2,914.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,632.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 56%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ფონდის ხარჯები.

■ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 568,286.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 549,848.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 32.5%. მათ შორის:

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 547,439.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (565,829.4 ათასი ლარი) 96.7%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2,408.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,456.6 ათასი ლარი) 98.1%-ს შეადგენს.

■ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 253,223.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 241,523.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14.3%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 140,067.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (143,095.0 ათასი ლარი) 97.9%-ია;

✓ ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა 3,514.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (3,653.2 ათასი ლარი) 96.2%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 97,941.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (106,475.4 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს.

■ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 314,589.2 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 298,860.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 17.6%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 117,988.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (127,919.9 ათასი ლარი) 92.2%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 39,734.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (44,118.7 ათასი ლარი) 90.1%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 38,908.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (39,216.1 ათასი ლარი) 99.2%-ს შეადგენს;

✓ გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 7,362.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (7,638.0 ათასი ლარი) 96.4%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 94,867.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (95,696.5 ათასი ლარი) 99.1%-ს შეადგენს.

■ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 30,601.6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 29,835.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 1.8%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 3,277.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3,341.1 ათასი ლარი) 98.1%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 26,557.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (27,260.5 ათასი ლარი) 97.4%-ს შეადგენს.

■ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 123,335.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 99,954.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.9%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 35,046.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (44,877.5 ათასი ლარი) 78.1%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 56,605.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (65,739.6 ათასი ლარი) 86.1%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 2,684.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,022.4 ათასი ლარი) 53.4%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5,619.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7,696.5 ათასი ლარი) 73%-ს შეადგენს.

■ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 248,855.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 233,210.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.8%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 203,333.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (218,453.0 ათასი ლარი) 93.5%-ს შეადგენს;

✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1,394.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,502.0 ათასი ლარი) 92.9%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 29.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (30.0 ათასი ლარი) 96.8%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 27,453.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (28,870.1 ათასი ლარი) 95.1%-ს შეადგენს.

■ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 124,992.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 120,985.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 7.1%. მათ შორის:


✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4,411.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,459.6 ათასი ლარი) 98.9%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 420.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (429.9 ათასი ლარი) 97.9%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 54,580.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (54,970.1 ათასი ლარი) 99.3%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 13,378.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (15,203.4 ათასი ლარი) 88%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 48,194.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (49,929.8 ათასი ლარი) 96.5%-ს შეადგენს.




სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 4,038.4 ლარიდან გადარიცხულია 3,808.3 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 2,565.0 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 14.5 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 215.4 ათასი ლარი, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის სასაჩუქრე კალათების შექმნა - 59.6 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 60.7 ათასი ლარი, ახალი კორონა ვირუსით COVID-19 გამოწვეული დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად - 2.6 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ძლიერი ქარი, ბუნებრივი აირის აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო, დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს

და სხვა ხარჯები - 608.8 ათასი ლარი, თბილისის სატელევიზიო ანძის მხატვრული მინათების დაზიანებული სანათი მოწყობილობების აღსადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ - 281.7 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)



ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2023 წელს გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(ლარი)

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05)				281,709.69	281,709.69
1	1-399	19.09.2023	თბილისის სატელევიზიო ანძის მხატვრული მინათების დაზიანებული სანათი მოწყობილობების აღსადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფისათვის“ (ს/ნ 206267494),	281,709.69	281,709.69
კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13)				16,754.77	16,754.77
2	1-347	16.08.2023	2023 წლის 11 ივლისს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონში, ბენაშვილის ქუჩა №22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ნგრევის შედეგად, დაზიანებული კედლის აღდგენის სამუშაოების განსახორციელებლად	16,754.77	16,754.77
კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18)				108,417.10	98,301.19
3	1-450	13.10.2023	2023 წლის 19 სექტემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონში, ცურტაველის ქუჩა	84,297.88	75,116.32

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხვები)
			№11-ში მდებარე საცხოვრებელი შენობის კედლის ჩამონგრევის გამო, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, ავარიული საცხოვრებელი სახლის პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების განსახორციელებლად.		
4	1-574	20.12.2023	2023 წლის 6 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონში, იბრაჰიმ ისპაჰანლის ქუჩა №10-ში (იგრიშაშვილის ქუჩა 52) ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებული 4 ოჯახის საცხოვრებელი სახლის სახურავის აღსადგენად	24,119.22	23,184.87
სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09)				3,054,601.68	2,836,052.51
5	1-2	11.01.2023	მოქალაქე გიორგი ქორიძისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	2,400.00	2,400.00
6	1-3	11.01.2023	მოქალაქე გიორგი გაბედავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	13,915.00	13,915.00
7	1-4	11.01.2023	მოქალაქე დალი ბალაშვასათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	2,817.00	2,817.00
8	1-5	11.01.2023	მოქალაქე მათა ბარათაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	9,000.00	9,000.00
9	1-6	11.01.2023	მოქალაქე დამიანე ცუცქერიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,800.00	1,500.00
10	1-8	13.01.2023	მოქალაქე სოფიო კილახონიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20,000.00	0.00
11	1-10	16.01.2023	საქართველოს დამსახურებული არტისტის, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობის ლაშვირა ჩხეიძის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	300.00	300.00
12	1-13	18.01.2023	მოქალაქე თამარ ომიადისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,000.00	1,000.00
13	1-14	18.01.2023	მოქალაქე შადიმან მახათაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8,000.00	8,000.00
14	1-16	23.01.2023	მოქალაქე დალი საბურისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,600.00	3,600.00
15	1-17	23.01.2023	მოქალაქე ასმათ თინიკაშვილისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	1,030.00	1,030.00
16	1-18	23.01.2023	მოქალაქე ნინო მისურაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	0.00
17	1-19	23.01.2023	მოქალაქე ზურაბ ლეჟავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	25,000.00	25,000.00
18	1-21	23.01.2023	მოქალაქე გიორგი მისურაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	12,000.00	12,000.00
19	1-22	23.01.2023	მოქალაქე გიორგი ნიკოლაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,000.00	1,000.00
20	1-24	25.01.2023	მოქალაქე ანა ბოქოლიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,500.00	3,500.00
21	1-25	25.01.2023	მოქალაქე შორენა მყვანაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	9,000.00	8,894.68
22	1-26	25.01.2023	მოქალაქე ანდრია გელაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20,000.00	18,638.81
23	1-27	25.01.2023	მოქალაქე თინათინ მჭედლიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,000.00	5,000.00
24	1-28	26.01.2023	მოქალაქე ნინო ღარიბაშვილი-ჩიხლაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,200.00	2,200.00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხვები)
25	1-29	26.01.2023	მოქალაქე როინ ფორჩხიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,400.00	1,400.00
26	1-30	26.01.2023	მოქალაქე ლილიანა კვარაცხელიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	25,000.00	24,692.66
27	1-32	27.01.2023	მოქალაქე მაია დიასამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,000.00	3,000.00
28	1-33	27.01.2023	მოქალაქე ნიკოლოზ ანანიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	0.00
29	1-35	27.01.2023	მოქალაქე გიორგი ბუავასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	14,968.65
30	1-36	27.01.2023	მოქალაქე ნიკოლოზ ხატიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6,000.00	6,000.00
31	1-37	01.02.2023	მოქალაქე ბარბარე შარაშენიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	14,955.03
32	1-38	01.02.2023	საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი პიანისტის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის მანანა დოიჯაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
33	1-39	01.02.2023	მოქალაქე დავით ვიკარეიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
34	1-40	01.02.2023	მოქალაქე გოგი ტულუშისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	17,728.00	17,728.00
35	1-41	01.02.2023	მოქალაქე გიორგი ცუხიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	29,999.99
36	1-42	01.02.2023	მოქალაქე მარინე ჯიშარიანისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	30,000.00
37	1-43	01.02.2023	მოქალაქე კატო ხუციშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	1,500.00
38	1-45	02.02.2023	მოქალაქე დავით ქოქრაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	29,999.99
39	1-46	03.02.2023	მოქალაქე დუდა გზირიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურე	7,800.00	7,740.00
40	1-47	03.02.2023	მოქალაქე მაია გლოველისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7,800.00	7,800.00
41	1-50	08.02.2023	მოქალაქე ოთარ თათულაშვილისათვის ფინანსური დახმარების მიზნით	2,000.00	2,000.00
42	1-51	08.02.2023	მოქალაქე ინესა პაპკიაურისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	1,500.00
43	1-52	08.02.2023	მოქალაქე ემილია დვალიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,500.00	5,369.44
44	1-53	08.02.2023	მოქალაქე გიორგი ტრუბაშინისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	6,000.00	6,000.00
45	1-54	08.02.2023	მოქალაქე სერგო ხომასურიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20,000.00	19,701.26
46	1-55	09.02.2023	მოქალაქე ნიკოლოზ მიქელაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,000.00	3,060.00
47	1-56	09.02.2023	მოქალაქე ელენე სუპატაშვილისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	2,100.00	2,100.00
48	1-57	09.02.2023	მოქალაქე ლაშა ლეკვიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,971.00	1,200.00
49	1-58	09.02.2023	მოქალაქე გაბრიელ ხუბუნაიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	0.00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
50	1-62	13.02.2023	მოქალაქე მანანა ჟვანიასათვის ფინანსური დახმარების მიზნით	5,000.00	5,000.00
51	1-63	13.02.2023	მოქალაქე ბელა ქარქუსაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	818.00	818.00
52	1-64	13.02.2023	მოქალაქე გიორგი ბერიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	12,000.00	11,568.94
53	1-65	13.02.2023	მოქალაქე ივანე ჭანტურიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
54	1-66	13.02.2023	ქართული კინოსა და თეატრის მსახიობის, საქართველოს სახალხო არტისტის ჯემალ ლანდისათვის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,	15,825.00	15,825.00
55	1-67	14.02.2023	მოქალაქე მართა თევდორაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	29,999.99
56	1-70	16.02.2023	მოქალაქე მარინე თუშიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,200.00	1,200.00
57	1-72	16.02.2023	მოქალაქე ზაია ფაჩულიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	15,000.00
58	1-73	17.02.2023	მოქალაქე გაბრიელ ნიშნიანისა და მისი ოჯახის წევრებისათვის, საზღვარგარეთ მკურნალობის ჩატარების მიზნით, მგზავრობის ხარჯების ასანაზღაურებლად,	9,561.00	9,561.00
59	1-76	23.02.2023	მოქალაქე ვალერიან კვატაშიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6,000.00	5,893.00
60	1-79	24.02.2023	მოქალაქე ელენე გოგაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,500.00	4,500.00
61	1-80	24.02.2023	მოქალაქე ლუკა მამულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
62	1-87	01.03.2023	მოქალაქე დემეტრე ბიჭიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	1,500.00
63	1-88	01.03.2023	მოქალაქე დემეტრე მეტრეველისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,883.82	2,827.57
64	1-89	01.03.2023	მოქალაქე თამარ სუმბაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,165.00	4,160.00
65	1-90	01.03.2023	მოქალაქე თეა სიდამონიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,500.00	5,500.00
66	1-91	02.03.2023	მოქალაქე ლია ნამგალაურის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	9,999.98
67	1-92	02.03.2023	მოქალაქე თამარ ბულიას სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,212.80	5,212.80
68	1-94	07.03.2023	მოქალაქე ნონა ტაბატაძისათვის ფინანსური დახმარების მიზნით	3,000.00	3,000.00
69	1-95	07.03.2023	მოქალაქე მარიამ კვადინიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
70	1-96	07.03.2023	მოქალაქე დალი ბალაშვილისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	2,817.00	2,817.00
71	1-98	07.03.2023	მოქალაქე ზვიად ბიბილაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	0.00
72	1-101	14.03.2023	მოქალაქე მიხეილ გოროზიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,000.00	3,000.00
73	1-103	15.03.2023	მოქალაქე მზია გულბანიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6,000.00	6,000.00
74	1-104	15.03.2023	საქართველოში ჯაზის ფულემდებლის, ლეგენდარული ჯაზმენის, თბილისის სპატიო მოქალაქის, სახელმწიფო	2,330.00	2,330.00

№	ბრძანების №	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
			კონსერვატორიის პროფესორის თამაზ (თათუზა) ყურაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
75	1-106	15.03.2023	მოქალაქე ლუკა გიუნაშვილისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	4,000.00	4,000.00
76	1-107	15.03.2023	მოქალაქე ნანა კინწურაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,400.00	4,400.00
77	1-108	15.03.2023	მოქალაქე ნესტორ ვაშკვიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	900.00	700.96
78	1-109	15.03.2023	მოქალაქე ლევან გრძელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,500.00	3,500.00
79	1-110	15.03.2023	მოქალაქე დავით მესხაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8,000.00	8,000.00
80	1-111	15.03.2023	მოქალაქე კახაბერ ქომეთიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,000.00	3,000.00
81	1-112	15.03.2023	მოქალაქე ნატო ტულუშისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	15,000.00
82	1-113	15.03.2023	მოქალაქე გიორგი ჯაფარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,100.00	1,100.00
83	1-114	15.03.2023	მოქალაქე თინათინ ომიაძისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	15,000.00
84	1-115	15.03.2023	მოქალაქე ნინო გორგაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,500.00	3,500.00
85	1-117	15.03.2023	მოქალაქე ელენე კარაპეტიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,600.00	1,600.00
86	1-120	21.03.2023	მოქალაქე ანა გვილავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,200.00	3,200.00
87	1-123	24.03.2023	მოქალაქე ომარ ზალიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
88	1-129	29.03.2023	მოქალაქე ირაკლი გოლაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,709.00	2,299.00
89	1-132	30.03.2023	მოქალაქე ბერდია ლიპარტელიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,000.00	4,000.00
90	1-134	31.03.2023	აფხაზეთიდან დევნილი ბენეფიციარებისათვის, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის დადგომასთან დაკავშირებით, სასაჩუქრე კალათების გასაცემად	14,953.72	14,953.72
91	1-135	05.04.2023	მოქალაქე ილია წულაიასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,028.00	2,028.00
92	1-136	05.04.2023	მოქალაქე დიანა შუბითიძისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	9,000.00	9,000.00
დაგეგმილი მაჩვენებელი - დამონტაჟდება 4000 ცალი საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 2900 ცალი ბოჭკინტი, 1500 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 100 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, აღმოფხვრილი იქნება შუქნიშნის ობიექტებზე წარმოქმნილი სხვადასხვა ნაკლოვანებები.

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4083 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3608 ცალი

ბოჭკინტი (მათ შორის 180 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 2165 გრძ.მ სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები და 4 ცალი გზის გამყოფი ბუფერი, 86 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 135 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 75 ობიექტზე, დამონტაჟდა 11 ქვეითთა შუქნიშანი და სხვადასხვა კვეთის 3 619 გრძ.მ ქსელური კაბელი, განხორციელდა 75 შუქნიშნის დგარის მონტაჟი, 2 საგზაო კონტროლერის მონტაჟი (შუქნიშნის ობიექტთან და მართვის ცენტრთან მიერთებით), შუქნიშნის 62 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსამახებელი დილაკების და ხმოვანი სიგნალების შემოწმება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 67578.75 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 5371.82 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 9340.94 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე 83899 კვ.მ ჰორიზონტალური და ვერტიკალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, 5702.46 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 87774.94 კვ.მ ჰორიზონტალური /ვერტიკალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 17496.7 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 5147.8 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი, 23788.33 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წლის განმავლობაში მოეწყო შუქნიშნის 33 ახალი ობიექტი (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები), შეძენილ იქნა 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერა/მონტაჟი/ტექნიკური მომსახურება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების 55 ობიექტის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა შუქნიშნის 44 ახალი ობიექტი, (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები), მათ შორის 7 ობიექტი დაიხაზა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წერეთლის გამზირზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების გამო ვერ განხორციელდა შუქნიშნის ახალი ობიექტების მონტაჟი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წლის განმავლობაში განხორციელდა 150 ცალი ვიდეოთვალთვალის კამერის, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი), მოწყობილობების ტექნიკური მომსახურება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი

5.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხორციელდება ავტობუსის გაჩერებებზე ახალი მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა (მათ შორის 2022 წელს მოეწყო 148 ერთეული მგზავრთა მოსაცდელი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ავტობუსის გაჩერებებზე ახალი 70 ერთეული მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა მხოლოდ ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის სამუშაოების პროექტირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელის (141 ცალი) მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი (NAT230013010) არ შედგა, პრედენდენტის არ შემოსვლის გამო.

6.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 6296 ერთეული ავტომანქანა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით 10220 ერთეული ავტომანქანის გადაყვანა.

მიღწეული მაჩვენებელი - სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 29732 ერთეული ავტომანქანა

7.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) საშუალოდ 6000 გრძ.მ (მათ შორის 2022 წელს - 6521 გრძ.მ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) - 6200 გრძ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) - 6178 გრძ.მ.

8.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა და ქუჩის დიზაინის სტანდარტის შემუშავება; პროგრამული უზრუნველყოფა, სატრანსპორტო კვლევა სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება, გზაჯვარედინების პროექტირება, ITC-სისტემის განვითარებისათვის საკონსულტაციო მომსახურება; ველობილიკისა და ავტობუსის განცალკავებული ზოლის პროექტირება, გაჩერებების დიზაინის შექმნა, კერძო ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია და პროექტირება (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა თბილისის ტერიტორიაზე M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლებისა და დერეფნების დასაგეგმად საჭირო ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება 1 578 599.9 კვ.მ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება საკონსულტაციო - საპროექტო მომსახურება ტრანზიტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის განცალკავებული ზოლების, დერეფნების დაგეგმარება პროექტირება. სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემების შესავსებად სატრანსპორტო კვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება, შემუშავდა ტოპოგრაფიული ნახაზი 220 723 კვ.მ, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები - 537 414 კვ.მ და 60 კვანძისთვის მომზადდა სატრანსპორტო მოდელირება.

9.საბაზისო მაჩვენებელი - არსებული საავტობუსო ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს ავტობუსების ახალი ნაკადის განთავსებას, შესაბამისად საჭიროა ახალი და ტექნიკურად გამართული ავტობაზა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ავტობუსების პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის განკუთვნილი ახალი და ტექნიკურად გამართული რიგით მეოთხე ავტობაზა

მიღწეული მაჩვენებელი - 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, დაფარულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო ვალდებულების ნაწილი.

10.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD), "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KfW) დანერგვისთვის სესხის და გრანტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თბილისის ავტობუსების პროექტის მეორე ტრანშით გათვალისწინებული სამუშაოების შესახებ ტენდერების წარუმატებლად დასრულების გამო, 2023 წლის 16 ივნისს GMCS და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ შორის გაფორმდა 2022 წლის 11 იანვარს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და საერთაშორისო საკონსულტაციო

კომპანია GMCS შორის, გაფორმებული პროექტის განმახორციელებელი პირის მხარდაჭერისა და ზედამხედველობის (GrCF – Tbilisi Bus Extension/Georgia Bus Depot Rehabilitation: PIU Support and Supervision) შესახებ ხელშეკრულების დანართი - დამატებითი მომსახურების გაწევის შესახებ, რის საფუძველზეც, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 105 000 ევროთი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსულტაციო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 859 850 ევროს, საიდანაც 300 000 ევრო დაფინანსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) საგრანტო რესურსებიდან, ხოლო დანარჩენი 559 880 ევროს დაფინანსება განხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ამავე პროექტის სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რესურსიდან; თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - II ავტობაზის გაზგასამართი სადგურის სიმპლავრეების გაძლიერება - GrCF2 W2 Tbilisi Bus Extension – Extension of CNG Filling Capacities in Bus Depot No 2 პროექტის ფარგლებში, 2022 წლის 25 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერის წარუმატებლად დასრულების გამო, კომპანიამ დაიწყო ახალი სატენდერო წინადადების მომზადება. 2023 წლის მდგომარეობით სატენდერო დოკუმენტაციის საბოლოო სამუშაო ვერსია გაგზავნილი იქნა ბანკში შესათანხმებლად, ხოლო თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება - I ავტობაზის რეაბილიტაცია - GrCF2 W2 Tbilisi Bus Extension – Rehabilitation of Bus Depot No 1 - მოწვევა აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დასრულდა 2023 წლის 31 ოქტომბერს. 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ტენდერი დასრულდა წარუმატებლად. აღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტთან დაკავშირებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან მიმდინარეობს შეთანხმებები პროცესის გაგრძელების, სატენდერო დოკუმენტაციის და შესყიდვის მეთოდის დაზუსტების შესახებ;

"მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KfW) დანერგვისთვის სესხის და გრანტის კომპონენტის ფარგლებში დასრულდა კვლევითი სამუშაოები, ხოლო 2024 წლიდან დაიწყება საბოლოო დიზაინის შემუშავება და შემდგომ, ეტაპობრივი შესყიდვების და დანერგვის სამუშაოების განხორციელება საერთაშორისო კონსულტანტების მხარდაჭერით.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2023 წლის გეგმა - 85,962.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 73,679.8 ათასი ლარი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განახლებული მიწისქვეშა და საავტობუსო ინფრასტრუქტურა, მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია, მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოძველებული ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით, 2022 წლის 6 ოქტომბერს გაფორმებული (სს „ელექტრომოდრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალთან - 4,232.6 ათასი დოლარის ღირებულების ფარგლებში) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების დაფარვის მიზნით შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 12,000.0 ათასი ლარის დაფინანსება (მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 5 ერთეული (მათ შორის 2022 წელს - 1 ერთეული) 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 7 ერთეული (მათ შორის 2022 წელს - 1 ერთეული) 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით, კაპიტალურად შეკეთდა 8 ერთეული დვ-117 ტიპის წვეის ძრავი და ვაგონებზე დამონტაჟებული ნაწილების (თვალწყვილების, საკისრების, ვაგონის ურიკის ჩარჩოს და სხვა) შეცვლა), ხოლო 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული (სს „ელექტრომოდრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალთან“ - 13,691.4 ათასი ლარის ღირებულების ფარგლებში) ხელშეკრულებით განსაზღვრული ავანსის ნაწილის დასაფარად, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია მიიღო 4,000.0 ათასი ლარის დაფინანსება (განხორციელდა 4 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 4 ერთეული 81-

714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით, კაპიტალურად შეკეთდა 13 ერთეული დკ-117 ტიპის წევის ძრავი და ვაგონებზე დამონტაჟებული ნაწილების (თვალწყვილების, საკისრების, ვაგონის ურიკის ჩარჩოს, თვალწყვილის ღერძის და სხვა) შეცვლა). აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 2 ერთეული 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით დასრულდება 2024 წელს;

საავტობუსო ინფრასტრუქტურის განახლება/რეაბილიტაციის ფარგლებში 2023 წლის 15 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმდა 89,343.4 ათასი ევროს ღირებულების ხელშეკრულება, 160 ერთეული ახალი CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესყიდვაზე. ხელშეკრულებით განსაზღვრული საავანსო ვალდებულების დასაფარად შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსდა კაპიტალური ტრანსფერის სახით 69,962.1 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდა 7 ერთეულ 81-717M სერიის მეტროს სათაო და 7 ერთეულ 81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდება 6 ერთეულ 81-717M სერიის მეტროს სათაო და 6 ერთეულ 81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს.

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდა 8 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 10 ერთეული 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფარულია ახალი 180 ერთეული 8 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად ხელშეკრულებით დარჩენილი ვალდებულება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საავტობუსო პარკის განახლება რეაბილიტაციის ფარგლებში დაიგეგმა 160 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი

M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენა, ავტობუსების შესაძენად დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფარულია შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და შპს თეგეტა მოტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (160 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენა) განსაზღვრული საავანსო ვალდებულების ნაწილი.

01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2023 წლის გეგმა - 4,000.0 ათასი ლარი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მეტროს განახლებული ინტერიერი და სადგურის საინჟინრო ნაწილი, მგზავრთა მომსახურების ხარისხის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის №23.2009.2241 განკარგულების თანახმად, მეტრო სადგური ვარკეთილის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოების განხორციელებისთვის შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიამ კაპიტალური ტრანსფერის სახით მიიღო 4,000.0 ათასი ლარის დაფინანსება. დასრულდა მეტროსადგურ „გოცირიძის“ რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის დაუმთავრებელი ნაწილის სამუშაოები (მომზადდა ექსპერტიზის დასკვნა, გაფორმებული იქნა საბოლოო მიღება-ჩაბარება და სადგური გაშვებულ იქნა ექსპლუატაციაში), ხოლო მიმდინარეობდა მ/ს „ავლაზრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის და მ/ს ვარკეთილის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში დასრულდა წინა საანგარიშო პერიოდში დაწყებული მ/ს „ავლაზრის“ ზედა ვესტიბიულის ინტერიერ-ექსტერიერის, სამანქანო დარბაზის და საინჟინრო სისტემების რეაბილიტაციის

სამუშაოების განხორციელებისათვის აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დასრულდა მეტროს სადგურის „გოცირიძე“ კაპიტალური რემონტი (მიმდინარეობს ექსპერტიზის დასკვნის მომზადება, რის შემდგომაც მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმება) და მეტროს სადგურის „ვარკეთილი“ პროექტირება, გრძელდება მეტროს სადგურის „ავლაბარი“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გრძელდება მ/ს „ვარკეთილის“ და მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, დასრულდება მეტროსადგურ „გოცირიძის“ რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის დაუმთავრებელი ნაწილის სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა მ/ს „გოცირიძე“ რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის დაუმთავრებელი ნაწილის სამუშაოები (სადგური გაშვებული იქნა ექსპლუატაციაში), გრძელდება მ/ს „ვარკეთილის“ და მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები (პროექტების დასრულება მასშტაბიდან და სიდიდიდან გამომდინარე დაგეგმილია 2024 წელს).

01 02 05 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2023 წლის გეგმა - 278,060.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 276,285.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით, ელექტრომობილური შემადგენლობის (მეტრო) და საბაგირო გზებით გაწეული მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირების შედეგად გადაყვანილი მგზავრები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 137,773.4 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის სახსრებით - 276,285.6 ათასი ლარით, მათ შორის:

სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მოძრაობის განრიგის მიხედვით „ახმეტელი-ვარკეთილის“ და „საბურთალოს ხაზზე“ გრაფიკით უნდა გასულიყო 392 796 მატარებელი, გავიდა 392 160 მატარებელი, მოიხსნა 636 მატარებელი (მათ შორის დეპოს მიზეზით - 506, ელექტრომომარაგების სამსახურის მიზეზით - 6, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურის მიზეზით - 53, სალიანდაგო და გვირაბნაგებობათა სამსახურის მიერ - 11 და სხვადასხვა მიზეზით - 60 მატარებელი), სულ 48 მოძრავი შემადგენლობა, საერთო გარბენმა შეადგინა 22 960 468,42 კმ), M3 კატეგორიის ავტობუსებითა (860 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 644 ავტობუსი), რეისები (შესრულდა 3 849 820 რეისი, ფაქტიური გარბენი 53 566 953,42 კმ) ხორციელდება 111 სამარშრუტო ხაზზე (გასული ავტობუსების რაოდენობამ შეადგინა - 235135 მანქანა/დღე, მათ შორის გაუმართაობის გამო ხაზიდან დაბრუნდა 11341 ავტობუსი), დამატებით შესრულდა 236 არაკომერციული და 26 კომერციული დაკვეთა) და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით, მგზავრთა გადამყვანი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსებულია - 271,451.5 ათასი ლარით ბიუჯეტის სახსრებით.

M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები დაფინანსებულია ბიუჯეტის სახსრებით - 4,834.1 ათასი ლარით, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 137,773.4 ათასი ლარით, მათ შორის: შპს კაპიტალ გრუპი - 24,640.1 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან), შპს თბილ ლაინი - 63,517.5 ათასი ლარი (მათ შორის სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 58,683.4 ათასი ლარი), შპს თბილ ქარი - 22,452.1 ათასი ლარი (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან) და შპს ფაბლიქ ქარი - 31,998.1 ათასი ლარით (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან). ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის 1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 743 ერთეული), რეისები ხორციელდება 160 სამარშრუტო ხაზზე;

მიმდინარე პერიოდში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 167 616 372 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია - 152 940 642 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (147397 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (243559 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1 674 887 მგზავრი) გადაყვანილია 2 065 843 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 84 488 355 მგზავრი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სააგენტოს საკუთარი სახსრების ანგარიშზე, მგზავრობის მომსახურებიდან სულ შემოსულია 147,839.1 ათასი ლარი, მათ შორის: მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრობის მომსახურებიდან მიღებულია 127,497.1 ათასი ლარი (მათ შორის მეტროდან - 51,234.0 ათასი ლარი, M2 კატეგორიის ავტობუსებიდან - 24,007.9 ათასი ლარი, M3 კატეგორიის ავტობუსებიდან - 47,769.1 ათასი ლარი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) - 4,486.1 ათასი ლარი), ხოლო აბონიმენტების ღირებულებებიდან - 20,342.1 ათასი ლარი (მათ შორის აბონიმენტი (1 დღე, 172 837 ცალი) - 522.3 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 კვირა, 11 661 ცალი) - 235.1

ათასი ლარი, აბონიმენტი (1 თვე, 289 135 ცალი) - 11,603.0 ათასი ლარი, აბონიმენტი (3 თვე, 10 820 ცალი) - 1,085.9 ათასი ლარი, აბონიმენტი (6 თვე, 21 735 ცალი) - 3,273.8 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 წელი, 14 423 ცალი) - 3,622.0 ათასი ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის ავტობუსებით (1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 743 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 160 მარშრუტზე) და M3 კატეგორიის ავტობუსებით (860 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 678 ერთეული) რეისები ხორციელდება 111 მარშრუტზე), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) მგზავრთა გადაყვანი კომპანიები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული) და M3 კატეგორიის (860 ერთეული) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.



2.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ 2022 წლის განმავლობაში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 129 015 186 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) – 116 370 290 მგზავრი, M2 კატეგორიის ავტობუსებით - 68 606 772 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები) - 72 132 მგზავრი, საბაგირო გზით (რიყე-ნარიყალა) და (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) - 1 012 760 მგზავრი.


დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 167 616 369 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 152 940 642 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (146319 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა

(243559 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1 675 965 მგზავრი) გადაყვანილია 2 065 843 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 84 488 355 მგზავრი.

❖ ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება





02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 44,118.7 ათასი ლარი დაფინანსდა - 39,734.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 37,817.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 90.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვრებით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები - ვაკის რაიონში, ვლადიმერ გაბაშვილის ქუჩა N11-ის

მიმდებარედ, მდ. ვერეს ნაპირსამაგრი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები.

თბილისის ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია: გლდანის რაიონში - გმირ ქართველთა არტილერისტთა სახელობის ხიდზე დაზიანებული სადგეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაციის სამუშაოები; ე.ანდრონიკაშვილის და ალ.მანაგაძის ქუჩების კვეთაზე არსებულ სახიდე გადასასვლელზე (რკინიგზის გზაგამტარის) სადგეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაციის (ასფალტის საფარის დაგების გათვალისწინებით) სამუშაოები; სამგორი რაიონში - ისთ-ფონთის მიმდებარედ ე.წ. „დამპალოს“ ხიდებზე (ორივე მიმართულებით) სადგეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები; საბურთალოს რაიონში - დავით აღმაშენებლის ხეივანზე, დიდი დილომის გადასახვევის მიმდებარედ არსებულ ხიდზე სადგეფორმაციო ნაკერების (ასევე ხიდზე არსებული დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა შესაბამისი კონსტრუქციებით) რეაბილიტაციის სამუშაოები; ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის ხიდზე (საბურთალოს მხარეს) სადგეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაცია; დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-15 კმ-ზე, მაღალაძეების ქუჩის მიმდებარედ არსებული ხიდის დემონტაჟისა და ახალი ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მშენებლობის სამუშაოები; კრწანისის რაიონში - მდინარე მტკვარზე მდებარე „მშვიდობის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები.

თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები: სამგორის რაიონში - ნავთლუღის დასახლება, მე-3 ქუჩა N6-თან ამორტიზირებული საკანალიზაციო ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში - ივერთუბნის დასახლებაში მ.შერვაშიძის III და IV შესახვევში კანალიზაციის ქსელზე მოსახლეობის დაერთების სამუშაოები; ივერთუბნის დასახლებაში მ.შერვაშიძის ქუჩისა და მ.შერვაშიძის II, V და VI შესახვევებში მოწყობილ წყალარინების ქსელზე მოსახლეობის დაერთებები და სამუშაოები; ივერთუბნის დასახლებაში, დავით მგელაძის ქუჩაზე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის მე-II და მე-III შესახვევებში, ტარას კვარაცხელიას მე-III შესახვევში და გენო ადამიას ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ივერთუბნის დასახლებაში, დავით მგელაძის ქუჩაზე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძის მე-II და მე-III

შესახვევებში და ტარას კვარაცხელიას მე-III შესახვევში და გენო ადამიას ქუჩაზე წყალარინების გარე ქსელის მოწყობის (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით) სამუშაოები; ივერთუბნის დასახლება, ტარას კვარაცხელიას ქუჩაზე საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ივერთუბნის დასახლება, ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩა, მერი შერვაშიძის ქუჩა (N36-დან N18-ის ჩათვლით) საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები; ივერთუბნის დასახლება, ზამთრიანისა და თამუნა დოლიძის ქუჩებზე კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები; ივერთუბნის დასახლება, ჯუმბერ ბეთაშვილის მე-2 გასასვლელი და იოსებ ჟორდანიას ქუჩაზე, წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლეობის დაერთებით); ივერთუბნის დასახლება, ჯუმბერ ბეთაშვილის მე-2 გასასვლელი და იოსებ ჟორდანიას ქუჩაზე, სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლების დაერთებით); ვაკის რაიონში - უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის N2 შუალედური ბურჯის მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობა; კრწანისის რაიონში - სვანების დასახლებაში (კერძოდ K12 საპ.კან.ჭა N137-ის ჩათვლით, K15, K16, K18, K19, K20, K21, K22, K23, K24, K25) წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები მოსახლეობის დაერთებით; მდინარე მტკვარზე „მშვიდობის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები; გ.ნიკოლაძის ქუჩაზე გამავალი სანიაღვრე კოლექტორის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ასევე, განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: მთაწმინდის რაიონში: გმირთა მოედნის გზაგამტარზე დაზიანებული მოაჯირის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მარჯვენა სანაპიროზე, „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ არსებულ გზაგამტარზე დაზიანებული მოაჯირის რეაბილიტაციის სამუშაოები; ნაძალადევის რაიონში - ქსნის ქუჩის გზაგამტარზე მოაჯირების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვაკის რაიონში - მდ. ვერეს ხეობაში, ბაგების დასახლებისა და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი მშენებარე ხიდის მიმდებარედ საქვების მონტაჟის და მასთან დაკავშირებელი სამუშაოები; ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებულ კლდოვან ფერდობზე ქვათაცვენის საწინააღმდეგო ბადის მოწყობის სამუშაოები; სამგორის რაიონში: ორხევში, ალექსეევკას დასახლებაში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩაზე არსებული გზაგამტარზე მოაჯირების რეაბილიტაცია.

მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში დასრულდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: ვაკის რაიონში - უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები; უჩანეიშვილის ქუჩა N2-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; დიდუბის რაიონში - შალიკაშვილის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანის რაიონში - რ.შენგელიას ქუჩისა და ხევძმარის ქუჩა N1-ის მიმდებარედ ამორტიზებული რკ/ბეტონის სანიაღვრე და საკანალიზაციო კოლექტორების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში - ივერთუბნის დასახლება, სოლომონ ყუბანეიშვილის ქუჩაზე, ს. ყუბანეიშვილის I და II ჩიხებში, თამარ და აკაკი პაპაევების ქუჩაზე, გენო ადამიას ქუჩა N19-დან N1-ის ჩათვლით, ზაქარია ჯორჯაძის I გასასვლელი და არქიმანდრიტ ილია კარტოზიას ქუჩაზე წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლების დაერთებებით); ივერთუბნის დასახლება, სოლომონ ყუბანეიშვილის ქუჩაზე, ს. ყუბანეიშვილის I და II ჩიხებში, თამარ და აკაკი პაპაევების ქუჩაზე, გენო ადამიას ქუჩა N19-დან N1-ის ჩათვლით, ზაქარია ჯორჯაძის I გასასვლელი და არქიმანდრიტ ილია კარტოზიას ქუჩაზე სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლების დაერთებებით).

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 27 ოქტომბრის N23.1635.1806 საფუძველზე, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილსა და სანაპიროს ქუჩა N2 იუსტიციის სახლთან მდებარე საფეხმავლო ხიდების და კახეთის გზატკეცილზე განთავსებული ცხრა მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციის მიზნით (მათ შორის დასრულდა ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელის (ს/კ 01.15.03.010.012.01.521) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო კახეთის გზატკეცილზე დამატებით საჭირო გახდა ცხრა მიწისქვეშა გადასასვლელის კონსტრუქციული ნაწილის ფუნდამენტური შესწავლა და, ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, ტექნიკური გადაწყვეტილების შემუშავება), დაფინანსდა შპს თბილსერვის ჯგუფი - 5,000.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია 131.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს რეაბილიტაცია 4 ხიდს და განხორციელდა 17 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 3 ხიდს, 3 საფეხმავლო ხიდს და 10 მიწისქვეშა გადასასვლელს, მოხდება 5-მდე საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს და 1 საფეხმავლო ხიდს, განხორციელდა 2 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა 21 ობიექტს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 10-მდე ობიექტს.

მიღწეული მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ობიექტს.

02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 8,467.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,106.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 7,626.5 ათასი ლარი). რაც გეგმის 95.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების ამაღლება და ნორმალური ცხოვრების უზრუნველყოფა, თბილისის მოქალაქეთა გაუმჯობესებული საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების და შენობა-ნაგებობების გამაგრება-აღდგენა-

გამლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე (მისამართებზე):
გლდანის რაიონში - გლდანის მასივი, VII მიკრო რაიონი, კორპუსი N6-ში;
ლიბანის ქუჩა, კორპუსი N3-ში (II ეტაპის სამუშაო); ლიბანის ქუჩა, კორპუსი N5-ში
მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის (II ეტაპის სამუშაო); ნაძალადევის რაიონში
- ცოტნე დადიანის ქუჩა N148-ში მე-6 სადარბაზოს (ეტაპი I); ზღვისუბანი თემქა XI
მიკრო რაიონი, II კვარტალი, კორპუსი N21ა-ში; ცოტნე დადიანის ქუჩა, მე-2 მიკრო
რაიონი, კორპუსი N2-ში; დიდუბის რაიონში - აკაკი წერეთლის გამზირი N49-51-
ში; კრწანისის რაიონში - კრწანისის ქუჩა N7ა-ში; მეტეხის გვირაბის ავარიული
ფრაგმენტების სადემონტაჟო სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში - მერაბ კოსტავას I
შესახვევი N11ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის
სამუშაოები; სამგორის რაიონში - ორხევის დასახლება, კოსტავას ქუჩა, კორპუსი
N5-ში მდებარე; ვარკეთილი 3, მე-2 მიკრო რაიონი, კორპუსი N38-ში (ეტაპი II);
ვარკეთილის ზემო პლატო, II მიკრო რაიონი, N11-ში; მოსკოვის გამზირი N48-ში;
ასევე ავარიული შენობა-ნაგებობის დემონტაჟის სამუშაოები: ქინძმარაულის ქუჩა,
კორპუსი N2-ში; კახეთის გზატკეცილი N3ა-ში; ვარკეთილი 3, მე-3 მიკრო რაიონი,
კორპუსი N304-ში; ვარკეთილის 3 მასივი, I კვარტალი, კორპუსი N1-ში მდებარე
ავარიული შენობა-ნაგებობის შემოღობვის სამუშაოები; ისნის რაიონში -
ვაზისუბნის დასახლება N10-ში; ვაზისუბნის დასახლება, მე-3 მიკრო რაიონი, მე-2
კვარტალი, კორპუსი N6-ში; ვაზისუბნის დასახლება, III მიკრო რაიონი, I
კვარტალი, N2-ში; ვაზისუბნის II მიკრო რაიონი, კორპუსი N1-ში; ვაზისუბნის
დასახლება, IV მიკრო რაიონი, II კვარტალი, კორპუსი N13-ში; ვაზისუბნის
დასახლება N19ა-ში; ვაზისუბნის მე-3 მიკრო რაიონი, I კვარტალი, კორპუსი N5-ში;
ვაკის რაიონში - შ.ნუცუბიძის ფერდობზე, მე-4 მიკრო რაიონი, კორპუსი N8-ში;
ვაჟა-ფშაველას გამზირი, II კვარტალი, კორპუსი N7-ში; ატენის ქუჩა, კორპუსი
N18ბ-ში; ატენის ქუჩა, კორპუსი N18გ-ში; ნუცუბიძის IV მიკრო რაიონი, მე-3
კვარტალი, კორპუსი N35-ში (ეტაპი II); ზ.ფალიაშვილის ქუჩა N78ა-ში;
შ.ნუცუბიძის მე-4 მიკრო რაიონი, კორპუსი N18-ში; საბურთალოს რაიონში -
თ.იოსებძის ქუჩა N72ა-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის ანტისეისმური
ნაკერების დემონტაჟი; დიდუბის რაიონში - დიდმის მასივი, მე-4 კვარტალი,

კორპუსი N16-ში მდებარე ავარიული შენობა-ნაგებობის ლოკალური ავარიული ფრაგმენტების დემონტაჟი.

მიმდინარეობს და უახლოეს პერიოდში დასრულდება სამუშაოები შემდეგ მისამართებზე: ნაძალადევის რაიონი - ცოტნე დადიანის ქუჩა, კორპუსი N148-ის I სადარბაზოს გამაგრება-აღდგენა-გადლიერების სამუშაოები; მთაწმინდის რაიონი - მერაბ კოსტავას ქუჩა N24-სა და N26-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სარდაფში შედინებული წყლების მოცილების სამუშაოები;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გამაგრება-გადლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 31 შენობა-ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამაგრება-გადლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 40-მდე შენობა-ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება-გადლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 34 შენობა-ნაგებობას.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამაგრება-გადლიერების სამუშაოები, ძირითადად, ჩაუტარდა მოცულობით კორპუსებს.

02 03 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 7,362.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,638.0 ათასი ლარის 96.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 459.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 250.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 54.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მშენებლობის განხორციელება სრულყოფილი პროექტების საფუძველზე, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო და საექსპერტო დოკუმენტაციები მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულებები: ქ.თბილისში, ვაკის რაიონში, ტიცინა ტაბიძის ქუჩა, შესახვევი I, №24-ის მიმდებარედ არსებული ფერდის ჩამოშლის გამომწვევი მიზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება და ასევე, რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; საბურთალოს რაიონში, ს.ჩიქოვანის ქუჩა N22 კორპუსის უკან არსებული ფერდის მდგომარეობის შესწავლის საექსპერტო მომსახურება და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; საბურთალოს რაიონში, ბახტრიონის ქუჩა N30-ის მიმდებარედ (წრიულზე) გზის ჩავარდნა-დაზიანების გამომწვევი მიზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; სამგორის რაიონში, ვარკეთილი III, 2 მიკრო რაიონი, კორპუსი N36, მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის ავარიულობის გამომწვევი მიზეზების დადგენის საექსპერტო მომსახურება; სამგორის რაიონში, ქინძმარაულის შესახვევი N30-ის მიმდებარედ (ს/კ 01.19.33.003.141) არსებული ნაგებობის ავარიულობის ხარისხის დადგენის საექსპერტო მომსახურება; სამგორის რაიონში, ბ.ხმელნიცკის ქუჩისა და გარდაბნის გზატკეცილის კვეთიდან ველისთავის ქუჩისა და გარდაბნის გზატკეცილის კვეთამდე მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის ექსპერტიზა; მთაწმინის რაიონში, პ.კაკაბაძის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებული ფერდის ჩამოშლის გამომწვევი მიზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება და ასევე, რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; მთაწმინდის რაიონში, მარო მაყაშვილის აღმართი, მე-4 კილომეტრი, ს/კ 01.15.07.006.133-ის მიმდებარედ არსებული ფერდის ჩამოშლის გამომწვევი მიზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება და ასევე რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; გ.მინდელის სახელობის ხიდის ექსპლუატაციაში ყოფნის და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისთვის უსაფრთხოების შესახებ საექსპერტო მომსახურება; გმირთა მოედანზე მდებარე „მემორიალურ სვეტზე“ და გარშემო არსებულ ელექტრო მოწყობილობაში დაფიქსირებული შეუსაბამობების

აღმოსაფხვრელი სამუშაოების დადგენის საინჟინრო ექსპერტიზა; საბურთალოს რაიონში, ს.ჩიქოვანის ქუჩა N26, N195 საჯარო სკოლის მიმდებარედ (მდ. ვერეს მიმდებარედ) ფერდის ჩამოშლის გამომწვევი მიზეზების შესახებ საექსპერტო მომსახურება და ასევე რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ასევე განხორციელდა: საბურთალოს რაიონში, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-15 კმ-ზე, მაღალაძეების ქუჩის მიმდებარედ არსებული ხიდის დემონტაჟისა და ახალი ფეხითმოსიარულეთა გადასასვლელი ხიდის მშენებლობის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ლ.გოთუას ქუჩა N30-სა და ჟ. შარტავას ქუჩა N75-ს შორის არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; მთაწმინდის რაიონში, მერაბ კოსტავას ქუჩა N24-სა და N26-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებში შედინებული წყლების წარმომავლობის დადგენის და აღნიშნული წყლების მოცილების სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; მ.კოსტავას ქუჩაზე „ფიქრის გორის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; სამგორის რაიონში, ბ.ხმელნიცკის ქუჩისა და გარდაბნის გზატკეცილის კვეთიდან ველისთავის ქუჩის და გარდაბნის გზატკეცილის კვეთამდე მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; სოფელ პატარა ლილოში, დ.აღმაშენებლის და თამარ მეფის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ჯავახეთის ქუჩის მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ვაკის რაიონში, მ.თამარაშვილის გამზირისა და ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილის კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შექმნილი საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციის რაოდენობა - 25 (მათ შორის: 14 საპროექტო და 11 საექსპერტო).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საჭირო საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციით.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების 19 საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაცია (მათ შორის: 8 საპროექტო და 11 საექსპერტო).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენისას საპროექტო ორგანიზაციებს, ტექნიკური დავალების შესაბამისად, ევალუატი წარმოსადგენი პროექტის შეთანხმება ქალაქის მასშტაბით არსებულ მსხვილი კომუნიკაციების მფლობელ კომპანიებთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, რაც იწვევს დოკუმენტაციის შეთანხმების პროცესი გაჭიანურებას, ვინაიდან საპროექტო ორგანიზაციამ უნდა გაითვალისწინოს შემთანხმებლის შენიშვნები და ასახოს პროექტში. შესაბამისად ვერ მოესწრო საანგარიშო პერიოდში ზოგიერთი პროექტების სრულყოფილად წარმოდგენა

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2023 წლის გეგმა - 7,178.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,111.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი, ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება, სპეციალური ლაბორატორიული მანქანა-დანადგარების შეძენის შედეგად გაუმჯობესებული და თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების (მათ შორის

საკუთარი სახსრებიდან 12.6 ათასი ლარი) ხარჯები (მათ შორის შემენილ იქნა: ერთი ერთეული გირატორი, 2 კომპლექტი დეფლექტომეტრი, კომპიუტერული ტექნიკა, მრავალფუნქციური პრინტერები, 2 ერთეული ასფალტანალიზატორი, 2 ავტომობილი, 4 ერთეული დაშვების სისტემის კონტროლერი SC105ID კომპლექტაციითა და მონტაჟით). მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა 1750 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 770, გამგეობების ობიექტი – 972, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ობიექტი - 8;

საგამოცდო ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ-ბეტონის ნარევის კვლევა – 406, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 383 კერნი, სისქეების რაოდენობა - 4456 ცალი, ტკეპნის კოეფიციენტი - 11610 დარტყმა;

წყალსადენ-კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულებულია სამუშაოები 195 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 70, ხოლო გამგეობების ობიექტი – 125;

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 892 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 667, ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი – 51, ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ობიექტი - 1, ხოლო გამგეობების ობიექტი – 173;

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 930 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი - 428 დასკვნა, ხოლო გამგეობის ობიექტი - 502 დასკვნა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები გამგეობების 1814 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტებისათვის ჩატარებული ზედამხედველობა – 1201, ლიფტების ტექნიკური ზედამხედველობა – 587 და აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ზედამხედველობა - 26;

საბავშვო ბ/ბადის მართვის სააგენტოს და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია ტექ. ზედამხედველობის სამუშაოები 55 ობიექტზე (მათ შორის მიმდინარე - 31 და დასრულებული - 24 ობიექტი), აქედან: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტები – (მიმდინარე - 16, დასრულებული - 17), ქალაქ თბილისის მუნიციპალური მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტები - (მიმდინარე - 6, დასრულებული - 5), გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის ერთი მიმდინარე ობიექტი, კრწანისის გამგეობის ერთი დასრულებული ობიექტი, „ცენტრ პოინტის“ 8 მიმდინარე ობიექტი, შპს თბილსერვის ჯგუფის ერთი დასრულებული ობიექტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 5 დღე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე მანქანა-დანადგარებით, რომლებიც პერიოდულად საჭიროებს განახლებას,

დაგეგმილი მაჩვენებელი - 10%-ით განახლებული მანქანა-დანადგარები,

მიღწეული მაჩვენებელი - 52%-ით განახლებული მანქანა-დანადგარები.

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 39,216.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 38,908.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,992.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ობიექტების მინათებით მხატვრული ეფექტის გაზრდა, განათებულ ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობა - ექსპლოატაციას უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს. საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 164 195 სანათს, მათ შორის: გარე განათება – 146 224 სანათი, მხატვრული მინათება – 17 971 სანათი. ასევე, ახორციელებდა საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს, მიმდინარე პერიოდში დამონტაჟდა (მოეწყო) – 2 454 განათების ბოძი და 992 ახალი სანათი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 281.7 ათასი ლარი, თბილისის სატელევიზიო ანძის მხატვრული მინათების დაზიანებული სანათი მოწყობილობების აღსადგენად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/ნ 206267494) დასაფინანსებლად.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ექსპლოატაცია გაეწია 152 205 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 134 469 სანათი, მხატვრული მინათება – 17 736 სანათი), მოეწყო 2 576 ახალი სანათი და დამონტაჟდა 1 035 განათების ბოძი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწევა თბილისის მასშტაბით არსებულ გარე განათების ქსელს და ასევე, საჭიროებისამებრ მოწყობილი იქნება ახალი გარე განათების ქსელები და ახალი სანათები.

მიღწეული მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწია 164 195 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 146 224 სანათი, მხატვრული მინათება – 17 971 სანათი), მოეწყო 992 ახალი სანათი და დამონტაჟდა 2 454 განათების ბოძი.

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 3,653.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,514.8 ათასი ლარით. გეგმის 96.2%.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელების გამართული ფუნქციონირება და დატბორილი ადგილების აღმოფხვრა, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შპს “თბილსერვის ჯგუფის” მიერ განხორციელდა შემდეგი სახის სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად, შიგ გავლით, სპეც. ტექნიკის გამოყენებით - CCTV ვიდეო კამერით, ე.წ. ვიდეოთვალთ) – 14 615.3 მეტრი; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმომღებების და საკონტროლო ჭების გაწმენდა – 31 352 ცალი; კიუვეტების გაწმენდა (ხელით და მექანიზმის გამოყენებით) – 46 633 გრძივი მეტრი; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც. ტექნიკის გამოყენებით – 129 994 მეტრი; დაზიანებული ცხაურების, ყრუ ხუფების შეცვლა – 260 ცალი; გვერდმომღების ხუფების შეცვლა - 50 ცალი; რ/ზ ფილა (ორმაგი არმირებით, ოთხკუთხა თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) – 63 ცალი; ახალი ჭის მოწყობა თუჯის ჩარჩო-ხუფით, ჩარჩო-ცხაურით, გვერდმომღებით - 85 ცალი; ჭის ჩარჩო-ხუფი ან ცხაური - 103 ცალი; სანიაღვრე ჭების მოყვანა ნიშნულზე - 171 ცალი; ანაკრები რ/ზ რგოლები დ=1000მმ/დ=1500მმ - 14 მეტრი; მილები - 458 მეტრი; დაზიანებული რ/ზ კოლექტორის შეკეთება - 13.9 კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2023 წლის გეგმა - 23,064.1 ათასი ლარი დაფინანსდა - 20,239.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 87.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობა, სხვადასხვა ღონისძიებების სრული ტექნიკური გამართულობა, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ობიექტების მოვლა-პატრონობა (ძეგლები, მემორიალები, საფლავები), ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა კულტურულ სივრცეში და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 2022-2023 შობა-ახალი წლის დღესასწაულის უზრუნველსაყოფად, დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისის აღსანიშნავად, „თბილისობა 23“-ის დღესასწაულის ფარგლებში და 2024 წლის შობა-ახალი წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით გაწეული მომსახურებები (მათ შორის გალა კონცერტი, ესტრადის მომღერალთა მიერ გამართული კონცერტი, შობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კონცერტი, დეკორირებული ჯიხურების კონსტრუქციის და სხვადასხვა კონსტრუქციისა და ინსტალაციის შექმნა და სხვა); საახალწლო ილუმინაციების შექმნა, მონტაჟი-დემონტაჟი, ექსპლუატაცია და აღდგენა; სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და დაბრენდილი დროშების შესყიდვა; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; საკონცერტო და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, გახმოვანების პროფესიონალური და საკონცერტო აპარატურით, საჭირო ინვენტარით (მათ შორის მონიტორები, გენერატორი, გამათბობლები), სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით, სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრძიმოროებით, კომპებით,

ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი დეკორაციებით მომსახურება; სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და თაიგულებით მომსახურება; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებათა ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობისა და რეცხვის მომსახურება, შემზღუდავი ჯებირების შექმნა - მოწყობა - ალაგება, ბიოტუალეტიტ მომსახურება და სხვა.

ასევე, სხვადასხვა მისამართზე მემორიალური დაფების (ორ ენოვანი) დამზადება-მონტაჟი-განთავსება (5 მემორიალური დაფა), მარშალ გელოვანის გამზირზე მდებარე დავით აღმაშენებლის ძეგლის კვარცხლბეკის, 9 აპრილის სახელობის ბაღში გიორგი ჭანტურიას არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციისა (ბიუსტი) და მისი კვარცხლბეკის, ოპერისა და ბალეტის თეატრის (შოთა რუსთაველის გამზირი №25) სკვერში მდებარე არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის (ქანდაკება) „ბალერინები“, გრიგოლ რობაქიძის გამზირზე არსებულ სკვერში მდებარე მონუმენტური ნაწარმოების „ვლადიმერ მაიაკოვსკის ქანდაკების“ აღდგენა-რესტავრაციის სამუშაოები; გორგასლის ქუჩა №3-ში არსებული სკვერის ტერიტორიაზე ცნობილი ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის (ბიუსტი) განთავსების სამუშაოები; მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში არსებული ქართველი პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე ლომთათიძის საფლავის კეთილმოწყობის სამუშაოები; სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა მემორიალთან არსებული სკვერის ტერიტორიაზე მდებარე ჟიული შარტავას ბიუსტისა კვარცხლბეკის, გენო ადამიას ბიუსტის კვარცხლბეკის (მათ შორის საინფორმაციო წარწერის აღდგენა-რესტავრაცია), შოთა რუსთაველის გამზირზე 9 აპრილს საბჭოთა ჯარის მიერ უდანაშაულოდ დაღუპულ ქართველთა ხსოვნის მემორიალის, ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე მდებარე გენერალ პეტრე ბაგრატიონის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის (ძეგლი) კვარცხლბეკის, გრიგოლ რობაქიძის გამზირზე არსებულ სკვერში მდებარე ქანდაკება „მშვილდოსანის“ და მისი კვარცხლბეკის,

თბილისის საკონცერტო დარბაზის (ფილარმონია) მიმდებარე ტერიტორიაზე ქანდაკების „მუზა“ და მისი კვარცხლბეკის გაწმენდის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებას საშუალოდ 5000 ადამიანი ესწრება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის ზრდა - 6000 ადამიანი.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრე - 80 000 ადამიანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 100 სხვადასხვა ტიპის ღონისძიების და აქტივობის სრული ან ნაწილობრივი ტექნიკური აღჭურვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება და არანაკლებ სხვადასხვა ტიპის 150 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული 200 ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 3 ახალი ძეგლის, 10 მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება, არანაკლებ 2 ძეგლის ან/და კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები, აღდგენა-რესტავრაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამზადდა და განთავსდა 5 მემორიალური დაფა, განხორციელდა 1 ახალი ძეგლის (ბიუსტი) განთავსება, 5 ძეგლის აღდგენა, 6 ძეგლის/კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები და 1 საფლავის მოწყობა-მოპირკეთება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი ძეგლების და მონუმენტების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევ კონკურსებზე, ხოლო მემორიალური დაფების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია შემოსული განაცხადების რაოდენობაზე.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში ხელოვნების სფეროს დაახლოებით 700-დე ცნობილი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას, მინიმუმ 100 დამწყებ ხელოვანს და სპარტაკერს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთონ მერიის მიერ განხორციელებულ და მხარდაჭერილ ღონისძიებებში და წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება, ხელნაკეთი ნივთები და სხვა პროდუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებებში ჩართული - 3 000 ხელოვანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 88,821.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 89,627.7 ათასი ლარის 99.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 10,138.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,097.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,639.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, მოსახლეობის დაცვა გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან, ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება; ქუჩების დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი) - 5992 ცალი, დგარიანი მანიშნებელი - 35 ცალი, მანათობელი (დგარიანი) აბრები - 20 ცალი; ბიოგრაფიული დაფა - 11 ცალი; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები (მოეწყო - 15 907 კვ.მ ქვათაცვენის ბადეები); თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები; დაზიანებული კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მათ შორის: ბორდიურები - 438.7 გრძ/მ, ქვაფენილი/ფილა - 7 759.75 კვ.მ, ლითონის მოაჯირები - 516.05 მ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 9 920 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 3 001.39 კგ, ლითონის ფურცლის მონტაჟი (სხვადასხვა სისქით) - 94 013.05 კგ, საკაბელო კომუნიკაციის მოწყობა - 4 827 მეტრი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება, ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 6275 ც. დგარიანი მანიშნებელი - 53 ც. მანათობელი აბრები - 10 ც.), მოეწყო: 14860.7 მ² - ფილა/ქვაფენილი, ლითონის მოაჯირი - 915.06 მ, ლითონის ფურცლები - 65118.56 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 10682.73 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 9558.41 კგ, თუჯის ბოძკინტი - 2410.8 კგ, ბორდიურები - 1320.21 გრძ/მ, საკაბელო კომუნიკაცია - 33098 მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობისა და დაზიანებული

ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყო 32000 კვ.მ-მდე ფილა/ქვაფენილი და 800 გრძ.მ-მდე ლითონის მოაჯირი, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა-გამაგრება (მოეწყო 8000 კვ.მ დამცავი ბადეები) და ზედმეტი გრუნტისა და ნატანის გასუფთავება-გატანა და შედეგად ქვათაცვენისა და მეწყერული უბნების მდგომარეობის გაუმჯობესება-გასუფთავება, ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება (მოეწყო 15907 კვ.მ დამცავი ბადეები), ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 5992 ც. დგარიანი მანიშნებელი - 35 ც. მანათობელი აბრები - 20 ც.), მოეწყო: 7759.75 მ2 - ფილა/ქვაფენილი, 516.05 გრძ.მ - ლითონის მოაჯირი, ლითონის ფურცლები - 94013.05 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 3001.39 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 9920 კგ, ბორდიურები - 438.7 გრძ/მ, საკაბელო კომუნიკაცია - 4827 მ.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2023 წლის გეგმა - 292.0 ათასი ლარი დაფინანსდა - 136.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 46.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შენობა-ნაგებობების მონოლითური გადახურვის დემონტაჟი - 228.6 კვ.მ, შენობა-ნაგებობების გადახურვის კონსტრუქციის დემონტაჟი - 193.3 კვ.მ, შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის კედლების დემონტაჟი - 224.2 კვ.მ, უსახური ჯიხურების, ნაგებობების, მარტივი ტიპის კონსტრუქციების დემონტაჟი - 790.6 კვ.მ, მონოლითური ფილის

დემონტაჟი - 947.8 კვ.მ, რკინა-ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი 64.2 კვ.მ, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დემონტაჟი - 1057.1 კვ.მ, მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების ღობეების დემონტაჟი 4003 გრძ.მ, საკომუნიკაციო ქსელის დაშლა 380 გრძ.მ, დემონტაჟის შედეგად წარმოდგენილი ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე - 712.5 კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება სასუალოდ 3400 კვ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 5960 კვ.მ სადემონტაჟო სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 3505.6 კვ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლის დემონტაჟი ხორციელდება სასუალოდ 1600,0 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა 15400 გრძ.მ

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) და საკომუნიკაციო ქსელის დაშლა 4383 გრძ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 800კუბ.მ

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 1370 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 712.5 კუბ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობა.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია კონტრაქტორის მხრიდან სადემონტაჟო სამუშაოების შეუსრულებლობის გამო, შესაბამისად გატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები (დაჯარიმდა) და შეწყდა ხელშეკრულება. დამატებით გამოცხადებული ორი ტენდერის შედეგად, გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება 2023 წლის 29 დეკემბერს გაფორმდა, რის გამოც დაგეგმილი სადემონტაჟო სამუშაოები ვერ განხორციელდა.

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 7,203.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,148.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,057.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურება (დამუშავდა 1531 ხე-მცენარე), გამწვანებულ და დასასვენებელ ტერიტორიებზე (206689 კვ.მ) სარწყავი სისტემებისა და სასმელი სოკოების მომსახურება, კანალიზაციის სისტემების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები 301.9გ/მ (2 მისამართი), შემოერთებულ ტერიტორიაზე ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის

სამუშაოები (3 მისამართი. 3806.81 გ/მ), ახალი სპორტული მოედნების (4 მისამართი) მოწყობის, არსებული სპორტული მოედნების (35 მისამართი) მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, არსებული სკვერების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (103 მისამართი), ახალი სკვერების მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი), ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები (7 მისამართი) და დაიდგა 35 საპარკე სკამი, მინი სკვერის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), დეკორატიული მოაჯირის მოწყობის სამუშაოები (4 ობიექტი.140 გრძ.მ), გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლები და ბეტონის კიბე-ბილიკები (9 მისამართი), მიმდინარეობს საცხოვრებელი სახლის ავარიული აივნების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (1 მისამართი), შშმ პირთათვის საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში გადასაადგილებელი ელექტრო პანდუსის დამონტაჟების გარდამავალი ხელშეკრულების ფარგლებში ოთხ მისამართზე დამონტაჟდა ახალი, ხოლო 2 მისამართზე დამონტაჟდა არსებული პანდუსი, 1 ობიექტზე ჩატარდა არსებული პანდუსის მდგრადობის დადგენის ექსპერტიზა, 8 ეკლესიის ფინანსური დახმარება, გაზიფიცირების სამუშაოები (11 მისამართი). ასევე, გადარიცხულია წინა წლებში შესრულებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის გარანტია 2.5% - 1.1 ათასი ლარი და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ერთ ორგანიზაციას დაუბრუნდა წინა წელს დაკავებული საჯარიმო სანქცია 6.3 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 68 სკვერს, 3 მისამართზე მოეწყო ახალი და 15 მისამართზე შეკეთდა სპორტული მოედანი, 2 მისამართზე დამონტაჟდა სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 6 დიდ სკვერს, მოეწყობა 4 მინი სკვერი საბავშვო ატრაქციონით, 5-მდე ლოკაციაზე განხორციელდება ტერიტორიის სივრცითი მოწყობა, მოეწყობა 4 ახალი სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 8 დიდი სკვერი და 1 მინი სკვერი ატრაქციონებით; შეკეთდა 103 სკვერი, სპორტული მოედანი მოეწყო 4 მისამართზე, ხოლო შეკეთდა 35 მისამართზე.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს 2 მისამართზე მოეწყო 3554 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და შეკეთდება 3251 გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 5 მისამართზე განხორციელდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები - 3806.81 გრძ.მ ახალი ქსელი, ხოლო შეკეთდა 301.9 გრძ.მ არსებული საკანალიზაციო ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს 5 მისამართზე მოეწყო 494.6 კუბ.მ საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 888 კუბ. მეტრი საყრდენი კედელი და ბეტონის კიბე-ბილიკი.

მიღწეული მაჩვენებელი - 9 მისამართზე მოეწყო 148 კუბ.მ საყრდენი კედელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მასალაზე ფასის ცვლილებამ გამოიწვია, დაგეგმილზე ნაკლები სამუშაოების შესრულება.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 2 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 20 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 11 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსახლეობის მხრიდან შემცირდა მომართვიანობა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა (რგვები, სხვა ფორმირება, თიბვა), 1810 ხის გადაბელვა და სხვა ფორმირება, დაირგო 384 ხე-მცენარე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 200-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 200 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 3500 ხის სხვა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 206689 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 1531 ხის გადაბეღვა და სხვა ფორმირება, დაირგო 270 ხე-მცენარე.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 8,717.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,616.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,246.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვა-ფორმირების გადაბეღვის, დაჭრა-დამუშავება-გატანის, მოჭრისა და კუნძების ამოღების სამუშაოები (4456 ძირი), სკვერებში არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჟარების მოვლა-პატრონობის მათ შორის კომუნალური ხარჯები (2 მისამართი), რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (55 მისამართი), პარკებისა და სკვერებისთვის შესყიდულია 266 ცალი ძელსკამი, გრუნტის დამჭერი კედლების მოწყობის სამუშაოები (16 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (24 მისამართი), ახალი სკვერების მოწყობის (1 მისამართი) და გამწვანებული ტერიტორიების მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), კიბეების მოწყობის სამუშაოები (3 მისამართი), არსებული სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (12 მისამართი), კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონების მოწყობის სამუშაოები (18 მისამართი), გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების შესყიდვა (1 კომპლექტი), ლითონის დამცავი მოაჯირის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელის

მოწყობის სამუშაოები (9 მისამართი), სოციალურად დაუცველი ოჯახების გაზომვითი ქსელზე მიერთების სამუშაოები (8 მისამართი), 12 ეკლესიის ფინანსური დახმარება, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე (შპს ლოგის, შპს არბას-ს) დაკისრებული სააღსრულებო თანხის გადახდა 77.2 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღირებვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 2 ახალი სკვერი, არსებულ 52 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდა 6 სპორტულ მოედანს, დამონტაჟებულია გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (6 კომპლექტი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1 ახალი სკვერი, რეაბილიტირებული იქნება არსებული სკვერები/მოედნები.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 1 ახალი სკვერი, არსებულ 24 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდა 12 სპორტულ მოედანს, მოეწყო კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონები (18 მისამართი), დამონტაჟებულია გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (1 კომპლექტი).

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 19 მისამართზე - 3553.3 გრძ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 650 გ/მ სანიაღვრე ქსელი მოწყობა, 200 გ/მ წყალსადენის ქსელის მოწყობა, განხორციელდება შადრევნების მოვლა-პატრონობა (2 შადრევანი და 2 წყლის ნიჟარა).

მიღწეული მაჩვენებელი - საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 9 მისამართზე - 1090.4 გრძ.მ. განხორციელდა შადრევნების მოვლა-პატრონობა (2 შადრევანი და 2 წყლის ნიჟარა).

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 19 მისამართზე 1252 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 30 ობიექტზე 1599.53 კუბ.მ. ახლის მოწყობა, ხოლო 1 ობიექტზე 164 კვ.მ საყრდენი კედლის აღდგენა/რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 16 მისამართზე 2206.9 კუბ.მ.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 7 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 20 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 8 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

5. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაირგო 130 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 15.6 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 2823 ძირი, გადაბეღვა- 306 ძირი, მოჭრის - 644 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 195 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-189 ძირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 100 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის ნერგების შესყიდვა, 150 000 კვ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობა. 2200 ძირი ხის სხვლა-ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 174 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 27 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბეღვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 3199 ძირი, გადაბეღვა- 321 ძირი, მოჭრის - 721 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 12 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-203 ძირი).

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 5,344.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,272.0 ათასი ლარი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება, წყლის სოკოების კომუნალური ხარჯები (9 ცალი), ახალი სპორტული მოედნების (1 მისამართი) მოწყობის, არსებული სპორტული მოედნების (15 მისამართი) აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები (14 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (58 მისამართი), ახალი სკვერების მოწყობის სამუშაოები (23 მისამართი), ახალი მოაჯირების მოწყობის სამუშაოები (29 მისამართი), არსებული მოაჯირების მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი), არამუნიციპალური საკუთრებაში არსებული დაზიანებული შენობა ნაგებობების, აივნების, პარაპეტების ნაწილობრივ დემონტაჟის და მონტაჟის, დროებითი გამაგრების, სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანის სამუშაოები (4 მისამართი), 49 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების ხარჯები, დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის ელექტროენერჯის და დროშის შესყიდვის ხარჯი (11 ცალი), 3 მისამართზე მოეწყო პანდუსი, 10 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო სამუშაოების ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს რეაბილიტირებული იქნა არსებული 134 სკვერი და 26 სპორტული მოედანი, მოეწყო 3 ახალი სკვერი და ერთი ახალი მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 17 სკვერი, 6 სპორტული მოედანი. მოეწყობა 3 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულია არსებული 58 სკვერი და 15 სპორტული მოედანი, მოეწყო 23 ახალი სკვერი და ერთი ახალი სპორტული მოედანი.

2. საბაზისო მაჩვენებელი: 2022 წელს მოეწყო და შეკეთდა 6 მისამართზე 1540.3 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1500 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 14 მისამართზე 1535.41 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიის 53 ჰა გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2000 ც. ხის ნერგის დარგვა, 2190 ხის ჭრა- ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია გამწვანებული ტერიტორიის 53 ჰა გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2000 ც. ხის ნერგის დარგვა, 2190 ხის ჭრა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 55 ჰა ტერიტორიის გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2411 ცალი ხე მცენარისა და ბუჩქის დარგვა, 6917 ხის სხვლა-ფორმირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაცვლად პატარა ზომის (ნაკლებფასიანი) მცენარეებისა საცხოვრებელი სახლების ეზოებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე დაირგო მეტი მაღალი, ძვირადღირებული, დეკორატიული მცენარეები. რაიონის ტერიტორია განთავისუფლდა გამხმარი და დაზიანებული ხეებისგან.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩულურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩულურეთის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 5,111.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,058.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,512.9 ათასი ლარი), რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის

შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები (92 მისამართი), საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (28 მისამართი - 4179 კუბ.მ), წინამძღვრიშვილის №100ა-ში (ს/კ 01.13.08.006.037) ახალი სკვერის მოწყობის სამუშაოები, ფიტნეს ტრენაჟორების შექმნა-მონტაჟი (2 მისამართი), სკვერებისა (52 მისამართი) და სპორტული მოედნების (23 მისამართი) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, ხეხეხილსანერგე მეურნეობაში (ნოდარ და პაატა ხერხეულიძის და ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩებს შორის - ს/კ N81.21.07.084) სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, ბეტონის ფილებისა და დამაკავშირებელი კიბეების (7 მისამართი) მოწყობის სამუშაოები, სულ - 3 მისამართზე სანიაღვრე (21,4 გრძ.მ) და წყალსადენი ქსელის (195 გრძ.მ) მოწყობის სამუშაოები, გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების (1224 ძირი) გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანის სამუშაოები, მერქნიანი მცენარეების შექმნა-დარგვა (52 ძირი) და გამწვანებული ღონისძიებების მოვლა-პატრონობა), საცხოვრებელი სახლების ეზოებში წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები (3 მისამართი - 196 გრძ.მ), ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, დასასვენებელი პავილიონების (9 ცალი ფანჩატური) მოწყობის სამუშაოები, მცირეფასიანი ქუჩის ავეჯის (30 ცალი საპარკე სკამი, 8 ცალი სანაგვე ურნა და 100 ცალი მოძრაობის შემზღუდავი ბარიერი „ბოჭკინტი“) შექმნა-მონტაჟი, მოაჯირების და რკინის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები (16 მისამართი), ფიროსმანის ქ. №42-ში და ყირიმის მე-2 შესახვევი №5-ში ძლიერი ქარის შედეგად და ტ.გრანელის ქ. №11/56-ში, მომხდარი ხანძრის შედეგად დაზიანებული სახურავების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები და 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის

სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 16.8 ათასი ლარი, 2023 წლის 11 ივლისს, ჩუღურეთის რაიონში, ბენაშვილის ქუჩა №22-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში ნგრევის შედეგად, დაზიანებული კედლის აღდგენის სამუშაოების განსახორციელებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 2 ახალი სკვერი, 1 სპორტული მოედანი და 3 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 57 სკვერის, 26 სტადიონის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1 ახალი სკვერი, 1 ახალი სპორტული მოედანი და 2 მისამართზე სპორტული ტრენაჟორი, განხორციელდება 45 სკვერის და 14 სტადიონის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 1 ახალი სკვერი, 1 სპორტული მოედანი და 2 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 52 სკვერის, 23 სტადიონის რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 34 ახალი საყრდენი კედელი 3349 კუბ.მ და 1 მისამართზე მოწყობილი სანიაღვრე ჭა, 1 მისამართზე განხორციელდა სანიაღვრე ქსელის (12 გრძ.მ) და 1 მისამართზე 115 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 4002.6 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი და 200 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, შეკეთდება 130 გრძ.მ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 28 მისამართზე ახალი საყრდენი კედელი 4179 კუბ.მ, მოეწყობილი სანიაღვრე ქსელი (21,4 გრძ.მ) და წყალსადენის ქსელი (195 გრძ.მ), განხორციელდა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის (196 გრძ.მ) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვა ფორმირება, თიბვა) უწევს 25000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას, 2022 წელს დარგულია 32 ძირი ხე და განხორციელდა 1049 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 50-მდე ძირის ხის დარგვა და 1000 ძირი ხის გასხვლა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დარგულია 52 ძირი ხე და განხორციელდა 1224 ძირი ხის გასხვლა-ფორმირება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 9,410.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,376.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,911.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები (4324 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), მცირეფასიანი საპარკე სკამების შესყიდვა-მონტაჟი (330 საპარკე სკამი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (6 ოჯახი), ახალი სკვერის მოწყობა (2 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია (9 მისამართი), ხოლო მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება (135 მისამართი), ახალი სპორტული მოედნის მოწყობა (2 მისამართი), არსებული სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია (4 მისამართი), ხოლო მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება (25 მისამართი), ტრენაჟორებისათვის მოედნის მოწყობა და მათი მონტაჟი (2 მისამართი), წყალსადენ-კანალიზაციის სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მოწყობა (205გრძ.მ - 2 მისამართი), კიბეების მოწყობა (9 მისამართი), საყრდენი კედლის მოწყობა (5 მისამართი - 1148კუბ.მ), ქალაქ თბილისში, ტიციან ტაბიძის ქუჩა, პირველი შესახვევი №24-ში, ფერდის ჩამოშლის შედეგად მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოები და საინჟინრო-საპროექტო

მომსახურების ხარჯები, ღობეების მოწყობა (625.8 გრ.მ მ), შშმ პირისათვის ლიფტის მონტაჟი (1 მისამართი) და 16 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ესკიზური ნახაზების შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 8 ახალი სკვერი და 3 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტაცია ჩატარდა 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 3 არსებულ სკვერს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2 ახალი სკვერის და 2 ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, რეაბილიტაცია ჩატარდება 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 10 არსებულ სკვერს.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 2 ახალი სკვერი და 2 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტაცია ჩატარდა 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 9 არსებულ სკვერს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 524 გრმ.მ ახალი მოაჯირი, 2 მისამართზე მოეწყო 330 კუბ.მ საყრდენი კედელი, 2 მისამართზე მოეწყო 147 გრმ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 2 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 625 გრმ.მ ახალი მოაჯირი, 5 მისამართზე - 1148კუბ.მ საყრდენი კედელი, მოეწყობა 205 გრმ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 9 მისამართზე განხორციელდება ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 625.8 გრმ.მ ახალი მოაჯირი, 5 მისამართზე მოეწყო 1148 კუბ.მ საყრდენი კედელი, მოეწყო 205 გრმ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 9 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 437500 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩატარდა 3493 ძირ ხეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 4086-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 437500 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 437500 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბეღვისა და მოჭრის სამუშაოები ჩატარდა 4324 ძირ ხეს.

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 8,586.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,554.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,579.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბეღვისა (4650 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), სკვერებში წყლისა და ელექტროენერჯის ხარჯები, მძიმე ტექნიკით გზის გაწმენდის სამუშაოები, სკვერების წყალმომარაგების სისტემაზე ახალ მომხმარებლებად მიერთება (8 მისამართი), ახალი სკვერის (6 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა რეაბილიტაციის (10 მისამართი) და ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები (101 მისამართი), სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია (14 მისამართი), მოაჯირებისა და დეკორატიული ღობეების შექმნა მონტაჟი (14 მისამართი), გაზის მილის მიწის ქვეშ მოწყობა (ჩადება), ველოსიპედების სადგომების მოწყობა (10 მისამართი), ბენდელიანის ქ. N4-ის მიმდებარედ ფერდის დამჭერი კედლის დემონტაჟის და ახლის მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (7 მისამართი), კიბეების აღდგენა-მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (1 ოჯახი), და 7 ეკლესიის

ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 7 ახალი სკვერი, განხორციელდა 4 მისამართზე სკვერისა და 13 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია და 148 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწეობა 6 ახალი სკვერი, განხორციელდება 6 მისამართზე სკვერისა და 12 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 120 სკვერში მოხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 6 ახალი სკვერი, განხორციელდა 10 მისამართზე სკვერისა და 14 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია და 101 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 2 მისამართზე 582.3 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 2 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 980 კვ.მ, მოეწყო 800 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 8 მისამართზე 1149 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 4 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 704 კვ.მ, მოეწეობა 844 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 7 მისამართზე 608 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 6 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 128 კვ.მ, მოეწყო 998 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 3977 ძირის სხვლა ფორმირება და 120000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8894-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 400000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4650 ძირის სხვა ფორმირება და 435650 კვ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 6,845.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,804.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,335.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ავარიული ხეების გადაბეღვა-გასხვლა და მოჭრა (2368 ძირი ავარიული ხე) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), დაზიანებული საყრდენი კედლების მიმდინარე შეკეთება (10 მისამართი), სპორტული მოედნების (8 მისამართი) და სკვერების მოწყობა (12 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა რეაბილიტაციის (10 მისამართი), დაზიანებული შენობა-ნაგებობის კონსტრუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების, არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (199 მისამართი), სანიაღვრე ქსელის (3 მისამართი) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, 1 მისამართზე - ვ/უბნის მე-2 მ/რ კორპუსი N5-6-7-8 მიმდებარედ სარწყავი სისტემის მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, გამწვანებულ ზოლებში (5 მისამართი) გარე სანათების მოწყობის სამუშაოები, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (17 ოჯახი), 10 ეკლესიის

ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საექსპერტო მომსახურების, დეფექტური აქტების შედგენის და ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო და რეაბილიტირებულ იქნა 23 სკვერი, 14 სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 7 ახალი სკვერი და 7 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდება 19 სკვერს, დამონტაჟდება 9 ერთეული ფანჩატური-ტრენაჟორებით.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 12 ახალი სკვერი და 8 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 სკვერს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ, სამუშაოთა მოცულობის ზრდამ, ხოლო ფანჩატური-ტრენაჟორების დამონტაჟებაზე სხვაობა გამოიწვია მომართვიანობის არ არსებობამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი – 2022 წელს რეაბილიტირებულ იქნა 6 ერთეული (350 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყო 6 ერთეული კიბე-პანდუსი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 8 ერთეული (1120 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყობა 3 ერთეული კიბე-პანდუსი, რეაბილიტირებული იქნება 400გრძ.მ სანიაღვრე, 125გრძ.მ წყალსადენის და 125გრძ.მ კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებულ იქნა 10 ერთეული (1400 კუბ.მ) საყრდენი კედელი და ასევე 3 მისამართზე 223 გრძ.მ სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მეტი სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ, ხოლო წყალსადენი და საკანალიზაციო ქსელების რეაბილიტაციაზე და კიბე-პანდუსის მოწყობაზე სხვაობა გამოიწვია მომართვიანობის არ არსებობამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 2807-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 5921 ძირის სხვლა-ფორმირება, დაირგვება 4139 ხე-მცენარე და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2368 ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ავარიული ხეების სხვლა-ფორმირების და მცენარეთა დარგვის სამუშაოების განხორციელებაზე სხვაობა გამოიწვია ნაკლებმა მომართვიანობამ.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 13,603.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,565.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,660.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ავარიული ხეების მოჭრა და ფორმირება, სკვერების მოვლა-პატრონობასა და ბალახის თიბვა), სკვერების (18 მისამართი, გრძელდება 5 სკვერის მოწყობა) მოწყობის სამუშაოები, სპორტული მოედნების (13 მისამართი) მოწყობის სამუშაოები, საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები (11 მისამართი), საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი), სანიაღვრე ქსელების მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი), წყალსადენის ქსელის მოწყობა-

რეაბილიტაციის სამუშაოები (2 მისამართი), 22 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების ხარჯები, 16 ეკლესიის ფინანსური დახმარება, საქართველოს სახელმწიფო დროშის მოწყობის (ერთიანობის მეტროპოლითა ქუჩაზე), ეტლიანი შშმ პირებისათვის სპეციალური დახრილკუთხოვანი გადაადგილებადი პლატფორმის (ლიფტის) დემონტაჟსა და მონტაჟის ხარჯები. ასევე, გაწეულია სკვერებში სათვალთვალ კამერების მოხმარებული ელექტროენერჯის და წყლის ღირებულების, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს 14 სკვერი და 10 სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 14 ახალი სკვერი და 5 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 18 სკვერი და გრძელდება 5 სკვერის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 13 სპორტული მოედანი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო სანიაღვრე ქსელი 7 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 5 მისამართზე და სარწყავი სისტემა 1 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2 მისამართზე საკანალიზაციო ქსელი, 4 მისამართზე სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 4 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 11 მისამართზე და სარწყავი სისტემა 2 მისამართზე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 40 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 75 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე განხორციელდა 86 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსახლეობის მხრიდან გაიზარდა მომართვიანობა.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 99600 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და 5000 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1000000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და 6611 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1000000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა და 6970 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დამატებით განხორციელდა ძლიერი ქარის შედეგად ავარიული ხეების მოჭრა/სხვლა- ფორმირების სამუშაოები.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 7,372.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,188.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,703.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა, რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და სპორტულ მოედნებში სხვადასხვა მცირე მიმდინარე ფრაგმენტული სარემონტო სამუშაოები (69 მისამართი), გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების გადაბეღვა-გასხვლა და მოჭრა (1979 ძირი) დამუშავება-გატანა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების სამუშაოები (23 მისამართი), 300 არაგველის სახელობის სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯები, მორწყვისა და ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, ფონიჭალაში N2-3-7-9-11-ის კორპუსების მიმდებარედ პარკის (სკვერის) მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები და (252 გრძ.მ) წყალარინებისა და

წყალსადენის ქსელი მოწყობის სამუშაოები, სპორტული მოედნის (2 მისამართი) აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი - 2625გრძ.მ), ხევების გაწმენდის, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების და ხიდ-ბოგირის გაწმენდის სამუშაოები, ელექტრობოლარდების ელექტროენერჯის ხარჯები, საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (3 მისამართი - 1484კვ.მ), შ. ნიშნიანძის შესახვევი N4-ში საცხოვრებელი შენობის დაზიანებული ფრაგმენტების დემონტაჟის სამუშაოები, ფონიჭალა 3-ში კორპუსი N2-3-7-9-11-ის მიმდებარედ სკვერში ფანტანის ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტრო ენერჯის მიწოდების და ქსელთან ახალ მომხმარებლად მიერთების სამუშაოები, სხვადასხვა ლოკაციებზე დროებითი ღობეების მოწყობა-დემონტაჟის სამუშაოები, თაბორის მთის ტერიტორიაზე დასასვენებელი სივრცის და საფეხმავლო ბილიკის მოწყობის მეორე ეტაპის სამუშაოები, გრიშაშვილის ქ.N59-ის მიმდებარე სკვერში - ღია მუზეუმის მოწყობის სამუშაოები, ნარიყალას მიმდებარე ტერიტორიაზე (ქართლის დედის ძეგლის მიმდებარედ) სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები, მცირეფასიანი საპარკე ურნების (30 ცალი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (1 ოჯახი) და 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საექსპერტო მომსახურების, დეფექტური აქტების და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და 2020-2022 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 54.7 ათასი ლარი. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 98.3 ათასი ლარი, 2023 წლის 19 სექტემბერს, ცურტაველის ქუჩა №11-ში მდებარე საცხოვრებელი შენობის კედლის ჩამონგრევის გამო, მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, ავარიული საცხოვრებელი სახლის პრევენციული კონსერვაციის სამუშაოების განსახორციელებლად და 2023 წლის 6 დეკემბერს, იბრაჰიმ ისპაჰანლის ქუჩა №10-ში (ი.გრიშაშვილის ქუჩა N52) ძლიერი ხანძრის შედეგად, დაზიანებული 4 ოჯახის საცხოვრებელი სახლის სახურავის აღსადგენად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 2 მისამართზე ახალი სკვერისა (მათ შორის შორის 1 სკვერის მოწყობა გრძელდება) და 1 მისამართზე 1

ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, დამონტაჟდა 1 სპორტული ტრენაჟორი, 1 მისამართზე სკვერისა და 3 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2 ახალი სკვერის მოწყობისა და 43 მისამართზე სკვერებისა და სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1 მისამართზე ახალი სკვერის მოწყობა, 69 მისამართზე სკვერებისა და სპორტული მოედნის მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთება და 2 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არსებული განსხვავება გამოიწვია მოცულობითი სამუშაოების დაზუსტებამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 1562 გრძ.მ საკანალიზაციოს ქსელის მიმდინარე შეკეთება და 160 კუბ.მ საყრდენი კედლის მოწყობა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 50გრძ/მ სანიაღვრე და 8282,4გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა - რეაბილიტაცია განხორციელდება 500 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 50გრძ/მ სანიაღვრე და 8282,4გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა - რეაბილიტაცია განხორციელდება 500 კუბ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 1655-მდე ძირის სხვლა-ფორმირება, ჩატარებულია 40000-მდე კვმ გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა (დარგვა, სხვლა-ფორმირება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1979-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 40000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 7,003.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,929.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 962.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხანძრისაგან დაზიანებული შენობის შეკეთების სამუშაოები (1 მისამართი), დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, შენობების გამაგრების, ავარიული ელემენტების შეკეთების სამუშაოები (65 მისამართი), გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები (6 მისამართი), რკინა-ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), არსებული სკვერის რეაბილიტაციის და ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები (24 მისამართი), დაიდგა 120 საპარკე სკამი და ბარიერის ბოძი (60 ცალი), წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების მოწყობის, აღდგენა-შეკეთება-რეაბილიტაციის და საკანალიზაციო მიწების გაწმენდის სამუშაოები (13 მისამართი), ნარიყალა-მთაწმინდის ტურისტული ბილიკის მოვლის და მიმდებარედინარე შეკეთების სამუშაოები, შადრევან-აუზების ექსპლუატაციისა და მოვლა-პატრონობის ხარჯი (4 შადრევანი); გაზიფიცირების სამუშაო დაუფინანსდა (1 მისამართი; 5 ეკლესიის ფინანსური დახმარება, გამწვანებული ტერიტორიების მოვლის და ხეების სხვლა-ფორმირების ხარჯები; ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტების შედგენა/ექსპერტიზის ხარჯები და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 5 ახალი სკვერი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 სკვერს და 2 სპორტულ მოედანს, შეკეთდა 10 სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 2 სკვერი და 2 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა 8 სკვერი, 16 სკვერში ჩატარდა ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები, დაიწყო დიდი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შეკეთდა 1262.2 გრძ.მ წყალ-კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება 799 გრძ.მ. წყალკანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 698.5 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო და შეკეთდა 746.17 კუბ.მ 11 ერთეული საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდება 771 კუბ.მ 6 ერთეული საყრდენი კედელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 753.58 კუბ.მ 7 ერთეული საყრდენი კედელი.

4. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვა ფორმირება, თიბვა), 2022 წელს განხორციელდა 2500-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2600-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2023 წლის გეგმა - 65,048.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 57,839.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები - 47,095.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 88.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონების ღირებულების ზრდა, პროექტირების მიმართულება, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“(ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში გადახდილი დღგ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 443.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია სიით 378 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 26 ოჯახი, გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 133 ოჯახი, ერეკლე მეორის მოედნის N6-7-დან - 13 ოჯახი, დადიანის ქუჩა N16-დან - 10 ოჯახი, რომის N4 - 31 ოჯახი, წინამძღვრიშვილის ქუჩიდან - 73 ოჯახი, ჯავახიშვილის ქუჩიდან - 8 ოჯახი, თაბუკაშვილის ქუჩა N46-დან - 22 ოჯახი, ლალიძის ქუჩა N 2-დან - 52 ოჯახი, სხვადასხვა ობიექტებიდან - 10 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში (სულ განხორციელდა 736 რეისი) სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯები.

ცხრილში წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) მიზნით, ბინებიდან გამოყვანილი ოჯახების რაოდენობა

მისამართი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
აბესაძის ქუჩა	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12	12
აბო თბილელის ქუჩა	45	45	44	44	44	44	44	13	13	13	12	12
ახოსპირელის ქუჩა	12	15	15	13	13	13	13	13	13	0	0	0
ბოტანიკური	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4

გოგირდის შესახვევი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ერეკლე მეორეს მოედანი	13	13	13	13	13	13	13	13	13	13	8	8
დადიანის ქუჩა N16	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10
კოტე მესხის შეს. N3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ლერმონტოვის ქუჩა	20	20	20	20	20	0	0	0	0	0	0	0
ორბელიანის ქუჩა	19	19	19	19	19	19	19	19	19	19	19	19
რომის ქუჩა	31	11	11	11	11	11	11	10	10	10	10	10
საიათნოვას ქუჩა	19	19	19	17	12	12	12	1	1	1	1	1
სამღებროს ქუჩა	2	2	2	4	4	4	4	4	4	4	4	4
ფურცელაძის ქუჩა	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	7	0
წინამძღვრიშვილის ქუჩა	73	73	73	73	73	73	73	73	73	73	72	73
ჯავახიშვილის ქუჩა	8	5	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
ჯიბლაძის ქუჩა	18	18	18	18	18	18	18	5	0	0	0	0
თაბუკაშვილის ქუჩა N46	22	22	22	22	22	22	22	22	22	22	22	22
ლალიძის ქუჩა N2	47	47	47	51	51	51	51	51	51	52	52	52
ჯამი	368	348	347	349	344	324	324	268	263	251	244	238

კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები ანაზღაურებულია 47,095.4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში გრძელდება ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები; სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა ახოსპირელის პირველი ჩიხის N2 - 4-ში, ახოსპირელის მესამე ჩიხის N5/6-ში, ლერმონტოვის N1/9-ში და ლერმონტოვის N3-ის ნაწილი, დაიწყო ლერმონტოვის N3, საიათნოვას N1, თბილელის N4 და აბესაძის N21 დამამთავრებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები;

საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მისამართებზე: რევაზ თაბუკაშვილის N51; სულხან-საბა ინგოროყვას 4,6,2 და ლეონიძის 7; სულხან-საბას ქ. N1, N3, გ. ლეონიძის ქ. N5; სულხან-საბას ქ. N5, N7 და N9; პ. ინგოროყვას ქ. N1 - 4,

6, 8-12, 16, 18, 20 და პ. ინგოროყვას ქუჩაზე მდებარე კოშკი; გუდიაშვილი, აბო თბილელის N8, N10, N12 და პურის მოედანი N6; გუდიაშვილი, კუპტინის N7, დადიანის N16; სულხან-საბა, ინგოროყვა კომუნიკაცია; მთაწმინდის შესახვევი N4; ჭონქაძის 12; ურბნისის ქ.N7-დარეჯანის სასახლე; აბრეშუმის მუზეუმის მინათება; ჩიქობავას N5; გრიბოედოვის N5; შოთა ნიშნიანიძის N2-4, ნიკოლოზ ბარათაშვილის N7, 9/16, 17/26, მინათების პროექტი კადეტებზე და სხვა ობიექტებზე;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა: ერეკლე მეორის N6-7-ში, ხოლო სამუშაოები მიმდინარეობს წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ორბელიანის N19-23, რომის N4-ზე, ფურცელაძის N30-32-34-ზე, თაბუკაშვილის N46 და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოებზე;

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობს აბო თბილელის ქ. N6, ბეგლარ ახოსპირელის გასასვლელი N3/7-სა და რომის ქ. N4-ში მდებარე სადარბაზოების მხატვრობის სამუშაოები;

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში გრძელდება აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

გარდა ამისა, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის, 2019 წლის 9 დეკემბერს N6024-GEO და 2021 წლის 10 დეკემბერს N4134-GEO გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში გაწეულია 1,431.9 ათასი ლარი (მათ შორის სხვა კაპიტალური გრანტები - 1,096.1 ათასი ლარი) N6024-GEO ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი დღგ - 678.1 ათასი ლარი (მათ შორის საკონსულტაციო მომსახურება (სუპერბლოკები - 197.1 ათასი ლარი, საქართველოში რემბოლის ფილიალი - 333.2 ათასი ლარი), ვერის პარკის რეაბილიტაციისთვის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება - 41.9 ათასი ლარი, დიღმის ჭალების აღდგენა/განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება - 91.2 ათასი ლარი, აუდიტორული მომსახურება - 14.7 ათასი ლარი), N4134-GEO ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი დღგ -

325.7 ათასი ლარი (მათ შორის აუდიტორიული მომსახურება (შპს ბეიკერ ტილი ჯორჯი) - 2.3 ათასი ლარი და საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების მოწოდება და ინსტალაცია - 323.4 ათასი ლარი), ხოლო 428.1 ათასი ლარი - პროექტების (N6024-GEO, N4134-GEO) ფარგლებში ინდივიდუალურ კონსულტანტებზე გაწეული შრომის ანაზღაურების და მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო 128 საცხოვრებელი სახლი (მათ შორის 105 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრეაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით).

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 10 საცხოვრებელ სახლს (მათ შორის 8 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, 1 არასაცხოვრებელ ფართს).

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 საცხოვრებელ სახლს (მათ შორის 9 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სარეაბილიტაციო არეალში საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს 4000-4500 ლარს, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება 4500-5000 ლარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება იქნება 4500-5000 ლარი, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება 5000-5500 ლარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (2021 წელს დასრულდება 2 ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და დაიწყება დეტალური დიზაინის მომზადება) და ახალი სესხის (ADB) გაგრძელება) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები (დიდმის ჭალების რეკონსტრუქცია, თავისუფლების მოედნის რეკონსტრუქცია, მარჯანიშვილის მოედნის რეკონსტრუქცია, მეტროსადგურის რეკონსტრუქცია) არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას, შესაბამისად ფაქტიურად

გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით მოხდება დღგ-ს გადახდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით გადახდილი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა მხოლოდ საკონსულტაციო, აუდიტორული, საპროექტო/სტრატეგიული დოკუმენტაციის შემუშავების, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების მოწოდება და ინსტალაციის მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (N6024-GEO, N4134-GEO) თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში მშენებლობის ნაწილში მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, დეტალური დიზაინის მომზადება, სატენდერო დოკუმენტაციების დამუშავება და ტენდერები გამოცხადდება 2024 წელს.

4. საბაზი მაჩვენებელი - პროგრამა „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დაგეგმილია 30 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 20 მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაციის პროექტირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საცხოვრებელი სახლების (მათ შორის მემკვიდრეობის ძეგლები), სადარბაზოების, მუზეუმების რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებული პროექტები.

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობს 37 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 25 მემკვიდრეობის ძეგლი) და არასაცხოვრებელი 2 ობიექტის პროექტირების სამუშაოები.

02 12 ავარიული სახლების ჩანაცვლება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, სამგორის რაიონის გამგეობა; სსიპ ქონების მართვის სააგენტო

2023 წლის გეგმა - 6,095.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,178.9 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,324.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 68.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ძველი შენობების ახლით ჩანაცვლება (რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები), ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის თბილისის განვითარების ფონდის მიერ ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გაწეულია 2,699.2 ათასი ლარი. გრძელდება სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ 01.19.20.024.030) არსებული 4 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტი ხორციელდება კერძო სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერით, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 6,199.3 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი შეადგენს 791.3 ათას ლარს 12.76%), დაიწყო კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე 1091 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ 01.19.20.017.008) არსებული 3 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები (პროექტის ღირებულება შეადგენს 7,336.1 ათასი ლარს, მათ შორის ფონდის წილი - 1,106.9 ათასი ლარი 15.09%) და დავით გამრეკელის ქუჩა შესახვევი I, N6 მდებარე 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.14.031.021) არსებული 4 სართულიანი ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად ახალი 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტის ღირებულება შეადგენს 6,470.6 ათასი ლარს, მათ შორის ფონდის წილი - 1,456.6 ათასილ 22.51%), ხოლო საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს 10 ობიექტზე (მათ შორის კალოუბნის ქუჩა N18, დავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I,

N6, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N6, ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-10 კვარტალი, კორპუსი N9, ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 3, მუხრანის ქუჩა, N9გ, (ყოფ. რატევანის ქუჩა 16ბ), ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი III, სახლი მილიციის N1, ჭიჭინაძის ქუჩა N14, ფერიცვალების ქ.N6, N8, თოიძის ქუჩა N52). საპროექტო სამუშაოების დასრულების შემდეგ დაიწყება აღნიშნული ობიექტების სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესი.

ასევე, გაწეულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილების დანართის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ავარიული სახლის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის აშენების, ექსპლუატაციაში მიღების და შესაბამისი ფართის გადაცემამდე, ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა სამგორის რაიონში - 854.8 ათასი ლარი, ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან და კალოუზნის 18 კორპუსიდან გამოყვანილი 95 ოჯახის ქირით უზრუნველყოფის ხარჯების ასანაზღაურებლად.

გარდა ამისა, გაწეულია ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ხარჯები - 624.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში 41 ოჯახს აუნაზღაურდა გადაცემული უძრავი ქონების რემონტის ხარჯები (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N17-110 დადგენილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წესის 32 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, ქონების მიმღებ პირებს დამატებით უნაზღაურდება გადაცემული ქონების რემონტის ხარჯი, 1 კვ. მეტრზე 286 ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქალაქის მასშტაბით საჭიროა ძველი საცხოვრებელი კორპუსების ახლით ჩანაცვლება, თანმდევი ქუჩებით, რეკრეაციული ზონებით და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გაგრძელდება მშენებლობის სამუშაოები 2 საცხოვრებელ კორპუსზე, ხოლო პროექტირების სამუშაოები - 10 ობიექტზე.

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობს 3 ჩასანაცვლებელი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები, ხოლო პროექტირების სამუშაოები - 10 ობიექტზე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, სამგორის რაიონში III მასივი, VII კვარტალი, კორპუსი 12-დან გამოყვანილი ბინის მფლობელები (17 ოჯახი) უზრუნველყოფილია ბინის ქირით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში გამოყვანილი ბინის მფლობელების უზრუნველყოფა ბინის ქირით.

მიღწეული მაჩვენებელი - ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან და კალოუბნის 18 კორპუსიდან გამოყვანილი 95 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინის ქირით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე.


მიღწეული მაჩვენებელი - გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯები აუნაზღაურდა 41 ოჯახს.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ნაწილში, რომელიც ანაზღაურდება შესაბამისი გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის


მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე. შესაბამისად, 2023 წელს არ დაფიქსირდა მეტი მომართვიანობა.


❖ ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

ათასი ლარი



ათასი ლარი





03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 106,475.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 97,941.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 45,465.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 92%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, ხმელი და ხმობადი ხეების სანიტარიული ჭრის ფარგლებში, მოსაჭრელად მონიშნა 24 822 ხმელი, ხმობადი და 2022 წლის დეკემბერში მოსული თოვლის შედეგად დაზიანებული (თოვლტეხილი) ხე და შესაბამისად მოიჭრა ამავე ოდენობის 24 822 ხე; ჭრები ძირითადად განხორციელდა თბილისის შემოგარენის სატყეო ფართობებზე წყნეთის გზატკეცილზე, თბილისი კოჯორის დამაკავშირებელ გზაზე, ოქროყანის მიმდებარე ტყეებში, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე (კოჯორი), უძოს ქუჩაზე; ამასთან ხმელი და ხმობადი ხეები აგრეთვე მოიჭრა ქალაქის ცენტრალურ უბნებშიც. კერძოდ: ბერიტაშვილის ქუჩაზე,

ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ნუცუბიდის ფერდობებზე, აღმაშენებლის ხეივანში, ბერძენიშვილის ქუჩის მიმდებარედ და სხვა;

თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 16 216 მ3 ნოყიერი მიწა; ამასთან მოჭრილ და გატანილ იქნა 15 923 მ3 სტრუქტურა დარღვეული ნიადაგი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა; მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 51 080 კვ.მ. ფართობი, შემდგომში გაზონისა თუ სხვა მცენარეული საფარის შექმნის მიზნით; ჰიდროტესვის პრინციპით გამწვანების თარგებში დაითესა 206 000 კვ.მ. ბალახი; სხვა და სხვა მისამართებზე დაიგო 21 363 კვ.მ. რულონური გაზონი; პარკებში, სკვერებში და ქალაქის მოედნებზე დაირგო 390 925 სეზონური ყვავილი;

განხორციელდა წინა წლებში დარღული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ჯამების მოწყობა) სულ 33 804 ნერგი, მათ შორის: გამხმარი ნერგების ჩანაცვლება ჟინვალის ქუჩის მიმდებარე ფართობზე (5.4 ჰა, 9 460 ნერგი), ზ. წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატთანეს“ მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე (10 765 ნერგი) და ზარაშვილის და გ.ქუთათელაძის ქუჩების მიმდებარედ 18.4 ჰა ფართობზე 13 579 ნერგი; არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში, სამსახურის მიერ ჩაბარებულ იქნა (განთავსდა სანერგეში) 91079 მცენარე (მათ შორის 52 961 დეკორატიული ბუჩქი, 7 083 მაღალტანოვანი ხე, 28 177 ბალახოვანი მცენარე, 1 350 მცირე ზომის ხე (1.5 მ) და 1 508 მცირე ზომის (39) დეკორატიული ბუჩქი); ლისის ტბის მიმდებარედ, საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.006 მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე, მიმდინარე წელს 16 ჰა ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების (ტყის) აღდგენა-გაშენების სამუშაოები. დაირგო სხვა და სხვა სახეობის (მათ შორის, ფიჭვი, კედარი, ნეკერჩხალი, აკაკი და სხვა) 16 776 ნერგი. მომავალი 4 წელი განხორციელდება მოვლა-პატრონობა;

სარწყავი სისტემა მოეწყო 27 ობიექტზე, მათ შორის: კურსანტების ქუჩის N4 მიმდებარედ, მირიან მეფის ქუჩის მიმდებარედ (სკ 01.10.08.006.081); კოსტავას და ტყვარჩელის ქუჩებს შორის არსებული თარგი (სკ 01.10.13.040.122), ხომლეღის ქუჩასა და გ.აბაშვილის ქ მიმდებარედ არსებული სკვერი, კრწანისის ქ

(სკ01.18.06.019.130 - შეჭრა), კრწანისის ქ (სკ01.18.06.005.056- შეჭრა), კრწანისის ქ. (სკ01.18.06.015.242- შეჭრა) და სარწყავის მოწყობა, გუდვილის მიმდებარე არსებული შუა გამყოფი ზოლი, გელოვანი-მაჭავარიანის დამაკავშირებელი ქუჩის მიმდებარედ; ჟვანიას მოედანი; დ.დილომი IV მიკრო, შუა გამყოფი; გოთუას ქუჩისა და მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ; გელოვანი-მაჭავარიანის დამაკავშირებელი - 2 ეტაპი; დავით აღმაშენებლის გამზ. 136, ზვიად გამსახურდიას და ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩების კვეთაზე; დიდი დირომი მე-4 მიკრო (ს/კ 01.10.07.004.034); ზღვის უბნის დასახლება, თემქის ხევის პარკი; ჯავახეთის ქუჩის გზაგამყოფი კუნძული (01.17.11.004.038); აკაკი წერეთლის გამზ. 138 (შეჭრა) და სარწყავის მოწყობა; სამგორის ქუჩისა და მოსკოვის გამზ. კვეთა (შეჭრა 32) და სარწყავის მოწყობა; ჭაბუკიანის ქუჩის მიმდებარედ (63 შეჭრა) და სარწყავის მოწყობა; აკაკი წერეთლის გამზ. 142 (შეჭრა) და სარწყავის მოწყობა; აკაკი წერეთლის გამზ. 134 (შეჭრა) და სარწყავის მოწყობა; აკაკი წერეთლის გამზ. 128 (შეჭრა) და სარწყავის მოწყობა; ლისის ტბის მიმდებარედ ს.კ 01.72.16.104.006; უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარე თარგები; ადამ მიცკევიჩის მიმდებარე თარგები;

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდა (დასრულდა) შემდეგ ობიექტებს: ვაზისუბნის დასახლებაში არსებული პარკის, ტექსელის სახელობის პარკის, მაიაკოვსკი სახელობის პარკის, მზიურის პარკის დაბრუნებული ტერიტორიის, ვარკეთილში, რ.ხომლელისა და გ. აბაშვილის ქუჩების კვეთა ე. წ. „დამპალოს“ სკვერის, ლიბანის ქ. #5 არსებული სკვერის, ნონეშვილის და გობრონიძის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის, საცხენის N 20 ის მიმდებარედ არსებული სკვერის, ლილოს დასახლებაში არსებული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; მიმდინარეობს: ვაჟა ფშაველას პირველ კვარტალში არსებული პარკის, ვარკეთილის IV მიკრო რაინში 414-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის, ბორის პაიჭაძის ქუჩაზე არსებული ბულვარის და შუა გამყოფი ზოლის, ანაპის 414 დივიზიის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის, წერეთლის გამზირისა და გოგოლაურის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის, მუხიანი მ/რ 4ბ, კორპუსი #33-ის მიმდებარედ არსებული პარკის, დემეტრე თავდადებულის ქ.# 18-ის

მიმდებარედ სკვერის, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე შუა გამწვანებული ზოლის, ვაკის პარკის დაბრუნებული ტერიტორიის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობს ქ. თბილისში ზღვის უბნის პარკის მოწყობის სამუშაოები;

500 ერთეული დეკორატიული ურნა განთავსდა შემდეგ მისამართებზე: პუშკინის სკვერში; ლიბანის ქუჩაზე ს/კ (01.11.03.007.268; 01.11.03.007.149; 01.03.007.284); დავით აღმაშენებლის გამზირი #155-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში (01.13.08.002.024); დავით აღმაშენებლის გამზირზირი #136-ის მიმდებარედ; ნ.ბარათაშვილის სახელობის სკვერში; ევროპის მოედანზე (01.17.01.091.049); სანდრო ეულის ქუჩაზე არსებულ შუა გაყოფ ზოლში; გუდიაშვილის ქუჩა #5-თან; ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარედ არსებულ პარკში; პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე; მელიქიშვილის ქუჩა #1-ის მიმდებარედ (ფილარმონიასთან); საცხენისის ქუჩა #20-ის მიმდებარე სკვერში; ვარკეთილის 3, მე-2 მიკრო რაიონი, ალექსიძის ქუჩა, #2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე; ვარკეთილის 3, მე-3 მიკრო რაიონი, თაყაიშვილის ქუჩა #319 ბ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე; მუხიანის II მ/რ, კორპუსი #4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში; ლილოს დასახლებაში (01.19.27.006.064); 9 აპრილის სახელობის პარკში (ზედა ტერასა) (01.15.04.018.009; 01.15.04.007.024); რიყის პარკში (01.17.01.065.065); ომარ ხიზანიშვილის ქუჩა #47 (პოლიციის ეზოში) (01.11.10.012.029); გორგასლის ქ. #3-ის მიმდებარედ 01.18.04.001.018; დედაენის პარკში; დიღმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სკვერის მიმდებარედ (დინამოს ბაზის წინ); დიღმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სიკვერში (01.13.03.036.004); დიღმის მასივში, ტექსელის სახელობის სკვერში (01.13.03.005.006); ბობ უოლმის ქუჩა #4 (01.72.14.009.200); ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N1-ის მიმდებარედ (01.17.10.002.244); ნუცუბიძის მე-3 მ/რნი, კვარტალი 2, მე-4 კორპუსის მიმდებარედ; ნარიყალას ციხის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნ, კორპუსი N414-ის მიმდებარედ (01.19.39.002.089); თემქის დასახლება, XI მ/რნ, III კვარტალი, კორპუსი #50-ის (01.12.02.024.008) მიმდებარედ; დემეტრე თავდადებულის ქუჩა #18ა კორპუსის

(01.10.06.006.310) მიმდებარედ(სპორტულ კომპლექსთან); 9 მარტის სახელობის პარკში (01.15.04.029.001);

50 ერთეული „თბილისის“ წარწერის მქონე თუჯის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: რუსთაველის გამზირზე, ქაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში; სულხან ცინცაძის ქუჩასა და ვლადიმერ და არჩილ ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ სკვერში (01.10.16.004.234); ომარ ხიზანიშვილის ქუჩა #47, პოლიციის ეზოში (01.11.10.012.029); კაკაბაძის ქ #17-თან; გორგასლის ქ. #3-ის მიმდებარედ 01.18.04.001.018; ბობ უოლშის ქუჩა #4-თან (01.72.14.009.200); კოსტავას ქუჩა #77-ის მიმდებარედ (01.10.13.023.181); ნარიყალას ციხის მიმდებარედ;

205 ერთეული ხის დასაჯდომით ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ქეთევან წამებულის გამზირი, ფარნავაზ მეფის სახელობის სკვერში; დავით აღმაშენებლის გამზირში #136-ის მიმდებარედ; პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე; მელიქიშვილის ქუჩა #1-ის მიმდებარედ (ფილარმონიასთან); დიდმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სკვერის მიმდებარედ (დინამოს ბაზის წინ); დიდმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სკვერში (01.13.03.036.004); დიდმის მასივში, ტექსელის სახელობის სკვერში (01.13.03.005.006); ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N1-ის მიმდებარედ (01.17.10.002.244); თემქის დასახლება, XI მ/რნ, III კვარტალი, კორპუსი #50-ის (01.12.02.024.008) მიმდებარედ; 9 აპრილის პარკში;

374 ერთეული რკალისებრი სახელურით საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩის გზის შუა გამყოფ გამწვანებულ ზოლში; ლიბანის ქუჩაზე ს/კ(01.11.03.007.268; 01.11.03.007.149; 01.03.007.284); ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარედ არსებულ პარკში; გუდიაშვილის ქუჩა #5-თან; საცხენისის ქუჩა #20-ის მიმდებარე სკვერში(01.19.20.027.020); ვარკეთილის 3, მე-2 მიკრო რაიონი, ალექსიძის ქუჩა, #2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე; ვარკეთილის 3, მე-3 მიკრო რაიონი, თაყაიშვილის ქუჩა #319 ბ კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე; მ. თამარაშვილის შუა გამყოფ ზოლში;

მუხიანის II მ/რ, კორპუსი #4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში; ლილოს დასახლებაში (01.19.27.006.064); ვარკეთილის 3, II მიკრო რაიონი, მე-2 ა კორპუსის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, I მიკრო რაიონი, 32 კორპუსის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, III მიკრო რაიონი, პოლიციის შენობის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, IV მიკრო რაიონი, 423 კორპუსის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, IV მიკრო რაიონი, 417 კორპუსის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, IV მიკრო რაიონი, ზედგინიძის ქუჩაზე, სტადიონის მიმდებარედ; ნუცუბიძის მე-3 მ/რნი, კვარტალი 2, მე-4 კორპუსის მიმდებარედ; ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნი, კორპუსი N414 (01.19.39.002.089); დემეტრე თავდადებულის ქუჩა #18 ა კორპუსის (01.10.06.006.310) მიმდებარედ (სპორტულ კომპლექსთან); 9 აპრილის პარკი;

50 ერთეული ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ლილოს დასახლებაში (01.19.27.006.064); დიდმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სიკვერში (01.13.03.036.004); დიდმის მასივში, ტექსელის სახელობის სკვერში (01.13.03.005.006); სულხან ცინცაძის ქუჩასა და ვლადიმერ და არჩილ ასათიანების ქუჩებს შორის არსებულ სკვერში (01.10.16.004.234);

76 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: დ.სარაჯიშვილის გამზირი #6-ს მიმდებარე ტერიტორიაზე; დ.სარაჯიშვილის გამზირის შუა გამყოფ ზოლში; პარკი „მზიურის“ ტერიტორიაზე; საცხენისის ქუჩა #20-ის მიმდებარე სკვერში; ლილოს დასახლებაში; ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარედ არსებულ პარკში; მუხიანის II მ/რ, კორპუსი #4-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში; დიდმის მასივში, ტექსელის სახელობის სკვერში (01.13.03.005.006); დიდმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სიკვერში (01.13.03.036.004); მ.გახოკიძის ქუჩა #26-ის მიმდებარედ არსებულ პარკში (01.19.19.004.069; 01.19.19.004.113; 01.19.19.004.099; 01.19.19.004.111; 01.19.19.004.106); ვარკეთილის III მასივი, საცხენისის ქუჩა #20-ის მიმდებარედ (01.19.20.027.020); ლიბანის ქუჩა #6-9-ის მიმდებარედ (01.11.03.007.149; 01.11.03.007.149); ვაკის პარკში; ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N1-ის მიმდებარედ (01.17.10.002.244); ვარკეთილის 3, მე-4

მ/რნ, კორპუსი N414 (01.19.39.002.089); ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკში (01.12.12.003.043); ზღვისუბნის პარკში;

70 ერთეული ურბანული საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარედ არსებულ პარკში; საცხენისის ქუჩა #20-ის მიმდებარე სკვერში; ლილოს დასახლებაში მდებარე სკვერში (01.19.27.006.064); დიღმის მასივში, ტექსელის სახელობის სკვერში(01.13.03.005.006); დიღმის მასივში, მაიაკოვსკის სახელობის სკვერში (01.13.03.036.004); მუხიანის II მ/რ, კორპუსი #4-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.11.13.002.012; 01.11.13.002.221); ზღვისუბნის პარკში (თემქის ხევი); ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N1-ის მიმდებარედ (01.17.10.002.244); გლდანის მე-6 მიკრო რაიონში, კორპუსი 7-ის მიმდებარედ არსებულ პარკში (01.11.10.008.138); 9 აპრილის სახელობის პარკში (01.15.04.018.009; 01.15.04.007.024); ნუცუბიძის მე-3 მ/რნი, კვარტალი 2, მე-4 კორპუსის მიმდებარედ;

ასევე, დაფინანსდა შპს ეკოსერვის ჯგუფი - 30,265.0 ათასი ლარის ოდენობით და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ რეკრეაციულ ზონებში (კერძოდ: ვაკის პარკი, პარკი მზიური, რიყის პარკი, ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკი, ვარკეთილის ხევის პარკი, თბილისის დენდროლოგიური პარკი, დიღმის ტყე-პარკი, ზღვისუბნის პარკი, რიგის ბაღი, ვასო გომიაშვილის სახელობის ბაღი, ვერის ბაღი, 9 აპრილის ბაღი, დედა ენისის ბაღი, 9 მარტის ბაღი, პირველი რესპუბლიკის ბაღი, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღი, დამპალოს ხევის ბაღი, ჯოვანი სკუდიერის სკვერი, სკვერი გლდანის მე-5 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-6 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-7 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-8 მიკრორაიონში, სკვერი დიდი დიღმის მე-3 მიკრორაიონში, სკვერი ვარკეთილის I მ/რ-ნში, სკვერი ვარკეთილის IIIა მიკრორაიონში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული თარგი, ევროპის მოედნზე - ღვინისა და მეტეხის აღმარებზე არსებული სკვერები და "ყვავილების საათი", გამწვანებული თარგი ევროპის მოედნის მიმდებარედ, გამწვანებული თარგი დინამო არენასთან, გამწვანებული თარგი ცაბაძის ქუჩაზე, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის IX

განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებული თარგები, ვაკე-საბურთალოს რაიონის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება „მზიური“-ს მიმდებარე გამწვანებული თარგები, ვარკეთილის დასახლების III მიკრორაიონის პოლიციის VIII განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია, კუნძულ ტექსელის სახელობის ბაღი, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის ბაღი, ქართველ შინდლერთა სახელობის ბაღი, სკვერი გლდანის მე-3 მიკრორაიონში) შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს პარკების მოვლა-პატრონობის სამსახურის მიერ 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება (ორმოების ამოღება) მცენარეთა დარგვისათვის, მცენარეების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის გათიბვა, გაზონის მორწყვა, ახალგაზრდა ხე-მცენარეების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა, გამწვანებულ თარგებში სარწყავი სისტემის გამართვა (მფრქვევანების დამატება), მინერალური სასუქის შეტანა, ტერიტორიის ამონაყარისგან გაწმენდა, ხე-მცენარეების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ჰიდროტესვისთვის ნიადაგის მომზადება და დათესვა, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნიადაგის მომზადება საყვავილე თარგებში, ნარჩენების შეგროვება და გატანა.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, სხვადასხვა მისამართებზე და ლოკაციებზე განხორციელდა კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებული მწვანე ნარგავების შეწამვლა, ფესვთა სისტემის დამუშავება, გათიბვა, დაფოცხვა დასუფთავება, ნაგვის გატანა, მორწყვა, ჯამების შემობარვა-გაფხვიერება, ჯამების მოწყობა, ხეების სხვლა-ფორმირება, ბუჩქების გაკრეჭვა და ფორმირება, მცენარეების გამაგრება, ზეხმელი და დაზიანებული მცენარეების ამოღება, ნერგების დარგვა, სასუქის შეტანა, სარეველა ბალახის გამარგვლა, მოწოდებული მიწის ნაზავის გაშლა-მოსწორება, მიწის კულტივაცია, ბალახის შეთესვა, ბალახის სკარიფიკაცია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სხვადასხვა მისამართებზე, განხორციელდა 3 595 ერთეული ხის მოჭრა, 6 215 ერთეული ხის

სხვა-ფორმირება, 474 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 17 ერთეული ხის კუნძის ამოღება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს მოვლა-პატრონობაში არსებულ შადრევნებს უტარდებოდა პერიოდული მორეცხვა - დასუფთავების სამუშაოები. 7 ლოკაციაზე შეიღება შადრევნის წყლის შემკრები აუზი. სასმელი წყლის სოკოს ფორმის 86 წყაროზე, დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები ჩანაცვლდა ახლით და 21 სხვადასხვა მისამართზე მოხდა დაზიანებული მილების აღდგენა.

დასრულდა შპს „ეკოსერვის ჯგუფი“-ს მოვლა-პატრონობაში არსებული 43 შადრევნის და წყალსაქაჩის ელექტროქსელების და ელექტრომოწყობილობების პროექტირება და აღნიშული დოკუმენტაციის საფუძველზე 40 ერთეული შადრევნის აღდგენითი/სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ 40 ერთეულ შადრევანზე გაიცა დასკვნა რომ, ელექტრო უსაფრთხოება აკმაყოფილებს შადრევნებისათვის განკუთვნილ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციების მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი ექსპლუატაცია, უსაფრთხოა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის. ასევე დასრულდა ქალაქ თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის შენობის მიმდებარედ (ს/კ 01.15.03.019.001) არსებული შადრევნის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და აღნიშული დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამავე შადრევანზე ასევე გაიცა დასკვნა რომ, ელექტრო უსაფრთხოება აკმაყოფილებს შადრევნებისათვის განკუთვნილ ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციების მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი ექსპლუატაცია, უსაფრთხოა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის.

ქალაქ თბილისის პარკებსა და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში სხვადასხვა მისამართზე, სარწყავ სისტემებზე გაიმართა (შეკეთდა) 3 799 ერთეული დაზიანებული კვანძი და 2 581,2 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით.

ამავე პერიოდში ზემოაღნიშნული სამსახური ახორციელებდა ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული 12 ერთეული რეტერატის (უფასო საზოგადოებრივი ტუალეტი) მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს.

შპს“ეკოსერვის ჯგუფი“-ს მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ ანასხლავი ტოტის გადამუშავების შედეგად წარმოებული იქნა: 26,3 კუბ.მ მზა მულჩი, რომელიც შეტანილი იქნა ვასო გომიაშვილის სახელობის პარკსა და დედაენის პარკში; აგრეთვე 1 206,67 კუბ.მ წითელი მულჩი (2023 წლის დასაწყისისთვის საწყისი ნაშთი იყო 19,5 მ3 წითელი ფერის შეღებილი მულჩი), საიდანაც 1 215,17 კუბ.მ წითელი მულჩი შეტანილი იქნა ქალაქ თბილისის სხვადასხვა ლოკაციებზე, ხოლო წლის ბოლოს ნაშთად დარჩენილია 11,0 კუბ.მ წითელი მულჩი.

ქ.თბილისის სამღერეთის ქუჩა N 3-ში მდებარე სანერგეში ჩატარდა სანერგეში არსებული მცენარეების სხვა-ფორმირება 3 ჯერადობით, სანერგეში არსებული მცენარეების მორწყვა 93 ჯერადობით; სათბურში არსებული მცენარეების მორწყვა 81 ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების მორწყვა 94 ჯერადობით; გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა 46 ჯერადობით; ქოთნებში არსებული მცენარეების (სათბურში) გამარგვლა სარეველებისაგან 6 ჯერადობით; სანერგეში არსებულ ხე-მცენარეებზე ამონაყრის მოცილება 1 ჯერადობით; სათბურის ტერიტორიის დასუფთავება 11 ჯერადობით; სანერგის ტერიტორიის დასუფთავება 7 ჯერადობით.

თბილისის ზღვაზე (სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ) არსებული სანერგის ტერიტორიის დასუფთავება 13 ჯერადობით; ცარიელი კონტეინერების ამოღება და დასაწყობება 8 ჯერადობით; არსებული თხრილების აღდგენა განახლება 12 ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების მორწყვა 92 ჯერადობით; აღნიშნული მცენარეების ჩალაგება ქოთნებში, შემდგომ ქოთნების ჩალაგება არსებულ თხრილებში, მიწის მიყრა და მიტკეპნა 11 ჯერადობით; გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა 42 ჯერადობით; სანერგეს ტერიტორიის გათიბვა 1

ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნულ მცენარეებში სასუქის შეტანა 2 ჯერადობით; მეორადი მცენარეების გასხვლა, დარგვა, მიწის მიყრა და მორწყვა 2 ჯერადობით;

ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია - 160.7 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შეძენილი და დარგულია 85 793 მცენარე (მათ შორის 4 133 - მაღალტანოვანი ხე, 52 300 - ბუჩქი, 27 000 – ბალახოვანი მცენარე, 2360 - დაბალტანოვანი ხე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეძენილი და დარგული იქნება: 69 319 მცენარე (მათ შორის 6 968 მაღალტანოვანი ხე, 30 734 ბუჩქოვანი მცენარე და 28 117 ბალახოვანი მცენარე, 2 000 დაბალტანოვანი ხე, 1 500 მცირე ზომის ბუჩქი-P9).

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილი და დარგულია 91 079 მცენარე (მათ შორის 52961 დეკორატიული ბუჩქი, 7 083 მაღალტანოვანი ხე, 28 177 ბალახოვანი მცენარე, 1 350 მცირე ზომის ხე (1.5 მ) და 1 508 მცირე ზომის (პ9) დეკორატიული ბუჩქი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საანგარიშო პერიოდში გაიზარდა გასამწვანებელი ობიექტების რაოდენობა (მიცკევიჩის ქუჩა; უნივერსიტეტის ქუჩა; წერეთლის გამზირი და მიმდებარედ არსებული სკვერები; მუხრან მაჭავარიანის და მარშალ გელოვანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზა; ჟინვალის მოედანი; კრწანისის ქუჩა).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მწვანე სივრცეებში განთავსდა 598 ერთეული სკამი და 511 ერთეული ურნა, 94 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდება 679 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 70 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 76 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

მიღწეული მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდა 679 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 70 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 76 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ფერდობებზე ტყის გაშენების ფარგლებში (მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენება) განახლდა 18 ჰა ფართობის ტერიტორია და დაირგო 13579 ნერგი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ტყის გაშენება განხორციელდება 18 ჰა ფართობზე, დაირგება დაახლოებით 16 776 მცირე ზომის (1.2 მ) ხის ნერგი და წლის განმავლობაში განხორციელდება ამ ნერგების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა და წამლობა).

მიღწეული მაჩვენებელი - 16 ჰა ტყის ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების სამუშაოები; დაირგო სხვადასხვა სახეობის (მათ შორის, ფიჭვი, კედარი, ნეკერჩხალი, აკაკი და სხვა) 16 776 ნერგი და მომავალი 4 წლის განმავლობაში განხორციელდება მათი მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა და წამლობა).

4.საბაზისო მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფი მოვლა პატრონობას უწევს გამწვანებულ ტერიტორიებს: საქალაქო პარკი - 21, სკვერი - 90, შადრევნები - 65, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 121, შუა გამყოფი ზოლი - 35, ხელოვნური მდინარე -1.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 25, სკვერი - 94, შადრევნები - 57, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 137, შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები - 125, ხელოვნური მდინარე და ტბა - 1, სანერგე - 2.

მიღწეული მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 26, სკვერი - 107, შადრევნები - 68, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 139, შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები - 165, ხელოვნური მდინარე და ტბა - 6, სანერგე - 2.

5.საბაზისო მაჩვენებელი - მოწყობილი/აღდგენილი სარეკრეაციო სივრცეების ფარგლებში 2022 წელს რეაბილიტირებული პარკების რაოდენობას შეემატა 1 პარკი და 11 სკვერი, განხორციელდა 1 გამწვანებული ბულვარის, 1 შუა გამყოფი ზოლის და 2 ფერდის რეაბილიტაცია. გრძელდება: 2 საქალაქო პარკის რეაბილიტაცია და 1 შადრევნების კასკადის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2023 წელს დაიწყება 1 ახალი პარკის მოწყობის სამუშაოების ნაწილი; დასრულდება 1 ახალი პარკის მოწყობა; დასრულდება 1 შადრევნის კასკადის მოწყობა; განხორციელდება 6 პარკისა და 4 სკვერის რეაბილიტაცია და უკვე მოწყობილი პარკების აღდგენის სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 პარკის და 5 სკვერის მოწყობის სამუშაოები; გრძელდება 4 სკვერის, 4 პარკისა და 2 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები.

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 143,095.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 140,067.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები - 33,120.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო პოლიგონის პრობლემური საკითხების მოწესრიგება, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი, განახლებული და მოდერნიზებული ავტოპარკი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები, თოვლცვენის დროს მარილის დაყრის სამუშაოები და სხვა. საანგარიშო პერიოდში დედაქალაქის მასშტაბით ყოველთვიურად სუფთავდებოდა 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი (მათ შორის: ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა

დასუფთავების სამუშაოები - 12 340 951 კვ.მ, შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 5 508 017 კვ.მ, სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 3 601 896 კვ.მ, ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 001 200 კვ.მ, მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 12 930 კვ.მ, ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 1902 ტონა ტექნიკური მარილი და 1335.2 კუბ.მ ქვიშა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 461743.96 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი. ასევე, კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში შეძენილია 15 ერთეული კომბინირებული მარილმომყრელი და ქუჩების მომრწყავი ა/მანქანები - 6,153.3 ათასი ლარი, 2 ერთეული გზის საშრობი ტექნიკის შესაძენად - 681.0 ათასი ლარი, ერთი ერთეული საწვავმზიდი ავტომანქანა - 187.8 ათასი ლარი, 7 ერთეული ამწე-კალათიანი ავტომობილი - 1,117.4 ათასი ლარი; 1 ცალი საგზაო მონიშვნების წამშლელი მანქანადანადგარის შეძენა - 133.5 ათასი ლარი; მიწისქვეშა კონტეინერების დასაცლელად 1 ერთეული ამწე მანიპულატორიანი ნაგავშემკრები ავტომანქანის შეძენა - 479.7 ათასი ლარი; 1 ცალი ამწე მანიპულატორიანი სატვირთო ა/მანქანის შეძენა - 125.2 ათასი ლარი;

დაკონტრაქტებულია და მოწოდება განხორციელდება 2024 წლის პირველ კვარტალში შემდეგი სპეცტექნიკის: 3 ცალი ნაგავშემკრები ავტომანქანა - 1,717.1 ათასი ლარი; 3 ცალი სპეც ა/მანქანა კომპლექტში თავსებადი კონტეინერით (აბზეცსკიპერი, სკიპლოუდერი) - 594.3 ათასი ლარი; 5 ცალი სატვირთო ა/მანქანა მარის უკანა ნაწილში ამწევი პლატფორმის გარეშე - 230.4 ათასი ლარი; 3 ცალი სატვირთო ა/მანქანა მარის უკანა ნაწილში ამწევი პლატფორმით - 170.1 ათასი ლარი; 24 ცალი თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა - 2,225.8 ათასი ლარი; დასრულდა დაბა კოჯორში (მიწის ნაკვეთზე საკადასტრო/კოდი: 81.01.08.375) მარილის შესანახი საწყობის მშენებლობა;

თბილისის ტერიტორიაზე ნარჩენების მართვის სისტემის ჩამოყალიბებისა და გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-3 უჯრედის (დასავლეთის მიმართულებით „design build“-ის (პროექტირება-მშენებლობა) მეთოდით) გაფართოების სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად გადახდილია - 2,121.0 ათასი ლარი;

სხვადასხვა მოცულობის 1000 ერთეული (240 ლიტრიანი), 2000 ერთეული (120 ლიტრიანი) და 1000 ერთეული (1100 ლიტრიანი) პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის შესაძენად გადახდილია - 784.7 ათასი ლარი; დაკონტრაქტებულია და მოწოდება განხორციელდება 2024 წლის პირველ კვარტალში: 1000 ერთეული (1100 ლიტრიანი) ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერის - 1,649.0 ათასი ლარი; 9 ერთეული ღია კონტეინერის - 397.4 ათასი ლარი; 4000 ერთეული (1100 ლიტრიანი) პლასტმასის ნაგავშემკრები კონტეინერის - 2,116.0 ათასი ლარი; ასევე განხორციელდება 270 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერის მოწოდება, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 13,095.0 ათას ლარს, საიდანაც ავანსის სახით გადახდილია 4,850.0 ათასი ლარი;

გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალიტეტისთვის სპეც-ტექნიკის ავტოპარკის 65 ერთეულით განახლების მიზნით (მ/შ 2023 წელს უკვე შეძენილია 2 თვითმცლელი), EBRD-ის სესხის ფარგლებში გადახდილია დამატებული ღირებულების გადასახადი 974.6 ათასი ლარი, ხოლო თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია დღგ - 37.4 ათასი ლარი, განსახორციელებელი ღონისძიებების ფაქტიურად გაწეული ხარჯების შესაბამისად; მიმდინარე პერიოდში მიმდინარეობდა (ჯამში 5 115 831.23 ლარის ღირებულების) შესყიდვების პროცედურები, ორგანიზაციისთვის საჭირო სხვადასხვა ტიპის ახალი სპეცტ-ექნიკის შეძენასთან დაკავშირებით და ქალაქ თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის სამუშაოების განსახორციელებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველთვიურად სუფთავდება 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის და გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას გადახდილი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისას, ხოლო სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხოლოდ სპეც-ტექნიკის შესყიდვის კომპონენტზე გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასრულებულია გადამტვირთი სადგურის რეაბილიტაციის ტენდერი და შესაბამისი სამუშაოების დაწყება დაგეგმილია 2024 წელს, ხოლო ნაჟური წყლის სისტემის მოწყობის კომპონენტთან დაკავშირებით მიმდინარეობს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და ტენდერის გამოცხადება დაგეგმილია 2024 წლის მეორე კვარტალში. ასევე, მარშრუტების ოპტიმიზაციის პროგრამის დასაანერგად 2024 წლის მე-3 კვარტალში იგეგმება ტენდერის გამოცხადება.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 12,030.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 15,050.4 ათასი ლარის 79.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2023 წლის გეგმა - 7,308.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,671.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,519.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 91.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ძველ და ახალ ტერიტორიებზე არსებული ზოოპარკის გამართული ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა-გაუმჯობესება, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის სასწავლო წრეების ფუნქციონირება და შემეცნებითი ტურების მოწყობა, სამეცნიერო კუთხით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ტერიტორიების შეფასება და ცხოველთა ქცევის შესწავლა და სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ

თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების (მათ შორის ცხოველების კვება, ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი, სამედიცინო აპარატურის, ხელსაწყოების შექმნა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 1,022.8 ათასი ლარი).

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე (თბილისის ზღვის მიმდებარედ) ვეფხვებისა და ლომების ვოლიერის მშენებლობისათვის ჩატარდა სამშენებლო მოედნის კვლევა და მომზადდა შესაბამისი საექსპერტო დასკვნა, საპროექტო-სადარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და მიმდინარეობს მშენებლობის დასრულების სამუშაოები; შიდა ტერიტორიის ელექტრომომარაგებისათვის განხორციელდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; მაიმუნების, დათვებისა და სხვა ვოლიერების, ასევე შიდა გზებისა და ბილიკების, მშენებლობა-მოწყობისათვის განხორციელდა სამშენებლო მასალების ეტაპობრივი შესყიდვა; სამშენებლო ტექნიკის დაქირავება; ბეჭემოტის, ჟირაფისა და მარტორქის (ვოლიერი "აფრიკული სავანა") ვოლიერის დასრულებისთვის მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები; ირმების ვოლიერში აღდგა დაზიანებული ღობის ფრაგმენტი და მოეწყო საჩრდილობელი; განხორციელდა შიდა ღობეების აღდგენა-რეაბილიტაცია; დათვების ვოლიერის რეაბილიტაცია; მაიმუნების ვოლიერისა და გამყოფი თხრილების მოწყობის სამუშაოები; კავკასიური ნაგაზების ვოლიერების რეაბილიტაცია; გადაიხურა საზედამხედველო სამსახურის ჯიხური; არსებული ვოლიერების რეაბილიტაციისათვის შექმნილი იქნა: ხის ბოძები, ლითონის ღობე, რკინის მასალა, ბეტონი, ქვიშა და ა.შ. ასევე, არსებული ზოოპარკის ტერიტორიაზე განხორციელდა ეგზოტარიუმის შენობის გაგრილება-კონდენცირების სისტემის რეაბილიტაცია; სხვადასხვა (ლომების, სპილოს და ენოტის) ვოლიერში განხორციელდა მიმდინარე სარემონტო სამუშაოები; არსებული ზოოპარკის ტერიტორიაზე მოეწყო საზოგადოებრივი ტუალეტი;

ზოოპარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო აქტივობების კუთხით განხორციელდა: კომპიუტერული, საყოფაცხოვრებო და სხვა ტექნიკური

საშუალებების შექმნა; სამედიცინო ვეტერინალური აპარატურის შესყიდვის მიზნით შექმნილ იქნა სტერილიზატორი და ანესთეზიის აპარატი; ბათუმის ზოოპარკიდან, მივლინებული თანამშრომლების მიერ, მოხდა სამი სული ირემი - აქსისისა და სამი სული ანტილოპა - გარნას ჩამოყვანა; საერთაშორისო ორგანიზაცია "Species 360"-ის ეგიდით, ზოოლოგიური ინფორმაციის მენეჯმენტის სისტემების (ZIMS) პროგრამის შესწავლის მიზნით, მოწვეულ იქნა უცხოელი სპეციალისტი და ჩატარდა სემინარი; ზოოპარკის თანამშრომლები მივლინებულ იყვნენ ნიდერლანდებში „ბექსე ბერგერის საფარი პარკსა“ და „არტისის“ ზოოლოგიურ პარკში, სადაც გაიარეს ტრენინგი ჟირაფების, მარტორქების, ანტილოპების მოვლის, კვების დატრენინგების და ვეტერინალური მანიპულაციების კუთხით; ზოოპარკის დირექტორი მივლინებულ იქნა ნორვეგიაში ქალაქ ბერგენში ევროპის ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის (EAZA) კონფერენციაზე; ზოოპარკის დირექტორი და ცხოველების კურატორი მივლინებულ იქნა ფინეთში ქალაქ ჰელსინკი ევროპის ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის (EAZA) ყოველწლიურ კონფერენციაზე; ზოოპარკში მოწვეულ იქნა ქ.ტალინის (ესტონეთი) ზოოპარკის ვეტერინარი ინდური სპილოებისთვის კომპლექსური ვეტერინარული კვლევების ჩასატარებლად; თბილისის ზოოპარკის მთავარი ვეტერინარი მივლინებულ იქნა ქ.ტალინის (ესტონეთი) ზოოპარკში და ესტონეთის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ცხოველთა კლინიკაში სტაჟირებაზე. ასევე, მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „საერთო ანესთეზიოლოგია“; მოქმედი ზოოპარკიდან ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე დიდი ცხოველების (სპილო, მარტორქა, ბეჰემოტი) გადაყვანასთან დაკავშირებული საკითხების შესასწავლად აშშ-დან მოწვეულ იქნენ გარეული ცხოველების ტრენერები;

ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკში გამრავლება, წითელი ნუსხის ცხოველების - ნიამორების, კეთილშობილი ირემებისა და ჯიხვების რიცხოვნობის ზრდის ფარგლებში - ყოველდღიურად ხორციელდებოდა ცხოველების მოვლა და მათზე დაკვირვება, კვების რაციონის შერჩევა-დაზუსტება, ვეტექიმების მიერ ცხოველებზე დაკვირვება და, საჭიროების შემთხვევაში,

მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯიხვების ნამატმა შეადგინა - 4 სული, კეთილშობილი ირმების ნამატმა შეადგინა 4 სული, ნიამორების ნამატმა 3 სული; ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკის ფარგლებს გარეთ გამრავლების ტენდენციებზე დაკვირვება ბიოტური და აბიოტური ფაქტორების გათვალისწინებით, ჩამორთმეული ცხოველების და ფრინველების ზოოპარკის პირობებში რეაბილიტაცია, მათი ბუნებაში დაბრუნების მიზნით, გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების მიერ და ასევე მოსახლეობიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე ზოოპარკში შემოყვანილ იქნა ჩამორთმეული და ბუნებაში ნაპოვნი ცხოველები და ფრინველები. მათ შორის: დათვი, ხალებიანი ირემი, ორბები, ბუ და სხვა; განხორციელდა მიღებული ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობა და მათი რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი ვეტერინარული მომსახურება. ზოოპარკში მიღებული ფრინველების რეაბილიტაცია და მათი ბუნებაში დაბრუნება: ორბი, არწივი და სხვა;

მოსწავლე-ახალგაზრდობის ეკოლოგიური განათლების ღონის ამაღლების მიზნით - სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით შექმნილ იქნა ფრინველებზე დასაკვირვებლად საჭირო სატელიტური მოწყობილობები; ევროპის ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაციის (EAZA) ეგიდით ქ.ვროცლავში (პოლონეთი) კონსერვაციული განათლების მიმართულებით ჩატარებულ კონფერენციაზე მივლინებულ იქნენ თბილისის ზოოპარკის საგანმანათლებლო ცენტრის თანამშრომლები; ზოოპარკმა მონაწილეობა მიიღო ვაკის პარკის ტერიტორიაზე ჩატარებულ სამეცნიერო პიკნიკში; სასწავლო ცენტრის ეგიდით, ჩატარდა შემეცნებითი ზოოტურები სკოლის მოსწავლეებისთვის, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1 745 მოსწავლემ; საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 91-მა მოსწავლემ; სასწავლო ცენტრში გაიმართა ორი წიგნის პრევენტაცია; რეგულარულად ხორციელდებოდა ცხოველთა ყოფის გამდიდრების ღონისძიებები (ენრიჩმენტი); მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ

შეადგინა 247532, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან (2022 წელი - 243556) შედარებით 3976-ით ნაკლები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე (დაახლოებით 10 ჰა) ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერები (ცხოველთა, ფრინველთა) და ნაწილობრივ მოწყობილია ინფრასტრუქტურა, ხოლო ძველ ტერიტორიაზე (9 ჰა) სრულყოფილად ფუნქციონირებს ზოოპარკი, შენარჩუნებულია არსებული ინფრასტრუქტურა, აშენებული და რეაბილიტირებულია ცხოველთა და ფრინველთა ვოლიერები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიებზე არსებული ობიექტებისა და მცენარეული საფარის მოვლა და შენარჩუნება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები), ცხოველთა კოლექციის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ახალი ვოლიერების აშენება/არსებული ვოლიერების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე ჩატარებული დაკვირვებები; ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით მოწყობილი ექსპედიციები და განხორციელებული სამეცნიერო კვლევები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე დაკვირვება, ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით ექსპედიციების მოწყობა, სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ცხოველთა ქვესახეობების დადგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ფუნქციონირებისთვის არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხოლო ზოოპარკის ტერიტორიაზე სრულყოფილად ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი (მათ შორის 2022 წელს ბავშვებისთვის მოეწყო 56 შემეცნებითი ტური, რომელშიც მონაწილეობდა 1083 ბავშვი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკის ფუნქციონირების ხელშეწყობა (მათ შორის ინფრასტრუქტურის მოწყობა), სასწავლო ცენტრში საგანმანათლებლო წრეებისა და ჯგუფების ფუნქციონირება, შემეცნებითი ტურების მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული იქნა ზოოპარკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სკოლის მოსწავლეთათვისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მოეწყო შემეცნებითი ტურები, რომლებშიც მონაწილეობდა 1745 ბავშვი, საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 91-მა მოსწავლემ.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 243556 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა 250 - 300 ათასი ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა - 247532 ვიზიტორი.

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2023 წლის გეგმა - 7,741.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,359.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,744.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 69.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ვიზიტორებისათვის ხელმისაწვდომი ბოტანიკური ბაღი, მოვლილი, შენარჩუნებული და გაზრდილი მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები, დოკუმენტირებული მერქნიან მცენარეთა კოლექციები, შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოწესრიგებული ტურისტული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,423.5 ათასი ლარი). ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მოვლილი, შენარჩუნებული, განახლებული და დოკუმენტირებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნების ღონისძიების ფარგლებში:

სისტემატურად ხორციელდება ძირითადი ტურისტული მარშრუტების, გზების, ბილიკების მოვლა-დასუფთავება (დაახლოებით 6,5-7 კმ. პერიმეტრი). ყოველდღიურად ხორციელდება მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთებზე მოვლა-დასუფთავების სამუშაოები (65 ჰა ფართობი), როგორც არსებული კოლექციების შესანარჩუნებლად, ასევე მის გასაფართოვებლად. ბალის კოლექციების შევსება-განახლების მიზნით, მიმდინარეობდა აქტიური რგვები. მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით (წლის განმავლობაში 45 ათასამდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა) დაირგო 66 205 ერთეული ერთწლოვანი მცენარე, ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექციის რაოდენობისა და განახლებული მცენარეთა კოლექციის (წლის განმავლობაში 800 ერთეული მცენარის ეტიკეტირება და დოკუმენტირება, 30 ახალი სახეობის დამატება) უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა 545 ერთეული მერქნიანი მცენარის ეტიკეტირება და ბალის კოლექციისთვის შექმნილი - ჯამში 1 021 მცენარის დოკუმენტირება. ბალის კოლექციას შეემატა 40 ახალი სახეობა (ტაქსონი). ასევე, საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან ეთნობოტანიკურ პროექტს - „ქართულ ბაღს“, სადაც დაირგვება ხეხილის იშვიათი და გადაშენების პირას მისული ადგილობრივი ჯიშები. საწყის ეტაპზე დაირგო ვაშლის 5 იშვიათი ჯიშის 17 ნერგი;

შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობის ფარგლებში: დაიბეჭდა 7 სამეცნიერო სტატია და ერთი წიგნი. მდგრადი განვითარების კონფერენციაზე, ბოტანიკური ბალის თანამშრომლებმა ონლაინ ფორმატში გააკეთეს მოხსენება და მოხსენების თეზისები გამოქვეყნდა კონფერენციის მასალებში. ნაშრომზე დასრულდა მუშაობა და სტატიის სახით გამოქვეყნდება ჟურნალ „European Journal of Sustainable Development“-ში 2024 წელს. „სამეცნიერო პროექტის „ღია გრუნტის ზოგიერთი მრავალწლოვანი დეკორატიულ ბალახოვანი ყვავილოვანი მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა სამრეწველო და ლანდშაფტურ დიზაინში გამოყენების მიზნით“ ფარგლებში გამოსაქვეყნებლად მომზადებულია 3 პუბლიკაცია („გვარ ჰელენიუმის ბიოლოგიური თავისებურებები კულტურის პირობებში“; გვარ ეხინაცეს ზოგიერთი სახეობის ინტროდუქციული კვლევის შედეგები“ და „კორეული

ქრიზანთემის ინტროდუქცია და მრავალფეროვნება საქ. ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში“); რეფერირებად ჟურნალში გამოსაქვეყნებლად მომზადებულია კიდეც 1 სტატია „გადაშენების პირას მყოფი საქართველოს ორი ენდემური სახეობის რეპროდუქციული ბიოლოგიის თავისებურებები და კონსერვაცია“; ხმელთაშუა ზღვის ტაქსონომიური კვლევის ორგანიზაციის OPTIMA-ს XVII კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა 2023 წლის სექტემბერში პალერმოსა და ერიცემი (იტალიაში), სასტენდო მოხსენების სახით წარდგენილ იქნა ორი მოხსენება (ხმელთაშუა ზღვის სამკურნალო მცენარეები ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში“ და *Staphylea colchica* Steven-ის თესლის სიცოცხლისუნარიანობა და კონსერვაცია“). მოხსენებების თეზისები დაბეჭდილია კონფერენციის მასალებში; OPTIMA-ს ჟურნალში „Flora Mediterranea“ დაიბეჭდა „საქართველოს (კავკასია) ბუჩქების *Spiraea hypericifolia* (Rosaceae) ფლორისტული შემადგენლობა“;

წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავების ფარგლებში განხორციელდა 4 სახეობის პროტოკოლის შემუშავება / 8 სახეობის შეფასება;

სამეცნიერო პროექტების განხორციელების ფარგლებში ჩატარდა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 4 სხდომა და 1 სემინარი. გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა 6 სამეცნიერო-კვლევითი პროექტის („საქართველოს ფლორის პრიორიტეტული საკონსერვაციო სტატუსის მქონე ზოგიერთი სახეობის თვითგანახლების შესაძლებლობების შესწავლა და *ex situ* კონსერვაცია“; „დიდგორის მთის სამკურნალო მცენარეების ფლორისტული შემადგენლობის შესწავლა“; „მერქნიან მცენარეთა ველური მონათესავე და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სახეობების გამოვლენა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში და მათი კოლექციების შექმნა საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში“; „ღია გრუნტის ზოგიერთი მრავალწლოვანი დეკორატიულ ბალახოვანი ყვავილოვანი მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა სამრეწველო და ლანდშაფტურ დიზაინში გამოყენების მიზნით“; საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ხეებისა და ბუჩქების კოლექციის აღდგენა და სახეობრივი შემადგენლობის გამდიდრება; „საქართველოს

ბოტანიკურ ბაღებში არსებული მუხის სახეობების მავნებელ-დაავადებების შესწავლა კლიმატურ პირობებთან კომპლექსში და ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდების შემუშავება“ - საიდანაც 2 დასრულდა და 4 მიმდინარეობს) კვლევა, რომლის ფარგლებში ჩატარდა 29 საველე-საექსპედიციო სამუშაო; რეგულარულად ტარდებოდა 5 სარეინტროდუქციო ნაკვეთის მონიტორინგი. მოპოვებული იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებართვები დაცულ ტერიტორიაზე კვლევების ჩასატარებლად; მომზადდა 1 საპროექტო წინადადება ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოცხადებულ საერთაშორისო გლობალურ საგრანტო კონკურსზე, რომელიც შეეხება გენეტიკური რესურსების კონსერვაციას გენოფონდის გლობალურ საცავში;

გადახდილია საერთაშორისო ქსელების ინსტიტუციური წევრობის მოსაკრებლები (ხმელთაშუაზღვის ტაქსონომიური კვლევის ორგანიზაციისა - OPTIMA და BGCI-ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საერთაშორისო საბჭო); ხელი მოეწერა მემორანუმს დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან, ხოლო მომზადდა 3 სხვა მემორანდუმი - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და იერუსალიმის ბოტანიკურ ბაღთან; მიმდინარეობს მუშაობა ტყის ბუნებრივი აღდგენისათვის თესლის სერტიფიცირების პროტოკოლის მოსამზადებლად; მიმდინარე პერიოდში ბოტანიკურმა ბაღმა უმასპინძლა 5 საერთაშორისო სტუმარს/ დელეგაციას; ეკოგანათლების განყოფილების 2 თანამშრომელი მივლინებულ იქნა 2 კვირით ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონის შტატში, სიეტლში საერთაშორისო ორგანიზაციის „პარტნიორობა ბუნებისათვის“ საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად და ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შესამუშავებლად;

მოწესრიგებული და გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის ღონისძიების ფარგლებში დასრულდა მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტი და მიმდინარეობს მშენებლობის სამუშაოები (დასრულების ფაზაშია 1 და 2 სართულის რკინა-ბეტონის მონოლითური სამუშაოები); დასრულდა მუშაობა

ყოფილი სასადილოს შენობისა და მეზღის სახლის რეაბილიტაციის პროექტზე; ფერდობების დამჭერი კედლების და გადასასვლელი ხიდების აღდგენა-გამაგრებისა და ახლის მოწყობის მიზნით, შექმნილ იქნა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია; ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო დაცვისა და სალაროს ჯიხური, ბეტონის ბილიკი და მოაჯირები; დასრულდა ბაღის სანერგის ტერიტორიაზე არსებული ორანჟერეის სახურავის რემონტი; ბოტანიკურ ბაღში ჩამოიწმინდა კლდოვანი ფერდობები; ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო დამატებით 12 წყლის შადრევანი; ბაღის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მოეწყო ახალი ელექტრო გაყვანილობის სისტემა და გამანაწილებელი კარადები; დასრულდა ეთნობოტანიკის განყოფილების ნაკვეთზე მცირე ზომის სამუზეუმო ხის დეკორატიული შენობის მოწყობა; 11 ლოკაციაზე დამცავი დეკორატიული მოაჯირების მოწყობის სამუშაოები; არბორეტუმის ტერიტორიაზე 64 გრძივი მეტრი დამცავი ბარიერის მოწყობა; დაიწყო აბანოთუბნის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. "ლევთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიებების და უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და შესაბამისი გამაგრებითი/სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება;

მატერიალური-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით შექმნილია კონსოლიდირებული ტენდერით 8 კომპიუტერი, 3 ლეპტოპი და 3 პრინტერი; სანერგე მეურნეობისთვის შექმნილია მოტო ბლოკი მისაბმელით და გუთნით. მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 340228, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2022 წელს - 303453) შედარებით 36775-ით მეტია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ძირითადი ტურისტული მარშრუტების (გზების, ბილიკების) 6,5-7 კმ. პერიმეტრის მოვლა, მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები (56 ჰა ფართობი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 420 მერქნიანი ხე, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 35 ახალი სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 800 მცენარე, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 30 ახალი სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 1566 მცენარე, მცენარეთა კოლექცია განახლებულია - 40 ახალი სახეობით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით დარგულია 45000 ერთწლოვანი მცენარე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 45000-მდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 66205 ერთწლოვანი მცენარე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ბალს დაემატა (გაფართოვდა) დეკორატიული უბნები.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 8 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 3 ცალი.

მიღწეული მაჩვენებელი - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 8 ცალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასრულებული სამეცნიერო პროექტების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა დამატებითი პუბლიკაციების გამოქვეყნება.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება 4 სახეობის პროტოკოლი/შეფასდა 8 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 4 სახეობა პროტოკოლი/8 სახეობა შეფასება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

6.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა (პროექტები) ფარგლებში განხორციელდა 3 სამეცნიერო პროექტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 2 სამეცნიერო პროექტი და მიმდინარეობს კვლევა კიდევ 4 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში.

7.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 303453 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 310000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 340228 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მატება ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში უცხოელი ტურისტებისა და (შესაბამისად) ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობით.

8.საბაზისო მაჩვენებელი - მოწესრიგებული, გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, 2022 წელს სრულად განხორციელდა 2 ინფრასტრუქტურული პროექტი და მიმდინარეობდა 2 პროექტი, რომელიც დასრულდება 2023 წელს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოწესრიგებული, გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, დასრულდება 2022 წელს დაწყებული 2 ინფრასტრუქტურული პროექტი; დაიწყება 6 ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი (მათ შორის 4 პროექტი დასრულდება, ხოლო 1 პროექტი - 2024 წელს და 1 პროექტი - 2025 წელს).


მიღწეული მაჩვენებელი - მოწესრიგებული და გამართულია ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა (მათ შორის სრულად განხორციელდა 6 ინფრასტრუქტურული პროექტი, მიმდინარეობს 4 პროექტი).



განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2022 წელს დაწყებული 2 პროექტი, რომლის დასრულებაც დაგეგმილი იყო 2023 წელს, ვერ განხორციელდა პროექტში განსახორციელებელი გაუთვალისწინებელი ექსპერტიზის საჭიროების გამო.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: 2022 წელს დაწყებული 2 პროექტი (მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მიმდებარედ ფერდის გამაგრების სამუშაოები, წყლისა და გაზის მილების გადატანის სამუშაოები), რომლის დასრულებაც დაგეგმილი იყო 2023 წელს, ვერ განხორციელდა პროექტში განსახორციელებელი ექსპერტიზის საჭიროების გამო; მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოების განხორციელებაზე ხელშეკრულება, ნაცვლად 2023 წლის I კვარტლისა, გაფორმდა 8 აგვისტოს (საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის გაჭიანურებისა და გამოცხადებული ტენდერის ჩავარდნის გამო); გამოცხადებული ტენდერების მრავალჯერ ჩავარდნის გამო, ვერ განხორციელდა ვარდების საკოლექციო ნაკვეთის მშენებლობის სამუშაოები, ყოფილი სასადილოს შენობისა და მებადის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და, შესაბამისად, გაუქმდა მათთან დაკავშირებული საზედამხედველო სამუშაოების ხელშეკრულებებიც.

❖ ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

ათასი ლარი





04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 1,424.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,417.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი წარმოების წახალისების, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის, მეწარმეებისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, გაიმართა „თბილისის საშობაო ბაზარი“; გაიმართა გასტრონომიული ღონისძიება „გაუსინჯე თბილისს გემო/Taste Tbilisi“, სადაც მონაწილეობა მიიღეს დამწეებმა და უკვე არსებულმა კვების ობიექტებმა; ა(ა)იპ სოციალურ საწარმოთა ალიანსის ორგანიზებით: City Mall-ში გაიმართა საგაზაფხულო გამოფენა-გაყიდვა. აღნიშულ გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობდა ჯამში 16 სოციალური მეწარმე, თბილისში გაიხსნა მაღაზია/შოურუმი „ესკი“. შედეგად, მაღაზიამ 2023 წელს მოახდინა 86256.55 ლარის თანხების გენერირება 25-მდე სოციალური საწარმოსთვის. ასევე, სივრცემ უმასპინძლა 10-მდე ჯგუფს, როგორც საქართველოდან, ისე მის ფარგლებს გარეთ და დაინტერესებულ ადამიანებს გააცნო ქართველი სოციალური მეწარმეების პროდუქცია; მეწარმეობის მხარდაჭერისა და ეკონომიკური განვითარების პროცესში ქალთა ჩართულობის ზრდის მიზნით, ქალი მეწარმეებისთვის ხელნაკეთი საქორწინო აქსესუარების დამზადების სამეწარმეო ერთდღიანი მასტერკლასი ჩატარდა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს (16 ადამიანი) შესაძლებლობა მიეცათ გაედრმავებინათ ცოდნა სოციალური ქსელის მართვისა და გაყიდვების ზრდის მიმართულებით; გაიმართა შემეცნებითი ღონისძიება ორდღიანი თაფლის ფესტივალი საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების ორგანიზებით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 40-მდე თაფლისა და ფუტკრის სხვადასხვა პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ; ა(ა)იპ „მეწარმე ქალთა ასოციაცია -„ავე“-ს ორგანიზებით, გაიმართა სომხეთ-საქართველოს მეწარმე ქალთა ფორუმი, რომელიც მიემდგვნა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობის გაღრმავებას; ჩატარდა, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“-ს ორგანიზებით გავლენაზე

ორიენტირებული ინვესტიციების მასშტაბური, საერთაშორისო კონფერენცია „თანამშრომლობა დადებითი ცვლილებებისათვის“. ღონისძიება მიზნად ისახავდა სოციალური მეწარმეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას სოციალურ გავლენაზე ორიენტირებული ინვესტიციების მიდგომის პოპულარიზაციით. კონფერენციას 40-ზე მეტი ქვეყნიდან ესწრებოდა 200-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი სტუმარი - კორპორაციული და გავლენის ფონდების, გავლენის აქსელერატორების, ბიზნესის, სოციალური საწარმოებისა და საჯარო სექტორის წარმომადგენლები, ასევე გავლენის ინვესტორები, კორპორაციული ფილანთროპიითა და სოციალური ინვესტირების საკითხებით დაინტერესებული პირები; ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის, ქართველი ოსტატებისა და მეიარაღეების ხელშეწყობის, ასევე სფეროს პოპულარიზაციის მიზნით, ა(ა)იპ „საქართველოს დანების მწარმოებელთა და კოლექციონერთა ასოციაციის“ მიერ ორგანიზებული „KNIFE SHOW თბილისი 2023“ (დანების გამოფენა-გაყიდვა) გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ სფეროში მოღვაწე 33-მა მეწარმემ. ასევე, ღონისძიება ითვალისწინებდა დანის წარმოებისთვის საჭირო ჭედვის, გამოწრობისა და სხვა პროცედურების მასტერკლასის ჩატარებას; გაიმართა, თბილისის მერიის ორგანიზებით ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმი, სახელწოდებით „მდგრადი განვითარება - მწვანე, ჭკვიანი, ბიზნეს-მეგობრული“. ფორუმმა უმასპინძლა, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, დიპლომატებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, მუნიციპალიტეტებისა და აკადემიური წრეების 600-მდე წარმომადგენელს. ფორუმის თემატიკა მოიცავდა ურბანული განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და საჭიროებებს, რომელიც მოითხოვს ქალაქების სრულ ჩართულობას და პროაქტიულ ქმედებებს. ღონისძიების ფარგლებში გამართულ პარალელურ სესიებზე, მოწვეულმა სტუმრებმა განიხილეს მსოფლიოში არსებული გამოწვევები, თანამედროვე მიღწევები და სხვადასხვა წამყვანი ქალაქების გამოცდილება არსებული გამოწვევების გადალახვის მიმართულებით; ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის ამაღლების, უნარ - ჩვევების

გამლიერებისა და სტარტაპ ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, ციფრული სამიტი "Touch Summit 2023" გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა 50-ზე მეტი პრეზენტაცია, პანელური დისკუსია, მასტერკლასი და მენტორინგის სესიები სტარტაპებისთვის. ასევე, 50 სტარტაპს მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო გამოფენაში. სამიტს ესწრებოდა 30-მდე უცხოელი მომხსენებელი სხვადასხვა გლობალური ტექნოლოგიური ორგანიზაციებიდან; ანგელოზ ინვესტორთა ქსელთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ საინვესტიციო-ბიზნეს ღონისძიებას დაესწრო 150-მდე წევრი, სტუმარი და პოტენციური პარტნიორი. წარდგენილი იქნა 4 პრეზენტაცია ბიზნესში არსებულ პრობლემებსა და საინვესტიციო გარემოს შესახებ, დამსწრეები გაეცნენ საქართველოს მსხვილი ბიზნესის და აქსელის წევრი ინვესტორების ბიზნესის წარმატებისა და მარცხის ისტორიებს, რაც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ბიზნესის ეკოსისტემის შესწავლას; ტურიზმის სექტორში დასაქმებული მცირე მეწარმეებისა და სტარტაპების მხარდაჭერის მიზნით, ხელნაკეთი ნივთების საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვის ღონისძიება "საშობაო და საახალწლო ტურიზმი თბილისში" გაიმართა, სადაც მონაწილეობა 50-მდე მეწარმემ მიიღო.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლიდან ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, პერმანენტულად ტარდება ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის ფესტივალები და ფორუმები, გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში დაახლოებით 7-ჯერ ჩატარებული გამოფენა-გაყიდვა, ქალების ჩართულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების პროცესში.

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა 22-ჯერ, სადაც მონაწილეთა ნახევარს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2007 წლიდან თბილისის მერია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას,

სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები, ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ფორუმის წარმატებით ჩატარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობის და მნიშვნელობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - ფორუმი ჩატარდა წარმატებით, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ამაღლდა თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობა და მნიშვნელობა (ურბანული განვითარების მიმართულებით).

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ექსპორტის მხარდაჭერისა და პრეაქსელერაციის პროგრამა ჩატარდა 2-ჯერ, ჩატარდა ციფრული სამიტი "Touch 2022" და ანგელოზ ინვესტორთა III საერთაშორისო სამიტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - უცხოელი ინვესტორებისათვის, ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩატარდება ღონისძიება - „ანგელოზი ინვესტორების ვიზიტი თბილისში“.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა ციფრული სამიტი "Touch 2023", გაიმართა 50-ზე მეტი პრეზენტაცია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მიღწევების შესახებ, ანგელოზ ინვესტორთა III საერთაშორისო სამიტზე წარდგენილი იქნა 4 პრეზენტაცია ბიზნესის წარმატებებისა და მარცხის შესახებ.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 12.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, ეკონომიის განვითარების ხელშესაწყობი კვლევა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად ჩატარდა „უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) საბაზრო ღირებულების“ კვლევა; დაიბეჭდა თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები („თბილისი ციფრებში“ „თბილისის ეკონომიკური რუკა“ და „ტურისტული რუკა“); თბილისის მერია მონაწილეობდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE/HBP/2022/Inf) სესიაზე განხილული ქალაქ თბილისის პროფილის (Smart Sustainable Cities Profile: Tbilisi, Georgia) შესაბამისად და გაცემული რეკომენდაციების თანახმად სხვადასხვა სტრუქტურულიდან KPI ინდიკატორებისთვის ინფორმაციის შეგროვების სამუშაო შეხვედრებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის. 2022 წელს დაიბეჭდა 1000 ცალი გზამკვლევი, რომელიც მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული ბაზის შენარჩუნება და განახლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაიბეჭდა 500 ცალი საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“, 10 ცალი თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური რუკა, 6000 ცალი ტურისტული პანორამული რუკა და მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება შეხვედრები ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებთან და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, 2021 და 2022 წწ-ში განხორციელდა “საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების“ კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის გაცვლა ეკონომიკის განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ, უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) საბაზრო ღირებულების კვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა, ხოლო უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები) საბაზრო ღირებულების კვლევის გამოყენება ხდება დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების ფინანსური მოდელების შემუშავების პროცესში.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 298.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 297.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის წევრობა სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციებში, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილ იქნა Delice Network-ში გაწევრიანების საწევრო გადასახადი, Delice Network-ის ყოველწლიურ გენერალურ ასამბლეაზე განიხილეს მსოფლიოს წამყვან ქალაქებში გასტრონომიული ტურიზმის განვითარების მიმართულებები. ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილება კვების ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის განვითარების ხელშესაწყობად; ქალაქ თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო: სკანდინავიის ქვეყნების ტურისტული გაერთიანების - “Nordic Tourism Collective” მიერ ორგანიზებულ თბილისისადმი მიძღვნილ სპეციალურ ღონისძიებაზე Tbilisi Roadshow მოხდა თბილისის შესახებ ტურისტული თემატიკის ვიდეორგოლების ჩვენება, დედაქალაქის ტურისტული და საინვესტიციო პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა პრეზენტაციები და მოხდა უცხოურ ტურისტულ კომპანიებთან ქართული კომპანიების კონტაქტების გაზიარება. დაიგეგმა თანამშრომლობა თბილისის მერიასა და ფინეთის უმსხვილეს მედია-გამომცემლებს შორის, ასევე ტურისტული მიმართულებით მომუშავე კომპანიების გაცნობითი ხასიათის ვიზიტები თბილისში. „გერმანიის ენერჯეტიკის სააგენტოს“ (დენა) მიერ ორგანიზებულ სასწავლო ტურის ფარგლებში მოხდა პრაქტიკაში დანერგილი მეთოდების გაზიარება განახლებადი ენერჯიების გამოყენების და

ენერგო-ეფექტური ღონისძიებების შესახებ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების მხრიდან ამ სფეროში საუკეთესო პროექტების და პრაქტიკების გაცნობა/დათვალიერება. სამომავლოდ გერმანიის შესაბამისმა სტრუქტურებმა მზაობა გამოთქვეს ჩაერთონ თბილისში განხორციელებულ ენერგო-ეფექტურ ღონისძიებებში, გაუზიარონ სფეროს წარმომადგენლებს გერმანიის პრაქტიკა და განხორციელებული პროექტები და შეძლებისდაგვარად მოარგონ ისინი თბილისში არსებულ რეალობას. საერთაშორისო ტურისტული გამოფენა “Top Resa” ევროპის ქვეყნების მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული გამოფენა-ბაზრობაა, სადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და ტურისტული კომპანიები იღებენ მონაწილეობას. გამოფენაზე თბილისის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო სტენდით, რითაც განხორციელდა თბილისის ტურისტული პროდუქტებისა და პოტენციალის წარდგენა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებისათვის. თბილისში ტურიზმის სხვადასხვა მიმართულების უკეთ განსავითარებლად, დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა თბილისის მერიასა და საერთაშორისო მასშტაბით მომუშავე სამოგზაურო მედია-ორგანიზაციებთან. საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში “IViaggiatori – Swiss International Holiday Exhibition 2023 ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტურისტული ღონისძიებაა მსოფლიო მასშტაბით. გამოფენაზე თბილისის მერია წარმოდგენილი იყო სტენდით, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სრულყოფილ ინფორმაციას თბილისის ტურისტული პროდუქტებისა და პოტენციალის შესახებ. ღონისძიების ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ კომუნიკაცია დაამყარა პოტენციურ პარტნიორებთან, შეხვედრები შედგა სამოგზაურო მედიის და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლებთან, ინფლუენსერებთან და სექტორის სხვა პროფესიონალებთან. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა თბილისის მერიასა და საერთაშორისო სამოგზაურო მედიის ორგანიზაციებთან, ასევე დაიგეგმა ტურისტული მიმართულებით მომუშავე მედიაკომპანიების გაცნობითი ხასიათის ვიზიტი თბილისში. ლონდონის საერთაშორისო ტურისტული გამოფენა “WTM 2023” მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტურისტული ღონისძიებაა არა მხოლოდ

კულტურული, არამედ საქმიანი ტურიზმის მიმართულებით. გამოფენაზე თბილისის მერია წარმოდგენილი იყო სტენდით, სადაც დაინტერესებულ კომპანიებს თუ სექტორის სხვა წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ სრულყოფილ ინფორმაციას თბილისის ტურისტული პროდუქტებისა და პოტენციალის შესახებ. ღონისძიების ფარგლებში თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ კომუნიკაცია დაამყარა პოტენციურ პარტნიორებთან, შეხვედრები შედგა სამოგზაურო მედიის წარმომადგენლებთან, ინფლუენსერებთან და სექტორის სხვა პროფესიონალებთან. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა თბილისის მერიასა და საერთაშორისო სამოგზაურო მედიის ორგანიზაციებთან, ასევე დაიგეგმა ტურისტული მიმართულებით მომუშავე მედიაკომპანიების გაცნობითი ხასიათის ვიზიტი თბილისში. ქალაქ ჟენევაში „მერების ფორუმსა და ურბანული მდგრადობის კვირეული“ გაიმართა თემით „ურბანული რეგენერაცია 2030 წლისათვის“. მასში მონაწილე ქალაქების ლიდერებმა წარმოადგინეს თავიანთი ქალაქების სტრატეგიული გეგმები, მოქმედებები და ერთობლივი ინიციატივები, მოხდა ქალაქებს შორის გამოცდილების გაზიარება ჭკვიანი და მდგრადი ქალაქების ხელშეწყობის შესახებ, განხილულ იქნა ქალაქების ურბანული დაგეგმარებისა და კლიმატ-ნეიტრალური განსახლების შესაძლებლობები. თბილისის მერიამ წარადგინა ქალაქის ეკონომიკური, ურბანული და სატრანსპორტო პროექტები. შეთანხმება მოხდა შემდგომ თანამშრომლობაზე რეკომენდაციების შესრულების პროცესში წარმოქმნილი კითხვებისა და გამოწვევების აღმოფხვრის გზების განსახილველად. ქალაქ უტრეხტში „ჯანსაღი ქალაქების ქსელის შეხვედრასა და კონფერენციაში“ განხილული იქნა საკითხები: ურბანული მომავალი-ყოველი თაობისთვის ერთობლივი მდგრადი ადგილების შექმნა; ქალაქების ძალა - ინკლუზიური ფსიქიკური ჯანმრთელობის დღის წესრიგის გაზიარება; ჯანმრთელობის ნავიგაციის როლი ეკონომიკის კეთილდღეობაში, ჯანმრთელობის წინსვლა ციფრულ ეპოქაში; მდგრადი/მოქნილი ქალაქების ხელშეწყობა საგანგებო სიტუაციების პირობებში. თბილისის მერია წარსდგა თემით კეთილდღეობის ეკონომიკა და თბილისში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გაკეთდა ანგარიში თბილისის მიერ

ჯანსაღი ქალაქების ქსელში აღებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. დაიგემა ქალაქებს შორის არსებული თანამშრომლობის გაღრმავება და სამომავლოდ ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; თბილისში ჩატარდა ევროპის რეგიონთა და მუნიციპალიტეტთა საბჭოს (C.E.M.R.) პოლიტიკური კომიტეტის სხდომა. C.E.M.R.-ის პოლიტიკური კომიტეტი C.E.M.R.-ის გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანოა. თბილისში ჩატარებული პოლიტიკური სხდომის ფარგლებში მოხდა თვითმმართველობების წინაშე არსებულ პოლიკრიზისებთან დაკავშირებით დისკუსიის გამართვა; პოლიტიკური კომიტეტის შემადგენლობის განახლება; ორგანიზაციის პოლიტიკური პრიორიტეტებისა და სამომავლო გეგმების განხილვა; ფინანსური ანგარიშების დამტკიცება; 2024 წლის ევროკავშირის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით C.E.M.R.-ის აქტივობების დაგეგმვა; 2023 წლის სამუშაო პროგრამის შესრულების ანგარიშისა და სხვადასხვა თემატური მოხსენების განხილვა; უკრაინის ადგილობრივი თვითმმართველობების მხარდამჭერი ღონისძიებების მიმოხილვა და სხვა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის მეორე დღეს C.E.M.R.-ის პოლიტიკური კომიტეტის წევრები ეწვივნენ სოფელ წეროვანში არსებულ დევნილთა დასახლებას, სოფელ ოძისში საოკუპაციო ხაზს და ადგილზე გაეცნენ არსებულ ვითარებას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წლისათვის თბილისის არის Delice Network საერთაშორისო ასოციაციების წევრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საგრანტო და თანადაფინანსებული პროექტების ხელმისაწვდომობა.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, გაეცნო ინოვაციური პროექტებს, დაიგემა მათი სამომავლო პერსპექტივაში განხილვა და პრაქტიკაში დანერგვა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს 10-მდე ეკონომიკური და საინვესტიციო ფორუმებში მონაწილეობა, თბილისის შესახებ მასალები გაგზავნილია 30-მეტ ქვეყანაში (ე.წ. "News Letter")

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 5 საინვესტიციო პაკეტის გაცნობა საერთაშორისო ბაზრისთვის.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო ღონისძიებაში, სადაც წარდგენილი იქნა თბილისის ენერგო-ეფექტური, ეკონომიკური, ურბანული და ტრანსპორტის განვითარების, ჰკვიანი და მდგრადი ქალაქების ხელშეწყობის და ტურიზმის მიმართულებით პროექტები.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 25.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებელის 26.0 ათასი ლარის 99.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 26.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 25.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევრო გადასახადი და გაწეულია საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის 2023 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის გამართული ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 660.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 626.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში ეკო-ტურიზმის განვითარების მიმართულებით ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) შექმნა; საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრენინგების ჩატარება, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაქალაქში ეკო ტურისტული მარშრუტის პოპულარიზაციის მიზნით კუს ტბის ტერიტორიაზე მოეწყო სხვადასხვა კატეგორიის (მარტივი, საშუალო და რთული) ველო და საფეხმავლო ტურისტული ბილიკი, სადაც განთავსდა ორენოვანი ნიშნულები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა. კერძო სექტორის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 6 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის 150-მდე წარმომადგენელი. დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო გამოფენებზე არსებულ კომპანიებსა და პოტენციურ ვიზიტორებს; ასევე თბილისის შესახებ სარეკლამო-საინფორმაციო ციფრული და ბეჭდური სტატიები განთავსდა საერთაშორისო გამომცემლობებში: Wanderlust Publications და National Geographic Traveller; ქალაქ მადრიდში "FITUR 2023", ქალაქ მილანში "BIT 2023", ქალაქ ბერლინში „ITB 2023“, ქალაქ დუბაიში „ATM 2023“ გამართულ ტურისტულ გამოფენებში თბილისის მერია წარმოდგენილი იყო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ქოლგის ქვეშ, სადაც დაინტერესებულ კომპანიებსა თუ სექტორის სხვა წარმომადგენლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ

სრულყოფილ ინფორმაციას თბილისის ტურისტული პოტენციალისა და პროდუქტების შესახებ. გამოფენაში ასევე მონაწილეობდა აჭრის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, იმერეთის ადგილის მართვის ორგანიზაცია და 80-მდე ქართული კერძო კომპანია. დაიგეგმა სამომავლო თანამშრომლობა თბილისის მერიასა და საერთაშორისო სამოგზაურო მედიის ორგანიზაციებთან, ასევე დაიგეგმა ტურისტული მიმართულებით მომუშავე მედიაკომპანიების გაცნობითი ხასიათის ვიზიტი თბილისში; ქალაქ ჟენევაში ჩატარებული „მდგრადი განვითარების რეგიონული ფორუმი“ მიემდვნა ქალაქების ურბანული დაგეგმარებისა და კლიმატ-ნეიტრალური განსახლების თემას. თბილისის მერიის მხრიდან განხილულ იქნა „ჰკვიანი მდგრადი ქალაქის პროფილის“ დოკუმენტი და მასში გათვალისწინებული რეკომენდაციები. მოხდა ანგარიშის წარდგენა უკვე შესრულებული რეკომენდაციების შესახებ, ასევე ამ მიმართულებით გაწეული სამუშაოების შესახებ. დაიგეგმა სტატისტიკის სამსახურთან შეხვედრების გამართვა, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საჭირო სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, შემდგომ შეხვედრებზე რეკომენდაციების შესრულების პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების აღმოფხვრის გზების განხილვა; ქალაქ კომინიოვში ჩატარდა „კომინიოვის ურბანული სოციალური ფორუმი - 2023“ სადაც, განიხილეს ქალაქების ურბანული განვითარებისკენ მიმართული გამოცდილებები, პრაქტიკაში დანერგილი მეთოდები. ასევე ქალაქების ტრანსფორმაციის ხელშეწყობა ინკლუზიურ, უსაფრთხო, პერსპექტიულ და თანაბარი შესაძლებლობების მქონე ქალაქებად, მუნიციპალიტეტების განვითარება და საუკეთესო ევროპულ პრაქტიკასთან დაახლოება; ჩატარდა ქალაქ ზაარბრიუკენში საინფორმაციო სემინარი „ქალაქის დაგეგმვისა და განვითარების გუნდის ჩამოყალიბება“ ორგანიზებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობის პროგრამის „კავკასიის ქალაქთა ქსელი“-ს მიერ. ვიზიტის ფარგლებში გერმანულმა მხარემ თბილისის მერიის წარმომადგენლებს გაუზიარა გამოცდილება „ბრაუნფილდების“ ფუნქციონირება და გამოუყენებელი მიწებისა და შენობა-ნაგებობების გარდაქმნის და ახალი დანიშნულების მიცემის შესახებ. ქალაქ

ზაარბრიუკენის ურბანული დაგეგმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გააცნო ინფორმაცია ქალაქ ზაარბრიუკენის მერიაში არსებული ქალაქის დაგეგმვისა და განვითარების გუნდის მუშაობის შესახებ პრეზენტაციის სახით, სადაც აღწერილი იყო ჯგუფის საქმიანობის მოდელი, სტრუქტურა და მუშაობის პრინციპი. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა მონახულეს მალშტატის რაიონში ახლადგანვითარებული უბნები. მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს ქალაქებს შორის თანამშრომლობისა და სამომავლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებისათვის; სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პარტნიორობის ფარგლებში დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად მოხდა ქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციების გადაღება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენა ფართო ბაზრებზე; ევროპის ქვეყნების ტურისტული კომპანიების წარმომადგენლების საინფორმაციო გაცნობითი ტურის ფარგლებში თბილისს ეწვია 10-მდე საერთაშორისო ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. ინფო ტურის ფარგლებში გაიმართა B2B შეხვედრები 20-მდე ადგილობრივ, თბილისში რეგისტრირებულ კომპანიასთან; გიდების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა გზამკვლევის „თბილისის გიდის“ პრეზენტაცია. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა ნომინაციებში მონაწილეების დაჯილდოების ცერემონიალი და მიზნობრივ აუდიტორიას გაეცნო და საჩუქრად გადაეცა გზამკვლევი „თბილისის გიდი“. გაიმართა „Welcome to Georgia“-ს რიგით მერვე ცერემონია და გამოვლინდა ტურიზმის სფეროში მოღვაწე გამარჯვებულები 24 ნომინაციაში; თბილისმა უმასპინძლა ყავის საერთაშორისო ფესტივალს „Tbilisi Coffee Festival“. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა მსოფლიოში ლიდერი ორგანიზაციის Specialty Coffee Association ის საერთაშორისო სერთიფიცირება, მონაწილე ორგანიზაციებისთვის და დამსწრეთათვის ჩატარდა: „ლატე არტისა“ და „ყავა და ალკოჰოლის“ ჩემპიონატი, ვორქშოპები, ყავისა და სტუმარ-მასპინძლობის სფეროს წარმომადგენელი კომპანიების გამოფენა/გაყიდვა. ფესტივალის მონაწილე იყო 30-მდე წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ბრენდი, თბილისი განთავსდა მარკეტინგული და ტურისტული აქტივობების

საერთაშორისო კალენდარში, რაც მომავალში ხელს შეუწყობს ჩვენი დედაქალაქის მსოფლიო ყავის რუქაზე მონიშვნის შესაძლებლობას; ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ადგილობრივ წარმომადგენლობასთან თანაორგანიზებით გაიმართა კონფერენცია - „ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ჯანსაღი ქალაქის პროექტი თბილისში და ჯანსაღი ქალაქების ეროვნული ქსელი საქართველოში“. ჯანსაღი ქალაქების ევროპის ქსელი აერთიანებს 88 ქალაქს და 20 ეროვნულ ქსელს ევროპაში, რომლებიც ახორციელებენ საკუთარი მოქალაქეებისა და ვიზიტორების ჯანმრთელობის ხელშეწყობ პროექტებს. ჯანმო კი უზრუნველყოფს აღნიშნული ქსელის პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ტექნიკურ მხარდაჭერას, ასევე მისი შესაძლებლობების განვითარებას. ღონისძიებაზე მოხსენებებითა და პრეზენტაციებით წარდგინეს როგორც თბილისის მერიის, ასევე დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები. გარდა ამისა, კონკრეტულ საკითხებზე ისაუბრეს ჯანსაღი ქალაქების ევროპის ქსელის წარმომადგენლებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა; თბილისის გასტრო კვირეულის - Tbilisi Gastro Week ღონისძიების ფარგლებში გაიმართა კონკურსი ახალბედა შეფ-მზარეულებს შორის, რომლის გამარჯვებულებიც ერთი თვის განმავლობაში სტაჟირებას გაივლის პორტუგალიაში, ორი მიშლენის ვარსკვლავის მქონე რესტორან „Ocean-ში“, შეფ ჰანს ნოინერის ხელმძღვანელობით. ასევე, ფართო საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა დაეგემოვნებინა როგორც მიშლენის ვარსკვლავის მქონე, ისე ადგილობრივი მზარეულების მიერ მომზადებული კერძები; თბილისში ჩატარდა მე-6 საერთაშორისო კონფერენცია „სტანდარტები ტურიზმში“. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო (დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, ჩინეთი) და ადგილობრივი სპიკერები, რომლებმაც გამართეს პრეზენტაციები და აღნიშნულ სფეროებში გამოცდილებები და გამოწვევები გააცნეს დაინტერესე აუდიტორიას. კონფერენციას ესწრებოდნენ 30-მდე ადგილობრივი ტურისტული კომპანიები, ბიზნეს ასოციაცია და ტურიზმის მკვლევარი ორგანიზაციები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2021-2022 წლებში ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი და ბიზნესის განვითარებისათვის განხორციელდა 13 პროფესიული ტრენინგი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება არანაკლებ 8 თემატური ტრენინგი

მიღწეული მაჩვენებელი - კერძო სექტორის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 6 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის 150-მდე წარმომადგენელი, ხოლო გასტრო კვირეულის ფარგლებში მსოფლიო დონის შეფ-მზარეულების მიერ მასტერკლასები ჩატარდათ კულინარიული ხელოვნების მოყვარულებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2021-2022 წელს მხარი დაეჭირა 5 თემატური ღონისძიების ორგანიზებას/თანაორგანიზებას. მონაწილეობა იქნა მიღებული 18-მდე საერთაშორისო გამოფენა-ფორუმში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თბილისის მერიის მიერ არანაკლებ 3 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ ღონისძიებაში მონაწილეობა (ორგანიზება/თანაორგანიზება).

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ ღონისძიებაში, დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე კომპანიებსა და პოტენციურ ვიზიტორებს.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2021-2022 წლებში ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნობრიობით და დედაქალაქის ახალი მიმართულებებით პოზიციონირებისათვის განხორციელდა ტურიზმის სექტორის გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგრების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების 30 ვიზიტი. 2019-2020 წლიდან, თბილისის არის საერთაშორისო ორგანიზაციების: ECM, EBD, WTTC, Nordic Tourism წევრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 10-მდე ვიზიტის ორგანიზება. საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - საინფორმაციო გაცნობითი ტურის ფარგლებში თბილისს ეწვია 10-მდე საერთაშორისო ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი

სკანდინავიის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. გაიმართა B2B შეხვედრები 20-მდე ადგილობრივ ტურისტულ კომპანიასთან. მიეწოდათ ინფორმაცია თბილისის ტურისტული პოტენციალის შესახებ. თბილისის შესახებ სარეკლამო/საინფორმაციო ციფრული და ბეჭდური სტატიები განთავსდა საერთაშორისო გამომცემლობებში: Wanderlust Publications და National Geographic Traveller.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული 3 შესწავლილი, მარკირებული და ინფრასტრუქტურულად მოწყობილი ბილიკი და საკემპინგე ადგილები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეიქმნება არანაკლებ 3 საკემპინგე ადგილი, რომელთა კონკრეტული ლოკაციები გამოიკვეთება შესწავლის შემდეგ.

მიღწეული მაჩვენებელი - კუს ტბის ტერიტორიაზე მოეწყო სხვადასხვა კატეგორიის (მარტივი, საშუალო და რთული) ველო და საფეხმავლო ტურისტული ბილიკი, სადაც განთავსდა ორენოვანი ნიშნულები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 35.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 29.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 83.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებული ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების ინფორმირებულობა, შემუშავებული მხარდაჭერის პროგრამები იდენტიფიცირებული პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდასაჭერად, შერეული ახალი სექტორების და პრიორიტეტული მიმართულებების გამოსავლენად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობით და საქართველოს ანგელოზ

ინვესტორთა ქსელის თანაორგანიზებით განხორციელდა საინვესტიციო ღონისძიება, რომელსაც დაესწრო ინვესტორთა ქსელის 120-მდე წევრი, 4 ტექნოლოგიური სტარტაპი და სხვა მოწვეული სტუმრები. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეებმა წარადგინეს თავიანთი საქმიანობების და გამოცდილებების შესახებ პრეზენტაციები. ორმა ტექნოლოგიურმა სტარტაპმა მოახერხა ინვესტორების მოზიდვა, რომლის შედეგადაც უკვე განხორციელებულია 50 ათას აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობით და საქართველოს ანგელოზ ინვესტორთა ქსელის თანაორგანიზებით განხორციელდა ღონისძიება „საინვესტიციო ეკოსისტემის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 250-მდე სტუმარი და 5 ტექნოლოგიური სტარტაპი. ღონისძიების ფარგლებში 5-მა ტექნოლოგიურმა სტარტაპმა წარადგინა თავიანთი; იდეები პოტენციური ინვესტორების წინაშე, ხოლო 10-მა ტექნოლოგიურმა სტარტაპმა წარადგინა მოკლე პრეზენტაციები თავიანთი საქმიანობების შესახებ. შედეგად, ორმა ტექნოლოგიურმა სტარტაპმა მოახერხა ინვესტორების მოზიდვა, რომლის შედეგადაც უკვე განხორციელებულია 80 ათას აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის საბჭოსთან 2023 წლის 24 მაისს გაფორმებული N8761/GA/Tbilisi საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, კახეთის რეგიონში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თბილისის მუნიციპალურ სამსახურებში ინფორმაციის, საჯარო სერვისებსა და პროგრამებზე ეთნიკური უმცირესობების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. ღონისძიებას დაესწრო 20 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურების წარმომადგენლებმა გააცნეს ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ. მონაწილეებმა მიღებული ინფორმაცია გააცნეს თავიანთი თემის წარმომადგენლებს და მოამზადეს შესაბამისი ანგარიშები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 10-ზე მეტი შეხვედრა პოტენციურ ინვესტორებთან, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად სექტორების

გათვალისწინებით; გაიმართა 2 შეხვედრა სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციებთან; მონაწილეობა მიღებული იყო 5-ზე მეტ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან; 3 შეხვედრა სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციასთან; 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან; მონაწილეობა 5-ზე მეტ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმში.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან; 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან დაუმთავრებელი და ავარიული შენობების მიმართულებით; თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ანგელოზ ინვესტორთა ორგანიზებით ჩატარებულ 2 საინვესტიციო ღონისძიებაში, სადაც ჯამში 4-მა სტარტაპმა მოახერხა ინვესტორთა მოზიდვა და განხორციელდა 130000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის ჩატარების შემდგომ 5 პრიორიტეტული სექტორი იდენტიფიცირებულია; შემუშავებულია 5 პროგრამა პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად.


დაგეგმილი მაჩვენებელი - გამოვლენილი 5 ახალი სექტორი; 5 პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად შემუშავებული მინიმუმ 2 პროგრამა.

მიღწეული მაჩვენებელი - ახალი სექტორები არ გამოვლენილა; პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად პროგრამა არ შემუშავებულა.


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი სექტორები გამოვლინდება „საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის“ ჩატარების შემდგომ; 5 პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად პროგრამების შემუშავება განხორციელდება სექტორების გამოვლენის შემდგომ.

❖ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება


ათასი ლარი



ათასი ლარი



05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 47,864.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 48,308.7 ათასი ლარის 99.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 6,347.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,339.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის სახურავის (31188.8კვ.მ) შეკეთების სამუშაოები (77 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (6551 გრძ.მ შეკეთება (42 მისამართი), შიდა და გარე წყალკანალიზაციის ქსელის შეკეთება (34 მისამართი), ლიფტის მოწყობის სამუშაოები (52 მისამართი), პანელოვანი შენობების სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია შეკეთების სამუშაოები (11 მისამართი), საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (28 მისამართი), დამონტაჟდა ლითონის კარი (33 ცალი),

განხორციელდა სადარბაზოს შესავლელის გადახურვის სამუშაოები (7 მისამართზე). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 229 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 221 განაცხადება.


05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 4,180.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,174.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი/ბრტყელი სახურავის შეკეთება – შეკეთება (105 მისამართი, 31652 კვ.მ), წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები (70 მისამართი, 3700 გრძ/მ), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის სამუშაოები (39 მისამართი, 95 სადარბაზო, 6726 გრძ/მ), ლიფტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (46 სადარბაზო), ლიფტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (20 სადარბაზო), სადარბაზოს ლითონის კარი და ლითონის ჭიშკარი (20 სადარბაზო), სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები (20 სადარბაზო), სადარბაზოს კიბეების და კიბის მოაჯირების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (10 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 626 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 219 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 809 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 214 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არ განხორციელდა განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანი.


05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 4,289. ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების შეცვლა-შეკეთების სამუშაოები (31 მისამართი), შენობის ქანობიანი სახურავის შეცვლა/შეკეთება (17 მისამართი), შენობის ბრტყელი სახურავის შეცვლა/შეკეთება (21 მისამართი), მრავალბინიან საცხოვრებელი სახლებში წყალსაწრეტი მილების შეცვლა – შეკეთება (29 მისამართი), სადარბაზოს კიბეების (8 მისამართი), სადარბაზოს კარების (ჭიშკარი) მიმდინარე/შეკეთება (22 მისამართი), ლიფტების მიმდინარე (50 სადარბაზო), კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (6 სადარბაზო), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს მიმდინარე რემონტის სამუშაოები (2 მისამართი), ერთ მისამართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გამლიერების სამუშაოები. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 309 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 170 განცხადება.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 4,167.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,857.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (12717 კვ.მ - 27 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (10 მისამართი) შეკეთებითი სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (11 მისამართი),

ლიფტების მიმდინარე შეკეთების (9 მისამართი) სამუშაოები, საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები (14 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების (9 მისამართი) და აივნების (6 მისამართი) მიმდინარე შეკეთება, საერთო სარგებლობის სადარბაზოს (5 მისამართი) და ჭიშკრის (კარის) მიმდინარე შეკეთება (21 მისამართი), ასევე, გაწეულია კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების და აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და შესაბამისი ესკიზური ნახაზების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 569 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 106 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 600-მდე განცხადებიდან დაკმაყოფილდა 117 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის არ განხორციელება. ასევე, დაკმაყოფილდა იმ ამხანაგობების

განცხადებები, რომელთა საერთო სარგებლობის ქონება უფრო მძიმე, სავალალო და ავარიულ მდგომარეობაში იყო.


05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 6,450.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,443.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (24900 კვ.მ - 33 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (1520 გრძ.მ - 12 მისამართი) შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (21 მისამართი), ლიფტების მიმდინარე შეკეთება (83 მისამართი). სადარბაზოს შიდა რემონტი (8500კვ.მ -24 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (7 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (4467გრძ.მ - 4 მისამართი), საერთო სარგებლობის აივნების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები (5 მისამართი). ასევე, გაწეულია სხვადასხვა მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 1015 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 212 განცხადება, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 966 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 189 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.


05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 4,900.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 4,890.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (8446 კვ.მ - 13 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (4 მისამართი) შეკეთება, ლიფტების მიმდინარე შეკეთების (96 მისამართი) სამუშაოები, საერთო სარგებლობის ჭიშკრის (6 მისამართი) შეკეთება და სადარბაზოს შიდა რემონტი (2 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (4 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (20 მისამართი) და პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (3 მისამართი). ასევე გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 539 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 166 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 589 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 148 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით. ასევე, წყალკანალიზაციის მიმართულებით სამუშაოები ხორციელდებოდა მხოლოდ დატბორილ სარდაფებში, ხოლო ლიფტების მიმართულებით - მხოლოდ გაჩერებული და უმოქმედო ლიფტების აღდგენა/შეკეთება ხორციელდებოდა.


05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 5,953.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,930.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავის (38770 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების (4078 გრძ.მ) შეკეთება (61 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (14 მისამართი -2622 კვ.მ), ლიფტების მიმდინარე შეკეთების (51 მისამართი) სამუშაოები, საერთო სარგებლობის ჭიშკრის, სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი (18 მისამართი), სადარბაზოს შიდა და თაღების მიმდინარე რემონტი (12 მისამართი), საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების აღდგენის სამუშაოები (8 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (3 მისამართი) და სენსორული განათების მონტაჟი (9 მისამართი), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (6 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 310 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 290 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 325 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 303 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა პირობებს.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 6,027.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,986.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინსტიტუტის განვითარება, მათი აქტიური ჩართულობა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობის საქმეში, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავების შეკეთების სამუშაოები (81 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის (33 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (39 მისამართი) და სართულშუა ნაპრალების (19 მისამართი) რეაბილიტაციის სამუშაოები, ლიფტების შეკეთება-აღდგენა (44 მისამართი), სადარბაზოს კარებების მონტაჟის სამუშაოები (12 მისამართი), სადარბაზოს შესასვლელის გადახურვის სამუშაოები (19 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთების სამუშაოები (12 მისამართი) და კარების

დამზადება/მონტაჟის სამუშაოები (16 მისამართი), სენსორული განათების მონტაჟი (9 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 755 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 222 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 864 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 271 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილების შენატანის განუხორციელებლობით.


05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 3,167.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,127.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ქანობიანი/ბრტელი სახურავის (16210,5 კვ.მ - 29 მისამართი), წყალსაწრეტი მილების მოწყობა (6 მისამართი), ლიფტების (21 მისამართი) შეკეთების სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (25 მისამართი), საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (3 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის (20 მისამართი) მოწყობა, საერთო სარგებლობის კიბეების (18 მისამართი) და აივნების (3 მისამართი) შეკეთება, სენსორული სანათების მონტაჟი (7 მისამართი), თაღების რემონტი (4 მისამართი). აგრეთვე, გაწეულია დეფექტური აქტების, ექსპერტიზის შედგენის ხარჯები და დაფარულია 2022 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 3.6 ათასი ლარი.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 130 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 120 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 248 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 145 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში


განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 2,824.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი (25 სადარბაზო) სახურავების შეკეთება; წყალსაწრეტი მილების შეკეთების სამუშაოები (21 მისამართი); წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები (19 მისამართი); საცხოვრებელი სახლების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (3 მისამართი); სადარბაზოების, თაღების, შეკეთების სამუშაოები (3 მისამართი); ეზოს საერთო სარგებლობის ჭიშკრის აღდგენა ან/და სადარბაზოს კარების დამზადება და მონტაჟის სამუშაოები (3 მისამართი), საერთო სარგებლობის ლითონის და ხის კიბეების, აივნების აღდგენის სამუშაოები (22 მისამართი); ამორტიზებული (მწყობრიდან გამოსული) ლიფტების მოდერნიზაციის სამუშაო (13

მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის და საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება/ექსპერტიზის მომზადების ხარჯები (80 მისამართი).



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს შემოსული 160 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.


მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 191 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად


❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ათასი ლარი



ათასი ლარი





06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 29,835.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 30,601.6 ათასი ლარის 97.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 02 დაავადებათა სკრინინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრი

2023 წლის გეგმა - 2,700.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,640.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, თბილისში რეგისტრირებული პირების (მ.შ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში, პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში, კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70

წლის ჩათვლით ორივე სქესისათვის, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში. გარდა ამისა, ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის მიერ გაწეულია 220.0 ათასი ლარის ხარჯი (მათ შორის: სამედიცინო აპარატურისა და კომპიუტერული ტექნიკის განსაახლებლად - 190 ათასი ლარი და ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის თანამშრომელებზე გაცემული ფულადი ჯილდო - 30.0 ათასი ლარი).

ცხრილი N1. ანაზღაურებულ შემთხვევათა რაოდენობა კომპონენტების მიხედვით:

თვე	ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა	სულ
2022 წლის დეკემბერი	4 892	4 464	702	899	2 161	13 118
იანვარი	2 615	3 553	460	689	1 990	9 307
თებერვალი	3 977	4 646	851	923	2 613	13 010
მარტი	3 961	4 238	790	987	2 242	12 218
აპრილი	4 183	4 569	595	701	3 068	13 116
მაისი	4 129	4 115	592	838	2 626	12 300
ივნისი	4 259	3 955	614	634	3 141	12 603
ივლისი	3 705	3 918	530	601	2 431	11 185
აგვისტო	2 736	2 744	185	376	1 361	7 402
სექტემბერი	4 605	4 668	708	951	3 202	14 134
ოქტომბერი	3 476	3 657	502	624	2 788	11 047
ნოემბერი	4 058	3 898	597	684	3 352	12 589
დეკემბერი 1-21	2 266	2 822	268	469	1 578	7 403
ჯამი	48 862	51 247	7 394	9 376	32 553	149 432

დანართი N2: მომსახურების ანაზღაურება კომპონენტების მიხედვით:

თვე	ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა	სულ
2022 წლის დეკემბერი	97 397	46 639	6 534	10 495	50 141	211 206
იანვარი	51 153	37 010	4 401	9 144	44 397	146 105
თებერვალი	80 924	48 232	7 659	12 380	57 428	206 623
მარტი	82 370	44 170	7 110	11 304	49 725	194 679
აპრილი	85 550	47 712	5 400	6 404	66 726	211 792
მაისი	82 623	43 200	5 328	10 906	56 726	198 783
ივნისი	83 512	41 315	5 526	10 971	67 947	209 271
ივლისი	74 394	43 274	5 139	8 662	61 067	192 536
აგვისტო	53 179	30 237	1 674	5 251	27 755	118 096
სექტემბერი	88 853	50 492	6 372	13 647	71 619	230 983
ოქტომბერი	69 113	38 134	4 518	8 470	59 640	179 875
ნოემბერი	78 005	40 818	5 373	8 233	70 475	202 904
დეკემბერი 1-21	45 847	29 532	2 412	5 902	33 376	117 069

ჯამი	972 920	540 765	67 446	121 769	717 022	2 419 922
------	---------	---------	--------	---------	---------	-----------

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წლის განმავლობაში ჩატარდა 130857 კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 127600 კვლევის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 149432 კვლევა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფიქსირდა მაღალი მომართვიანობა.

06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

2023 წლის გეგმა - 641.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 637.6 ათასი ლარით (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 555.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ავადობის პრევენცია, მართვადი ინფექციების გავრცელების შეზღუდვა/პრევენცია, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 64.1 ათასი ლარი). ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდემიოლოგია და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა; ინფექციების გავრცელების შეზღუდვების ღონისძიებების განხორციელება; დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათ პრევენციულ მკურნალობაში შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება და საჭიროების

შემთხვევაში დეზინფექცია - დეზინსექცია; იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა; სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა, გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2023 წლის იანვარ-დეკემბრის აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილი N1-ში მითითებული ნოზოლოგიები:

ცხრილი N1:

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავედუნემდამლამწვავეპოლიომიელიტი/ გიენ-ბარეს სინდრომი	2	მალარია	0
წითელა	11	ლეიშმანიოზი	20
წითურა	0	ექინოკოკოზი	46
ყივანახველა	21	ფასციოლოზი	11
ყბაყურა	3	ამებიოზი	2
ტუბერკულოზი	285	ტრიქინელოზი	5
ბაქტ.მენინგიტი	24	სიფილისი	862
ტუბ.მენინგიტი	5	თანდაყოლილი სიფილისი	0
მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB	0	სიფილისი ორსულებში	23
ვირ.მენინგიტი	79	გონორეა	151
მენინგოკოკცემია	1	ქლამიდიოზი	283
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	0	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	355
streptococcuspneumoniae –ით გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური პნევმონია	1069
streptococcuspneumoniae –ით გამოწვეული ინფექცია	0	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	330
ენტეროკოკემორაგიული ეშერიხიოზი	30	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	186
სალმონელოზი	100	15-49 წ. ქალთა სიკვდ.	11
შიგელოზი	2	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	10
ბოტულიზმი	2	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	2
სავ.ინფ.წარ.დიარეა	2065	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	3
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	679	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	55
სოკოთი მოშხამვა	31	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	356
ჯილეხი	0	ჰეპატიტი C	528
ბრუცელოზი	38	მწვავე ჰეპატიტი E	1

აივ –შიდსზე ტესტირებული	65238	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	3
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	5745	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	0
ლაიმის დაავადება	177	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	15
ტულარემია	8	დენგეს ცხელება	3
ჩუტყვაკვილა	3139	Q ცხელება	6
ქუნთრუმა	1486	ლეპტოსპიროზი	89
ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია	20066	აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	1
შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	5		

მიმდინარე პერიოდში თბილისის სამედიცინო დაწესებულებებში დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსაგავსი დაავადებების 109 919 ამბულატორიული და 5 836 ჰოსპიტალური შემთხვევა. გრძელდება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია გრიპის სეზონისთვის განსაზღვრულ რისკჯგუფებში. მიმდინარე პერიოდში აცრილია 54 453 მოქალაქე. ასევე, დეკემბრიდან განახლდა ანტივირუსული პრეპარატი - ტამიფლუს მიწოდება სამედიცინო დაწესებულებებსა და მოქალაქეებისათვის;

მუნიციპალური ცენტრის მიერ განხორციელდა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, კერებში - ეპიდკვლევა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ანგარიშგება ღზეი-ისა და ელექტრონული მოდულის მიხედვით და ასევე ვაქცინების მიღება (დკსჯეც-იდან), შენახვა და გაცემა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მომაწილე დაწესებულებებში. ასევე, ჩატარდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები, მათთვის საჭირო ანტირაბიული სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ვაქცინებისა და იმუნოგლობულინის განაწილება ანტირაბიულ კაბინეტებში. მგბ+ ავადმყოფებთან ეპიდანამნეზით დადგინდა კონტაქტში მყოფი სავარაუდო ინფიცირებული პირები და ცენტრმა განახორციელა მათი მიმართვა ფტიზიატრიულ სამსახურში, ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა ტუბერკულოზით დაავადებულ ეგრეთწოდებულ ინდექს პაციენტებისა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა ელექტრონული აღრიცხვა-შეტყობინება-შესწავლის თვალსაზრისით, ონლაინ

ფლატფორმის საშუალებით. ასევე, ოფიციალურად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარიმართა ტუბერკულოზით დაავადებულ ყოფილ პაციენტებში ეპიდგამოკვლევა, მკურნალობაზე ცუდი დამყოლისა და რეიზისტენტული შტამით დაავადებულ პაციენტთა ეპიდზედამხედველობა;

ზამთრის პერიოდში მოიმატა ჩუტყვავილის შემთხვევებმა, ცენტრის მიერ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ბალებსა და სკოლებზე. ჯგუფური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, ცენტრის მიერ განხორციელდა სათანადო მითითებების გაცემა პასუხისმგებელ სამედიცინო მუშაკთა და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებზე; გრძელდებოდა კორონავირუსის (ქვეყანაში შემოსული ყველა დასახელების ვაქცინით) საწინააღმდეგო ვაქცინაციაში მონაწილე დაწესებულებების რეგისტრაცია და მათთვის საჭირო ვაქცინებით უზრუნველყოფა. ყოველთვიურ რეჟიმში მიმდინარეობდა კოვიდაცრებში ჩართული დაწესებულებებიდან ინფორმაციის მოწოდება. შემოწმდა სილამაზის სალონები პროტოკოლის მიხედვით: ივლისი-აგვისტოს თვეებში შემოწმდა 51 სილამაზის სალონი, არ შემდგარა საჯარიმო ოქმი, მაგრამ რამოდენიმე სალონში გამოვლინდა პატარა ხარვეზები. მე-4 კვარტლის პერიოდში შემოწმდა 94 სალონი, საჯარიმო ოქმი შედგა - 1 შემთხვევაში. მე-3 და მე-4 კვარტლის პერიოდში იმატა COVID-19 შემთხვევებმა. ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა C ჰეპატიტის და ორსულთა კომბინირებული ტესტების მიღება-განაწილება სამედიცინო დაწესებულებებში. აგვისტოს თვეში გამოვლენილია და შესწავლილია სალმონელოზის 8 შემთხვევა, რვავე შემთხვევა უკავშირდება ერთ-ერთი მაღაზიის ქსელში (სხვადასხვა მისამართზე) ნაყიდ ერთი და იგივე პროდუქტს (კიევური კოტლეტი). საკითხი იქნა მოკვლეული და გადაგზავნილი სურსათის ეროვნულ სააგენტოში; პაპილომაავირუსის საწ. ეპიდჩვენების აცრებში გაიზარდა ასაკობრივი ზღვარი ნაცვლად 13-18 წლის აცრები ჩატარდება 13-26 წლის ასაკობრივ ჯგუფებში;

იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში განხორციელდა ეპიდზედამხედველობა და რიგგარეშე მონიტორინგი პროფაცრების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში. შედგა და გადაიგზავნა კალენდარული აცრებით

მოცვის მრავალწლიანი დინამიკა სათანადო შეფასებების გასაკეთებლად და ადგილზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად. სოციალური ქსელების საშუალებით მოხდა მოსახლეობის ინფორმირება იმუნიზაციის მნიშვნელობასა და მისი დროული ჩატარების შესახებ. ასევე განხორციელდა ეპიდზედამხედველობა და მონიტორინგი სათანადო დამტკიცებული ფორმებით, იმუნიზაციის მიმწოდებლად რეგისტრირებულ სამედიცინო დაწესებულებებში პროფილაქტიკური აცრების განხორციელებასთან დაკავშირებით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი იყო 78%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი 55%.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 100013 ეპიდ. კვლევა, გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები 103672 შემთხვევა, პროფილაქტიკური აცრები - 255870 ჩხვლეტა/ჩაწვეთება, ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 18030, გრიპის ვაქცინით აცრილია 63040 ადამიანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 103 613 ეპიდ. კვლევა; გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები - 115 755 შემთხვევა; პროფილაქტიკური აცრები - 249 834 ჩხვლეტა/ჩაწვეთება; ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 20 066; გრიპის ვაქცინით აცრილია 55 999 ადამიანი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2022 წელს მონიტორინგი ჩატარდა 1407 დაწესებულებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მონიტორინგი ჩატარდება 1200 დაწესებულებაში.

მიღწეული მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, მონიტორინგი ჩატარდა 1300 დაწესებულებაში.

06 01 04 სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 495.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე ბენეფიციარებისათვის ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების ოპერაციები დაუფინანსდა 85 ბენეფიციარს. ინფორმაცია დაფინანსების მოცულობასა და ბენეფიციარების რაოდენობაზე მოცემულია ცხრილი 1-ში.

ცხრილი 1. დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

დაწესებულების დასახელება	საანგარიშგებო თვე	მოსარგებლეთა რაოდენობა საანგარიშგებო თვის მიხედვით	ანაზღაურებული თანხა
შპს მედ ინვესტმენტი	ოქტომბერი	4	21 573
	ნოემბერი	1	4 550
შპს იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა	ოქტომბერი	1	6 000
	ნოემბერი		
შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	ოქტომბერი	1	6 000
	ნოემბერი		
შპს წმ.მიქაელ მთავარანგელოზის სახ.მრავალპროფილიანი კლინ. საავადმყოფო	ოქტომბერი	1	6 000
	ნოემბერი		
შპს ნიუ ჰოსპიტალს	ოქტომბერი	11	64 570
	ნოემბერი	5	30 000
შ.პ.ს. „მედი ქლავ ჯორჯია“	ოქტომბერი	3	16 982
	ნოემბერი	1	4 875
შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა	ოქტომბერი	5	29 600
	ნოემბერი	3	18 000
შპს ინოვა	ოქტომბერი	3	18 000
	ნოემბერი		
შპს თოდუას კლინიკა	ოქტომბერი	2	12 000
	ნოემბერი		
სს გერმანული ჰოსპიტალი	ოქტომბერი		
	ნოემბერი	3	18 000
სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა“	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000

სს „ვიანი“ კარავს მედლაინი	ოქტომბერი	12	68 726
	ნოემბერი	1	6 000
ს.ს. „ვიანი“ - ივ. ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000
სს ჯერარსი	ოქტომბერი		
	ნოემბერი	3	18 000
შპს ავერსის კლინიკა	ოქტომბერი	2	12 000
	ნოემბერი	1	6 000
შპს აკად ნ.ყიფშიძის სახ. ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა	ოქტომბერი	1	5 320
	ნოემბერი		
შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000
შპს მ. კაციაშვილის მრავალპროფილური, გადაუდებელი დახმარების ცენტრი	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000
შპს ს. ხეჩინაშვილის სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკა	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000
შპს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა	ოქტომბერი		
	ნოემბერი	1	6 000
შპს ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ	ოქტომბერი		
	ნოემბერი	5	30 000
შპს ვივამედი	ოქტომბერი	1	6 000
	ნოემბერი	1	6 000
შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო	ოქტომბერი		
	ნოემბერი	3	14 985
შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	ოქტომბერი		
	ნოემბერი	2	12 000
შპს ჯეო ჰოსპიტალს	ოქტომბერი	1	6 000
	ნოემბერი	1	6 000
სულ:		85	495 181

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 83 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 85 ბენეფიციარი.

06 01 05 გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური

მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 2,488.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,483.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის და მონიტორინგის კვლევების ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამკურნალო მედიკამენტები „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“, თავის ტვინის, ხერხემლისა და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის (ქიმიური აგენტის დახმარებით) კვლევები. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე 15-დან 60 წლის ასაკის ჩათვლით საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ, ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში), გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი..

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს მედიკამენტი უფინანსდება წესით დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 80%-ის მოცულობით (თანაგადახდა შეადგენს 20%-ს). „თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“ უფინანსდებათ 350 ლარით, ხოლო „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“ უფინანსდებათ არაუმეტეს 425 ლარით.

ცხრილი 1: დაფინანსებული ფინგოლიმოდის რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა

მედიკამენტის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ფინგოლიმოდი	დეკემბერი 2022	27	124 051
	იანვარი	17	78 640
	თებერვალი	13	60 918
	მარტი	23	107 437
	აპრილი	15	67 563
	მაისი	20	91 931
	ივნისი	27	121 836
	ივლისი	20	91 984
	აგვისტო	14	64 241
	სექტემბერი	23	104 062
	ოქტომბერი	33	173 893
	ნოემბერი	30	165 032
სულ		262	1 251 588

ცხრილი 2. დაფინანსებული ოკრელიზუმები რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა

მედიკამენტის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ოკრელიზუმები	დეკემბერი 2022	10	100 800
	იანვარი	7	72 000
	თებერვალი	3	31 200
	მარტი	9	86 400
	აპრილი	5	48 000
	მაისი	12	120 000
	ივნისი	12	122 400
	ივლისი	16	163 200
	აგვისტო	7	67 200
	სექტემბერი	10	96 000
	ოქტომბერი	13	156 000
	ნოემბერი	13	156 000
სულ		117	1 219 200

ცხრილი 3: თავის ტვინის მრტ კვლევების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა საანგარიშო პერიოდში

კვლევის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებული კვლევის რაოდენობა	გადარიცხული თანხა
თავის ტვინის მრტ კვლევა	დეკემბერი 2022	1	350
	თებერვალი	1	350
	მარტი	3	1 050
	აპრილი	1	350
	მაისი	1	350
	ივნისი	3	1 050
	ივლისი	1	350
	აგვისტო	3	1 050
	სექტემბერი	1	350
	ოქტომბერი	0	0

	ნოემბერი	3	1 050
სულ		18	6 300

ცხრილი 4. ხერხემლისა და ზურგის ტვინის კვლევების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა საანგარიშო პერიოდში

კვლევის დასახელება	საანგარიშგებო თვე	დაფინანსებული კვლევის რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ხერხემლის და ზურგის ტვინის მრტ კვლევა	იანვარი	0	0
	თებერვალი	0	0
	მარტი	0	0
	აპრილი	0	0
	მაისი	1	775
	ივნისი	3	2 325
	ივლისი	1	775
	აგვისტო	3	2 325
	სექტემბერი	0	0
	ოქტომბერი	0	0
	ნოემბერი	0	0
	სულ		8

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობაა - 111.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 102 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 140 ბენეფიციარი.

06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 8,974.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,905.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი,

შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა); ბაზისური მომსახურება (სტანდარტიზებული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით, თვეში მაქსიმუმ 20 სეანსი), თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 14 სეანსს; 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 12 სეანსს და 12-17 წლის ასაკის ჩათვლით - მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. ხოლო თვეში 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10; 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლებსათვის – ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10 და 12-17 წლის ასაკის ჩათვლით - მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე. არასტანდარტული მომსახურების ფარგლებში - მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე, ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით. სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს; თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1 850 ბენეფიციარი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურებები (ბაზისურიც და ინდივიდუალური განვითარების გეგმით) ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაც თვეში არაუმეტეს 450 ლარი, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სეანსის არჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულებაც ვაუჩერის სრული ღირებულების 70%. ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, ან ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით განხორციელებული სეანსი.

ცხრილი N1. მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა, ანაზღაურებული სეანსების რაოდენობების მიხედვით.

მიმწოდებელი დაწესებულება	სეანსების რაოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“	161 286	718	3 543 050
სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის “ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კლინიკა“	13 405	83	288 390
რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“	38 612	175	906 985
შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“	11 902	60	314 383
ა(ა)იპ პირველი ნაბიჯი საქართველო	35 026	164	778 020
შპს „ფაზლი“	78 967	368	1 761 595
ვალეო 2011	37 615	170	834 820
რეჰაბი	5 229	33	132 434
„ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“	15 704	79	345 650
სულ ჯამი:	397 746	1 850	8 905 327

*შენიშვნა: ცხრილში შესულია 2022 წლის დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2023 წლის ბიუჯეტიდან

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1550 ბავშვს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია თვეში საშუალოდ 1850 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 5,547.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,243.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 94.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: HER2-დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ და მეტასტაზურ სტადიაზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი სამკურნალო მედიკამენტები: HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის

>2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; ბ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ სამი ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, მედიკამენტი უფინანსდებათ სრულად, პროგრამით გათვალისწინებული ტარიფის შესაბამისად, თანაგადახდის გარეშე, ხოლო ყველა სხვა მოსარგებლეს – 80%-ით, გარდა „ბ“ ქვეკუთხედით გათვალისწინებული ტრასტუზუმაბის დაფინანსების შემთხვევისა, როდესაც მედიკამენტი-ტრასტუზუმაბი ფინანსდება ღირებულების – 50%-ის მოცულობით (ასეთ შემთხვევაში, პაციენტის თანაგადახდა შეადგენს ქვეპროგრამით დადგენილი მედიკამენტის ღირებულების ლიმიტის 50%-ს).

ცხრილი N1: დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

ერთეულის პროგრამული კოდი	ბენეფიციარების რაოდენობა	დაფინანსებული ამპულების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტრასტუზუმაბი	112	1344	1 687 424
ტრასტუზუმაბი + პერტუზუმაბი, ფესგო	72	1117	3 369 441
ლაპატინიბი	13	200	183 711
ჯამი	197	2661	5 240 576

შენიშვნა: დამატებით, სახელფასო ფონდმა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეადგინა 3200 ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წლის განმავლობაში დაფინანსდა 238 შემთხვევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაფინანსდება 230 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 197 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაფიქსირდა მომართვიანობის შემცირება.

06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 760.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 755.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში.

ცხრილი 1. მოსარგებლეთა რაოდენობა დაწესებულებებისა და თვეების მიხედვით:

საანგარიშგე ბო თვე	აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა	ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში				სულ
	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	ქართულ- ავსტრიული ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქიატრიუ ლი ცენტრი - შპს „სანანი კიდსი“	ფსიქოსოცია ლური დახმარების ასოციაცია ნდობა	
2022 წლის დეკემბერი	104	45	45	15	15	224
იანვარი	104	45	45	15	15	224
თებერვალი	108	45	45	15	15	228
მარტი	110	45	45	15	15	230
აპრილი	113	45	45	15	15	233
მაისი	112	45	45	15	15	232
ივნისი	114	45	45	15	15	234
ივლისი	112	45	45	15	15	232
აგვისტო	110	0	45	11	0	166
სექტემბერი	113	45	45	15	15	233
ოქტომბერი	115	45	45	15	15	235
ნოემბერი	114	45	45	15	15	234
სულ	1 329	495	540	176	165	2 705

ცხრილი 2. გადარიცხული თანხების ოდენობა დაწესებულებებისა და თვეების მიხედვით

საანგარიშგებო თვე	აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა	ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში				სულ
	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	ქართულ-ავსტრიული ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქიატრიული ცენტრი - შპს „სანნი კიდსი“	ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	
2022 წლის დეკემბერი	28 560	11 975	13 500	4 300	4 500	62835
იანვარი	28 529	12 450	13 500	4 350	4 500	63329
თებერვალი	29 000	11 700	13 500	4 300	4 500	63000
მარტი	30 023	11 625	13 500	4 350	4 500	63998
აპრილი	30 529	12 100	13 500	4 375	4 500	65004
მაისი	30 863	12 875	13 500	4 325	4 500	66063
ივნისი	31 397	11 450	13 500	4 350	4 500	65197
ივლისი	30 394	12 450	13 500	4 375	4 500	65219
აგვისტო	29 725	0	13 500	3 200	0	46425
სექტემბერი	29 792	12275	13 500	4 450	4500	64517
ოქტომბერი	30 999	11825	13 500	4 375	4500	65199
ნოემბერი	30 781	11750	13 500	4 450	4500	64981
სულ	360 592	132 475	162 000	51 200	49 500	755 767

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 212 ბენეფიციარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა თვეში საშუალოდ 218 ბენეფიციარისათვის.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 212 ბენეფიციარს.

06 01 13 ტრანსპლანტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 8,990.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,674.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოპემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მემორანდუმებით (პალიატიური ზრუნვა და ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა) გათვალისწინებული ხარჯების ასანაზღაურებლად ა(ა)იპ „წმინდა მამა გაბრიელის სახელობის მიუსაფარ მოხუცთა პალიატიური ჰოსპისისათვის“ – 145.9 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფარის ფუნქციონირების (მათ შორის ავტომობილის, კომპიუტერების, კონდიციონერის შეძენა) ხელშეწყობის ხარჯები - 1,560.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში ლილოს მიუსაფართა თავშესაფარში სოციალური მუშაობის მხარდაჭერა განხორციელდა 220 ბენეფიციარის შემთხვევაში (ქალი - 74, კაცი - 146); სოციალური მუშაკების მიერ მომზადდა 74 შემთხვევის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, გაიწერა ამდენივე ინდივიდუალური მომსახურების გეგმა, 141 შემთხვევა გადაისინჯა და დაისახა ახალი გეგმები; ბენეფიციარებთან სულ განხორციელდა 2546 ინდივიდუალური შეხვედრა (ინდივიდუალური კონსულტირება - 223, ინდივიდუალური შეხვედრა შეფასების მიზნით - 193,

კონსულტაცია - 2130, სხვა საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით - 608; ბენეფიციარის საჭიროებისამებრ ვიზიტი სხვადასხვა ორგანიზაციაში - 36), 387 ჯგუფური შეხვედრა, 181 გეგმიური „ოთახის საათი“, 206 დაუგეგმავი; 144 - ჯერ ჩატარდა სხვადასხვა ჯგუფური აქტივობა (მათ შორის: ინტელექტუალური თამაში „რა, სად, როდის?“, „მელომანი“; ტურნირი ნარდში/დომინოში; კინოკლუბი; შრომითი თერაპია); ბენეფიციართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროცესში, მომსახურების მიღების მიზნით, სოციალურმა მუშაკებმა 135 ბენეფიციარი საჭიროებისამებრ გადაამისამართეს სხვადასხვა ორგანიზაციაში; ფსიქოლოგმა მომსახურება გაუწია სულ 53 ბენეფიციარს (მათ შორის ქალი - 26, კაცი - 27, ხოლო ახალი ბენეფიციარი - 36); განხორციელებული ფსიქოლოგიური სესიების რაოდენობა: 164 (გეგმიური 116, დაუგეგმავი - 45); ფსიქოლოგის მიერ განხორციელდა 28 ერთჯერადი, 4 პირველადი შეფასება და 18 შემთხვევის გადაფასება და სხვა.

ვარკეთილის სოციალურ საცხოვრისში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 624 ინდივიდუალური კონსულტაცია; 560 შეხვედრა ოჯახებთან; 189 ბენეფიციარი გადაამისამართდა საჭიროებისამებრ გარე სერვისებთან. ასევე, ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები (კინოკლუბი 9-ჯერ, ცოდნის სამყარო 40-ჯერ, ტრენინგი-პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სწავლება ერთხელ, ზრდასრული ბენეფიციარებისთვის). სულ, დაგეგმილ აქტივობებში ჩართული იყო 175 ბენეფიციარი; ფსიქოლოგმა მომსახურება გაუწია 76 ბენეფიციარს (ქალი 33, კაცი 9, არასრულწლოვანი 34);

ორხევის სოციალურ საცხოვრისში სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 1 ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება, მომზადდა 8 შემთხვევის გადასინჯვა და ახალი ინდივიდუალური მომსახურების გეგმა; სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 866 ინდივიდუალური შეხვედრა, 815 ოჯახებთან შეხვედრა, ჩატარდა 2 ოჯახური კონფერენცია, 261 ბენეფიციარი საჭიროებისამებრ გადაამისამართდა გარე სერვისებთან; ჩატარდა არასრულწლოვანთა განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობები (კინოკლუბი 11-ჯერ, ცოდნის სამყარო 40-ჯერ, საგანმანათლებლო პროცესში მხარდაჭერა 40-ჯერ). სულ მონაწილეობა მიიღო 377-მა არასრულწლოვანმა ბენეფიციარმა; ფსიქოლოგმა

მომსახურება გაუწია ორხევის საცხოვრისში მცხოვრებ 98 ბენეფიციარს (ქალი 40, კაცი 12, არასრულწლოვანი 46);

სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე სოციალურ საცხოვრისებში სოციალური მუშაკების მიერ განხორციელდა 77 ოჯახის ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასება და შედგა ინდივიდუალური მომსახურების გეგმა; გადაისინჯა 50 შემთხვევა. სოციალური მუშაკის მიერ განხორციელდა 138 ინდივიდუალური შეხვედრა (ინდივიდუალური მომსახურების გეგმის შესაბამისად - 74 შეხვედრა; საჭიროებიდან გამომდინარე, დაუგეგმავი - 64 შეხვედრა); ოჯახებთან განხორციელდა 570 შეხვედრა (მათგან, ოჯახების მონიტორინგის მიზნით განხორციელდა 400 შეხვედრა); ჩატარდა 1 ოჯახური კონფერენცია; 300 ბენეფიციარი საჭიროებისამებრ გადამისამართდა გარე სერვისებთან;

საანგარიშო პერიოდში ლილოს თავშესაფარში და პალიატიურ ჰოსპისში (პალიატიური ზრუნვის და ალკოჰოლური თრობის ფარგლებში) იმყოფებოდა თვეში საშუალოდ 143 ბენეფიციარი.

ცხრილი 1. ბენეფიციართა რაოდენობა ლილოს თავშესაფარში თვისა და სქესის მიხედვით

თვე	რაოდენობა		
	მდედრობითი	მამრობითი	სულ
იანვარი	52	70	122
თებერვალი	50	72	122
მარტი	50	68	118
აპრილი	47	64	111
მაისი	49	63	112
ივნისი	48	59	107
ივლისი	50	63	113
აგვისტო	50	61	111
სექტემბერი	53	65	118
ოქტომბერი	52	69	121
ნოემბერი	58	74	132
დეკემბერი	58	80	138

ცხრილი 2. პალიატიური ზრუნვის ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა პალიატიურ ჰოსპისში თვისა და სქესის მიხედვით

თვე	რაოდენობა		
	მამრობითი	მდედრობითი	სულ
იანვარი	8	3	11
თებერვალი	8	2	10
მარტი	6	2	8
აპრილი	5	2	7

მაისი	5	4	9
ივნისი	4	4	8
ივლისი	4	4	8
აგვისტო	5	3	8
სექტემბერი	5	4	9
ოქტომბერი	4	4	8
ნოემბერი	4	5	9
დეკემბერი	4	5	9

ცხრილი 3. ალკოჰოლური თრობის ფარგლებში ბენეფიციართა რაოდენობა პალიატიურ ჰოსპისში თვისა და სქესის მიხედვით

თვე	რაოდენობა		
	მამრობითი	მდედრობითი	სულ
იანვარი	29	5	34
თებერვალი	23	7	30
მარტი	18	8	26
აპრილი	13	10	23
მაისი	17	10	27
ივნისი	19	5	24
ივლისი	6	2	8
აგვისტო	4	3	7
სექტემბერი	3	7	10
ოქტომბერი	2	11	13
ნოემბერი	1	15	16
დეკემბერი	1	5	6

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მომსახურებით (თავშესაფარი, ჰოსპისი) ისარგებლა საშუალოდ თვეში 137 ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია საშუალოდ 174 ბენეფიციარის მომსახურება (თავშესაფარი, ჰოსპისი, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირები).

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 147 ბენეფიციარმა (თავშესაფარი, ჰოსპისი, ალკოჰოლური თრობის ან სხვა პრობლემების მქონე პირები).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცდომილება გამოწვეულია მიუსაფართა თავშესაფარში და ჰოსპისში (პალიატიური ზრუნვა) ნაკლები მომართვინობით.

06 02 22 სოციალურად დაუცველი 18 წლამდე მკვეთრად და მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 1,321.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული, თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, 18 წლამდე ასაკის შშმ პირებისათვის, დადგენილი წესით გაიცა 2022 წლის დეკემბრის თვის კუთვნილი ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით 91 ბენეფიციარისათვის (მათ შორის 21 ბენეფიციარისათვის ასევე, გაიცა 2022 წლის მაისის კუთვნილი 400 ლარი), ხოლო 1606 ბენეფიციარისათვის გაიცა 2023 წლის მაისის კუთვნილი 400 ლარი და 1586 ბენეფიციარისათვის გაიცა 2023 წლის დეკემბრის კუთვნილი 400 ლარი.

ცხრილი N1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	138	217	355
ნაძალადევის რაიონი	103	157	260
დიდუბის რაიონი	26	58	84
ჩუღურეთის რაიონი	37	53	90
ისნის რაიონი	88	175	263
სამგორის რაიონი	170	210	380
ვაკის რაიონი	27	42	69
საბურთალოს რაიონი	43	94	137
მთაწმინდის რაიონი	8	33	41
კრწანისის რაიონი	24	54	78
სულ	664	1093	1757

ცხრილი N2. დაფინანსებულ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხის განაწილება რაიონების მიხედვით (ლარი)

რაიონი	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
გლდანის რაიონი	355	272400

ნამალადევის რაიონი	260	192400
დიდუბის რაიონი	84	64400
ჩულურეთის რაიონი	90	67600
ისნის რაიონი	263	198000
სამგორის რაიონი	380	283200
ვაკის რაიონი	69	50400
საბურთალოს რაიონი	137	103200
მთაწმინდის რაიონი	41	33200
კრწანისის რაიონი	78	56800
სულ	1757	1 321 600

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1349 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 1652 ბენეფიციარის დაფინანსება (წელიწადში ორჯერ).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა საშუალოდ თვეში 1596 ბენეფიციარი (წელიწადში ორჯერ).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციართა რაოდენობის ცვლილება.

06 02 23 „ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დღის ცენტრის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 84.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვების დღის ცენტრის მომსახურებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში „ვოლდ ვიჟენ საქართველოს“ აუნაზღაურდა (იანვრიდან ივლისის თვის ჩათვლით) შესრულებული სამუშაოს ღირებულება (ყოველთვე - 7 260 ლარი) 09.01.2023 წელს გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში №107-ე ბალის ტერიტორიაზე არსებულ

დღის ცენტრში ჩარიცხულ სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვისათვის, ხოლო აგვისტოში სააღმზრდელო პროცესი შეჩერებული იყო და მემორანდუმის თანახმად ანაზღაურდა - 4810 ლარი.

ცხრილი N1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	14	15	29
ნაძალადევის რაიონი	8	4	12
დიდუბის რაიონი		1	1
ვაკის რაიონი		1	1
საბურთალოს რაიონი	1	2	3
სულ	23	23	46

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 25 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო 24 ბავშვისათვის მომსახურების მიწოდება, საშუალოდ თვეში.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 02 24 სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

20223 წლის გეგმა - 543.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 531.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაეწია ქ.თბილისში „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზის“ მიხედვით, 150 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებში რეგისტრირებულ, მკვეთრად

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისათვის, დადგენილი წესით (განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ბენეფიციარი წლიურად იღებს 900 ლარის ფულად დახმარებას სამ ეტაპად, 300 ლარის ოდენობით თითოეულ ეტაპზე, მომსახურე ბანკიდან ბენეფიციართათვის გახსნილი ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ), 2022 წლის კუთვნილი ფინანსური დახმარება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ 12 ბენეფიციარს (მათ შორის ერთ პირზე გაიცა სამი თვის კუთვნილი თანხა თვეში 300 ლარი, ხოლო 9 პირზე ერთი თვის კუთვნილი - თვეში 300 ლარი), ხოლო 595 ბენეფიციარისთვის გაიცა 2023 წლის მაისის კუთვნილი 300 ლარი, 602 ბენეფიციარისათვის გაიცა 2023 წლის აგვისტოს კუთვნილი 300 ლარი და 563 ბენეფიციარისათვის გაიცა 2023 წლის დეკემბრის კუთვნილი 300 ლარი.

ცხრილი N1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	41	43	84
ნამალადევის რაიონი	47	27	74
დიდუბის რაიონი	14	11	25
ჩუღურეთის რაიონი	36	16	52
ისნის რაიონი	42	43	85
სამგორის რაიონი	48	44	92
ვაკის რაიონი	12	5	17
საბურთალოს რაიონი	23	9	32
მთაწმინდის რაიონი	17	11	28
კრწანისის რაიონი	59	56	115
სულ	339	265	604

ცხრილი N2. დაფინანსებულ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხის განაწილება რაიონების მიხედვით

რაიონი	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
გლდანის რაიონი	84	72300
ნამალადევის რაიონი	74	65700
დიდუბის რაიონი	25	22200
ჩუღურეთის რაიონი	52	47100
ისნის რაიონი	85	74100
სამგორის რაიონი	92	81300
ვაკის რაიონი	17	14700
საბურთალოს რაიონი	32	27600

მთაწმინდის რაიონი	28	24600
კრწანისის რაიონი	115	102000
სულ	604	531 600

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს საშუალოდ 593 ბენეფიციარს, წლის განმავლობაში სამჯერ დაერიცხა კუთვნილი დახმარება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა წლის განმავლობაში სამჯერ, საშუალოდ 604 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

06 02 25 სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 597.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 570.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა ახალშობილის შეძენისას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 100 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ 747 ოჯახს, რომელთაც შეეძინათ ახალშობილი, (მათ შორის 344 ოჯახს - პირველი ან მეორე შვილის შეძენისთვის, 206 ოჯახს - მე-3 შვილის შეძენისთვის, 123 ოჯახს - მე-4 შვილის, ხოლო 74 ოჯახს მე-5 და მეტი შვილის შეძენისათვის).

ცხრილი N1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონისა და სქესის მიხედვით

რაიონი	მდედრობითი	მამრობითი	სულ
გლდანის რაიონი	64	86	150
ნამალადევის რაიონი	62	74	136
დიდუბის რაიონი	12	19	31
ჩუღურეთის რაიონი	31	18	49
ისნის რაიონი	55	67	122

სამგორის რაიონი	79	90	169
ვაკის რაიონი	6	10	16
საბურთალოს რაიონი	19	20	39
მთაწმინდის რაიონი	9	6	15
კრწანისის რაიონი	13	14	27
სულ	350	404	754

ცხრილი N2. დაფინანსებულ ბენეფიციართა და გადარიცხული თანხის განაწილება რაიონების მიხედვით

რაიონი	ბენეფიციართა რაოდენობა	გადარიცხული თანხა
გლდანის რაიონი	150	107000
ნამალადევის რაიონი	136	98200
დიდუბის რაიონი	31	21100
ჩულურეთის რაიონი	49	34600
ისნის რაიონი	122	99700
სამგორის რაიონი	169	137500
ვაკის რაიონი	16	13200
საბურთალოს რაიონი	39	26800
მთაწმინდის რაიონი	15	12100
კრწანისის რაიონი	27	20600
სულ	754	570800

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დახმარება გაეწია 832 ბავშვის ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 808 ბავშვის ოჯახის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია 754 ბავშვის ოჯახს

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობის ცვლილება.

06 02 26 შინმოვლის თანადაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 372.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 363.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უძლურთათვის შინმოვლის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში“ 200 000 და ქვევით სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული თბილისში მცხოვრები ოჯახებისათვის მარტოხელა, საწოლსმიჯაჭვული პირების (ბართელის უძღურების შეფასების ინდექსი ≤ 95) დახმარება - შინმოვლა. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი ანგარიშის საფუძველზე ანაზღაურებული იქნა შესრულებული სამუშაოს ღირებულება: „დიაკვნის ევანგელურ ლუთერული საზოგადოებისათვის“ – 38.6 ათასი ლარი, „საქართველოს კარიტასისათვის“ – 126.4 ათასი ლარი, „ერთად მოყვასისათვის“ – 92.8 ათასი ლარი, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება - 94.3 ათასი ლარი და ბენეფიციართა შემფასებელი პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებისათვის (ახდენს ბენეფიციარებისთვის ბართელის ინდექსის მიჭებას) - 10.9 ათასი ლარი.

ცხრილი N1. ბენეფიციართა განაწილება თვისა და სქესის მიხედვით

თვე	მდედრობითი	მამრობითი	სულ
იანვარი	567	200	767
თებერვალი	560	203	763
მარტი	566	206	772
აპრილი	535	231	766
მაისი	565	215	780
ივნისი	568	200	768
ივლისი	559	199	758
აგვისტო	558	202	760
სექტემბერი	556	207	763
ოქტომბერი	560	203	763
ნოემბერი	556	200	756
დეკემბერი	540	191	731

ცხრილი N2. გადარიცხული თანხების განაწილება თვეებისა და რაიონების მიხედვით (ლარი)

რაიონი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გლდანის რაიონი	5073	6963	5081	5294	5491	5467	5388	5451	5 475	5 664	5 664	5 522
ნაძალადევის რაიონი	4860	2985	4671	4459	4364	4333	3884	4002	4 073	3 955	3 931	3 671
დიდუბის რაიონი	2107	1776	2021	1931	1926	1831	1964	1988	2 027	2 111	1 899	1 962
ჩუღურეთის რაიონი	3381	3636	3502	3344	3389	3158	3276	3103	3 221	3 095	3 135	3 040

ისნის რაიონი	2998	1791	3014	3038	3061	2991	2770	2778	2 815	2 749	2 899	2 804
სამგორის რაიონი	4706	6011	5075	5008	4914	5029	5014	4990	4 935	4 958	4 802	4 731
ვაკის რაიონი	1602	1071	1491	1562	1547	1491	1379	1379	1 308	1 308	1 200	987
საბურთალოს რაიონი	3070	3301	2857	2715	2957	2949	3044	3059	3 059	3 075	3 154	3 099
მთაწმინდის რაიონი	1182	638	1205	1182	1253	1253	1158	1205	1 182	1 182	1 182	1 134
კრწანისის რაიონი	985	1623	1008	985	1008	1079	1119	1071	1 119	1 150	1 119	977
სულ	29964	29795	29926	29518	29909	29581	28995	29027	29 213	29 247	28 983	27 928

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 761 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 578 ქალი, 183 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება საშუალოდ თვეში 900 ბენეფიციარის მომსახურება (მათ შორის საშუალოდ 630 ქალი, 270 კაცი)

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 762 ბენეფიციარს (მათ შორის საშუალოდ 558 ქალი, 204 კაცი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ბენეფიციართა ნაკლები მომართვიანობა.

06 02 28 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 850.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 827.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირების კულტურულ-შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და სხვა ინიციატივების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების ხარჯები - 77.1 ათასი ლარი; 18 წლის ასაკის ზემოთ ქალაქ თბილისში მცხოვრები შშმ პირებისათვის, რომლებიც სარგებლობენ დღის ცენტრების მომსახურებით, მომსახურების 20% თანადაფინანსება: ა(ა)იპ თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი -

5.9 ათასი ლარი, ა(ა)იპ კავშირი ია - 7.4 ათასი ლარი, ა(ა)იპ ასოციაცია ანიკა - 10.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება - 11.1 ათასი ლარი, ა(ა)იპ ასოციაცია იკა 21 - 1.0 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია - 10.7 ათასი ლარი, ა(ა)იპ სარეაბილიტაციო და სოციალური ადაპტაციის ცენტრი აისი - 13.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში - 6.7 ათასი ლარი, ა(ა)იპ მშობელთა ხიდი - 8.7 ათასი ლარი, ა(ა)იპ კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ - 26.3 ათასი ლარი, ა(ა)იპ საქართველოს ყრუთა კავშირი - 1.5 ათასი ლარი, ა(ა)იპ მშობლების თანადგომა - 1.4 ათასი ლარი, სულ ჯამში 12 დღის ცენტრი დაფინანსდა 104.1 ათასი ლარით. გარდა ამისა, დაფინანსდა საგარანტიო შესრულებები სხვადასხვა საჭიროებებისათვის - 562.3 ათასი ლარით, ა(ა)იპ საქართველოს უსინათლოთა კავშირი - გამცილებლის მომსახურება - 24.0 ათასი ლარით, ა(ა)იპ სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაცია - 16.6 ათასი ლარით, ა(ა)იპ „ხელი ხელს“ - 27.6 ათასი ლარით და ა(ა)იპ „ახალი ნაბიჯები“ - 16.0 ათასი ლარით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსდა 101 განცხადება/პროექტი


დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 110 განცხადება/პროექტის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 95 განცხადება/პროექტი


განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები მომართვიანობა.


❖ განათლება

ათასი ლარი



ათასი ლარი





07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 204,333.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 218,453.0 ათასი ლარის 93.5%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო.

2023 წლის გეგმა - 218,453.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 204,333.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 16,011.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 93.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ახალი ბაღების მშენებლობის დასრულება, ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა, ბაგა-ბაღებში რეგისტრაციის მსურველთა მოთხოვნის დაკმაყოფილება და აღსაზრდელთა სტანდარტის შესაბამისად მომსახურება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ვაუჩერული დაფინანსების სახით გაწეულია 183,687.1 ათასი ლარი (მათ შორის ბაგა-ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ბავშვთა კვების ხარჯები, კომუნალური

ხარჯები, შენობების დაცვის, ინვენტარის, ჭურჭლის, საკანცელარიო საქონელის და სათამაშოების შექმნის, ბაღების ნაწილი აღჭურვილი იქნა სამზარეულოს ტექნიკით, გათბობა ვენტილაციის სისტემების შეკეთების, გადაუდებელი რემონტების, ჩამოწერილი ინვენტარის გატანა - განადგურების და სხვა აუცილებელი ხარჯები). მომსახურება გაეწია სააგენტოს მიერ დაფუძნებულ 188 საბავშვო ბაგა-ბაღში 60 000-მდე აღსაზრდელს. ასევე, დაფინანსებულია ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 363.1 ათასი ლარი) ხარჯები და განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მათ შორის საზაფხულო (ივლისი) ბაგა-ბაღების პროგრამის ფარგლებში აღსაზრდელებს მომსახურება გაუწია 45-მა საბავშვო ბაგა-ბაღმა და სერვისით ისარგებლა 16 000 ბავშვმა.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა და გაიხსნა 3 საბავშვო ბაგა-ბაღი: სამგორის რაიონში განხორციელდა N130-ე საბავშვო ბაგა-ბაღის (ვარკეთილის მეურნეობა) ნაცვლად ახალი ბაღის მშენებლობა (გათვლილია 200 აღსაზრდელზე) ანაზღაურებულია - 1,342.4 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში ქინქლაძის N24-ში მდებარე N125 ბაგა-ბაღის მიწის ნაკვეთზე ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის (გათვლილია 145 აღსაზრდელზე) სამუშაოები ანაზღაურდა - 1,434.1 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში ოქროყანის დასახლებაში N108 ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობის (230 აღსაზრდელზე გათვლილი) სამუშაოები ანაზღაურებულია - 908.2 ათასი ლარი;

დასრულდა N89 საბავშვო ბაგა-ბაღის (გათვლილი 500 აღსაზრდელზე) ავარიული შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები - 2,265.1 ათასი ლარი და სამგორის რაიონში ჭიჭინაძის ქუჩაზე შეჩერებული ახალი ბაგა-ბაღის (64-ე საბავშვო ბაგა ბაღი) მშენებლობის (480 აღსაზრდელზე გათვლილი) სამუშაოები - 3,363.5 ათასი ლარი, რომელთა გახსნაც იგეგმება 2024 წლის იანვარში.

გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების და ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის სამუშაოები, რისთვისაც მიმდინარე პერიოდში ანაზღაურებულია - 9,287.6 ათასი ლარი. მათ შორის: ისნის რაიონში, ნავთლულში შეჩერებული ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის

მშენებლობის სამუშაოები - 724.9 ათასი ლარი, მე-2 ბაგა-ბაღის ავარიული შენობის გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები - 1,906.7 ათასი ლარი, განახლდა აშოტ კურაპალატის ქუჩაზე ახალი ბაგა - ბაღის სარემონტო სამუშაოები - 987.0 ათასი ლარი, განახლდა მე-19 ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულება და ავანსის სახით ანაზღაურებულია - 1,000.0 ათასი ლარი, სატენდერო ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით, ლილოს დასახლებაში ახალი ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის ავანსის სახით ანაზღაურებულია - 1,481.1 ათასი ლარი, N 6 საბავშვო ბაგა-ბაღის ძველი შენობის ნაცვლად ახალი შენობის მშენებლობისათვის გადახდილია - 1,859.6 ათასი ლარი, N109 საბავშვო ბაგა-ბაღის ძველი შენობის ნაცვლად ახალი შენობის მშენებლობისათვის ანაზღაურებულია - 1,328.3 ათასი ლარი. ასევე, ანაზღაურებულია 214 ლარი ახალი N108 საბავშვო ბაგა - ბაღის, ხოლო 600 ლარი - სააგენტოს კუთვნილი ავტომობილების რეგისტრაციის საჭირო მომსახურების საფასური და, ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის (2,5%) მიზნით გადახდილია - 9.6 ათასი ლარი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაწეულმა საექსპერტო მომსახურების ხარჯმა შეადგინა 9.1 ათასი ლარი, ხოლო პროექტების ექსპერტიზისა და ზედამხედველობისათვის (64-ე საბავშვო ბაგა-ბაღში, 43-ე საბავშვო ბაგა-ბაღში, მე-8 საბავშვო ბაგა-ბაღში და 84-ე საბავშვო ბაგა-ბაღში) ანაზღაურდა - 69.6 ათასი ლარი, რეხას ქუჩა N6-ში პროექტის ხარჯთაღრიცხვისთვის ანაზღაურდა 173.7 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა 1 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა, გრძელდება 12 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები, 2 ახალი ბაღის მშენებლობაზე გამოცხადებულია ტენდერი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულება, გამაგრება/რეაბილიტაცია ჩაუტარდება 2 ავარიულ საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას, გაგრძელდება 2 არსებული ბაღის ნაცვლად ახალი ბაგა ბაღის მშენებლობა. მომზადდება 3 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა (მათ შორის 1 გაიხსნება 2024 წელს) და 1 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (2024

წლის იანვარში გაიხსნება), გრძელდება 8 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - უმეტესმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სამუშაოების დასრულება და დაწყებულია კანონით დადგენილი პროცედურები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წლის ბოლოსთვის 187 ფუნქციონირებად საბავშვო ბაგა-ბაღში რეგისტრირებულია 58000-მდე აღსაზრდელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 192 საბავშვო ბაგა-ბაღში 62500-მდე აღსაზრდელის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - 188 საბავშვო ბაგა-ბაღი მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა ბაღებში არსებულ ადგილებზე და არ მოხდა 60000-ზე მეტი აღსაზრდელის დარეგისტრირება.

07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა დაფინანსებულია 23,125.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 26,448.8 ათასი ლარის 87.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2023 წლის გეგმა - 30.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 29.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მომართვიანობის შემთხვევაში, მოსწავლეების და სკოლების ჩართულობა არაფორმალურ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში (მათ შორის თბილისელი მოსწავლეების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო თემატურ ოლიმპიადებში და კონკურსებში).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პროექტის - „არტსკოლა“ განსახორციელებლად ა(ა)იპ „სასკოლო თეატრალური ფესტივალი არტსკოლა“. პროექტი მოიცავდა 25-45 წუთიან სპექტაკლის ჩვენებას (დაიწერა პიესა, რომელიც მოსწავლეებმა განახორციელეს სცენაზე სპექტაკლის სახით), სასკოლო თეატრალური ფესტივალი ჩატარდა კონკურსის სახით და დასრულდა გრანდიოზული დაჯილდოებით, სადაც გამოვლინდა სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული მოსწავლეები, გამარჯვებულ სკოლას კი გადაეცა გრან-პრი; ა(ა)იპ „უწყვეტი სამედიცინო განათლების საერთაშორისო აკადემიის“ (ს/კ 400121943) პროექტი - „ჯანსაღი ცხოვრების წესი - ჩვენი არჩევანია!“, რომელიც ითვალისწინებდა სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და პოპულარიზაციას, მისი საყოველთაოდ აღიარების მიზნით. პროექტი განხორციელდა თანატოლთა მეთოდოლოგიის პრინციპით, რაც გულისხმობდა თანატოლებში ინფორმაციის გავრცელებასა და მათ ინტერესს მოხალისეობრივად გააგრძელონ აღნიშნული საქმიანობა. პროექტი განხორციელდა ქ. თბილისის N 149 საჯარო სკოლაში და მოიცვა 15 თანატოლგანმანათლებლის მომზადება, მათთვის ტრენინგების ჩატარება და ინდივიდუალური კარიერული კონსულტაციები. 15-18 წლის მოსწავლეებთან გაიმართა მასტერკლასი პირველადი გადაუდებელი დახმარების შესახებ. ასევე, ჩატარდა კონფერენცია თემაზე: „ჯანსაღი ცხოვრების წესი ჩვენი არჩევანია“.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 4 პროექტი (მათ შორის ინკლუზიური საგანმანათლებლო პროექტები, სასკოლო ფესტივალები და კონკურსები), პროექტებში მონაწილე 50-ზე მეტი სკოლის 1000-მდე მოსწავლე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 2 პროექტი, პროექტებში მონაწილე 350-ზე მეტი მოსწავლე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლეებისთვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, მომართვის საფუძველზე დამატებითი სასწავლო წლის დაფინანსება ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი არ შესრულდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსწავლეთა ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის მიზნით, დაფინანსება დამოკიდებულია მომართვიანობაზე. შესაბამისად, 2023 წელს ამ მიზნობრიობით მოსწავლეებს არ მოუმართიათ.

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2023 წლის გეგმა - 21,396.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 20,412.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინფორმირებული თბილისის მოქალაქეები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტებისათვის) მიწოდებული ელექტრონული სერვისები, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და ტერიტორიულ ორგანოებში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოვლა და ტექნიკური მომსახურება, არასაცხოვრებელი ფართის იჯარა, ავტომობილის და კომპიუტერული ტექნიკის შეძენა, 8 ერთეული უსადენო წვდომის წერტილის (Wifi) შეძენა, მონაცემთა ბაზის

ვირტუალიზაციისა და ოპტიმიზაციის სისტემის ლიცენზიის, 2 ერთეული A ტიპის კომპუტატორის და Basic Support VMware-ის მხარდაჭერის (Support) ლიცენზიის შეძენა, სისტემური და ქსელური ინფრასტრუქტურის მონიტორინგის, ვიზუალიზაციისა და ანალიტიკის პროგრამის შეძენა, საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვის (ESBA) ლიცენზიის და არსებული Barracuda Email Security Gateway Virtual License 400-ის ლიცენზიის ვადის გაგრძელება, სასერვეროში არსებული Dell EMC PowerProtect Data Manager DD6400 სისტემის გაფართოების, manage engine password manager pro enterprise edition-ის მხარდაჭერის და ლიცენზიის განახლების, აპლიკაციების ეკოსისტემის მონიტორინგის სისტემის (Dynatrace) ლიცენზიების განახლების და ManageEngine Analytics Plus Standard Edition, Subscription Model-ის ლიცენზიის განახლების შეძენა, პროგრამული ლიცენზიის - Privileged Access Management (პრივილეგირებული წვდომის მართვის) სისტემის აპლიკაციების და ავტომატური ტესტირების ახალი პროგრამის შეძენა, სააგენტოში არსებული გამოთვლითი, ჰიპერ-კონვერგენტული აპარატის Dell EMC VxRail P570F-ის გაძლიერებისათვის 20 ცალი დისკის შეძენა, ეკოსისტემის მონიტორინგის სისტემის (Dynatrace) ლიცენზიების, Advanced Web Application Firewall-ის განახლების, ciscos სისტემის ლიცენზიის განახლების, არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის მხარდაჭერის და განახლების ლიცენზიების ვადის გაგრძელება) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,074.2 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

სისტემური ანალიზის დეპარტამენტის მიერ მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონული სერვისების გარკვეული ფუნქციონალების დამატება/ცვლილება. კერძოდ: ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა, მაღალმთიანი რეგიონებისა და სოციალური პროგრამების სისტემა, ტაქსი-თბილისი, პარკირების სისტემა, მომხმარებლის უფლებების მართვის სისტემა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, სამგზავრო ბარათების სისტემა, კონფიგურაციების მართვა, ელექტრონული განცხადებების სისტემა, ტრენინგი და დანერგვა, ინტერაქტიული რუკის სისტემა, ჯანდაცვის პროგრამების სისტემა,

მუნიციპალური სერვისების პორტალი, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სისტემა, სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვა, აუზით სარგებლობის სისტემა, ცხელი ხაზის სისტემა, უფასო კვების სისტემა, ადვოკატთა სისტემა, ელექტრონული შტამპის სისტემა, ნარჩენების მართვის სისტემა, სოციალური მომსახურების მოდული, მოქალაქეთა დახმარების სისტემა, თქვენი იდეა ქალაქის მერს, სოციალური ინფორმაციის მოდული, მუნიციპალური კალენდრის სისტემა, სამართალდარღვევებზე მიღებული გადაწყვეტილებების სისტემა, ელექტრონული მთავრობის სისტემა, ვიზიტორთა საშვების მართვის სისტემა და არქივი, სააგენტოს ვებ-გვერდი, საქმეებზე წაკითხულ/წაუკითხავი ფუნქციონალის სისტემა; ასევე, გაეშვა ტაქსების ახალი ელექტრონული სისტემა - Taxi.tbilisi.gov.ge, რომლის მეშვეობითაც მომხმარებლები შეძლებენ მართონ პირადი პროფილი, ნებართვები, დაკავშირებული მძღოლები და ავტომობილები, შესაძლებელია ნებართვაზე ავტომანქანისა და მძღოლის დამატება, მათი გაყიდვა თუ გასასხვისებლად განთავსება; გაეშვა თბილისის მერიისა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ერთობლივი, ახალი აპლიკაცია "FIX Tbilisi", რომელიც მოქალაქეებს შესაძლებლობას მისცემს, დედაქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, თბილისის მერიას ინფორმაცია უმოკლეს ვადაში მიაწოდონ, კერძოდ აპლიკაციაში მოქალაქეს საშუალება აქვს, დააფიქსიროს აღმოჩენილი დაზიანება, გადაუღოს სურათი და მონიშნოს ზუსტი ადგილმდებარეობა, რის შემდეგაც, დაფიქსირებული ხარვეზი ავტომატურად დაეწერება მერიის შესაბამის სამსახურს და მოქალაქე აპლიკაციის საშუალებითვე მიიღებს უკუკავშირს - თუ რა ეტაპზეა მის მიერ დაფიქსირებული პრობლემა; შეიქმნა ელექტრო ავტომობილების დამუხტვის სადგურების სისტემა;

პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ანალიტიკოსების მიერ შექმნილი პროექტებისა და სერვისების პროგრამული უზრუნველყოფა და მოდერნიზაცია. ასევე, სააგენტოში გატარდა და მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონულ სერვისების/პროექტების გარკვეული ცვლილებები (ფუნქციონალის ცვლილება/დამატება/გაუქმება), სამუშაო

პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის და ახალი მოთხოვნების წარმოშობის შედეგად, არსებული სისტემების გაუმჯობესების მიზნით;

სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ დანერგილი იქნა F5 BIG-IP Application Security Manager (ASM) (Web Application Firewall, WAF) აპლიკაციების უსაფრთხოების სისტემა, სატესტო რეჟიმში გაეშვა სასერვერო ინფრასტრუქტურის მონიტორინგისა და ანალიზის პროგრამა, დაიწყო არსებული უსადენო საჰაერო ქსელის (WI-FI) ფიზიკური აპარატურიდან ვირტუალურზე გადაწყობა, განახლდა ორაკლის ბაზის და ელექტრონული ფოსტის სერვერების ვერსიები, მოხდა მეილების ბაზის მიგრაცია. დამონტაჟდა ახალი 8 WI-FI მოწყობილობა, რისთვისაც ცალკე იქნა აწყობილი ქსელი, ჩატარდა PostgreSQL რეპლიკაცია, Oracle ბაზების მონიტორინგისთვის დაყენდა დამატებითი პროგრამა, სასერვეროებში დამონტაჟდა ახალი ქსელური მოწყობილობა, მიმდინარეობს მისი გამართვა. შემნახველ საცავზე დაემატა 20 დისკი, მოხდა ახალი ინფორმაციის სარეზერვო სანახის ფიზიკური მონტაჟი და შემდგომში პროგრამულად სისტემაში დამატება; შეძენილ იქნა და გაეშვა 1399 და 1398 ცხელ ხაზზე სტატისტიკის პროგრამა; მოხდა 1398-ზე მომუშავე თანამშრომლების დატრენინგება პროგრამის გამოსაყენებლად; WI-FI ქსელი გადაირთო ვირტუალურ კონტროლერზე (69 AP), მოხდა cyberark პროგრამის სატესტო რეჟიმში გაშვება, დაინერგა Distributed Denial of Service (DoS – attack) კიბერ თავდასხმისგან დაცვის პროგრამა, რეგულარულად ხორციელდება ყოველდღიური აპარატურული მონიტორინგი, სხვადასხვა ქსელური წერტილების გააქტიურება, ავტომატურ შეტყობინებებზე ახალი აპარატურის, პროგრამის აყვანა, ელექტრონული მეილებით, ტექსტური შეტყობინებებით შემოსული ინციდენტების მართვა და სხვა;

ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ მოხდა მომსახურების გაწევა კომპიუტერულ ქსელების 5131 ტექნიკურ და 42194 ელექტრონულ სერვისების საკითხზე;

მომსახურების ცენტრების დეპარტამენტის სერვის ცენტრებში მომსახურება გაეწია 526225 მოქალაქეს, დარეგისტრირდა (შემოვიდა ფოსტით და ელექტრონულად) 246510 კორესპონდენცია და ხელზე გაიცა - 26039. ასევე, გაიცა

22616 ტაქსის ლიცენზია და ტაქსების 1239 ტრაფარეტი, უფასო ზონალური პარკირების სისტემაში დარეგისტრირდა 4062 მოქალაქე, კონსულტაცია გაეწია 3915 მოქალაქეს და მოქალაქეთა პროფილის მართვის სისტემაში შეიქმნა/განახლდა 7418 მოქალაქის პროფილი;

ცხელი ხაზის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 546109 სატელეფონო ზარის მომსახურება;

საოპერაციო დეპარტამენტში დარეგისტრირდა ფოსტით და ელექტრონულად შემოსული 104434 კორესპონდენცია, ელექტრონულად გაიგზავნა - 65421 და ფოსტით - 116062 (მათ შორის მომსახურების ცენტრების მიერ ელექტრონულად და ფოსტით გაცემული კორესპონდენცია);

ხარისხის კონტროლის სამმართველოს მიერ განხორციელდა დისტანციური მომსახურების სამსახურის ცხელ ხაზზე შემოსული 23450 სატელეფონო ზარის მოსმენა. აქედან შეფასდა 148 სატელეფონო ზარი და შესაბამისად, მოხდა თანამშრომელთა საქმიანობის ყოველთვიური შეფასებაც; სამმართველო აქტიურად ახორციელებს მუნიციპალური სერვის ცენტრების მონიტორინგს, ადგილზე ვიზიტისა და დაკვირვების გზით და საანგარიშო პერიოდში ჯამური ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 535; მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით დამუშავდა ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 11 ერთეულისთვის, კერძოდ, თითოეული ერთეულისათვის კატეგორიების მიხედვით მომზადდა და გადაეგზავნათ ანგარიში კორესპონდენციის მოცულობის, დატვირთულობის და ვადაგადაცილებული წერილების რაოდენობის გათვალისწინებით; შემოწმდა დოკუმენტბრუნვის პროგრამაში დარეგისტრირებული განცხადებები ნომენკლატურის მიხედვით და მომზადდა არასწორი ნომენკლატურით დარეგისტრირებული განცხადებების სტატისტიკური ანგარიში;

პროფესიული განვითარების სამმართველოს მიერ საანგარიშო პერიოდში პირველ ეტაპზე ჩატარდა ტრენინგ-საჭიროებათა კვლევები და მოსამზადებელი სამუშაოები, ხოლო შემდგომ ეტაპზე მიმდინარეობდა ტრენინგები სხვადასხვა მოდულებში, მათ შორის: სტატისტიკური პროგრამა R, კომუნიკაციის

ფსიქოლოგია, კრიზისების მართვა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მართვის ფსიქოლოგია, ემოციური ინტელექტი, პირველადი სამედიცინო დახმარება და სახანძრო უსაფრთხოება, სახანძრო-სამაშველო, სამთო-სამაშველო და სიმაღლეზე სამაშველო სამუშაოების სწავლება, გეოსაინფორმაციო სისტემები, მომხმარებლის უფლებების დაცვა, ინვენტარიზაციის პროცესის მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში, Excel II დონე, სამუშაოს შესრულების მართვა და მოხელის შეფასება საჯარო სამსახურში, მოხელის მენეჯერული უნარები, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი, ნეიროლინგვისტური პროგრამირება, . ტრენინგები გაიარა სულ 1467-მა მოსამსახურემ (მათ შორის 945 - ქალი და 522 - მამაკაცი).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 25-მდე მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2000-მდე გადამზადებული თანამშრომელი, მათ შორის 2022 წელს 21 მოდულში ჩატარდა ტრენინგები და გადამზადებულია 1778 თანამშრომელი (ქალი - 60%, კაცი - 40%).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - 15 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 1467 გადამზადებული თანამშრომელი (მათ შორის 945 ქალი, 522- კაცი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თანამშრომელთა მიერ დაფიქსირდა მოთხოვნის ცვლილება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ სააგენტოს 11 სერვის ცენტრში, საოპერაციო დეპარტამენტში და ცხელ ხაზზე 1 500,0 ათასი მოქალაქისთვის მომსახურების გაწევა (მათ შორის 2022 წელს მომსახურება გაეწია სააგენტოს 11 სერვის ცენტრში 488267 მოქალაქეს, დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) - 515750 მოქალაქეს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოს მომსახურების ცენტრებში (11 სერვის ცენტრი) და საოპერაციო დეპარტამენტში მომსახურება გაეწია 1 123 941 მოქალაქეს, ხოლო დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) - 546109 მოქალაქეს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მომსახურების ცენტრებში მიმართვიანობის ნაკლებობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 30-მდე პროგრამული ლიცენზიის შეძენა-განახლება, ხოლო 3 წელიწადში ერთხელ თბილისის ურბანული ნაწილის ფოტორეალისტური 3D მოდელის შექმნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განახლდა 23 პროგრამული ლიცენზია, დაიგეგმა და დაიწყო 2024 წლის ორთო-ფოტოს გადაღება/დამუშავების ღონისძიებები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გარკვეულ პროგრამულ ლიცენზიებზე მოთხოვნის ცვლილება და ახალი პროგრამული ლიცენზიების მაღალი ფუნქციური შესაძლებლობები.

4.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის სასერვერი სისტემის შექმნა/გაფართოება/განახლების მიზნით, განხორციელდა ციფრული ინფორმაციის შემნახველი მასივების და სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნა/განახლება/ჩანაცვლება და მასთან დაკავშირებული საჭირო პროგრამების/ლიცენზიების შექმნა, სასერვეროს გამართვა, სასერვერო მასივების უსაფრთხოების სისტემების შექმნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. ამასთან, დაგეგმილია გაფართოებული სასერვერო მასივების მონაცემთა რეზერვირების სისტემის, გაგრილების სისტემის, უწყვეტი კვების და მუდმივი დენის წყაროების (იუპიესები, გენერატორები) შექმნა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა, გარდა სასერვერო სისტემებისთვის გაგრილების სისტემების და გენერატორების შექმნისა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სასერვერო სისტემების ტექნიკური პარამეტრების ცვლილების შედეგად არსებულ სასერვეროში გაგრილების სისტემების და გენერატორების შეყიდვის საჭიროება ამ ეტაპზე აღარ დგას.

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

2023 წლის გეგმა - 5,022.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,684.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 53.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება, სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების შესახებ მედია საშუალებებით გასული ინფორმაციის მონიტორინგი - 64.4 ათასი ლარი, თარგმანის მომსახურების ხარჯები - 9.4 ათასი ლარი, ხოლო სოციალური მედია, პირდაპირი ეთერით ღონისძიებების გადაცემა (საახალწლო გალა კონცერტი, პრეზენტაციები: ტაქსების რეფორმა, ისწავლე და დასაქმდი, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული ოჯახებისთვის და ავარიულ კორპუსში მაცხოვრებელი ოჯახებისთვის ბინების გადაცემა, მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის გახსნასთან და სამგორის რაიონში, რ.ხომელისა და გაბაშვილის ქუჩების მიმდებარედ არსებული სკვერის გახსნასთან დაკავშირებული ღონისძიებები, საპატიო თბილისელის დაჯილდოვების ღონისძიება, 2024 წლის საახალწლო ნამძვის ხის ანთება და მთავარი ღონისძიება) და ვიდეორგოლების განთავსება საეთერო სივრცეში - 240.6 ათასი ლარი.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა დღის ამბები, რომელიც თბილისის გამგეობებისა და მერიის სამსახურების ყოველდღიურ საქმიანობას ეხებოდა. ასევე, დამზადდა ვიდეო რგოლები: თბილისზე მზრუნველი (14 ვიდეო რგოლი), აკაკი წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის ვიდეო რგოლი (გრაფიკული), რილსები - 61, სატრანსპორტო პოლიტიკა (10 ვიდეო რგოლი), გამწვანება (12 ვიდეო რგოლი), ისწავლე და დასაქმდი (6 ვიდეო რგოლი), ტაქსების რეფორმა (2 ვიდეო

ტუტორიალი, საიმიჯო ვიდეო რგოლი), ეროვნული სკრინინგ ცენტრი (17 ვიდეო რგოლი), ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო (4 ვიდეო რგოლი, 5 ვიდეო), სპორტი და ხელოვნება უფროსი თაობისთვის 60+ (2 ვიდეო რგოლი), მეწარმეობის მხარდაჭერა (9 ვიდეო რგოლი), მარშალ გელოვანის გამზირისა და მუხრან მაჭავარიანის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზა (საიმიჯო ვიდეო რგოლი), თბილისი დღეს (3 ვიდეო რგოლი), საიმიჯო ვიდეო რგოლი თბილისზე, ბოტანიკური ბაღი - საიმიჯო ვიდეო რგოლი, 26 მაისის ვიდეო რგოლი, ახალგაზრდულის ლუპი (გრაფიკული ვიდეო ეკრანისთვის), 1 ივნისის ღონისძიება - ლუპი, სამგორის გამგეობა - ლუპი, თბილისობის პროგრამა და თბილისის მობილობის კვირეული (2 ვიდეო რგოლი), საპატიო თბილისელის პროფაილები (26 ვიდეო რგოლი), გამგეობების შემაჯამებელი (6 ვიდეო რგოლი და 10 ვიდეო რგოლების ქუდი), 2024 საახალწლო საიმიჯო ვიდეო და საახალწლო სოფლის გრაფიკული ვიდეო, გრაფიკული ვიდეო "თბილისის მერია გილოცავთ ახალ წელს";

დიზაინის მიმართულებით მომუშავე ჯგუფმა იმუშავა სხვადასხვა თემებზე, მათ შორის: ფაშანერები (მათ შორის შობა, მარიამობა, 8 აგვისტო, პანდუსი გოთუაზე, მ/ს ვარკეთილის რეაბილიტაცია, სტუდენტური დაფინანსება, მზიურის თემაზე, უსახლკაროების თემაზე, საგზაო გადაადგილება, საგზაო მოძრაობის შესახებ, საკუთრების მოწმობის გადაცემა, "ღვიძლის გადანერგვა ფინანსდება", სკრინინგის შესახებ, საზაფხულო ბაღების და საბავშვო ბაღებში რეგისტრაციის შესახებ); ინფოგრაფიკი ტრანსპორტის შესახებ; ტაქსების რეფორმა: ფლაერი, პრეზენტაცია, ბანერი, მოსაწვევი; სკრინინგის ღონისძიება: ბილეთები, ბილბორდი, ფბ სტილი, ბანერები, პროგრამა, ქავერი, მოსაწვევი; პრეზენტაცია - ისწავლე და დასაქმდი: ბანერი, მოსაწვევი; საზ. ტრანსპორტის რუკა - ტრანსპორტის სააგენტო; ვიდეო შეფუთვა - ევროდესკი; პოსტერი და სტიკერი სადარბაზოებისთვის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო; 3-8 მარტის ბანერები და მისალოცი; ბაღების მართვის სააგენტოს - 3 და 8 მარტის ბანერი; გამგეობის სხვადასხვა ღონისძიებებისთვის ბანერები, შტენდერი, სიგელები, სცენის შეფუთვა; ევროპის სტუდენტური გაერთიანები - ბრენდირება (ბლოკნოტი, ჩანთა, კალამი, სამაჯური,

როლაფი, ბანერი და ა.შ.); ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-13 ფორუმი - ბრენდირება (ბანერები, როლაფები, აჯენდა, ბეიჯი, ბლოკნოტი, ჩანთა და ა.შ.); სააღდგომო ბრენდირება: (მისალოცი, პოსტერი, სასაჩუქრე პარკები გამგეობებისთვის და ა.შ.); პირველი ივნისი, ბავშვთა დაცვის დღე - სრული ბრენდირება (ყველა გამგეობის მისალოცი, ბანერი შტენდერი, ბუშტი, პოსტი და ა.შ.); თბილისობა - სრული ბრენდირება (ლოგო, ბილბორდი, საჩუქრები, ვიდეოს შეფუთვის ვიზუალი, სოც მედია ბრენდირება, მოსაწვევი, საშვები, ბეიჯები, სიგელები და ა.შ.); ახალი წლის ბრენდირება სრული, საჩუქრების დიზაინი, ბილბორდები, მისალოცი, ღონისძიების აფიშა, პოსტები 40 მდე; თბილსერვისის მანქანის ბრენდირება; ბროშურა - თბილისი ციფრებში; ფლაერი - ზონალური პარკირება; კატალოგი და ლოგო "თბილისი სპორტის დედაქალაქი 2026"; 18 საიმიჯო ბანერი ორბელიანის მოედანზე განსათავსებლად; ზონალური პარკირების აბრები; web ბანერი tbilisi.gov.ge ზე განსათავსებლად; ცხოველთა მონიტორინგის პოსტერების სერია "ცხოველის აგრესია", მიწის რეგისტრაციის ღონისძიების სცენა, ბანერი, დიზაინი, ტრიბუნა; გამგეობის შემაჯამებელი ღონისძიებებისთვის მოსაწვევები; ტრანსპორტის ფორმების რედიზაინი და სატრანსპორტოს ბროშურა და სხვა.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მედიასთან კომუნიკაცია, ინფორმაციისა და პრესრელიზების მომზადება. ასევე, მომზადდა თბილისის მუნიციპალიტეტის ყველა უწყების მედიააქტივობების და სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია, გაშუქდა ბრიფინგები და კომენტარები, განხორციელდა დაგეგმილი პიარ აქტივობები (266 აქტივობა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატელევიზიო და რადიო ეთერში ინფორმაციის განთავსების მიზნით, 2022 წელს დამზადებულია 171 ვიდეო რგოლი (მათ შორის საიმიჯო - 101, გრაფიკული - 3, საინფორმაციო - 67).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ 55 ვიდეო რგოლის დამზადება (ინფორმაციული, საიმიჯო, გრაფიკული).

მიღწეული მაჩვენებელი - დამზადებულია 207 ვიდეორგოლი (საიმიჯო, გრაფიკული, საინფორმაციო).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აღნიშნული გამოწვეულია მცირე ზომის ვიდეოების დამზადებით, ვინაიდან გამგეობებისთვის და სტრუქტურული ერთეულებისთვის დამზადდა სოციალურ ქსელში დასაღები მცირე ზომის ვიდეოები (მათ შორის ინფორმაციული, გრაფიკული და საიმიჯო).

2.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში ინფორმაციის განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების Facebook - 33 გვერდზე და ერთ Instagram გვერდზე.
დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს პირდაპირ ეთერით გადაცემულია 9 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პირდაპირი ეთერით გადასაცემი 26 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - პირდაპირი ეთერით გადაცემულია 10 ღონისძიება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ინფორმაციის გავრცელების მიზნით მეტი facebook გვერდის გამოყენება, რამდენადაც სოციალური ქსელის ყურებადობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაზრდილია და აღარ საჭიროებს ზედმეტ ხარჯებს და რეკლამირებას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - სოციალური ქსელის გაფართოებიდან გამომდინარე აღარ ხდება ვიდეოების განთავსება სატელევიზიო სივრცეში (მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება ხდება სატელევიზიო სივრცეში სოციალური სარეკლამო რგოლის სტატუსით), რამაც გამოიწვია ასიგნებების აუთვისებლობა. ამასთან, განსათავსებელი ვიდეო რგოლები დამზადებულია სააგენტოს მიერ.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5,562.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,617.8 ათასი ლარის 99%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2023 წლის გეგმა - 5,617.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,562.4 ათასი ლარით (მათ შორის სპეციალური კაპიტალური ტრანსფერი - 997.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზება და ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების (მათ შორის განახლდა წიგნადი ფონდი (ყველა ფილიალმა მიიღო 1200-ზე მეტი დასახელების ქართული, თარგმნილი და საბავშვო მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურა); დასრულდა N18 და N6 ფილიალების სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები და სრულად აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ავეჯითა და სხვა საჭირო ინვენტარით, შეძენილი იქნა N3 და N21 ფილიალების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 116.6 ათასი ლარი). ბიბლიოთეკების გაერთიანება მოიცავს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 34 ფილიალს თბილისის სხვადასხვა უბანში, შემოერთებული ტერიტორიების 1 ბიბლიოთეკას და თბილისის მედიათეკების გაერთიანებას (ვაკის, ვარკეთილის და ნამალადევის ფილიალი). მიმდინარე პერიოდში გაწევრიანდა და ბიბლიოთეკის სერვისებით ისარგებლა 32383 პირმა. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: „60+ კლუბის“ წევრების

ნამუშევრების გამოფენა და მუსიკალური საღამო" - კლუბის სამთვიანი მუშაობის შემაჯამებელი საღამო (ლონისძიებას თბილისის საკრებულომ უმასპინძლა), „სალამურას კლუბი“, ხელნაკეთი თოჯინების მასტერკლასი, ნიუტონის კლუბი (კურსი მოიცავდა 12 შეხვედრას);

წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მწერლებმა პატარებს საბავშვო წიგნები წაუკითხეს და მოსმენილის შესახებ გაესაუბრნენ (მწერალმა ალექსი ჩიღვინაძემ - ბიბლიოთეკის N33 ფილიალში, საბავშვო მწერალმა დიანა ანფიმიაძმა - ლადო ასათიანის სახელობის ბიბლიოთეკის N6 ფილიალში, მწერალმა ტორესა მოსიმ - ბიბლიოთეკის N8 ფილიალში, მწერალმა დავით გორგილაძემ - ძმები ზუბალაშვილების სახელობის თბილისის მთავარ ბიბლიოთეკაში, მწერალმა ნინო ქადაგიძემ - ექვთიმე ხელაძის სახელობის ბიბლიოთეკაში);

ექვთიმე ხელაძის სახელობის ბიბლიოთეკაში მხატვარმა ზაალ სულაკაურმა ვორქშოპი ჩაატარა სახელწოდებით - "საქართველოს წითელი წიგნი", სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისის N19 ბაგა - ბადის აღსაზრდელებმა; ოთარ ჭილაძის სახელობის N33-ე ბიბლიოთეკაში, გაიმართა თათია ნადარეიშვილის წიგნის ილუსტრაციის ვორკშოპი; დავით ჩუბინაშვილის სახელობის N24-ე ბიბლიოთეკაში, ოთარ ჭილაძის სახელობის N33-ე ბიბლიოთეკაში, ბარბარე ჯორჯაძის სახელობის 20-ე ბიბლიოთეკაში, ძმები ზუბალაშვილების სახელობის თბილისის მთავარი ბიბლიოთეკაში და შალვა ნუცუბიძის სახელობის N13 ბიბლიოთეკაში მასწავლებელმა გიორგი ლიპარიშვილმა მინიატიურული წიგნების დამზადების ვორკშოპი, ხოლო და "60+ კლუბის" წევრებს მინიატიურული წიგნების დამზადების მასტერკლასი ჩაატარა; ნოდარ დუმბაძის სახელობის მე-8 ბიბლიოთეკაში გაიმართა ანა ჩუბინიძის ვორკშოპი "შექმენი შენი ხტუნია წიგნი" (პატარებმა საკუთარი ხელით დაამზადეს მომცრო ზომის წიგნები, ისწავლეს მარტივი ხელსაქმე); ვარკეთილის მედიათეკაში, ფილოლოგმა ნინო ჯალაღონიამ ჩაატარა ლიტერატურული ვორკშოპი თემაზე: „მანგა სასწავლო პროცესში“; ექვთიმე ხელაძის სახელობის მე-7 ბიბლიოთეკაში მაია მაისურაძის, შორენა გოგიშვილისა და ციციწო როსტიაშვილის ნახატების სარვაძარტო გამოფენა

გაიხსნა (გამოფენა 12 მარტამდე იყო წარმოდგენილი); მედიათეკის 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით ვაკის მედიათეკაში ავტორებთან (ნესტან (ნენე) კვინიკაძე, არჩილ ქიქოძე, ანა კორძაია - სამადაშვილი) შეხვედრა გაიმართა თემაზე - თავისუფლება და განათლება; ვაკის მედიათეკაში, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღის ფარგლებში, გაიმართა შეხვედრა გამომცემლობა "დიოგენეს" „რომეო და ჯულიეტას“ ახალ თარგმანთან დაკავშირებით; აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში გაგრძელდა პროექტი Cinema-Club-ის პროექტი „კინოსახელოსნო მოზარდებისათვის - შემეცნებით - საგანმანათლებლო არტთერაპია“ (პროექტში ჩართულები არიან 13-18 წლის მოზარდები); ვაკის მედიათეკაში გაიხსნა სამდღიანი გამოფენა „უჩინართა მიწები“ (პროექტი წარმოდგენილი იქნა „ქლაიმათ ბეიზიქსმა“ და Collective Failure ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის რეგიონული პროექტისა და მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მხარდაჭერით); მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მდებარე საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრში (Georgia-Korea Information Access Center) ჩატარდა კორეელი ხელოვანისა და არტთერაპევტის, კიმ იანგ მის ხელსაქმის მასტერკლასები, გაიმართა კორეის კულტურის დღე, ხოლო 18 სექტემბრიდან დაიწყო კორეული ენის შემსწავლელი კურსები (კურსი უფასოდ ხორციელდება მსურველებისათვის, კურსის ხანგრძლივობაა სამი თვე), პროგრამას უძღვება კორეელი პედაგოგი; აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში კინოკლუბთან თანამშრომლობით ჩატარდა 6 შეხვედრა თემაზე კინოსახელოსნო მოზარდებისათვის; N1 ფილიალში განხორციელდა პროექტი „სალამურის კლუბი“ (მწერალ დიანა ანფიმიადისთან ერთად), პროექტის განმავლობაში ჩატარდა 10 შეხვედრა, ხოლო კითხვისა და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი კურსი - ჩატარდა N18 ფილიალში (პროექტი მოიცავდა 16 შეხვედრას (კვირაში ორი შეხვედრა)); ვაკისა და ვარკეთილის მედიათეკებში ჩატარდა პროექტი „თვითგამოხატვა ინტერესების გაზიარებით“ ნიუტონის სკოლასთან ერთად (საგანმანათლებლო ტრენინგი მოზარდებისათვის) პროექტი მოიცავდა 10 შეხვედრას (ყოველ შაბათ-კვირას);

ვაკის მედიათეკაში ჩატარდა საბავშვო ლიტერატურული პრემიის ნაკადულის დაჯილდოება და სხვა ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 35000-მდე მოსარგებლე პირი (მათ შორის 2022 წელს - 33 833 პირი) და 100-მდე განხორციელებული ღონისძიება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა ღონისძიებების ნაწილში, ხოლო წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის სერვისებით ისარგებლა 32383 პირმა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაერთიანების N6 და N18 ფილიალების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით, დროებით შეჩერებული იყო მათი ფუნქციონირება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მოსაწესრიგებელია ფილიალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გასარემონტებელია და თანამედროვე ტექნიკით აღსაჭურვია სივრცეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - გარემონტებული და თანამედროვედ აღჭურვილი სივრცეები

მიღწეული მაჩვენებელი - სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და სრულად აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ავეჯითა და სხვა საჭირო ინვენტარით ბიბლიოთეკის ორი ფილიალი (N18 და N6), შეძენილ იქნა ორი ფილიალის (N3 და N21) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 1,502.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,394.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული მომზადება/გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროექტის „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში დაფინანსდა 9 სასწავლებელი (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“, სსიპ კოლეჯი მერმისი, სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი, ა(ა)იპ კოლეჯი ივაროსი, ა(ა)იპ სქილვილ ედუქეიშენ (სქილივილის აკადემია), ა(ა)იპ საქართველოს კინოაკადემია, ა(ა)იპ პროექტი ფოლიე, ა(ა)იპ ედუსითი გეო) პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების მიზნით. საანგარიშო პერიოდში გაზაფხულზე და შემოდგომაზე გამოცხადდა პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაცია, სულ დარეგისტრირდა 6000 მოქალაქე, ხოლო დაფინანსებული პროექტების ფარგლებში ჩაერთო საშუალოდ 2400-ე მეტი მოქალაქე, რომელთაც შესაძლებლობა მიეცათ 60-ზე მეტ პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადება გაეცლოთ შემდგომი დასაქმების მიზნით. მიმდინარე პერიოდში გადამზადება გაიარა 2425 თბილისში რეგისტრირებულმა მოქალაქემ (მათ შორის ქალი - 1412, მამაკაცი - 1013).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გადამზადება გაიარა 833 კურსდამთავრებულმა 43-მდე სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 5 სახელმწიფო პროფესიული სასწავლებელი/პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადება გაიარა 2425 კურსდამთავრებულმა 60-ზე მეტი სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 9 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა პროგრამების (სპეციალობების) რაოდენობა, რამაც გამოიწვია ჩართული და გადამზადებული მოქალაქეების რაოდენობის ზრდა.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 4,194.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,368.0 ათასი ლარის 96%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 335.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 265.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 79.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში, ქალაქში თემატურ ვორქშოპებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლების მხარდაჭერა, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ მახოს პროექტი - თბილისის არქიტექტურული კვირეული, რომელიც ითვალისწინებდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას ქართველი სტუდენტებისთვის და ახალგაზრდა არქიტექტორებისთვის, არქიტექტურისა და დიზაინის სფეროში, უცხოელი სპეციალისტების მოწვევას ლექციებისა და ვორქშოპების ჩატარების მიზნით, სხვადასხვა უწყებების ჩართულობით საგანმანათლებლო პლატფორმის ჩამოყალიბებას; ა(ა)იპ „საქართველოს თანასწორობის ასოციაციის“ პროექტი - „სტუდენტთა აქტივიზმის სკოლა“, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის საუნივერსიტეტო სტუდენტური

თანასწორობის კლუბების წარმომადგენლების გასვლითი სამუშაო შეხვედრის წარმართვასა და მათ მიერ სემესტრული საუნივერსიტეტო აქტივობების ორგანიზება/განხორციელებას; ა(ა)იპ სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია სეას პროექტი - სამეცნიერო სტუდენტური კონფერენცია „სამედიცინო ეკოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელიც ითვალისწინებდა სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო ასპექტების, გარემოს ჯანმრთელობის საკითხების, ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული დაავადებების პროგნოზირების, პრევენციისა და მკურნალობის თანამედროვე მიდგომების შესახებ სტუდენტებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების ინფორმირებას, აღნიშნული საკითხების გარშემო სამეცნიერო დისკუსიის მოწყობას; ა(ა)იპ „ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის“ პროექტი, რომლის მიზანია გამოქვეყნდეს საერთაშორისო სტანდარტების სამეცნიერო ჟურნალის „Scientia“ მესამე ნომერი და ჩატარდეს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. პროექტი ასევე ითვალისწინებს უცხოელი ავტორების ნაშრომების ქართული საზოგადოებისთვის გაზიარებას და ქართველი მკვლევრების საერთაშორისო მასშტაბით უკეთ გაცნობას; ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი, რომლის ფარგლებში 2023 წლის 1-8 მაისს ESU - ს 84 - ე საბჭოს შეხვედრა და გენერალური ასამბლეა ჩატარდა თბილისში, რაც გულისხმობს, რომ საქართველოს დედაქალაქს მიეცა შესაძლებლობა უმასპინძლოს ევროკავშირის ყველაზე გავლენიანი ახალგაზრდული ორგანიზაციის 140 წარმომადგენელს სხვადასხვა ევროპული უნივერსიტეტიდან. ვიზიტის ფარგლებში თბილისის მასშტაბით ავტორიზებულ უმაღლეს დაწესებულებებში გაიმართა სემინარები, სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები და სხვადასხვა სახის შემეცნებითი აქტივობა; ა(ა)იპ „იქსუს“ პროექტი - I see you - აღმოაჩინე საქართველო - მარტვილი 2023, რაც გულისხმობს საქართველოს სხვადასხვა ქალაქების ახალგაზრდა ლიდერების ჩამოყალიბებას და მათი უნარების განვითარებას (პროექტში საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 500 სტუდენტმა); ა(ა)იპ „საქართველოს თანასწორობის ასოციაციის“ პროექტი - სტუდენტთა აქტივიზმის სკოლა, რომელიც მიზნად ისახავს აქტიური ახალგაზრდების გაერთიანებას, რათა მათ მოახდინონ საუნივერსიტეტო სივრცეში

ახალგაზრდების წინაშე არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და იმ პრობლემების ხაზგასმა, რომლებიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება; ა(ა)იპ „სტუდენტური უქმეების“ პროექტი „Educational party“, რომელიც მიზნად ისახავდა „სტუდენტებს შორის „რა, სად, როდის?“ ინტელექტუალური თამაშის ჩატარებას; ა(ა)იპ - „ფორსეტის“ პროექტი - „DataFestTbilisi 2023“ ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც მიზნად ისახავდა მონაცემების სხვადასხვა სფეროში აქტიურად გამოყენების წახალისებას და ამ თემის ირგვლივ ცნობიერების ამაღლებას. ფესტივალი იყო სამდღიანი და დამსწრე აუდიტორიას საშუალება მისცა მოესმინა ამ სფეროში მსოფლიოში გავრცელებული თანამედროვე პრაქტიკების და ტენდენციების შესახებ. სპიკერები ისეთ უმაღლესი დონის ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, როგორცაა: Google, Facebook, Amazon, The Washington Post, New York Times და სხვა. პროექტის ფორმატი აერთიანებდა ინსპირაციულ გამოსვლებს, ვორქშოპებსა და პრაქტიკულ დავალებებს და თავი მოუყარა მონაცემებით დაინტერესებულ 500 - მდე მონაწილეს საქართველოდან და უცხოეთიდან. ღონისძიების თითოეული დღე სხვადასხვა სფეროში მონაცემების გამოყენების შესაძლებლობებს დაეთმო; ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „სტუდენტური საახალწლო ფესტივალი“, რომელმაც გააერთიანა სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები. დედაენის ბალის ტერიტორიაზე, ფესტივალის მანძილზე, სტუმრებს საშუალება ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა სხვადასხვა კულტურულ, სპორტულ, გასართობ და კულინარიულ შეჯიბრებებში. ასევე, გაეცნენ ქართველი სტუდენტი მეწარმეების ხელნაკეთ პროდუქციას, ასევე დაესწრნენ მოწვეული, სტუდენტებისთვის საყვარელი, სპიკერების საჯარო სემინარს მოტივაციისა და თავდაჯერებულობის ამაღლების თემატიკაზე; ა(ა)იპ - „კავკასიური ხელოვნების წრეს“ პროექტი - „კავკასიური ხელოვნების წრის მასტერკლასები“, რომელიც მსმენელს სთავაზობს სხვადასხვა სახის პროგრამებს, როგორებიცაა: მსახიობის ოსტატობა, მარიონეტების თეატრის ვორქშოპი, ქართული კინოს ისტორია, სახვითი ხელოვნების ისტორია, ფოტოგრაფია.

ამასთანავე, პროექტი ეხმარება მსმენელს ზოგადი განათლების მიღებასა და განვითარებაში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 1000-ზე მეტი სტუდენტი და ახალგაზრდა, ხოლო ინიციატივების და პროექტების განხორციელებაში მონაწილე 300-მდე სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 1000-ზე მეტი სტუდენტი და ახალგაზრდა, ხოლო ინიციატივების და პროექტების განხორციელებაში მონაწილე 1000-მდე სტუდენტი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2022 წელს 11 უცხოელი სპეციალისტი/პროფესორის (გერმანია, ავსტრია, ნიდერლანდების სამეფო, საბერძნეთი, საფრანგეთი) ვიზიტი; ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 800-მდე სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - 10 უცხოელი სპეციალისტი/პროფესორის ვიზიტი; ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 1000-მდე სტუდენტი.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2023 წლის გეგმა - 733.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 711.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 97.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ჩემი

ადვოკატის ფუნქციონირების (მათ შორის კომპიუტერული ტექნიკის შეძენა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან 3.0 ათასი ლარი. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: „სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის ორგანიზების“ ღონისძიების ხარჯები - 20.3 ათასი ლარი;

იურიდიული კლინიკას უფასო სამართლებრივი დახმარების მიზნით მომართა 14 936-მა ფიზიკურმა პირმა (ცხრილი 2, ცხრილი 3), ხოლო ცხელ ხაზზე განხორციელდა 9 125 ზარი (მათ შორის ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 4 348 მოქალაქეს).

ცხრილი 1: სამართლებრივი დახმარება თემატიკის მიხედვით

დასახელება	უბნებზე მომართვიანობის მიხედვით	ცხელ ხაზი (ზეპირი კონსულტაცია)
კომუნალური	107	39
სახელშეკრულებო	1 092	351
სასარჩელო	2 626	486
„ატსტუპნიკები“	92	10
საოჯახო	741	77
სამემკვიდრეო	366	105
სააღსრულებო	260	47
სოციალური	2 270	896
ამხანაგობები	373	327
უძრავი ქონება	1 530	217
შრომითი ურთიერთობები	153	89
სამოქალაქო აქტები	95	132
საჯარო რეესტრი	449	135
სამეზობლო დავა	304	198
საგადასახადო-სამეწარმეო	65	58
სამშენებლო ნებართვა	675	301
ადმინისტრაციული წარმოება	1 157	289
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	1 328	354
უკანონო მშენებლობა	711	193
რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია)	4	-

უდავო წარმოება	396	26
ბინის პრივატიზაცია	138	17
ინტელექტუალური სამართალი	4	1
სულ	14,936	4,348

ცხრილი 2: სოციალური სტატუსის მიხედვით მომართვიანობა

დასახელება	რაოდენობა
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი	2 288
პენსიონერი ასაკისა გამო	3 021
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	134
იძულებით გადაადგილებული	407
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი	170
პენსიონერი ასაკის გამო და შშმ პირი	67
იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი	9
და სხვა	8 840
სულ	14 936

ცხრილი 3: დახმარების სახეებიდან გაწეულია შემდეგი

დასახელება	რაოდენობა
ზეპირი კონსულტაცია	12 176
წერილობითი კონსულტაცია	26
სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა	20
საპროცესო დოკუმენტი	1 278
წარმომადგენლობა	88
განცხადება	304
ადმინისტრაციული საჩივარი	559
მატერიალურად შედგენილი დოკუმენტი	485
სულ	14 936

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 3480 საქმე) წარმატებით დასრულდა 629, მიმდინარეა - 2134 საქმე, არ დაკმაყოფილდა - 593, მოქალაქემ არ შეიტანა - 88 სასამართლო დოკუმენტი, გამოიხმო - 25, არ მიიღო წარმოებაში - 8, საქმის წარმოება შეწყდა - 2 საქმეზე, დარჩა განუხილველად 1 საქმე, საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ განხორციელდა 66 წარმომადგენლობა;

ორგანიზაციამ 2022 წლის 21 სექტემბერს, საქართველოს მედიატორთა ასოციაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის ფარგლებში ახორციელებს მედიაციის პროცესის მხარდაჭერას. შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში ორგანიზაციაში შემოსული საქმეებიდან 10 საქმე მედიაციის ჩართულობით წარიმართა;

ორგანიზაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან და ჯამში 159 სტუდენტი გადაამზადა (სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის კურსი), მათ შორის: მოხალისე - 133, პრაქტიკანტი - 26. სტუდენტები პრაქტიკისა და სტაჟირების მანძილზე ეუფლებიან საადვოკატო საქმიანობას და სწავლობენ მოქალაქეებთან ურთიერთობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სამართლებრივი დახმარება გაეწია 19066 მოქალაქეს (მათ შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 4877).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა 16500 მოქალაქემდე

მიღწეული მაჩვენებელი - სამართლებრივი დახმარება გაეწია 19284 მოქალაქეს (მათ შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 4348).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 157 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 29, გოგო - 128).

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 155-მდე სტუდენტი/მოხალისე.

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 159 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 34, გოგო - 125).

07 05 03 სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 3,300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,217.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით 1 თებერვალს გამოცხადდა განაცხადების მიღება, სამსახურში შემოსული 1000-მდე განცხადების საფუძველზე მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 437 სტუდენტი (მათ შორის ქალი - 261, კაცი - 176); სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, შემოსული 2000-მდე განცხადების საფუძველზე მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 1256 სტუდენტი (მათ შორის ქალი - 810, კაცი - 446), ხოლო 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ქულების გათვალისწინებით განხილული იქნა 414 განცხადება, საიდანაც დაფინანსდა 412 წარმატებული მაგისტრანტი (მათ შორის ქალი - 289, კაცი - 123) ფინანსური წახალისების მიზნით;

სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაფინანსების მიზნით, სამსახურმა მიმდინარე წლის 6 სექტემბრიდან გამოაცხადა განცხადებების მიღება, სულ შემოვიდა საშუალოდ 2200 განცხადება და დაფინანსდა 1809 სოციალურად დაუცველი სტუდენტი (მათ შორის ქალი - 1091, კაცი - 718), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების სწავლის დაფინანსების მოთხოვნით, სამსახურში შემოვიდა 1016 განცხადება და დაფინანსდა 649 სტუდენტი, მათ შორის 594 მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი (ქალი - 399, კაცი - 195) და 55 შშმ სტუდენტი (ქალი - 32, კაცი - 23), ხოლო წარმატებული მაგისტრანტების დაფინანსების მიზნით, სამსახურში

შემოვიდა 203 განცხადება და დაფინანსდა 200 წარმატებული მაგისტრანტი, მათ შორის ქალი - 144, კაცი -56.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსებული 3720 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 835 წარმატებული მაგისტრანტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3500 სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტი და 850 წარჩინებული მაგისტრანტი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 4151 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 850 წარმატებული მაგისტრანტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცნობიერების ზრდამ გამოიწვია მომართვიანობის და შესაბამისად დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა.

07 06 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 2,847.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,105.7 ათასი ლარის 91.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

07 06 01 მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2023 წლის გეგმა - 3,105.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,847.1 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლე - ახალგაზრდობის შემეცნებით - შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება, მოზარდების და ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ

მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფუნქციონირების (მათ შორის ინვენტარის, კომპიუტერული ტექნიკის და სხვა აქტივების შექმნა და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,005.1 ათასი ლარი). ეროვნულ სასახლეში სარეაბილიტაციო სამუშაოების გათვალისწინებით, ღონისძიებების დიდი ნაწილი მიმდინარეობდა გასვლით და ჰიბრიდულ რეჟიმში, სულ დარეგისტრირებულია 3225 ბენეფიციარი (მათ შორის 220 ბენეფიციარი - სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსით, 33 ბენეფიციარი - შშმ პირის სტატუსით, 231 ბენეფიციარი - მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსით, 1 უკრაინის მოქალაქე), ხოლო ონლაინ ჩართულნი იყვნენ მოწვეული 20900 მოსწავლე. აქტიურად გრძელდება 2023/24 სასწავლო წლის საგანმანათლებლო სერვისებზე რეგისტრაცია და ჯგუფების დაკომპლექტება. გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 379 ღონისძიება (ღონისძიებების ნაწილი მიმდინარეობდა ონლაინ რეჟიმში), მათ შორის: კუტურულ - საგანმანათლებლო - 131, საგანმანათლებლო ლექცია/მასტერკლასი - 31, შეხვედრა/პრეზენტაცია/დისკუსია - 47, კონცერტი/სპექტაკლი - 44, გასვლითი ღონისძიება - 25, ფესტივალი/კონკურსი/ტურნირი - 33, სატელევიზიო გადაცემა/რეპორტაჟი - 36, გამოფენა/ფორუმი - 25, კონფერენცია/შეკრება - 3, საზაფხულო სკოლა - 3, საზაფხულო ბანაკი-1; სასახლის მუზეუმში გრძელდება ისტორიული ფოტო მასალის მოძიება, მუზეუმს დაემატა 30 ფერწერული ტილო, მზადდება ფერწერული ტილოების და სკულპტურების პასპორტები, მიმდინარეობს ტურიზმის (1045-90 წლ) 50 ფირის გაშიფვრა; ეროვნული სასახლის კინოფესტივალ „თაობის“ მიერ მიმდინარეობს „ახალგაზრდა კინოკრიტიკოსთან საგანმანათლებლო კურსი“, რომელშიც მონაწილეობს კონკურსის წესით შერჩეული 22 ახალგაზრდა (მონაწილეები, პროფესიონალი კინომცოდნის მენტორობით, სწავლობენ კინოს ისტორიას, ფილმების ანალიზსა და რეცენზიების წერას. მათ მიერ დაწერილი ბლოგებიდან რეცენზიები გამოქვეყნდება სპეციალურად შექმნილ პლატფორმაზე www.youngcritics.ge); „ეროვნული სასახლის“ ორგანიზებით და საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია

პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მხარდაჭერით გაიმართა მოსწავლეთა 76-ე სასწავლო-კვლევითი კონფერენციის (მთავარი თემა „მდგრადი განვითარების მიზნების ხელშეწყობისა და თანამედროვე გლობალური პრობლემური საკითხების გადაჭრა) დასკვნითი ეტაპი. საქართველოს მასშტაბით, მიღებული 200-ზე მეტი ნაშრომიდან, მეორე ეტაპზე, თემის დასაცავად წარმოდგენილი იყო 100-მდე თემის ავტორი; „ეროვნულმა სასახლემ“ მონაწილეობა მიიღო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში: "ევროპის საბავშვო ფილმების ასოციაციის" - გენერალურ ასამბლეასა და მე - 12 დაჯილდოების ცერემონიაში, საბავშვო კინოს საზოგადოების შეხვედრა, ევროპის კინოაკადემიისა და KIDS Regio-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში და პანელურ დისკუსიებში; ნანტის მერიის ინიციატივით, ნანტის საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ასოციაციის მიერ, 2023 წლის 11 აგვისტოდან 21 აგვისტომდე ჩატარდა ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი „შეხვედრა რაგბის ირგვლივ“, სადაც მონაწილეობა მიიღო 13-15 წლის 60-მდე ახალგაზრდა თბილისიდან, ნანტიდან, ზაარბუკენიდან და კარდიფიდან; გაიყენებინა სახელობის თბილისის ახალგაზრდულმა ორკესტრმა მარტიდან გაანახლა საქმიანობა (მათ შორის გამართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი კონსერვატორიის დიდ დარბაზში, ჩატარდა კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, მონაწილეობა მიიღო თორაძის საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 3 ფესტივალის და 480-მდე სხვადასხვა ღონისძიება ჩატარება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება


მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 379 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 3 ფესტივალი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს რეგისტრირებული 3814 ბენეფიციარი (მათ შორის 250 სოციალურად დაუცველი, 14 შშმ პირი, 45 წარჩინებული მოსწავლე)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის 10 %-ით გაზრდა.


მიღწეული მაჩვენებელი - რეგისტრირებული 3225 ბენეფიციარი (მათ შორის 220 სოციალურად დაუცველი, 33 შშმ პირი, 45 წარჩინებული მოსწავლე)

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა




ათასი ლარი

კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის პრიორიტეტის პროგრამების 2021-2023 წწ შესრულების დინამიკა



კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის პრიორიტეტის პროგრამების პროცენტული დაფინანსება



08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

დაფინანსებულია 3,215.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,242.7 ათასი ლარის 99.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2023 წლის გეგმა - 774.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 772.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 242.5 ათასი ლარი). ახმეტელის თეატრში სპექტაკლებს - „თოვლის დედოფალი“ და „ჰელადოსი“ „დღის ცენტრის“ ბენეფიციარი - განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდები უსასყიდლოდ დაესწრნენ. ასევე, თეატრმა უმასპინძლა თბილისის კრიზისული ცენტრის მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ისინი დაესწრნენ სპექტაკლს „თოვლის დედოფალი“ (სპექტაკლის შემდეგ შეხვდნენ მსახიობებს, ერთად განიხილეს წარმოდგენა და სამახსოვრო ფოტოები გადაიღეს); ახმეტელის თეატრის დარბაზში გვანცა მეფარიშვილის ფილმის „სანდრო ახმეტელი 135“ ჩვენება გაიმართა; 7 სექტემბერს ახმეტელის თეატრში 42-ე თეატრალური სეზონი გაიხსნა, ხოლო სეზონის პირველი პრემიერა 15 სექტემბერს გაიმართა - „აღსარება - მე სერგო ფარაჯანოვი“ (სერგო ფარაჯანოვის კინო სცენარის მიხედვით), პროექტი ქართულ სცენაზე პირველად განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით; გარდა ამისა, ახმეტელის თეატრის დასმა ეროვნული დრამატურგიის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მესხეთის თეატრში, ზესტაფონის სახელმწიფო დრამატულ თეატრში და ოზურგეთში ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში წარმოადგინა სპექტაკლი - „თეთრი ბაირაღები“, ხოლო პროექტის „ნოდარ დუმბაძის “Hellados” მოგზაურობა კახეთში“ ფარგლებში სპექტაკლები წარმოადგინა სოფელ ქვემო მაჩხანის თეატრში, წნორის ახალ

სკვერში, ხორნაბუჯის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, კარდენახში - იოსებ ნონეშვილის სახლ მუზეუმის ეზოში, გურჯაანში - ნატო ვაჩნაძის მუზეუმის ეზოში, ხაშში - რეზო ინანიშვილის სახლ-მუზეუმის ეზოში, ქისტაურში - რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმის ეზოში, მელაანში - მელაანის საჯარო სკოლის ეზოში (პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით); 2-3 ნოემბერს თეატრმა უმასპინძლა მესხეთის დრამატულ თეატრს (გაიმართა 2 სპექტაკლი, რომელსაც 300 მაყურებელი დაესწრო); 11 ნოემბერს ახმეტელის თეატრში გაიმართა პრემიერა რეჟისორ ლაშა გოგნიაშვილის სპექტაკლის „პიტერ პენის თავგადასავალი“ ჯეიმს მეთიუ ბარის მიხედვით, ხოლო 18 ნოემბერს რეჟისორ ლაშა გოგნიაშვილის სპექტაკლის პრემიერა „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“; 1 დეკემბერს ახმეტელის თეატრში გაიმართა თეატრის ერთ ერთი დამაარსებელი მსახიობის - მარინე ხარჩილავას შემოქმედებითი საღამო „მარინე ხარჩილავა - 50 წელი სცენაზე“ - ამავე დღეს, თეატრის შენობის წინ - მისი სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა; ახმეტელის თეატრის დასმა მალთეფეს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში სტამბოლში წარმოადგინა პრემიერა სპექტაკლის „გზის დასასრული“ და სხვა. მიმდინარე პერიოდში სულ წარმოდგენილი იქნა 201 მიმდინარე სპექტაკლი და 4 პრემიერა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 22110 (მათ შორის გასვლითი ღონისძიებები).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 200-მდე მიმდინარე, 6-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 25000-მდე მაყურებელი ესწრება (მათ შორის 2022 წელს წარმოდგენილი იქნა 98 მიმდინარე, სამი საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 18960).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 201 მიმდინარე, ოთხი საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 22110.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2023 წლის გეგმა - 594.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 572.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 17.9 ათასი ლარი). გაიმართა სპექტაკლები: "ანარეკლი", „კიდევაც დაიზრდებიან“, „კრიმანჭული“, „სიყვარული ეიფორია“, „შალიკას შვილები“, „მოხუცი და ზღვა“, „ნატვრის ხე“, „შავი და თეთრი“, „ესეც ასე“. გარდა ამისა, 22 მარტს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ამირან შალიკაშვილის უცნობი შემოქმედება (ლექსებს კითხულობდნენ: მაკა შალიკაშვილი და ბექნუ ქაფიანიძე), ამირან შალიკაშვილის ლექსზე შესრულდა კომპოზიტორ გიორგი ჩლაიძის მიერ შესრულებული ახალი სიმღერა ეკატერინე მდივანთან ერთად, ასევე მონაწილეობა მიიღო პანტომიმის თეატრის დასმა (დასწრება თავისუფალი იყო); 28 მარტს მოწვეული უცხოელი სტუმრებისთვის ჩატარდა სპექტაკლი "კიდევაც დაიზრდებიან" და "ანარეკლი", 31 მაისს მე-2 საჯარო სკოლის შშმ პრებისთვის ჩატარდა საქველმოქმედო სპექტაკლი „ესეც ასე“, რომელსაც დაესწრო 25 ბავშვი. აღსანიშნავია, რომ, პანტომიმის თეატრი ოქტომბრიდან გადავიდა დროებით სხვა შენობაში, რამაც გამოიწვია თეატრში სარეპერტუარო ცვლილებები (მოიხსნა გეგმიური სპექტაკლები). მიუხედავად ამისა, დაცარიელებულ თეატრში ჩატარდა ფესტივალი, მოეწყო სპეციალური სივრცე, სადაც განხორციელდა სპექტაკლი, რომლითაც დაემშვიდობნენ ძველ შენობას და მაცურებელს აცნობეს ახალი სეზონის დასაწყისი. სულ მიმდინარე

პერიოდში წარმოდგენილი იქნა 26 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 604.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 75-მდე მიმდინარე, 5-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც ესწრება საშუალოდ 7000-მდე მაყურებელი (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა ორი პრემიერა და 35 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 891).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 26 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 604.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თეატრმა შეიცვალა დისლოკაცია, გადავიდა დროებით სხვა შენობაში, რამაც გამოიწვია თეატრში სარეპერტუარო ცვლილებები, კერძოდ მოიხსნა გეგმიური სპექტაკლები.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2023 წლის გეგმა - 932.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 930.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისისათვის საერთაშორისო კულტურული და ტურისტული სტატუსის გაძლიერება, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან, თანამშრომლობითი პროექტების შექმნა, პროფესიული განვითარება და ახალი პროფესიების შემოსვლა შემოქმედებით სფეროში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის ფუნქციონირების

და ნაწილობრივ თეატრალური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 223.2 ათასი ლარი). მიმდინარე პერიოდი დატვირთული იყო პროგრამების მზადებით, ფესტივალის პარტნიორების მოძიებით, ტექნიკური მოთხოვნების დამუშავებით და შეთანხმებით, კონკურსებისა და სიახლეების გამოცხადებით ფესტივალის ყველა მიმართულებით (2023 წლის ფესტივალის ძირითადი მიმართულებაა - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სპექტაკლებში), მათ შორის: დასრულდა ქართული სპექტაკლების პროგრამა Georgian Show-Case (22-27 სექტემბერი), სადაც წარმოდგენილი იქნა 63 სპექტაკლი (მათ შორის 17 პრემიერა) ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან, ხოლო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ესწრებოდა 64 სტუმარი; შეთანხმდა ფესტივალის საერთაშორისო პროგრამა (30 სექტემბერი - 18 ოქტომბერი), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის - სტუდია Theatregallery, ლატვიის - Flow Projects და Bormio, უკრაინის - პეჩერსკის ახალი თეატრი, გერმანიის - Royal District Theatre / Hessisches Landestheater Marburg (HLTM), ესპანეთის - მალ პელო და უკრაინის - ჟიული რემაკლი, სებასტიან ფუკო და ანსამბლი, სულ 6 დასმა წარმოადგენინა 11 სპექტაკლი; შეთანხმდა და ჩატარდა საგანმანათლებლო პროგრამა და პრაქტიკული ვორქშოფები (23 სექტემბერი - 17 ოქტომბერი), უკვე ჩატარდა ვორქშოფები ენდრიუ ჯონსთან თემაზე - „მზაობა საერთაშორისო პროექტებისთვის“ და როჯერ მაკკენისთან - პარტნიორობით მუშაობა, ხოლო (1 ოქტომბერი - 17 ოქტომბერი) ჩატარდა ვორქშოფი „გამორჩეული პერსონაჟების შექმნის ხელოვნება“ და გაიმართა შეხვედრები: რეჟისორებთან ლუკაშ ტვარკოვსკისთან, ნინო ხარატიშვილთან და სებასტიან ფუკოსთან.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ფესტივალის ფარგლებში იმართება საშუალოდ 15-მდე უცხოური, 20-მდე ქართული სპექტაკლი, 10-მდე ვორქშოპი/მასტერკლასი, ფესტივალში მონაწილეობს საშუალოდ 10-მდე მოწვეული და 35-მდე ქართული დასი (მათ შორის 2022 წელს ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 4 უცხოური დასის 11 სპექტაკლი, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 26 თეატრის 37 სპექტაკლი, 3 ვორქშოფი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 6 უცხოური დასის 11 სპექტაკლი (მათ შორის 6 საქართველო-გერმანიის კოპროდუქცია), საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 32 ქართული დასის 63 სპექტაკლი (მათ შორის 17 პრემიერა), 6 ვორქშოპი.

08 01 05 სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

2023 წლის გეგმა - 562.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 562.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 37.2 ათასი ლარი) და შენობის იჯარის ხარჯები. გაიმართა სპექტაკლები: „სამშობლო“, „პარტახი“, „კვერცხი“, „ცილინრი“, „უსაზღვრობა დროთა“ (გალაკტიონი), „დედილო კურაჟი და მისი შვილები“ (პრემიერა), „ქაჩალი მომღერალი ქალი“ (პრემიერა), „კოლაელ ყრმათა წამება“ (პრემიერა), „დავბრუნდები“ (პრემიერა). გარდა ამისა, თეატრის დასმა სპექტაკლი - „პარტახი“ წარმოადგინა ზუგდიდში, მესტიაში, ჭუბერში და სენაკში (გასტროლი განხორციელდა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით). სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 89 მიმდინარე სპექტაკლი, შედგა ოთხი პრემიერა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2838.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 80-მდე მიმდინარე და 2 საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 2500-მდე მაყურებელი დაესწრება (მათ შორის 2022 წელს წარმოდგენილი იქნა ერთი პრემიერა და 63 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2391; ერთი ონლაინ სპექტაკლი პრემიერა (ონლაინ მაყურებელი - 10000)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ოთხი პრემიერა და 89 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2838.

08 01 08 სამეფო უზნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სამეფო უზნის თეატრი

2023 წლის გეგმა - 378.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 378.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობის დამყარება საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის მიქშერის შეძენა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 8.2 ათასი ლარი). გაიმართა სპექტაკლები: „მოახლეები“, „ფედრა ცეცხლის ალში“, „მკვდარი ძაღლები“, „ტროელი ქალები“, „მედეა“, „დემონები“, „ჩვენი კლასი“, „მსახურთა შემოდგომა“, „სინანულის დღეები“ (ისრაელის საელჩოსთან თანამშრომლობით), „ზიპო“, „წმინდა ნაწილები“, „რატომ არ მინახავს ვარსკვლავები“, და „რატომ იხარშება ბავშვი პოლენტაში“. გარდა ამისა, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: საგასტროლო ტურნე გერმანიაში: ნინო ხარატიშვილის „მსახურთა შემოდგომა“ ნაჩვენები იქნა გერმანიის სამ ქალაქში - ესენი, ფრაიბურგი, მარბურგი; გასტროლი გერმანიაში - მონაწილეობა ფესტივალში RADAR OST (Deutsches Theater Berlin), პაატა ციკოლიას სპექტაკლით „მედეა S01E06“; წარმოებაში ჩაეშვა ახალი სპექტაკლი: ტიანა გრუმის „რატომ არ

მინახავს ვარსკვლავები“ (ქორეოგრაფიულ - დრამატული წარმოდგენა) და ქართულ-გერმანული კოპროდუქცია (მარბურგის თეატრსა (გერმანია) და სამეფო უბნის თეატრს შორის) აგლაია ვეტერანის „რატომ იხარშება ბავშვი პოლენტაში?“ (პრემიერა მარბურგში გაიმართა (5 სპექტაკლი ჩატარდა გერმანიაში); შეიქმნა „სამეფო უბნის თეატრისა“ და ბიდგომშის პოლონური თეატრის კოპროდუქცია - „არაფერი ჩვენ შესახებ უჩვენოდ“, რომელიც ჩატარდა ჩინეთში, არანიას თეატრალურ ფესტივალზე (2 სპექტაკლი), ხოლო შემოდგომაზე იგეგმება სპექტაკლის პრემიერად ჩაშვება; თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სპექტაკლები: ნინო ხარატიშვილის „ფედრა ცეცხლის ალში“, ტიანა გრუმიჩის „რატომ არ მინახავს ვარსკვლავები“ და IN C – Tbilisi (საშა ვალცის ქორეოგრაფიაზე დაფუძნებული ინკლუზიური ცეკვის სპექტაკლი); თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ქართული პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სპექტაკლები: ნინო ხარატიშვილის „ფედრა ცეცხლის ალში“, ტიანა გრუმიჩის „რატომ არ მინახავს ვარსკვლავები“ და IN C – Tbilisi (საშა ვალცის ქორეოგრაფიაზე დაფუძნებული ინკლუზიური ცეკვის სპექტაკლი), ხოლო რეჟისორ და ინტენდანტ კაროლა უნზერ-ლაიხტფელდისა და მსახიობ სასკია ბოდენის მიერ მასტერკლასი სტუდენტებისთვის; სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 107 მიმდინარე სპექტაკლი, შედგა 6 პრემიერა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 13366 (მათ შორის მოსაწვევი - 192).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 120-მდე მიმდინარე, 3-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 14000-მდე მაყურებელი ესწრება (მათ შორის 2022 წელს წარმოდგენილი იქნა 84 მიმდინარე, 4 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 15115).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 107 მიმდინარე, 6 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 13366.

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, სკოლების, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიას სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი,


2023 წლის გეგმა - 2,523.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,383.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების, არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, პოპულარიზაცია, მოსწავლეთა დაინტერესება, წახალისება, ხელოვნების სკოლების, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და სერგო ზაქარიას სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით (თვეში საშუალოდ - 305 მოსწავლე), N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე (თვეში საშუალოდ - 148 მოსწავლე), ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით (თვეში საშუალოდ - 101 მოსწავლე) და ალიოზ მიზანდარის სახელობის №1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება (თვეში საშუალოდ - 150 მოსწავლე), სულ ჯამში თვეში საშუალოდ - 701 მოსწავლე, - **ცხრილი 1**; გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა/კოლეჯი/სტუდია/ გიმნაზია, თვეში საშუალოდ 660 მოსწავლე) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და

მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება; ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების (30 სკოლა), ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური, დასუფთავების და ინტერნეტის, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2023 წლის განმავლობაში გაგრძელების, ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციულ და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის“ თანამშრომელთა სახელფასო ფონდის (მაისის და ივნისი) შესავსებად შრომის ანაზღაურების, ხოლო ზოგიერთი ა(ა)იპ ხელოვნების სკოლისთვის (რევაზ ლაღიძის სახელობის N4, მერაბ კოსტავას სახელობის N8, სანდრო ინაშვილის სახელობის N12, სულხან ცინცაძის სახელობის N16, ალექსი მაჭავარიანის სახელობის N26, აფხაზეთი N1) და ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიისთვის“, საიუბილეო კონცერტების ჩასატარებლად, დარბაზის იჯარის ხარჯები.

ცხრილი1: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა თვეების მიხედვით



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1327 მოსწავლე (მ.შ. – 756 გოგო, 571- ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 667 (მ.შ. 294 - გოგო, 373 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 462 გოგო, 198 ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 1361 მოსწავლე (მ.შ. – 798 გოგო, 563- ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 701 (მ.შ. 330 - გოგო, 371 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 468 გოგო, 192 ბიჭი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - ობიექტების შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფილია მათ მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების (დენი, წყალი, დასუფთავება, გაზი, ინტერნეტი) დაფარვა 100%-ით და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 2,149.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,305.6 ათასი ლარის 49.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2023 წლის გეგმა - 175.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 148.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გამოფენები, აქციები, შეხვედრები და კონკურსები, ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა, საზოგადოების დაინტერესება და მათი ზოგადი განათლების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 18.9 ათასი ლარი) ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: „საახალწლო“ ღონისძიება (გალერეაში არსებული თავისუფალი ხატვის ჯგუფების გამოფენა), სტუდია „არტ - თაობის“ მოსწავლეთა ნამუშევრების სემესტრული გამოფენა, გალერეის „ოქროს ფონდის“ ნამუშევრები, ნინო ყურაშვილის მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, „ახალი სკოლის“ მოსწავლეთა ნახატების საანგარიშო საგამოცდო გამოფენა, მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიცია „ძველი ეგვიპტე“, გალერეაში არსებული თავისუფალი ხატვის ჯგუფის ბავშვების გამოფენები: გაზაფხული, მუზეუმების გაზაფხული; რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის სკოლის მოსწავლეთა, Kids.ge-ს ბავშვთა განათლების და განვითარების ცენტრის მოსწავლეთა, ანი გოგორიშვილის სტუდიის მოსწავლეთა და სტუდიის „არტ-თაობა“ მოსწავლეთა ნახატების გამოფენა, „ქარგვა-ძაფებით შექმნილი საოცრება“ - ნაქარგების ჯგუფური გამოფენა და სხვა. გარდა ამისა, ჩატარდა ფესტივალი „არტი“ და 28 დეკემბერს გაიხსნა შპს „აი ქიუ ქლაბ“- ბავშვთა ნახატების საახალწლო გამოფენა, რომელიც დაიხურა 2024 წლის 10 იანვარს. მიმდინარე პერიოდში გალერეაში ჩატარდა 24 ღონისძიება, ღონისძიებებზე ვიზიტორთა რაოდენობა - 4900, ღონისძიებებში მონაწილე ბავშვთა რაოდენობა - 1772, ხოლო გალერეაში მოსწავლეების რაოდენობა 90.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ ყოველწლიურად იმართება 50-მდე გამოფენა, აქცია, შეხვედრა და კონკურსი, ღონისძიებებში ჩართულია 50-მდე მოსწავლე, 3500-მდე მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 5000-მდე (მათ შორის 2022 წელს ჩატარდა 8 ღონისძიება, ღონისძიებებში ჩართული 25 მოსწავლე, 450 მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 2380)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 24 ღონისძიება, ღონისძიებებში მონაწილე 1772 ბავშვი, მოსწავლეთა რაოდენობა 90, ვიზიტორთა რაოდენობა 4900.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გალერეის შენობაში არის ერთი საგამოფენო სივრცე, ამავდროულად მიმდინარეობდა შენობაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, რამაც გავლენა იქონია გალერეის შემდგომ საქმიანობაზე.

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2023 წლის გეგმა - 4,130.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,001.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერიდან - 496.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 48.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 255.0 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

2022 წლის შედეგების (მომზადდა კოლექციებისა და ფონდების ერთიანი რეესტრი, აღირიცხა და დაითვალა თითოეული რეგისტრირებული ერთეული) მიხედვით მომზადდა და დაიგეგმა საფონდო სამუშაოების ახალი ეტაპი, რომელიც გულისხმობს თბილისის მუზეუმების გაერთიანების ფონდებისა და კოლექციების სისტემატიზაციისა და ელექტრონული მატარებლებზე გადასვლის პროცესს (ახალი ტექნოლოგიების დანერგვა აუცილებელია სამუზეუმო ექსპონატების ზუსტი აღრიცხვისა და დაცვისათვის, რაც თითქმის გამორიცხავს ექსპონატის

წინაშე განადგურების საფრთხის შექმნას და რაც მთავარია შეიქმნება ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო სისტემა);

დასრულდა შემდეგი სამუშაოები: კოლექციათა სისტემატიზაცია; კოლექციათა შინაარსის/მნიშვნელოვნების მიხედვით კომპლექტაცია; ერთიანი სამუზეუმო ფონდის შიდა თემატურ კოლექციებად დაყოფა; შეჯერდა და დაზუსტდა საფონდო ერთეულთა რაოდენობები და თითოეული რეგისტრირებული ნივთის მნიშვნელოვნება; განისაზღვრა ტერმინოლოგია; დაიწყო კატალოგიზაცია შეჯერებული ტერმინოლოგიის მიხედვით; დაზუსტდა ძირითადი ფონდის, დამხმარე ფონდის და გაცვლითი ფონდის ერთეულთა რაოდენობა და მნიშვნელობა; დაზუსტდა და შემუშავებულ იქნა გეგმა კოლექციათა შენახვის წესისა და ფორმის შესახებ;

მიმდინარე პერიოდში სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ფონდი გაიზარდა 324 ერთეულით (მათ შორის 149 შექმნილია საფონდო ერთეული მემორიალური, ტიპოლოგიური ნივთები, სათამაშოები და თოჯინები, საფონდო შემსყიდველი კომისიის გადაწყვეტილებით, 3 გადმოცემულია უსასყიდლოდ); ძველი ძირითადი შემოსულობათა წიგნებიდან ახალ ძირითად შემოსულობათა წიგნებში გადატანილი და რეგისტრირებულია 1849 ექსპონატი; პირველადი რეგისტრაცია გიარა 488 დასახელების 503 ექსპონატმა; პირველადი რეგისტრაციის შემდეგ მიმდინარეობს სახეობის, მასალისა და რაოდენობის მიხედვით ფონდებში დაცული მემორიალური, ტიპოლოგიური, იკონოგრაფიული, ფოტოფირების და სხვა საფონდო ერთეულების ინვენტარიზაცია-ვრცელი დოკუმენტური აღწერა. საინვენტარო წიგნებში სულ აღრიცხულია და მინიჭებული აქვს საინვენტარო ნომერი 1770 საფონდო ერთეულს; ფონდებში ჩასატარებელი სამოქმედო გეგმის მიხედვით მიმდინარეობს აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის მომდევნო ეტაპი - ექსპონატთა პასპორტიზაცია. ექსპონატთა პასპორტების ელექტრონული ვერსიების მომზადება; სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად შედგენილია 1976 პასპორტი;

თბილისის მუზეუმების გაერთიანების აქტივობები - ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს ქალთა საერთაშორისო ასოციაციის

წევრები ესტუმრნენ; კოტე და სოსო წერეთლების მემორიალურ სახლ-მუზეუმს კოტე წერეთლის დაბადების დღესთან დაკავშირებით ასურელ თემათა სკოლის მოსწავლეები ესტუმრნენ; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში „კლასიკური მუსიკის საღამო“ და ახალი საგანმანათლებლო პრაქტიკული ვორქშოპი „მუსიკა და ფერები“ ჩატარდა; თბილისის მუზეუმების გაერთიანებამ Erasmus+ -ის მიერ თანადაფინანსებული პროექტის „მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში“ (SQUARE) პროექტის კონსორციუმის შეხვედრას უმასპინძლა; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში ტრადიციული „ხუთშაბათობის ფარგლებში“ გაიმართა საჯარო ლექციები - „ილია და ტოლერანტობა“, „ილია და სახელმწიფო“; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში გაიმართა „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ გახსნითი ღონისძიება; ევროკავშირი მხარდაჭერით გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საჯარო შეხვედრებისა და დისკუსიების ციკლის „საუბრები ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებზე“ ფარგლებში, გაიმართა გოგი გვახარიას საჯარო ლექცია თემაზე - „გამოხატვის თავისუფლება“ და საქართველოს ევანგელისტურ-ბაპტისტური ეკლესიის ეპისკოპოსის - რუსუდან გოცირიძის საჯარო ლექცია თემაზე - „ყველა ადამიანი თანასწორია“; ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა დავით ბუხრიკიძის საჯარო ლექცია - „XXI საუკუნის თეატრი“ და პედაგოგ-ქორეოგრაფ ანა ღვინიაშვილის საჯარო ლექცია „ცეკვა – ინკლუზიური ხელოვნება“, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა საჯარო ლექცია - „მუსიკის საიდუმლო სულხან ნასიძის შემოქმედებაში“ და „ქართველი და ფრანგი კომპოზიტორი ქალები“, ხოლო გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ-მუზეუმში პოეტ ვახტანგ ჯავახაძის საჯარო ლექცია „გენიის მარტოობა“; სტაჟირების 3 თვიანი პროცესი დასრულდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტურქტურულ ერთეულებში და მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში უკრაინელი მომღერლის, კატერინა ჩერნიშის საქველმოქმედო კონცერტი ჩატარდა უკრაინელი ხალხის თანამდგომის მიზნით, შესრულდა უკრაინელი და ქართველი კომპოზიტორების ვოკალური ნაწარმოებები; ნიკოლოზ

ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში „ფლირტის საღამო“ გაიმართა (სტუმრებმა დაათვალიერეს მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზები და აქტიურად ჩაერთვნენ თამაშის მიმდინარეობაში); ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმის სტამბის სივრცეში USAID-ის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის პროგრამის ფარგლებში, ფონდების მოზიდვის (Fund raising- ის) თემაზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა; მომზადდა და შესაბამის პლატფორმებზე განთავსდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების საქმიანობის პოპულარიზაციის და ვიზიტორთა, თუ ონლაინ მიმდევართა მოზიდვის მიზნით საინფორმაციო, საგანმანათლებლო ვიდეო რგოლები; მუზეუმების გაერთიანების საფეხმავლო-შემეცნებით ტურში “ნობელიანტები თბილისში”, ქალთა მე-2 საერთაშორისო კონფერენციის მაღალი რანგის სტუმრებმა და მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატმა მშვიდლობის დარგში – უიდედ ბუმამაუიმ და დოქტორ რუთ მიჩელმა მიიღეს მონაწილეობა; მუზეუმების გაერთიანება ICOM (International Council of Museums) მუზეუმების საერთაშორისო საბჭო საქართველოს ინსტიტუციური წევრი გახდა (ICOM 142 ქვეყნის 50000-მდე წევრს აერთიანებს და მუზეუმის პროფესიონალთა და მუზეუმების/სამუზეუმო ინსტიტუციების ერთადერთ საერთაშორისო პროფესიულ ქსელს წარმოადგენს მთელ მსოფლიოში). 2023 წელს ICOM საქართველოს 118 ახალი წევრი შეუერთდა (აქედან 109 ინდივიდუალური, 1 ინსტიტუციური და 8 სტუდენტური კატეგორიის წევრია); მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ქ.თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში გაიმართა ღონისძიება - „ღამე მუზეუმში“, მუზეუმმა 21:00 საათიდან უმასპინძლა ვიზიტორებს მე-19 საუკუნის თბილისის ყველაზე გამორჩეულ სახლში, სადაც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიებთან ერთად, ღამის მუზეუმის სტუმრებს მუსიკალური კომპოზიციები და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობები დახვდათ; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებით გაიმართა ღონისძიება – „თბილისობა და ტფილისური ამბები“; გაერთიანების მუზეუმებში მასწავლებლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ღია კარის დღე გაიმართა;

მუზეუმების გაერთიანებამ უმასპინძლა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს კონკურსში მონაწილე და ჯილდოს მფლობელ პედაგოგებს (მუზეუმების გაერთიანების სერვისებითა და საგანმანათლებლო პროგრამებით ისარგებლა 360 მოსწავლემ და 16 მასწავლებელმა); ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის სტამბის სივრცეში ინიციატივის „ლიდერობა, თანასწორობა, ადვოკატირება და დემოკრატია“ (LEAD) ფარგლებში, გაიმართა საჯარო დისკუსია “რელიგიის თავისუფლების” შესახებ (პროექტი განხორციელდა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ნორვეგიის მხარდაჭერით); ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალურ სახლ-მუზეუმში ქორეოგრაფ ნიკოლოზ (ნუგზარ) მახათელის საჯარო ლექცია - „ვახტანგ ჭაბუკიანის მეთოდოლოგია კლასიკურ და თანამედროვე ცეკვებში“ გაიმართა; თბილისის მერიის მხარდაჭერით და თბილისის „მუზეუმების გაერთიანებასთან“ პარტნიორობით, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში მუსიკოლოგისა და პედაგოგის თეა მუქერიას საავტორო შემეცნებითი კურსი მოზარდებისთვის „გაიცანი კომპოზიტორები“ მიმდინარეობდა (12 სალექციო შეხვედრა) და სხვა. გარდა ამისა, მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელსაც დაესწრო 1345 მონაწილე, ხოლო სახლ-მუზეუმებში სტუმრობდა 1443 ვიზიტორი;

თბილისის მუზეუმების გაერთიანებასა და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა (მემორანდუმის ფარგლებში მხარეები ჩაერთვებიან თბილისის მუზეუმების გაერთიანების ორგანიზებულ საგანმანათლებლო პროცესებში და ერთობლივი საქმიანობის ფარგლებში სხვადასხვა პროექტს განახორციელებენ);

ევროპის მუზეუმების ფორუმის მიერ ევროპის საბჭოს ეგიდით განხორციელდა ყოველწლიური კონკურსი - „EMYA ევროპის წლის მუზეუმი 2023“, რომელიც მიზნად ისახავდა სამუზეუმო სფეროს მოწინავე გამოცდილების აღიარებას ევროპის მასშტაბით. კონკურსზე შერჩეულ ევროპის 33 საუკეთესო მუზეუმს შორის ერთ-ერთი ნომინანტი იყო თბილისის მუზეუმების გაერთიანება -

ქ. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალური მუზეუმი. კონკურსი გაიმართა ბარსელონაში და EMYA ევროპის წლის მუზეუმი - 2023 შედეგების მიხედვით ქ.თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმს გადაეცა „სპეციალური აღნიშვნის პრიზი“;

2023 წლის ევროპის კულტურის დედაქალაქ ტიმიშოარაში სამუზეუმო სფეროს ერთ-ერთი გამორჩეული კონკურსი, ევროპის მუზეუმების აკადემიის ყოველწლიური კონფერენცია EMA 2023 ჩატარდა, სადაც ა(ა)იპ „მუზეუმების გაერთიანებას“ სპეციალური აღნიშვნის პრიზი გადაეცა, რომელიც თავისი კოლექციებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და აქტივობებით შთააგონებს ვიზიტორებსა და დამთვალიერებლებს დაფიქრდნენ ისტორიულ და საზოგადოებრივ გამოწვევებზე, გამარჯვებული მუზეუმი ქმნის სამუზეუმო ქსელს ისტორიის და კოლექციების გამოყენებით და აკავშირებს საზოგადოებას თანამედროვეობასთან;

ევროპის იკომის (ICOM Europe) წევრებისა და მუზეუმების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ლისაბონში ეტლების ეროვნულ მუზეუმში (Museu Nacional dos Coches, Av. da Índia 136, 1300-300 Lisboa) მონაწილეობა მიიღო ა(ა)იპ მუზეუმების გაერთიანების დირექტორმა და წარადგენილი იქნა კვლევითი თემა მუზეუმების საერთაშორისო კონფერენცია - „კომუნიკაციისა და განათლების როლი მუზეუმებსა და საზოგადოებაში - The Role of the Union of Tbilisi Municipal Museums in Modern Georgia“;

ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიების ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა მედია პლატფორმაზე შემეცნებით-საგანმანათლებლო ციფრული ციკლები. გაერთიანების სოციალურ ქსელებში გრძელდება გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ნარატივებისა და თემების გამოყენებით საინფორმაციო-შემეცნებითი და ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიები: დღე ისტორიაში, წერილები, ამონარიდები, „თოჯინებთან ერთად - მოგონებისათვის“, „გასეირნება ძველ ტფილისში“, XIX-XX საუკუნეების ქართული პრესა, „ქართული საავტორო თოჯინები“, „მოდერნისტული პრესა“, „ქალები XIX საუკუნის საქართველოდან“, „ტექნოლოგიური მიღწევები XIX

საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში. სოციალური მედიის პლატფორმა ფეიბუკზე - გამოქვეყნდა 918 პოსტი, ხილვადობა - 1 237 326, სოციალური მედია - ინსტგრამის პლატფორმაზე გამოქვეყნდა 787 პოსტი და 268 „სთორი“, ხილვადობა 66030; მედიამონიტორინგის ფარგლებში სულ განხორციელდა 115 მედია გაშუქება.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში გრძელდება თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის (მათ შორის ფასადის მოპირკეთება, იატაკის მოჭიმვა, მიმდინარეობს ელ/გაყვანილობის ქსელის და გათბობა-ვენტილაციის ქსელის მონტაჟი და სხვა) და ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის (მათ შორის ძეგლის ავთენტურობის შეასანარჩუნებლად გამაგრებითი სამუშაოები, შადრევნის კონსტრუქციის დაშლა, კვლევითი და ძეგლტან დაკავშირებული სამუშაოები და სხვა) რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები (დასრულდება 2024 წელს); დაიწყო თბილისის საკრებულოს ისტორიულ შენობაში თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმისთვის გამოყოფილი ფართის პროექტირების (სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციის - დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით მიმდინარეობს პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელი პროცესები, როგორცაა გეოლოგიური კვლევები, 3D სკანირება, ცალკეული სივრცეების გაერთიანებისათვის კვლევები, მათ შორის დამაკავშირებელი გვირაბების მოწყობის შესაძლებლობა, გათბობა კონდიციონერების საკითხები და და ა.შ.) სამუშაოები (დასრულდება 2024 წლის აპრილში) თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა - 512 საგანმანათლებლო პროგრამა (დამსწრე 8199 მონაწილე), 848 ექსკურსია, 56 ღონისძიება და 8 აქტივობა, ხოლო ვიზიტორებისა (7421) და დამთვალიერებლების (3378) რაოდენობამ შეადგინა 10799.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა 271 საგანმანათლებლო პროგრამა და 88 ღონისძიება, ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 10230, ხოლო შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამებს დაესწრო 5874 მონაწილე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა 512 საგანმანათლებლო პროგრამა, 848 ექსკურსია, 56 ღონისძიება და 8 აქტივობა, ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 10799, ხოლო საგანმანათლებლო პროგრამებს დაესწრო 8199 მონაწილე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - გასაახლებელი და აღსაჭურვია სამუზეუმო სივრცეები

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოების და 1 ობიექტის საპროექტო სამუშაოების დასრულება.

მიღწეული მაჩვენებელი - გრძელდება 2 ობიექტზე სარეაბილიტაციო, ხოლო 1 ობიექტზე საპროექტო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო ფონდების შევსება (შემენილია 324 ერთეული საფონდო მასალა და ექსპონატი).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - დაგეგმილი და მიმდინარე სამუშაოების პროცესში გამოკვეთილი გაუთვალისწინებელი გარემოებების (მერაბ კოსტავას მემორიალურ სახლ-მუზეუმში სრული სარეაბილიტაციო, სარესტავრაციო და გამაგრება-გადლიერების სამუშაოების წარმოებისას, გამოვლინდა ახლად აღმოჩენილი გარემოებები (კედლებზე და ღიობებზე არსებული ნალესის ჩამოშლა, კონსტრუქციული კვანძების გახსნა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის ყველა ნაწილის ძირეული შეცვლა და ხელახალი პროექტირება), ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები დროებით შეჩერდა ვინაიდან, სამუშაოების შემდგომში უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით საჭირო გახდა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება, ხოლო სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი ვინაიდან, მიწისქვეშა განლაგებული სხვადასხვა დონის სივრცეებზე, საკმაოდ გართულდა და დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა, ტექნიკური დავალების მოთხოვნების შესაბამისად, პროექტის განხორციელებისათვის აუცილებელ პროცესებს) შედეგად, სამუშაოების განხორციელებას დაგეგმილზე მეტი დრო დასჭირდა, რამაც თანხის აუთვისებლობა გამოიწვია.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება
დაფინანსებულია 2,337.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,066.3 ათასი ლარის 76.2%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი“

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2023 წლის გეგმა - 741.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 736.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 87.1 ათასი ლარი). ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის: კონცერტი ორბელიანის მოედანზე, სამედიცინო უნივერსიტეტში გამართული კონცერტი (საჩუქარი სტუდენტებს), ჯაზის საერთაშორისო დღე - თბილისი, სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასი, ქუთაისობის დღესასწაული, ჯანსუღ კახიძის სახელობის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, ბრაზილია-საქართველოს მეგობრობის 30 წლის აღსანიშნავი კონცერტი, ფოთში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ორბელიანის მოედანზე თბილისობის ღონისძიება, ბიგ-ბენდის სარეპეტიციო სტუდია, ჯაზური მუსიკის სადამო (ინსტრუმენტალი), ზემო ფონიჭალის განახლებული პარკის გახსნის კონცერტი, შერატონ თბილისი მეტეხი პალასი - ბიგ-ბენდის მუსიკოსის ნუგზარ გეწაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი, ორბელიანის მოედანზე თბილისის მერიის ორგანიზებული საახალწლო კონცერტი; ბიგ-ბენდის სარეპეტიციო დარბაზში: ჩატარდა - თემო საჯაიას, დინი ვერსალაძის, ოთარ მალრაძის სოლო კონცერტები და საახალწლო კონცერტი; გარდა ამისა, ფინეთში ქალაქ ჰელსინკში, „ბიგ-ბენდის წევრების მიერ „საქართველოს დღეების“ ფარგლებში ჩატარდა კონცერტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 40-მდე ღონისძიება (მატ შორის 2022 წელს ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო 12 ღონისძიებაში, ხოლო მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 12900.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნა მიღებული 25-მდე ღონისძიებაში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოიწვია პირველ რიგში იმან, რომ ორკესტრს არ გააჩნია საკუთარი დარბაზი და მეორე, ძირითადი ღონისძიებები გარე სივრცეში იმართება.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2023 წლის გეგმა - 384.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 341.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 89%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული, კეთილმოწყობილი პანთეონები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, „ხოჯევანქი“, ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, სამეურნეო საქონლის შექმნა, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2023 წლის განმავლობაში გაგრძელება). ასევე, გაწეულია შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის და ახალ პანთეონში ელექტროგადაცემის კაბელის დაზიანების აღმოფხვრის, ელექტროენერჯის მიწოდების აღდგენის და ახალ პანთეონში 16 საფლავის კეთილმოწყობის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - პანთეონებში (მთაწმინდის, დიდუბის, „ხოჯევანქი“ და ახალი პანთეონი) მოვლილი და კეთილმოწყობილი საფლავეები (მათ შორის 2022 წელს ახალ პანთეონში კეთილმოწყობა 28 საფლავეი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის ახალ პანთეონში კეთილმოწყობა 16 საფლავეი)

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

2023 წლის გეგმა - 1,940.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,259.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერიდან - 961.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 64.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიაში, ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პეტრე ამირანაშვილის სახელობის N18, ა(ი)იპ ქ. თბილისის მერიის ალექსი მაჭავარიანის სახელობის N26 და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით თორაძის სახელობის N22 ხელოვნების სკოლებში. ასევე, დაფინანსდა ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის N7 ხელოვნების სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების, კომპიუტერის და ინვენტარის შეძენა; ა(ი)იპ ქ.თბილისის მერიის ალოიზ მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლისთვის კონდიციონერების, პრინტერის, კარტრიჯის და სკოლის მუსიკალური სტუდიისთვის საჭირო ტექნიკის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაქარია

ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლისთვის მოლბერტების შეძენა და გათბობის სისტემის შეკეთება; ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვიანოვის სახელობის N6 ხელოვნების სკოლისთვის კონდიციონერისა და ორგმინის აბრის შეძენა; ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახელობის N15 ხელოვნების სკოლისთვის ფარდა-ჯალუზების, სარკეების, სახვითი ხელოვნების განყოფილებისთვის საჭირო ინვენტარისა და საორკესტრო განყოფილებისთვის საჭირო ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისთვის თერმო პრინტერის, თერმო პრესის, ფარდა-ჯალუზების, სარკეების, სახატავი დაფების, ლაზერული პრინტერისა და მისთვის განკუთვნილი დიდი რესურსის ორიგინალური კარტრიჯის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის რევაზ ლალიძის სახელობის N4 ხელოვნების სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაპქესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N5 ხელოვნების სკოლისთვის გათბობის სისტემის მოწყობა და სხვადასხვა სარემონტო სამუშაოების ჩატარება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერაბ კოსტავას სახელობის N8 ხელოვნების სკოლისთვის ორი ცალი აკუსტიკური პიანინოს შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის არამ ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლისთვის ორი პიანინოსა და რვა ვიოლინოს შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სანდრო ინაშვილის სახელობის N12 ხელოვნების სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით ანდლულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლისთვის სამი პიანინოს შეძენა; ა(ი)იპ ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლისთვის ორი ცალი გაზის ქვების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პეტრე ამირანაშვილის სახელობის N18 ხელოვნების სკოლისთვის ბიბლიოთეკის რკინის კარადების, ციფრული პიანინოსა და ციფრული პიანინოს სკამის შეძენა; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლისთვის „აფხაზეთი N1“ პრინტერის შეძენა; ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლისთვის აუდიტორული კომპანიის მომსახურება, ბიბლიოთეკის მეტალის თაროების, ხუთი ფანდურისა და ერთი ჩონგურის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სერგო

ზაქარიადის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის ფანდურების და ჩონგურების შექმნა, ჭერის სარემონტო სამუშაოების და დემონტაჟი-მონტაჟის შესრულების ექსპერტიზა, დაცვაზე აყვანის და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებებისათვის შპს „ალგანთან“ ნაკისრი ფინანსური ვალდებულების უზრუნველყოფა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალექსი მაჭავარიანის სახელობის N26 ხელოვნების სკოლისთვის ელექტროაპარატურისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გიორგი ცაბაძის სახელობის N25 ხელოვნების სკოლისთვის აუდიტორული მომსახურების დაფინანსება, გათბობის სისტემის მოწყობა, კონდიციონერისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის შოთა შანიძის სახელობის N20 ხელოვნების სკოლისთვის გათბობის სისტემის მოწყობა და მუსიკალური ინსტრუმენტების შექმნა. დაიწყო ა(ა)იპ „ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლაში“ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 25 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები მოთხოვნის შესაბამისად

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 23 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებზე ხელშეკრულება გაფორმდა ოქტომბერში. ასევე, სარემონტო-სარეაბილიტაციო

სამუშაოების დროს სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა, რამაც სამუშაოები შეაფერხა და გამოიწვია აუთვისებლობა.

08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისი - წიგნის მსოფლიო დედაქალაქი, ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი, ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი.

2023 წლის გეგმა - 5,913.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,809.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული აქტივობების განხორციელების შედეგად, თბილისის გადაქცევა რეგიონის კულტურის ცენტრად, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები - 5,323.1 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით ოთხი ღონისძიება; თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით 41 ღონისძიება; ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 216 ღონისძიება. ასევე, „მანანა დოიჯაშვილის სახელობის საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა VIII კონკურსის“ ჩატარების მიზნით, დაფინანსდა ა(ა)იპ საქართველოს მუსიკალური კონკურსების ფონდი - 87.3 ათასი ლარით (საკუთარი სახსრებიდან - 145.1 ათასი ლარი); თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალის ჩასატარებლად (მათ შორის ფესტივალზე მოწვეული გუნდების ტრანსპორტირება, პოლიგრაფია: აფიშებისა და დიპლომების ბეჭდვა, ვანო სარაჯიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზების ქირავნობა, ფესტივალის კონცერტების ტელე გადაღება) და საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამის უზრუნველყოფის ლიცენზიის ვადის 2023 წლის განმავლობაში გაგრძელების მიზნით ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი - 94.5 ათასი ლარით; ა(ა)იპ თბილისი წიგნის მსოფლიო დედაქალაქის ლიკვიდაციის დასრულების ხარჯები - 4.6 ათასი ლარი; საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამის უზრუნველყოფის ლიცენზიის ვადის 2023 წლის განმავლობაში გაგრძელებისათვის და 31-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი "შემოდგომის თბილისი" ჩასატარებლად, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი - 299.6 ათასი ლარით. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 28.7 ათასი ლარი, შპს „საბავშვო ჟურნალი დილასთვის“ (ს/ნ 203855355) ჟურნალის „დილა“ გამოცემის და მოქალაქე გივი სიხარულიძის წიგნის - „აწყვეტილი სიცოცხლე“ გამოცემის უზრუნველსაყოფად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 180 პროექტი, რომელში მონაწილეობს 3600-მდე მონაწილე (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა 228 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 4000-ზე მეტი მონაწილე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 260 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 6000-ზე მეტი მონაწილე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ფესტივალების, კონკურსების, შემოქმედებითი, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიმართულებით განსაკუთრებით იმატა პროექტების რაოდენობამ.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 35,046.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 44,877.5 ათასი ლარის 78.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

2023 წლის გეგმა - 7,918.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,807.7 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები, სპორტული ფედერაციებისა და კლუბების ხელშეწყობა, საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალთა სპორტის და პარასპორტის განვითარება, მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ/პარალიმპურ თამაშებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული ქალთა გუნდები/კლუბები და პარასპორტის გუნდური სახეობების საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სამსახურს დაქვემდებარებული სპორტული ა(ა)იპ-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 35 სპორტული ფედერაცია: ბეისბოლის და სოფტბოლის, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, ფრენბურთის, ფარიკაობის, ჯიუ-ჯიცუს, ტაეკვონდოს, აფროსნობის, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, უძლიერეს მამაკაცთა, კრივის, მშვილდოსნობის, ფეხბურთის, დარბაზის ჰოკეის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, გირის სპორტის, ბილიარდის, საწყლოსნო სახეობების, ამერიკული ფეხბურთის, ქართული ჭიდაობის, ნიჩბოსნობის, ხუთჭიდის, ჭიდაობის, კალათბურთის, ნარდის, საავტომობილო, კენდოს, მკლავჭიდის,

ხელბურთის, დრიფტის და დრაგის და ყინულის ჰოკეის თბილისის ფედერაცია; საქართველოს 37 სპორტული ფედერაცია: ფარიკაობის, კალათბურთის, ამერიკული ფეხბურთის, პადელის, მშვილდოსნობის, ჭადრაკის, ჩოგბურთის, ნარდის, სამთო სირბილის, კიბერ სპორტის, ძიუდოს, პარაფრენბურთის, ხუთჭიდის და ტრიატლონის, ფეინთბოლის, ტანვარჯიშის, სპორტცეკვების, კომპიუტერული სპორტის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, ათლეტიზმის, სკეიტბორდის, მინი გოლფის, შერეული საბრძოლო ხელოვნებების, მკლავჭიდის, საწყლოსნო სახეობათა, უძლიერეს მამაკაცთა და მთიელთა თამაშების, რაგბის, გირის სპორტის მასრესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესის), ვეტერან მოფარიკავეთა, საავტომობილო, სამბოს, უშუს, ხელბურთის, მოტოსპორტის, ჭიდაობის, ძალოსნობის, ეროვნული ფედერაცია "სპორტი ყველასათვის" და ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია. ასევე, დაფინანსდა: ა(ა)იპ "კავშირი მშვიდობის თასი-საქართველო", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "მეგა ბასკეტი", ა(ა)იპ "მთავლელთა საერთაშორისო ასოციაცია", ა(ა)იპ "სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაცია", ა(ა)იპ კავშირი "კასტირიონი", ა(ა)იპ "ბრუკლინ აკადემია", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი", ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ "სპორტული თაობა", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ "ახალგაზრდული მედია კავშირი", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი თბილისი თიმი 2022", ა(ა)იპ "საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "დიდუბე - 2014", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია", ა(ა)იპ "აფხაზეთის ძიუდოს აკადემია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ "აპოლონი და ოლიმპიადა", ა(ა)იპ "წყალბურთის კლუბი ივერია", ა(ა)იპ ქალთა საჩოგბურთო კლუბი "ეისი", ა(ა)იპ "ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია", ა(ა)იპ "ვოლლეიბოლ ქლუბ გლდანის", ა(ა)იპ "რაგბის კლუბი ავჭალა,

ა(ა)იპ "რაგბის კლუბი ლაშარი", ა(ა)იპ "რაგბის კლუბი წიქარა", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი", ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "თბილისი სითი", ა(ა)იპ "სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი შტურმი 2022", სსიპ ქ. თბილისის N10 საჯარო სკოლა, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ოლიმპი-თბილისი", ა(ა)იპ "საბრძოლო ხელოვნების კიკ-ბოქსინგის სპორტული კლუბი კონდორი", ა(ა)იპ ქალთა ფრენბურთის გუნდი "შევარდენი", ა(ა)იპ "დოჯო სგ", ა(ა)იპ "პან-სომხური თამაშების თბილისის კომიტეტი", ა(ა)იპ "ს.კ. გოლიადორი 2017", ა(ა)იპ "რაგბის კლუბი ჩულურეთი", ა(ა)იპ "ოლიმპიელი 2023", ა(ა)იპ კიკბოქსინგის და ტაიბოქსის კლუბი "მგლები", ა(ა)იპ "ირაო", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი სოხუმის "კოლხა" და ა(ა)იპ "ფენიქსი 2020";

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო-საწვრთნო შეკრებები, თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობებში და ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, საერთაშორისო ტურნირებში. სულ დაფინანსდა 251 პროექტი, განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 79 321 ბენეფიციარმა (მათ შორის 48 300 კაცი, 31 021 ქალი), მათ შორის დასაქმებული იყო - 2 835 (მათ შორის 1 824 კაცი, 1 011 ქალი), კერძოდ: დაფინანსდა თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ჭადრაკში, ბატუტზე ხტომებში, სპორტულ აკრობატიკაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, აფროსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო სროლაში, პნევმატური იარაღიდან სროლაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, მას-რესლინგში, ბილიარდში, ცურვაში, მხატვრულ ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ხუთჭიდის და ტრიატლონის სახეობებში, კალათბურთში, ნარდში, საავტომობილო სპორტში, მკლავჭიდიში, ხელბურთში, სამთო სირბილში, ქვიშის ფრენბურთში, მინი გოლფში და პადელში;

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: ძალოსნობაში, ფრენბურთში, კრივში, მშვილდოსნობაში, ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში,

ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, დრიფტში და დრაგში, შერეულ ორთაბრძოლებში, კიბერ ფეხბურთში, სპორტულ ცეკვებში, საავტომობილო სპორტში, ჩოგბურთში და კომპიუტერულ სპორტში თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ჭადრაკში, ბატუტზე ხტომებში, სპორტულ აკრობატიკაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, აფროსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო სროლაში, პნევმატური იარაღიდან სროლაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, მას-რესლინგში, ბილიარდში, ცურვაში, მხატვრულ ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, ხუთჭიდის და ტრიატლონის სახეობებში, კალათბურთში, ნარდში, საავტომობილო სპორტში, მკლავჭიდში, ხელბურთში, სამთო სირბილში, ქვიშის ფრენბურთში, მინი გოლფში და პადელში;

თბილისის გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: ძალოსნობაში, ფრენბურთში, კრივში, მშვილდოსნობაში, ჰოკეიში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, დრიფტში და დრაგში, შერეულ ორთაბრძოლებში, კიბერ ფეხბურთში, სპორტულ ცეკვებში, საავტომობილო სპორტში, ჩოგბურთში და კომპიუტერულ სპორტში;

თბილისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: ბეისბოლში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, უშუში, მშვილდოსნობაში, ფეხბურთში, წყალში ხტომაში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, კენდოში, დრიფტში, ჩოგბურთში, ნარდში, კიკბოქსინგში, ხელბურთში, ძიუდოში, კალათბურთში, უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინებში, პარაწოლჭიმში, ათლეტიზმში, ბატუტზე ხტომებში, მას-რესლინგში, ამერიკულ ფეხბურთში, სპორტულ აკრობატიკაში, პარაფრენბურთში და ძალოსნობაში;

დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: ბეისბოლში, ტანვარჯიშში, ძალოსნობაში, ფრენბურთში, ფარიკაობაში, ჯიუ-ჯიცუში, ტაეკვონდოში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ფეხბურთში, ძიუდოში და წყალბურთში; სახელობითი ტურნირები, სადაც მონაწილეობა მიიღეს

თბილისელმა სპორტსმენებმა: ჭადრაკში, სპორტულ აკრობატიკაში, ძალოსნობაში, ფარიკაობაში, სასტენდო სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინაში, ფეხბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ნიჩბოსნობაში, სამჭიდსა და ოთხჭიდში და თავისუფალ ჭიდაობაში; განხორციელდა თბილისის უმუს ნაკრები გუნდებისთვის, თბილისის მშვილდოსნობის კლუბებისთვის, თბილისის ჰოკეის ქალთა და მამაკაცთა გუნდებისთვის, თბილისის ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის სპორტსმენებისთვის, თბილისის კენდოს, იაიდოს და ჯოდოს ფედერაციის სპორტსმენებისთვის, საკალათბურთო კლუბი "მეგა ბასკეტი"-ს სპორტსმენებისთვის, თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის ვარჯიშებისთვის და ქალთა საჩოგბურთო კლუბი "ეისისთვის" სპორტული დარბაზებისა და ღია მოედნების იჯარის დაფარვა, ასევე დაფინანსდა: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირველობაზე ჭაბუკებში (15 წლამდე) ქ. თბილისის ძალოსნობის გუნდის მონაწილეობა, თბილისის ძალოსნობის ნაკრები გუნდის და მოზარდი სპორტსმენების ვარჯიშებისთვის ძალოსნობის დარბაზის (ი. ჭავჭავაძის გამზ. 49ბ) კომუნალური ხარჯების დაფარვა (12 თვე), ქალაქ თბილისის ხელბურთელ გოგონათა კემპი, საქართველოს დრიფტის სერიების 1-ლი ეტაპი, ფეხბურთის ასაკობრივი ჩემპიონატი "მშვიდობის თასი-2023", ჰიმალაებში, მწვერვალ ანაპურნა-1-ზე (8091მ.) საერთაშორისო ექსპედიციაში თბილისელი მთამსვლელის გია თორთლაძის მონაწილეობა, "თბილისის სასკოლო ლიგა 2023", "სპორტფოტო 2022 - Sportphoto 2022", სამოყვარულო ფეხბურთში "თბილისის ლიგა 2023", აჭარის ღია პირველობაზე ქ. თბილისის სპორტულ ტანმოვარჯიშეთა გუნდის მონაწილეობა, 3X3-ზე კალათბურთში მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო ტურნირი "თბილისი ჩელენჯი-2023", 7X7 ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატები თბილისის "MASTER LEAGUE", "MASTER LEAGUE" 2, "MASTER LEAGUE" 3 და თბილისის მერიის თასი, თბილისის დაქვემდებარებულ სპორტულ ცენტრებში სპორტული მედიცინის სერვისების დანერგვის საპილოტე პროექტის I და II ეტაპი, ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მომზადება (საქართველოს რეგულარული ჩემპიონატის, საქართველოს თასის და სუპერთასის გათამაშებებში მონაწილეობისათვის), საფეხბურთო ჩემპიონატი - ფან-კლუბ ლიგა 2023

(გაზაფხულის სეზონი), "გაზაფხულის ჩემპიონატი ფეინთბოლში 2023", კახეთში, ლოპოტას გადასახვევიდან კავკასიონის ქედის გასწვრივ "Wings For Life World Run 2023-მსოფლიო რბენა", ბორჯომში, სოფელ ჩითახევში პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში ჯომარდობის, ფეინთბოლის, მშვილდოსნობისა და ზიპლაინის აქტივობებში თბილისელი შშმ პირების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანების მონაწილეობა, კიბერსპორტში მსოფლიო ჩემპიონატისთვის საქართველოს ნაკრები გუნდების მომზადება, სკეიტ-პარკების გახსნის ღონისძიებების ფარგლებში პროფესიონალი სპორტსმენების საჩვენებელი გამოსვლა, BMW - ს მე-11 საერთაშორისო ფესტივალი და ჯიმხანას შეჯიბრი 2023, უნგრეთის ქ. კაპოსვარში, უმცროსი ასაკის ჭაბუკებს შორის ევროპის პირველობაზე ჭიდაობაში მწვრთნელის მონაწილეობა, პროექტის "Urban Sport Fest - ურბან სპორტფესტი"-ს ფარგლებში ტურნირი 3X3 კალათბურთში, თბილისის ბეისბოლის ნაკრების მწვრთნელის და წარმატებული სპორტსმენის მონაწილეობა საერთაშორისო ბანაკში „EBSCA training camp“, ამერიკული ფეხბურთის "ზაფხულის თასი 2023", შვედეთში, კუნძულ გოთლენდზე, საერთაშორისო ფესტივალში "შუა საუკუნეების კვირა გოთლენდზე 2023" (The Medieval Week on Gotland 2023), საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაციის, ქართული საბრძოლო ხელოვნების სადემონსტრაციო ჯგუფის "ჰოროლის" მონაწილეობა - საბრძოლო შოუ "ქართული ბრძოლის ამბავი", ქ. თბილისის 2023 წლის ქვიშის ფრენბურთის ღია ფესტივალი, პუბლიცისტ ზურაბ თალაკვაძის სპორტულ-ბიოგრაფიული წიგნის "სპორტულად" (ნარკვევები ჯამლექ ხუხაშვილის ბიოგრაფიიდან) გამოცემა, წიგნი-ალბომის "ალექსანდრე ჩივაძე" (ქართულ-ინგლისური) გამოცემა, "ქართული იუთუბის თასი Youtube Cup Georgia" (კიბერ ფეხბურთში), "დიდი რაგბი თბილისში" (მსოფლიო თასის თამაშების ჩვენება), "იუთუბ E-ლიგა" (კიბერ ფეხბურთში), დაბა ურეკში პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში "შშმ პირთა სპორტულ საზაფხულო ბანაკი - ურეკი 2023"-ში თბილისელი ბენეფიციარების მონაწილეობა, ფასანაურში მდ. არაგვის ტერიტორიაზე საჯომარდო ბანაკი, საქართველოს დრიფტის სერიების მე-5 ეტაპი, თბილისის მუნიციპალიტეტმა გააკეთა განაცხადი

„ევროპის სპორტის დედაქალაქის” 2026 წლის ნომინაციაზე, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული 2023 წლის ჩემპიონატების (ელიტ-ლიგა, თბილისის ლიგა) გამარჯვებულთა დაჯილდოება, ქ. ბათუმში თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა "იუნესკოს" მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილ მე-4 რესპუბლიკურ ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში, საფეხბურთო ჩემპიონატი - "ფან-კლუბ ლიგა 2023" (შემოდგომის სეზონი), ევროპის ძიუდოს კავშირის სამედიცინო სემინარის - "EJU Medical seminar 2023", მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი ძიუდოში, ტანვარჯიშის სახეობებში, რაგბში, წყალბურთსა და ცურვაში, იტალიაში, ქ. ჯესი-ში რაპირით მოასპარეზე თბილისელი სპორტსმენის - ლაშა გალუაშვილის სასწავლო-საწვრთნელ ტრენინგში მონაწილეობა, "ევრაზიის პროფესიონალური სანდას ლიგა", საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის ყოველწლიური საანგარიშო (შემაჯამებელი) ღონისძიება, წლის საუკეთესო პარასპორტსმენების და მწვრთნელების დაჯილდოების ცერემონიალი - "პარა 2023", პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია"-ს ფარგლებში "შშმ პირთა უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სპორტული აქტივობების წლის შემაჯამებელი პრეზენტაცია", საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის 2023 წლის წარმატებული სპორტსმენების, მოტოკლუბების და ფედერაციის პარტნიორი ორგანიზაციების გალა დაჯილდოება, 2023 წელს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის თბილისელი სპორტსმენების, ასევე საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის ქალთა გუნდების და პარასპორტის გუნდების დაჯილდოების ღონისძიება;

თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 34 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენტა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 6 611 ბენეფიციარი (მათ შორის 5 828 კაცი, 783 ქალი);

მიმდინარე პერიოდში დაჯილდოვდა 2022 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 2 ეროვნული ფედერაციის 10 თბილისელი

სპორტსმენი (მათ შორის 2 კაცი, 8 ქალი), ხოლო 2023 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 193 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 153 კაცი, 40 ქალი) და საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 4 ქალთა გუნდი (66 ქალი და 9 მწვრთნელი კაცი);

გარდა ამისა, ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“;

თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად დაფინანსდა: ა(ა)იპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი (მათ შორის დაფარულია კომუნალური ხარჯები), ა(ა)იპ მარინა ცერვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი (მათ შორის დაფარულია კომუნალური ხარჯები).

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის 2023 წლის ლიცენზიის შესაძენად დაფინანსდა ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი;

პირველობის ჩასატარებლად დაფინანსდა ა(ა)იპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი, ხოლო ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, სტრუქტურული ერთეულის - მუხიანის რაგბის კომპლექსის რაგბის კლუბი „ხვამლისთვის“ რაგბის სათამაშო ფორმების, რაგბის ბურთების, ბურთის ჩანთების, სხვადასხვა სახის სახვევების, სამედიცინო დაფის, წყლის სპორტული ბოთლების, ბოთლის სადგამების, სპორტული ნიშნულების, ყინულის კონტეინერ - მაცივრის, ხელის რადიოსადგურების და სხვადასხვა სპორტული ინვენტარის, ტრანსპორტირების მომსახურების და სპორტსმენებისთვის სადაზღვევო მომსახურების შესაძენად; ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“ შენობა-ნაგებობების, რემონტი-მოპირკეთების, ავეჯის, ელექტრონული ან/და კომპიუტერული მოწყობილობების და მანქანა-დანადგარების სადაზღვევო

მომსახურების შესაძენად, ბრენდინგისთვის, საკანცელარიო და საოფისე აქსესუარების ბრენდინგისთვის, ბლანკის, ბანერის და სარეკლამო ბანერის დიზაინების შესაქმნელად და დასუფთავება-ჰიგიენის საშუალებების შესაძენად; ა(ა)იპ მარინა ცერვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი დაფინანსდა ფიგურული სრიალის ციგურების შესაძენად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსდა 238 პროექტი და 43 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 250-მდე პროექტის განხორციელება და დაახლოებით 30 სპორტული ორგანიზაციისთვის სპორტული ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 251 პროექტი და 34 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაჯილდოვდა 2021 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 1 ეროვნული ფედერაციის 1 თბილისელი სპორტსმენი. ასევე, საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა ამპუტანტთა ფეხბურთის გუნდი, 2022 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე, ასევე ჭადრაკის ოლიმპიადაზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 20 ეროვნული ფედერაციის 140 თბილისელი სპორტსმენი, საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 4 ქალთა გუნდი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის დაახლოებით 150-მდე თბილისელი სპორტსმენის დაჯილდოება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაჯილდოვდა 2022 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 2 ეროვნული ფედერაციის 10 თბილისელი სპორტსმენი, ხოლო 2023 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 193 თბილისელი სპორტსმენი და საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 4 ქალთა გუნდი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 52728 ბენეფიციარმა (მათ შორის 33628 კაცი, 19097 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაუმჯობესება.

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიიღო 79 321 ბენეფიციარმა (მათ შორის 48 300 კაცი, 31 021 ქალი).

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 2,606.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,600.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის თვეში საშუალოდ 347 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 50 (ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, ჭადრაკში, სპორტულ ცოცვაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომებში, ბ/რ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ძალოსნობაში, ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, მხატვრულ ცურვაში, აფროსნობაში, ძიუდოში, კრივში, ხელბურთში, სროლაში, ველოსპორტში, რაგბში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, ჩოგბურთში, სამბოში, ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, კარატეში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფუტსალში, ბალახის ჰოკეიში, ფრისბიში, უშუში, ბადმინტონში, პარალიმპიურ სპორტში - პარაწოლჭიმში და პარაცურვაში, მკლავჭიდში, ხრიდოლში, კიოკუშინკაი კარატეში, ფეხბურთში, პანკრატინში, ტაეკვონდოში, ამერიკულ ფეხბურთში, კიკბოქსინგში, ამპუტანტთა ფეხბურთში და შერეულ საბრძოლო ხელოვნებაში) სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	კაცი

იანვარი	350	60	290
თებერვალი	349	61	288
მარტი	349	61	288
აპრილი	348	71	277
მაისი	346	71	275
ივნისი	346	71	275
ივლისი	346	70	276
აგვისტო	346	70	276
სექტემბერი	346	70	276
ოქტომბერი	345	72	273
ნოემბერი	346	72	274
დეკემბერი	346	72	274

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული საშუალოდ თვეში 348 მწვრთნელ-მასწავლებელი (მ.შ. 281 კაცი, 67 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ-მასწავლებელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული თვეში საშუალოდ 347 მწვრთნელ-მასწავლებელი (მ.შ. 279 კაცი, 68 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ფედერაციების მოთხოვნის შესაბამისად ხდება მწვრთნელების პროგრამიდან ამორიცხვა ან/და ჩანაცვლება.

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 5,690.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 3,967.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,522.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 69.7%-ია

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის ჩენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ვარკეთილის დასახლება მე-2 მ/რ, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა N41-ის მიმდებარედ და ლიბანის ქუჩა N11-ის მიმდებარედ სკეიტ-მოედნების მოწყობის სამუშაოები; თბილისის მასშტაბით ღია ტიპის სკეიტ-მოედნების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და სამშენებლო სამუშაოები (ვაზისუბნის დასახლება, დიდი დილომი IV მკ/რ). ასევე, ანაზღაურებულია ც. დადიანის ქუჩაზე (ს/კ 01.12.12.003.059 და მიმდებარე ტერიტორია) სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობის სამუშაოების დაქვითული თანხიდან ხელშეკრულების ღირებულების 5%. გარდა ამისა, გაფორმებულია ხელშეკრულება თბილისში ფეხბურთის და პადელის მოედნების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოეწყო 2 სპორტული მოედანი, 1 მოედანზე განხორციელდა კომუნიკაციების დაერთება, დაიწყო 2 სკეიტ-მოედნის სამშენებლო სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყო 4 სკეიტ-მოედანი, 2 პადელის მოედანი და 1 ფეხბურთის მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 2 სკეიტ-პარკი და მიმდინარეობდა 2 ახალი სკეიტ-პარკის სამშენებლო სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა თბილისში ფეხბურთის და პადელის მოედნების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - კომპანიების მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები.

2023 წლის გეგმა - 26,546.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 18,612.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 14,769.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 70.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნის მიზნით საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ახალი მულტიფუნქციური საზოგადოებრივი (სპორტული) ცენტრების და სპორტული ობიექტების მშენებლობა, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გრძელდება დიდ დილომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის და ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოები, დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში (ს/კ 01.13.03.041.038; 01.13.03.041.037) მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთარიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. ასევე, მიმდინარეობდა ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის გაზის, წყლის და ელექტრო ენერჯის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები;

დასრულდა სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: ა(ა)იპ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის მუხიანის რაგბის კომპლექსის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები; დიდ დილომში, სკოლა "ფესვების" მიმდებარედ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის ელექტროენერჯის მრიცხველის ჩანაცვლება ახალი რევერსული მრიცხველით; ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის გაზომომარაგება-გაზიფიცირების სამუშაოები;

დაფინანსდა ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი ავეჯითა და სხვადასხვა სახის ინვენტარით აღჭურვაზე, სტანდარტული პერსონალური და პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების, ლაზერული პრინტერების და

კარტრიჯების შესაძენად; ა(ა)იპ ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და კოლონური კონდინციონერის შექმნა (მონტაჟით); ა(ა)იპ ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი ოთხი სტრუქტურული ობიექტის ელექტრომომარაგების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები, გლდანის საცურაო აუზის რეაბილიტაციის სამუშაოები და ნაძალადევის სპორტული კომპლექსის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები და აუზის მოცურების საწინააღმდეგო ბილიკის მოწყობა; დიდ დილოში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ და ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მრავალფუნქციური სპორტული ცენტრების ტრენჟორებით და სპორტული ინვენტარით აღჭურვა;

გაფორმდა ხელშეკრულება და ავანსის სახით დაფინანსდა (სამუშაოები დასრულდება 2024 წელს) დიდ დილოში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ და ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მრავალფუნქციური სპორტული ცენტრების ტანვარჯიშის და სპორტული ინვენტარით აღჭურვა; ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების ავეჯით და სხვა სახის ინვენტარით აღჭურვა; დიდი დილოს მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სარემონტო სამუშაოები;

ასევე, ანაზღაურებულია ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.19.27.008.008) საცურაო აუზის მშენებლობის სამუშაოების დაქვითული თანხიდან ხელშეკრულების ღირებულების 5%; ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულის, კულა გლდანელის ჭიდაობის დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შენობის გარე და შიდა ფასადის ბრენდირება და მანიშნებლების განთავსება მთელ სივრცეში; ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის" პარკირების სივრცის დახაზვის გეგმის (პროექტის) შედგენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დასრულდა 3 სპორტულ ობიექტზე, ხოლო მომზადების პროცესშია ერთი სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3 ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (მათ შორის პარკირების სივრცის დახაზვის გეგმის პროექტი).

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ერთ სპორტულ ობიექტზე (პარკირების სივრცის დახაზვის გეგმის პროექტი), ხოლო მომზადების პროცესშია ორ სპორტული ობიექტის (სამშენებლო სამუშაოები) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება დასრულდება 2024 წელს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დასრულდა 6 სპორტული ობიექტის სარემონტო სამუშაოები (მათ შორის 1 ობიექტის ბუნებრივი გაზის მოხმარების მოცულობის გაზრდა), გრძელდება 5 სპორტული ობიექტის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი) მშენებლობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება 2 მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა, 6 ობიექტის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, 1 ობიექტის გაზომომარაგება-გაზიფიცირება, 4 ობიექტის ელექტრომომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, 1 ობიექტის კომუნიკაციების გამანაწილებელ ქსელზე დაერთება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 9 სპორტული ობიექტის/ფილიალის სარემონტო სამუშაოები (მათ შორის 1 ობიექტის გაზომომარაგება-გაზიფიცირება, 4 ობიექტის ელექტრომომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, 1 ობიექტის კომუნიკაციების გამანაწილებელ ქსელზე დაერთება), გრძელდება 3 სპორტული ობიექტის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი), ხოლო დასრულდა 1 ობიექტის მშენებლობის სამუშაოები, დაიწყო 1 ობიექტის სარემონტო სამუშაოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, 8 სპორტული ობიექტი/ფილიალი აღჭურვა სპორტული ინვენტარით (სპორტსმენთა სარეაბილიტაციოდ სამედიცინო აპარატურა, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, სპორტული ინვენტარი, კამერები და სხვა), ერთ ობიექტზე მიმდინარეობდა ავეჯისა და სხვადასხვა სახის ინვენტარის დამზადება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 3 სპორტული ობიექტის აღჭურვა (სპორტული ინვენტარი, ავეჯი, ტრენაჟორები და სხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - აღჭურვილია 2 სპორტული ობიექტი (ტრენაჟორები, ავეჯი და სხვადასხვა სახის ტექნიკა), გაფორმებულია ხელშეკრულება 3 ობიექტის აღჭურვაზე (სპორტული ინვენტარი, ავეჯი).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - კომპანიების მიერ არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია. ასევე, არ შედგა ტენდერი მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სპორტული ინვენტარით აღჭურვის შესყიდვაზე.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 398.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 391.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის 32 (ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ცურვა, მხატვრული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, სპორტული ცოცვა,

ჩოგბურთი, უშუ, ტაეკვონდო, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი, ველოსპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ხელბურთი, სროლა და ბადმინტონი) სახეობაში 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული თვეში საშუალოდ 237 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		გოგო	ბიჭი
იანვარი	236	89	147
თებერვალი	235	88	147
მარტი	228	84	144
აპრილი	231	86	145
მაისი	236	88	148
ივნისი	237	88	149
ივლისი	236	90	146
აგვისტო	236	93	143
სექტემბერი	237	94	143
ოქტომბერი	243	94	149
ნოემბერი	245	94	151
დეკემბერი	246	94	152

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული თვეში საშუალოდ 237 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.152 ვაჟი, 85 გოგონა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 260 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

მიღწეული მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 237 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი, მ.შ.147 ვაჟი, 90 გოგონა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ფედერაციების მიერ ნაკლები მომართვიანობა.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2023 წლის გეგმა - 1,613.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,576.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 30.7 ათასი ლარი), ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელი-სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია თვეში საშუალოდ 227 პარასპორტსმენი და 20 მწვრთნელი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
იანვარი	246	32	214
თებერვალი	246	32	214
მარტი	212	34	178
აპრილი	214	30	184
მაისი	226	30	196
ივნისი	232	32	200
ივლისი	234	32	202
აგვისტო	234	30	204
სექტემბერი	225	30	195
ოქტომბერი	217	30	187
ნოემბერი	217	30	187
დეკემბერი	217	30	187

ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, ეტლით მოსარგებლეთა ჩოგბურთი, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, ეტლით მოსარგებლეთა კალათბურთი, მჯდომარე ფრენბურთი, პარადიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, ფეხბურთი და პარატაეკვანდო. ასევე, ცენტრში ფუნქციონირებს ფიტნესი და ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში 15 საერთაშორისო შეჯიბრსა

და ტურნირში მონაწილეობა მიღებული აქვს 63 პარასპორტმენს (მათ შორის 22 კაცი, 41 ქალი).

„ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში ცენტრი ემსახურება თბილისის საჯარო სკოლების შშმ მოსწავლეებს და ახორციელებს მათ ტრანსპორტირებას ადაპტირებული მიკროავტობუსებით. მიმდინარე პერიოდში ცენტრის 5 სატრანსპორტო საშუალება ემსახურებოდა თბილისის 7 საჯარო სკოლის 10 შშმ მოსწავლეს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს პარაცენტრში 15 სახეობაში მიმდინარეობდა საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იყო თვეში საშუალოდ 234 პარასპორტსმენი (მათ შორის 205 მამაკაცი და 29 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - 15 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია თვეში საშუალოდ 227 პარასპორტსმენი (მათ შორის 195 მამაკაცი და 32 ქალი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 11 საერთაშორისო შეკრება და შეჯიბრება, სადაც მონაწილეობა მიიღო 18 პარასპორტსმენმა (მათ შორის 13 მამაკაცი და 5 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 15 საერთაშორისო შეჯიბრება და ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო 63 პარასპორტსმენმა (მათ შორის 22 მამაკაცი და 41 ქალი).

08 06 07 სპორტი უფროსი თაობისთვის

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ გლდან-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი.

2023 წლის გეგმა - 105.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 89.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდან-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის ორ სტრუქტურულ ერთეულში (გლდანის სპორტულ კომპლექსში და ნაძალადევის სპორტულ კომპლექსში) და კერძო სპორტულ ცენტრებში (სპორტკომპლექსი „არენა“ და სპორტკომპლექსი „ოლიმპიკი“) საცურაო აუზებით და ფიტნესით სარგებლობისათვის (მათ შორის 2022 წლის დეკემბრის თვე (301 ბენეფიციარი), სამსახურში წარდგენილი შესრულებები ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
2022 წლის დეკემბერი	301	178	123
იანვარი	280	165	115
თებერვალი	311	179	132
მარტი	334	187	147
აპრილი	354	197	157
მაისი	370	203	167
ივნისი	413	234	179
ივლისი	438	263	175
აგვისტო	209	127	85
სექტემბერი	93	76	17
ოქტომბერი	308	210	98
ნოემბერი	365	242	123
დეკემბერი	372	248	124

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს სპორტული სერვისით მოსარგებლე 301 ბენეფიციარი (მათ შორის 178 ქალი, 123 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სპორტული სერვისით ისარგებლებს დაახლოებით 700 თბილისელი მოქალაქე.

მიღწეული მაჩვენებელი - სპორტული სერვისით მოსარგებლე 438 ბენეფიციარი (მათ შორის 311 ქალი, 127 კაცი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აგვისტოსა და სექტემბერში სარემონტო სამუშაოების გამო ნამალადევის და გლდანის საცურაო აუზები დახურული იყო. ასევე, აგვისტოში დახურული იყო საცურაო აუზი „ოლიმპიკი“.

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 5,160.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,196.5 ათასი ლარის 71.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2023 წლის გეგმა - 5,877.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,119.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 70.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა და ახალგაზრდების თვითრეალიზების მიზნით, მათი სამეწარმეო და სტარტაპ საპროექტო იდეების დაფინანსება, ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა სარეკრეაციო, გართობის, დასვენების და მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ახალგაზრდული ლიგის პროექტი - „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სწავლის დაწყების აღსანიშნავი ღონისძიება“; ა(ა)იპ საზოგადოებრივი აზრის პროექტი - „ახალგაზრდული ბანაკი ბაკურიანში“; ა(ა)იპ საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაციის პროექტი პროექტი - „მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ელექტრონულ სპორტში“; ა(ა)იპ საქართველოს კულტურის ცენტრის პროექტი - „ახალგაზრდულ ღონისძიებათა სერია „მატრიცა“; ა(ა)იპ საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის პროექტი - „ნუცუბიდის

ფერდობის ურბანული რეაბილიტაცია ქუჩის ხელოვნების საშუალებით (კვლევა/სტრატეგია)“; ა(ა)იპ კულტურის ხელშეწყობის ფონდის პროექტი - ელექტრონული მუსიკის ღონისძიება „ნაკრძალი“; ა(ა)იპ ერასმუსის სტუდენტური ქსელი - საქართველოს პროექტი - „Eurodesk ქსელის შეხვედრა და გენერალური ასამბლეა თბილისში 2023 / Eurodesk Network Meeting & General Assembly in Tbilisi 2023“; ა(ა)იპ „თბილისის სტარტაპ ბიუროს“ პროექტი - ციფრული თამაშების ჰაკათონი (Game Jam Georgia); ა(ა)იპ „საბავშვო ფესტივალის“ ყოველწლიური მასშტაბური საბავშვო ფესტივალი; ა(ა)იპ „საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის“ პროექტი - „საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2023“ - ყველაზე მასშტაბური ღონისძიება საქართველოში, რომელშიც ჩაერთო საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის წევრი 31 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 50 000 სტუდენტი; ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის“(25 მაისიდან 14 ივნისის ჩათვლით) და ა(ა)იპ „განათლების საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრის“ (15 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით და 16 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით) პროექტები - საჯომარდო ბანაკის მოწყობა, რომელშიც ჩაერთო 18-დან 29 წლამდე ასაკის თბილისში მცხოვრები 4 400 ახალგაზრდა (ფასანაურში მდ. არაგვის ტერიტორიაზე მოეწყო 40 საჯომარდო ტური (თითო ტურის ხანგრძლივობა 1 დღე), თითოეულ ტურზე გაემგზავრა 100 თბილისელი ახალგაზრდა); ა(ა)იპ „ხელოვნება მომავლისთვის“ პროექტი - „ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“ (ვასილ გოძიაშვილის პარკში ჩატარდა ბავშვებისთვის განკუთვნილი მრავალფეროვანი აქტივობები); ა(ა)იპ „ქუჩის მუსიკის“ პროექტი - „ჩემი უბანი“; ა(ა)იპ „შემოქმედებითი განახლებას“ პროექტი - სამმა მხატვარმა მოხატა დიდი დიდი მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის ინტერიერის კედლები; ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის ცენტრის“ პროექტი - „ზაფხულის ლუდის ფესტივალი“; ა(ა)იპ „ქართული კულტურის განვითარების ცენტრის „ქვეყანა შემოვიარე“ პროექტი - „თბილისური საღამო“; ა(ა)იპ „ლაშქრობას“ პროექტი - „თბილისის გარშემო“ (განხორციელდება 4 ორდღიანი და 8 ერთდღიანი საველე-სალაშქრო ბანაკი მოხალისე-მსურველებისათვის); ა(ა)იპ „სტუდენტური უქმეების“ პროექტი (მონაწილეობს 4

უნივერსიტეტი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტი, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი), რომელიც დაყოფილია ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე გაიმართება შეჯიბრება რა? სად? როდის? მეორე ეტაპზე კი - after party, სადაც იქნება 350-მდე სტუდენტი, მათ დახვდებათ სხვადასხვა გასართობ-შემეცნებითი აქტივობა, უაღკოპოლო სასმელები და ცოცხალი მუსიკა (dj); ა(ა)იპ „ბავშვი და გარემოს“ პროექტი, გაიმართა არაფორმალური საგანმანათლებლო-კულტურული და საინტეგრაციო ღონისძიებები ა(ა)იპ „ბავშვი და გარემოს“ სამსახურის მოსარგებლე ბავშვებისთვის“; ა(ა)იპ „საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტი - თეატრის საერთაშორისო ფესტივალი(ფესტივალის მოდელი ითვალისწინებდა სპექტაკლებსა და საგანმანათლებლო პროგრამას უცხოელი ექსპერტების ჩართულობით), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს როგორც ქართულმა, ასევე უცხოურმა საბავშვო და ახალგაზრდულმა თეატრალურმა კოლექტივებმა; ა(ა)იპ ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის პროექტი - ინკლუზიური ბანაკი „მე კარგად, შენ? პირველი ინკლუზიური ბანაკია საქართველოში, რომელიც 2019 წლიდან ხორციელდება და წარმოადგენს გასართობ, დასასვენებელ, განმავითარებელ /სარეაბილიტაციო 24 საათიან ზრუნვას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და ბავშვებისათვის (პროექტი ჩატარდა ფშავში, მაღაროს კარში, 15 - დან 25 აგვისტომდე, ბანაკი იყო 10 დღიანი, დაისვენა 20 ბენეფიციარმა, მშობლების გარეშე (მინიმალური ზღვარი 9 წელი)). ა(ა)იპ „საქართველოს კულტურის ცენტრის“ პროექტი - „საზაფხულო ფესტივალი „მუზა“; ა(ა)იპ „კულტურის და განათლების ფონდის“ პროექტი - საერთაშორისო ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი „შეხვედრა რაგბის ირგვლივ“ (ბანაკში მონაწილეობა მიიღო 13-15 წლის 60-მდე ახალგაზრდამ თბილისიდან, ნანტიდან, ზაარბუკენიდან და კარდიფიდან); ა(ა)იპ „განათლების საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრის“ პროექტი - „საზაფხულო ბანაკი სტუდენტებისთვის 2023“, სადაც მონაწილეობას იღებდა თბილისის მასშტაბით მოქმედი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების 300 აქტიური და წარმატებული სტუდენტი (ბანაკი ჩატარდა 5 ნაკადად (თითოეული

ნაკადის ხანგრძლივობა 3 დამე/4დღე). თითოეულ ნაკადზე მონაწილეობა მიიღო 60 სტუდენტმა); ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა დავითიანნი“ – რუმინეთში, ქალაქ ტიმიშოარაში, 31 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით გაიმართა მე - 7 საერთაშორისო ახალგაზრდა მართმადიდებელთა ფორუმი (ფორუმის ფარგლებში ჩატარდა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ტრენინგ-სემინარები), რომელზეც საქართველოდან მონაწილეობა მიიღო 7-მა, 16-35 წლამდე დელეგატმა; ა(ა)იპ საქართველოს ანგელოზი ინვესტორების ქსელის პროექტი - „აქსელის საერთაშორისო საინვესტიციო ეკოსისტემის კონფერენცია“, რომელსაც დაესწრნენ ქართველი და უცხოელი ანგელოზი ინვესტორები, მოწვეული სტუმრები და სტარტაპები; ა(ა)იპ „კულტურის და განათლების ფონდის“ პროექტი - „საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა 2023“, რომლის ფარგლებში გაიმართა კინოჩვენებები, მასტერკლასები და ლექციები ახალგაზრდებისთვის; ა(ა)იპ საბავშვო სტუდია „ფანტასმაგორიას“ პროექტი - თოჯინური ანიმაციური ფილმის „ელენე დარიანის“, პროექტის წარმოების ფარგლებში საქართველოში პირველად დაიბეჭდა 3D პრინტერით, 3D პროგრამა „ბლენდერის“ საშუალებით, ანიმირებული პერსონაჟის სახეები. სტუდია „ფანტასმაგორიას“ ახალგაზრდა სტუდენტებმა 3D პროგრამა „ბლენდერში“ დაწერეს ახალი კოდი და შექმნეს ხელსაწყოები, რომლებსაც ახლა იყენებენ ანიმაციისა და ბეჭდვისათვის (სტუდია „ფანტასმაგორიას“ სტუდენტები ოქტომბერში მიიწვიეს ბლენდერის საერთაშორისო კონფერენციაზე ამსტერდამში); ა(ა)იპ „ანიმალაბის“ პროექტი - „თბილისის მე - 6 საერთაშორისო ანიმაციური ფესტივალი/Tbilisi International Animation Festival – TIAF, 6 th edition“, რომელიც წარმოადგენს მოზარდებისა და ახალგაზრდების აუდიტორიაზე მიმართულ თანამედროვე ანიმაციური ხელოვნების, ტექნოლოგიებისა და ვიზუალური ხელოვნების 4-დღიან ღონისძიებას; ა(ა)იპ „საზოგადოებრივი აზრის“ პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა თბილისის 10 რაიონიდან მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული 135 ახალგაზრდისთვის დაბა ბაკურიანში გასვლითი სკოლის ორგანიზებას (24 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით); ა(ა)იპ - „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტი - საქართველოს“ პროექტი - „ტიფლისი

2023 - ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის მე - 8 საერთაშორისო ფორუმი“, რომელიც ჩატარდა 16 – 21 ნოემბერს და კონფერენციის მთავარი თემა იყო „Remastering Past and Innovating Future“; ა(ა)იპ „სორელი ჯგუფის“ პროექტი - „ქართულ სამკერვალო ინდუსტრიაში ახალგაზრდა მეწარმეთა უნარების გაძლიერებისა და შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა“; ა(ა)იპ „საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის“ პროექტი - „სპორტული რეაბილიტაციის ბანაკი“ (24 დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლით); ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოების“ პროექტი - „NEW YEAR PARTY 2024“, გაიმართა 3 საახალწლო წვეულება სტუდენტებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა ჯამში 15 000 სტუდენტის ჩართულობას (25 - 27 დეკემბერს);

გრძელდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ „თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“ – 516.7 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გრძელდება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) სახლის დაფინანსება, მიმდინარე პერიოდში სახლის მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება. ასევე, გაწეულია თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების (მათ შორის ფულადი ჯილდოს), საოფისე ინვენტარის, ტექნიკის და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენის, ვაკის ფილიალისათვის ფართის იჯარის ხარჯები. დასრულდა ჩუღურეთის და ისნის ფილიალების ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტები, მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა დიდუბის ფილიალში. აღსანიშნავია, რომ ამერიკული საქველმოქმედო ფონდის დახმარებით განხორციელდა ხატვის წრეების კაბინეტების საჭირო ინვენტარით აღჭურვის პროგრამა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დაფინანსებული 49 პროექტი, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 30000-მდე ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 53 პროექტი, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 30000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 1000-მდე ახალგაზრდა მონაწილეობს რეკრეაციის, გართობის და დასვენების მიმართულების ღონისძიებებში (ბანაკებსა და ლაშქრობებში).

დაგეგმილი მაჩვენებელი - გაიზრდება ახალგაზრდების ჩართულობა, დაინერგება ახალი სერვისები და გაიზრდება მათზე ხელმისაწვდომობა

მიღწეული მაჩვენებელი - დაინერგა მრავალფეროვანი პროგრამები და სერვისები, პროგრამებში ჩართული 10000-ზე მეტი ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ელექტრონული რეგისტრაციის სერვისების დანერგვით უზრუნველყოფილია ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი და მათ ინტერესებზე მორგებული პროგრამების შეთავაზება.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (38 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3300 -ზე მეტი ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (40 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3500 ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

4.საბაზისო მაჩვენებელი - დაიწყო ისნის და ჩუღურეთის ფილიალების სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება,

გრძელდება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები და შეძენილი იქნება ისნის და ჩუღურეთის ფილიალების სრული რეაბილიტაციის მიზნით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადდა ისნის და ჩუღურეთის ფილიალების სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გრძელდება თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის სამუშაოები და დასრულდება 2024 წლის გაზაფხულზე.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოიწვია N08.08.01/30/250 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისა და დასრულების ვადის დარღვევამ.

08 08 02 თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი

2023 წლის გეგმა - 1,318.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,040.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 78.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება, სერვისების ხელმისაწვდომობა, არაფორმალური განათლების პროგრამის განხორციელება, პროგრამის "მერიასთან ერთად" ფარგლებში სერვისებზე (ტრენინგ-ცენტრი, სპორტული ინვენტარი და ეკიპირება, ტრანსპორტი და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ახალგაზრდებისთვის, მასობრივი ღონისძიებების, ახალგაზრდული ბანაკებისა და სკოლების ჩატარება, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ

თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის (ახალგაზრდული და სპორტული ფილიალები) ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,275.9 ათასი ლარი). ასევე, ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ელექტრონული პლატფორმის youthtbilisi.ge შექმნა ცენტრმა 2023 წლის აპრილში დაიწყო, მიმდინარე პერიოდში სრულყო ვებ-საიტის ტექნიკური დავალება და ონლაინ პლატფორმის დიზაინის შექმნა. საიტის ინფრასტრუქტურის ჩაბარება მოხდება 2024 წლის პირველ კვარტალში და დაიწყება საიტის სრულყოფისა და მასზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების პროცესი. საიტზე განთავსდება ცენტრის სიახლეები, ინფორმაცია მიმდინარე პროგრამების შესახებ, ინფორმაცია ევროდესკისა და ახალგაზრდული ბარათის შესაძლებლობების შესახებ. საიტზე გათვალისწინებულია გამოკითხვის ჩატარების ინსტრუმენტი და news taller-ის გამოწერის ფუნქციონალი. Youthtbilisi.ge სამი ტიპის მომხმარებელს მოემსახურება: ვიზიტორი, რეგისტრირებული მოხალისე და რეგისტრირებული ორგანიზაცია;

საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ცენტრის ორგანიზებითა და მხარდაჭერით წარიმართა ევროკავშირის საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ქსელის - ევროდესკის გენერალური ასამბლეა (EuroDesk Networking Meeting 2023). შეხვედრის ფარგლებში განხილული იქნა ახალგაზრდული ქსელის სამომავლო გეგმები (მათ შორის საქართველოს როლის გაძლიერების საკითხი ქართველი ახალგაზრდების ხელშეწყობის მიზნით); ცენტრმა უზრუნველყო საქართველოში ევროპის ახალგაზრდული ბარათისა (YouthCard) და ევროდესკის (Eurodesk) ონლაინ პლატფორმის დიზაინის შექმნა (პლატფორმაზე - EuroDesk.ge განთავსდება სასარგებლო ბმულები და სრული ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში არსებული მოხალისეობრივი, საგანმანათლებლო, სამუშაო შესაძლებლობების შესახებ); ცენტრის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის შეხვედრებში (EYCA General Assembly, Regional Meeting, Partial Agreement Seminar) -

საქართველოს, როგორც წევრი ქვეყნის ინტერესებისა და საჭიროებების პოზიციონირების მიზნით;

არაფორმალური განათლების პროგრამა და ტრენინგ ცენტრი: 12 - 18 მარტს ევროკომისიის Erasmus+ K 1 აქტივობის ფარგლებში მიმდინარე პროექტის „არის ევროკავშირი ქალი?“ („Is the European Union a woman?“) ფარგლებში ახალგაზრდა მუშაკებისთვის განხორციელებულ ტრენინგებში (მონაწილეთა შერჩევა და შეხვედრის ორგანიზება უზრუნველყო „ახალგაზრდობის თანამშრომლობის და მობილობის ცენტრმა“ („Centre for Youth Cooperation and Mobility“)) მონაწილეობა მიიღო არაფორმალური განათლების და ტრენინგ ცენტრის მენეჯერმა (ტრენინგებში მონაწილე 14 ქვეყნის 18 ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს მიეწოდა ინფორმაცია თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე დაგროვილი გამოცდილებისა და შესაძლებლობის შესახებ);

არაფორმალური განათლების მხარდაჭერისა და მოხალისეობრივი საქმიანობის განვითარების პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე წლის თებერვლიდან ცენტრი ჩაერთო არასამთავრობო ორგანიზაციის, „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ მიერ ინიცირებულ მოხალისეობრივ პროგრამაში (მონაწილეების მოხალისეობრივი საქმიანობა სხვადასხვა უწყებებში), რომელიც მიზნად ისახავს 15-17 წლის ახალგაზრდებში კარიერასთან დაკავშირებული გენდერული სტერეოტიპების ნგრევას. პროგრამის ფარგლებში შერჩეული 5 მოხალისე გაეცნო თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მუშაობის სპეციფიკას და ორგანიზაციის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ სამუშაო პროცესს;

ახალგაზრდულმა საგანმანათლებლო ორგანიზაციამ „ახალგაზრდები მსოფლიოსთვის“ (“Youth For the World” – YFW) განახორციელა, Erasmus+ პროგრამის ფარგლებში, პროექტი - „კონფლიქტიდან მშვიდობამდე“ („From Conflict to Peace“), სადაც ახალგაზრდა მუშაკებისთვის განხორციელებულ ტრენინგებში მონაწილეობდა 5 ქვეყნის 30 ახალგაზრდა მუშაკი, რომელთაც მიეწოდათ

ინფორმაცია თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე დაგროვილი გამოცდილებისა და შესაძლებლობის შესახებ;

ახალგაზრდული ორგანიზაცია „MTÜ Communication“ ორგანიზებით 2-10 ოქტომბერს ესტონეთში (ტოილა) ევროკომისიის Erasmus+ K 1 აქტივობის პროექტის „TC Time to be in good spirit“ ფარგლებში ახალგაზრდული მუშაკებისთვის დაგეგმილ ტრენინგში მონაწილეობდა 6 ქვეყნის 30 ახალგაზრდა მუშაკი (მათ შორის არაფორმალური განათლებისა და ტრენინგ ცენტრის მენეჯერი);

არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ტრენინგები - კარიერის დაგეგმვა და პერსონალური ბრენდის შექმნა (განხილული იქნა სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები), დროის მართვა (განხილული იქნა დროის ეფექტური მართვის და წარმატებული შედეგის მიღწევის ურთიერთკავშირი), გუნდის ფორმირება და ახალგაზრდული ორგანიზაციების მართვა, ვიზუალური კომუნიკაცია, ამბის თხრობის ხელოვნება, უკუკავშირის მიღებისა და გაცემის ტექნიკები, პროექტების მართვა (ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო 200-მდე ახალგაზრდამ);

პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში განხორციელდა, როგორც ცენტრის მიერ ორგანიზებული, ასევე თბილისში მოქმედი 8 ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით წარმართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა. მათ შორის: 26 თებერვლიდან - 6 მარტის ჩათვლით დაბა ბაკურიანში საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ პროექტის - „ზამთრის უნივერსიადა 2023“ მონაწილეთა ტრანსპორტირება (200 მონაწილე), 21 თებერვლიდან - 1 მარტის ჩათვლით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში (სეუ), კავკასიის უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „სტუდენტური თანასწორობის კლუბის“ ორგანიზებით განხორციელებულ გასვლით სამუშაო შეხვედრებში

მონაწილე სტუდენტთა ტრანსპორტირება (50 მონაწილე). ასევე, განხორციელდა სოციალური ტურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით; 30 აპრილიდან 8 მაისის ჩათვლით, თბილისში გაიმართა საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის მიერ ორგანიზებული, ევროპის სტუდენტური გაერთიანების საბჭოს დელეგაციის ვიზიტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120 დელეგატმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან; დაბა ფასანაურში ჯომარდობის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ტრანსპორტის მომსახურებით ისარგებლა 1200-მდე ბენეფიციარმა და მონაწილეობა მიიღო საქართველოში არსებულმა 32 უნივერსიტეტის სტუდენტებმა; ცენტრის ორგანიზებით საზაფხულო პროგრამების ფარგლებში განხორციელდა თბილისის მერიის მასშტაბური საზაფხულო პროგრამა ახალგაზრდებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის, აქტიური დასვენების, გართობის და რეკრეაციის ხელშეწყობის მიზნით (საზაფხულო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა: 1. ლამქრობები, საველე-ბანაკები (კემპინგი); 2. საჯომარდო ტურები ; 3. ჩოგბურთი (ვაკის ჩოგბურთის ცენტრი) ; 4. კარტინგი, მინი გოლფი და სასროლეთი (ლისის მიმდებარე ტერიტორია); 5. საცურაო აუზი). პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდები უზრუნველყოფილნი იყვნენ კვალიფიციური ინსტრუქტორების მომსახურებით, კვებით, ტრანსპორტით, ეკიპირებით და საჭირო აღჭურვილობით. პროგრამა გაგრძელდა მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლომდე, საზაფხულო პროგრამებში რეგისტრირებული ახალგაზრდების ჯამური რაოდენობა შეადგენდა 3867 ბენეფიციარს (ლამქრობები - 623, ჯომარდობა - 911, ჩოგბურთი - 323, კარტინგი - 1414, საცურაო აუზი - 596); დახმარება გაეწია სხვადასხვა ორგანიზაციას გასვლითი შემეცნებით თუ სამუშაო შეხვედრების ორგანიზებაში (მათ შორის საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტური თანასწორობის კლუბი, ქალაქ თბილისის 149 საჯარო სკოლა); საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ქობულეთში ჩატარდა გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთსა და ქვიშის ხელბურთში, სადაც

მონაწილეობა მიიღეს ფედერაციის წევრი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტებმა (განხორციელდა 300 მონაწილის ტრანსპორტირება).

ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა აქტიურად, მიმდინარე პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგინა 275 მსმენელი (მათ შორის ბიჭი - 150, გოგო - 125), რომლებმაც გაიარეს შემდეგი კურსები: ინგლისური ენა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, გრაფიკული პროგრამირება, IT ინჟინერია, მუსიკა, ჭადრაკი, თანამედროვე ცეკვის გაკვეთილები. ცენტრში ქართველ მასწავლებლებთან ერთად საგანმანათლებლო პროცესში ჩართულნი იყვნენ უცხოელი მოხალისეები: რებეკა სტოკმანი (გერმანიიდან) ასწავლის სალაპარაკო ინგლისურ ენას 13 დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეებს, არაფორმალურ გარემოში. ასევე, ასწავლის გერმანულ ენას 10-12 წლის ბავშვებს და ატარებს ხელნაკეთი ნივთების გაკვეთილს 7 დან 10 წლამდე ასაკის ბენეფიციარებთან; კლემენს მიულერი (მოხალისე გერმანიიდან) ასწავლის გერმანულ და ინგლისურ ენებს 13 დან 16 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს, ასევე ატარებს ჭადრაკის და მათემატიკის გაკვეთილებს 10 დან 12 წლამდე ასაკის ახალგაზრდებთან;

გარდა ამისა, გაიმართა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: 27 იანვარს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ტყავზე მუშაობის მასტერკლასი (შეხვედრას უძღვებოდა დიზაინერი სალომე ამანათაშვილი), ახალგაზრდებმა დაამზადეს ტყავის ნივთები და აქსესუარები; 30 იანვარს, ცენტრში გაიხსნა წიგნის კლუბი 13 დან 18 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისთვის (ბენეფიციარები კვირაში ერთხელ იკრიბებიან და განიხილავენ წაკითხულ წიგნებს); 17-20 თებერვლის ჩათვლით გერმანიაში, ქალაქ კრანენბურგში, გაიმართა საერთაშორისო, ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამის ლიდერების შეხვედრა, რომლის მიზანი იყო 29 მარტიდან 6 აპრილამდე დაგეგმილი დიდი გაცვლითი პროგრამის საორგანიზაციო საკითხების მომზადება (შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარმა); 22 მარტს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა თემაზე - „არა სიძულვილის ენას“, შეხვედრა წარიმართა „თეატრის მეთოდის“ გამოყენებით (შეხვედრას უძღვებოდნენ გერმანელი მოხალისეები); 29 მარტიდან 6 აპრილის

ჩათვლით გერმანიაში, ქალაქ კრანენბურგში განხორციელებულ ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში „All you need is love?“ მონაწილეობა მიიღო ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის სამმა ბენეფიციარმა 7 ქვეყნის წარმომადგენელთან ერთად; 10 აპრილს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრი ჩართული იყო ორგანიზაცია PH International - ის კვლევაში (კვლევის მიზანი: მხარდამჭერი გარემოს შექმნა ფონიჭალაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის მათთვის სხვადასხვა პროექტებისა და ინიციატივების შეთავაზებით); 16 - 19 აპრილს, ცენტრმა ორგანიზაცია „Out of area foundation“ ორგანიზებით ჩამოსულ 27 ჰოლანდიელ ახალგაზრდას უმასპინძლა (ვიზიტის ფარგლებში ჰოლანდიელმა და ქართველმა ახალგაზრდებმა ერთობლივი ძალისხმევით ჩაატარეს სპორტულ-შემეცნებითი აქტივობები, კულტურული საღამო და ექსკურსია); 5 მაისს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრს ახალგაზრდა ევროპელი ელჩები ეწვივნენ და ჩაატარეს ტრენინგი თემაზე „ნატო და ევროკავშირი“, რომელიც მიზნად აღნიშნული საერთაშორისო უწყებების შესახებ ახალგაზრდების სიღრმისეული ინფორმირებას ისახავდა, შეხვედრა ჩატარდა USAID-ის პროგრამა „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს გაეროს ასოციაცია ახორციელებს (UNA Georgia); 15 მაისს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ERASMUS+ KA2 პროექტის „INCLUSION LABS“ - ის ფარგლებში ჩატარდა შეხვედრა ახალგაზრდებთან (შეხვედრის მიზანი: საერთაშორისო ახალგაზრდულ პროექტებთან დაკავშირებით ახალგაზრდების ინფორმირება, მათი ინიციატივების მხარდაჭერისა და ჩართულობის გაზრდა); 13 ივნისს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში American councils for international education ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრა ამერიკის შეერთებულ შტატებში მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა - ფლექსით (FLEX) დაინტერესებული მოსწავლეებისთვის; ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა სხვადასხვა თემაზე სემინარები, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისების მიზნით ბენეფიციარებს შორის ჩატარდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ჩემპიონატები/ტურნირები; 17 - 27 ივლისს თურქეთში, ქალაქ გაზიენტეპში გაიმართა ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა „Sustain your water“, Erasmus+ K152-ის ფარგლებში, სადაც მონაწილეობდნენ ახალგაზრდები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან: უკრაინა, საქართველო (ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 6 ახალგაზრდა მონაწილეობდა), თურქეთი, ჰოლანდია,

აზერბაიჯანი და ბულგარეთი; 16 - 24 ივლისს, ქალაქ რუსთავში გაიმართა ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა „Green Revolution“, მასში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან: გერმანია, უკრაინა, საქართველო (ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 2 ახალგაზრდა მონაწილეობდა), თურქეთი, ფინეთი, სომხეთი, ბულგარეთი; 15 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით არაგვის ხეობაში გაიმართა ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა „OUTDOOR EDUCATION FOR INCLUSION“, Erasmus+ K1-ის ფარგლებში, სადაც მონაწილეობდნენ ახალგაზრდები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან: გერმანია, საქართველო (ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 2 ახალგაზრდა მონაწილეობდა) და თურქეთი; 20 სექტემბერს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციამ ბენეფიციარ ახალგაზრდებთან ერთად ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრა ცენტრის სერვისებზე N218 აზერბაიჯანულ საჯარო სკოლაში; 26 სექტემბერს ქალაქ დმანისში გაიმართა სახალხო დღესასწაული „დმანისობა“, სადაც ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარები იმყოფებოდნენ (მათ მონაწილეობა მიიღეს კულტურულ-შემეცნებითი აქტივობებში: ატრაქციული/საგამოფენო სივრცეები: ეთნოგრაფიული გამოფენები, მუნიციპალური კუთხეები და მეწარმეთა კუთხეები); 3 ოქტომბერს ჩეხეთის საელჩოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა რეგიონალური ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის; 15 ოქტომბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში სტუმრად იმყოფებოდნენ განათლების ექსპერტები ფინეთიდან, რომლებმაც შეხვედრა გამართეს ცენტრის ახალგაზრდებთან, მათ ისაუბრეს ფინეთის განათლების სისტემის მიღწევებზე; 16-22 ოქტომბერს ლატვიაში გაიმართა ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა სახელწოდებით „Power of volunteering projects.“ მასში მონაწილეობდნენ ახალგაზრდები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან: ლატვია, საქართველო (ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 2 ახალგაზრდა მონაწილეობდა), ხორვატია, სომხეთი, ესპანეთი, თურქეთი, საბერძნეთი მოლდოვა, პოლონეთი და იტალია; 7-13 ნოემბერს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის 4 ბენეფიციარი იმყოფებოდა პოლონეთში (კატოვიცა) ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამით - „powerful pillars of entrepreneurial success“, სადაც ახალგაზრდებმა ისწავლეს როგორ შეიძლება გახდე მეწარმე? დარა ცოდნა-უნარები ჭირდება მეწარმეს წარმატებული

პოზიციონირებისთვის; 12 დეკემბერს ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის ბენეფიციარებთან გამართა შეხვედრა ფერნანდო რივერო ასოციაცია ლიბეროს ხელმძღვანელმა ესპანეთიდან (შეხვედრა მიზნად ისახავდა გლობალური დათბობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას) და სხვა.

მეგობრობის სახლი - „სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის“ ფარგლებში, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის (კურსის მსმენელები არიან, როგორც ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლები (სომეხი, პოლონელი, აზერბაიჯანელი, რუსი, ლატვიელი, უკრაინელი, ბელორუსი), ასევე, სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ბოლო პერიოდში დამკვიდრებული ადამიანები, რომლებიც შერეული ოჯახებიდან არიან) განახლდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი უფასო კურსები. სახელმწიფო ენის შემსწავლელ უფასო კურსებზე დარეგისტრირდა 180 მსმენელი (მათ შორის 170 ქალი და 10 მამაკაცი), რომელიც თანმიმდევრობით გადიან პრეტესტს და ჯგუფის შევსებისთანავე (მაქსიმუმ 15 მსმენელი) იწყებენ სწავლას, როგორც პირისპირ (აუდიტორული), ასევე, ონლაინ (A1, A2, B1, B2) დონის მიხედვით). მიმდინარე პერიოდში სწავლება მიმდინარეობდა 4 ჯგუფში, სადაც ჩართული იყო 55 მსმენელი, ხოლო საანბანო კურსი-A0 დონის სწავლებაზე დაასრულა 4 ჯგუფმა (ჯგუფები მთლიანად დაკომპლექტებული იყო უკრაინელი მსმენელებით). 11 სექტემბრიდან ახალ ჯგუფებთან მეცადინეობა განახლდა, A1 დონეზე შეიქმნა სამი ჯგუფი (2 ჯგუფი - A1.1 დონე, ერთი ჯგუფი A1.2 დონე), ოქტომბრის თვეში დაკომპლექტდა სამი ჯგუფი (A1.2 დონე, 30 მსმენელი), რომელთაც სწავლა დაეწყოთ 20 ოქტომბერს და დაასრულებენ 2024 წლის იანვრის ბოლოს, ხოლო 7 ნოემბრიდან აუდიტორული სწავლება დაიწყო კიდევ ორ ახალ ჯგუფთან (20 მოსწავლე) A2 და B1 დონეზე, სახელმწიფო ენის და ინტეგრაციის პროგრამაზე, რომელიც დასრულდება 2024 წლის თებერვალში. აღნიშნული პროექტი 2019 წლიდან ხორციელდება სსიპ ზურაბ ჭვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლასთან ერთად და სახელმწიფო ენის შემსწავლელ უფასო კურსზე რეგისტრაცია ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში;

გარდა ამისა, „მეგობრობის სახლის“ ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის: ჩატარდა ვარდატონის ფესტივალი, ასურულ თემთან ერთად ასურული ენის საერთაშორისო დღე, ვაზისუბნის დასახლებაში ეზიდური

დღესასწაული და ფოლკლორული კონცერტი, სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში გაიმართა ეზიდთა მხატვრების გამოფენა, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრში - ევროპის დღეები 2023 საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შესახებ ეთნიკური უმცირესობათა საბჭოს წევრებისთვის სემინარი გაიმართა და სხვა;

სპორტული ცენტრები და სერვისები ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სპორტული ცენტრის „იმედი“ - საცურაო აუზის წყლის მოქმედ სტანდარტებთან და სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაში ყოფნის დადგენის მიზნით ყოველთვიურად ხორციელდებოდა აუზის წყლის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებისა და მორფოლოგიური შემადგენლობის კომპლექსური კვლევა გ. ნათაძის სახ. სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ყოველთვიური კვლევის შედეგებით აუზის წყლის მდგომარეობა შესაბამისობაში იყო დადგენილ ნორმებთან, რომლის ამსახველი ინფორმაცია საჯაროვდება ცენტრში; სპორტულ ცენტრში „იმედი“ დასრულდა საცურაო აუზის გათბობისა და ვენტილაციის სისტემების მონტაჟის სამუშაოები, შეიცვალა სკიმერი (აუზის ფილტრაციის მოწყობილობა), ფეხბურთის მოედნის ხელოვნურ მინდორზე განხორციელდა რეზინის გრანულების (წვრილად დანაწევრებული კაუჩუკი) შექმნა/დავარცხნა (რაოდენობა 6.6 კუბ), მოწესრიგდა გასახდელები, საშხაპეები, გამათბობლები, ჩატარდა მცირე სარემონტო და მცირე ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოები, სველ წერტილებში დამონტაჟდა გამწოვები, გაიწმინდა და გაიმართა საკომუნიკაციო სისტემები, შეივსო ცენტრის სანიტარულ-ჰიგიენური და აუზის წყლის მოვლისთვის საჭირო ქიმიკატების მარაგი. ფეხბურთის მოედანზე ჩატარდა სხვადასხვა საფეხბურთო ჩემპიონატები, ფეხბურთის მინი მოედანი ყოველდღიურად ემსახურება 80-დან 110-მდე, ხოლო საცურაო აუზი 90-დან 120-მდე ბენეფიციარს;

ჩოგბურთის ცენტრის ვაკის და ვერის ფილიალში განხორციელდა ცენტრის ინტერნეტით უზრუნველყოფა, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მონტაჟი, დაცვის სისტემის მონტაჟი, შეიცვალა ელექტრო გაყვანილობა, გაკეთდა დამიწების კონტურები, დამატებითი ვიდეოკამერების მონტაჟი, გარეგანათების განახლება (ვაკის ფილიალში); ჩოგბურთის ცენტრის ვაკის და ვერის ფილიალში

ელექტროენერჯის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფად ჩატარდა ექსპერტიზა; ვერის ფილიალზე დამატებით განხორციელდა ტურნიკეტის პირველ სართულზე გადმოტანა, შენობის გვერდით რკინის ბარიერის მონტაჟი და ტურნიკეტის 160 ბარათის შექმნა; ვაკის ფილიალში განხორციელდა ცენტრის გარე განათების ქსელის მკვებავი მიწისქვეშა და მიწის ზემოთ, ლითონის ანძებში, სანათების მკვებავი სადენების ლაბორატორიული ტესტირება იზოლაციაზე, იზოლაციის ხარისხზე (DD) და გაჟოვის დენებზე მეგაომეტრით, მათ შორის 20 ც ელ. სანათის ტესტირება დაზიანებული უბნის დადგენა. ელექტროენერჯის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველსაყოფათ ძალოვან კაბელზე განხორციელდა 6 ქუროსა და 4 მეტრი კაბელის 4x50-ზე მონტაჟი, სრულად შეიცვალა კორტებამდე მომავალი ძალოვანი კაბელი, დამონტაჟდა ახალი სანათები, შეიცვალა ბოძებში გამავალი კაბელები, მოხდა ძველი ჩამრთველების ახლით ჩანაცვლება და გაჟონვის რელების მონტაჟი (ჩატარდა ელექტროსამონტაჟო სამუშაოები);

20 ივნისიდან ჩოგბურთის ცენტრი აქტიურადაა ჩართული მერიის საზაფხულო პროგრამის განხორციელებაში. საზაფხულო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების, სპორტული ინვენტარით უზრუნველსაყოფათ ცენტრმა შეისყიდა ჩოგნები (12 ცალი) და ბურთები (880 ცალი, სხვადასხვა მახასიათებლით); 14 მაისს ჩოგბურთის ცენტრის ვაკის ფილიალში ჩატარდა სამოყვარულო ტურნირი, სადაც მონაწილეობდნენ მოყვარული სპორტსმენები, 8 ივნისს ვაკის ფილიალში ჩატარდა საქართველოს უნივერსიადა ჩოგბურთში, ხოლო 24-25 ივნისს ფრიდმანის თასის ტურნირი; 8 ივლისს ვერის კორტებზე ჩატარდა ტურნირი 8 წლამდე გოგონებსა და ვაჟებს შორის, ხოლო 16 სექტემბერს ჩატარდა სამოყვარულო ტურნირი, სადაც გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები; 18 სექტემბრიდან განახლდა ჯგუფური მეცადინეობები, მათ შორის დაიწყო მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ჯგუფური მეცადინეობები;

ვერის ჩოგბურთის ფილიალზე ფუნქციონირებს 3 სტანდარტული და ერთი მინი კორტი (კედელი). კორტებზე ტარდება როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური მეცადინეობები (მათ შორის სოციალურად დაუცველი ბენეფიციარები უსასყიდლოდ), ბენეფიციართა შერჩევა ხდება მათი ფიზიკური და

სპორტული მონაცემების მიხედვით. ვერის ფილიალი ყოველდღიურად ემსახურება 50-დან 70-მდე ბენეფიციარს;

ცხრილი: მოსწავლეთა რაოდენობა სპორტული ცენტრების მიხედვით:

სპორტული ცენტრი „იმედი“											
დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ცურვა	67	97	137	202	189	137	70	172	183	173	177
ფეხბურთი	97	96	101	104	115	49	0	128	134	125	121
ფრენბურთის ცენტრი											
ფრენბურთი	181	258	282	231							
ჩოგბურთის ცენტრები											
ვაკე	54	62	90	90	105	67	0	59	56	62	60
ვერა	39	39	35	51	50	33	0	21	40	40	37

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ფილიალების ბენეფიციართა გამოკითხვა, სადაც მონაწილეობა მიიღო 177-მა ბენეფიციარმა. გამოკითხვის ფარგლებში შეფასდა ახალგაზრდული და სპორტული ცენტრების ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაცია, მწვრთნელებისა და მასწავლებლების/ტრენერების კომპეტენცია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ცენტრების სერვისებისა და პროგრამების ფარგლებში ჯამურად 28810 ბენეფიციარზე გათვლილი ღონისძიებების ორგანიზება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 5 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩულურეთისა და ფონიჭალის) ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა), პროგრამებში მონაწილე 30000-მდე ახალგაზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - 4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩულურეთისა და ფონიჭალის) სერვისების და პროგრამებში ჩართული 24900 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ცენტრის შემადგენლობიდან გავიდა 1 სპორტული ცენტრი (ფრენბურთი), რამაც გამოიწვია დაგეგმილი მაჩვენებლის ცვლილება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებაში მონაწილე 11800 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდულ პროგრამებში მონაწილე 10000-მდე ახალგაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამებში მონაწილე 9500 ახალგაზრდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 800 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 430 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 300 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 600 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 270 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 400 ბენეფიციარი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, სოციალურ-შემეცნებითი ტურებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 15780 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში, ახალგაზრდების ინვენტარით, ტრანსპორტით, საკონფერენციო დარბაზებით მხარდაჭერა და ჩართული 15000 ახალგაზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში ახალგაზრდების ინვენტარით, ტრანსპორტით, საკონფერენციო დარბაზებით მხარდაჭერა და ჩართული 11000 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალგაზრდების ინვენტარითა და საკონფერენციო დარბაზით მხარდაჭერა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ცენტრს მსგავსი სივრცე აღარ გააჩნდა და ინვენტარიც საჭიროებდა განახლებას.

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 890.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 857.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, შემოქმედებითი ინდუსტრიის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა 59 პროექტი (მათ შორის საგამომცემლო საქმიანობა - 23 პროექტი (ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსია), დიზაინი და რეწვა - 15 პროექტი, მედია ხელოვნება - 17 პროექტი, ვიზუალური ხელოვნება - 4 პროექტი), ქართული ორნამენტების იდეით დამზადებული კერამიკული ფილებით სხვადასხვა სივრცეში განთავსდა კერამიკული სანათები და მიმართულების მაჩვენებლები, სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში გაიმართა პროგრამის ფარგლებში შექმნილი თანამედროვე და ტრადიციული ხელნაკეთობების გამოფენები და სხვა; აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს განსაკუთრებულ ფოკუსში მოექცა მედიახელოვნების მიმართულება, რითაც ერთგვარად პასუხი გაეცა იუნესკოს კრეატიული ქალაქების ქსელის წევრის სტატუსით აღებულ ვალდებულებებს და გამოწვევებს. ამ მიმართულებით ცალკე გამოცხადდა პროექტების მიღება და დაფინანსდა 4 პროექტი. მედია ხელოვნების მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების ფარგლებში შეიქმნა ქართული ვიდეოხელოვნების სრული

გაციფრებული არქივის პორტალი და თბილისის „ჩატ-ბოტის“ სამუშაო ვერსია, მოეწყო ციფრული გამოფენები და სხვა, გაიმართა შეხვედრა მედია ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა თბილისის მედია ხელოვნების სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის შემუშავების გეგმა და დაისახა მიზნები და ამოცანები სფეროს განვითარებისა და UNESCO-ს მედიაქალაქების ქსელის წევრი ქალაქის წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს განხორციელდა 56 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 20 უცხოელი ექსპერტისა და მონაწილის ჩართულობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების ნაწილობრივ/სრულად დაფინანსება).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 59 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 20 უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების ჩართულობით.

08 10 საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდი

2023 წლის გეგმა - 500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 459.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 91.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობა, თანამედროვე ხელოვნების ინტეგრირება ქალაქის ქსოვილში, ქალაქის იერსახის ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები გაწეულია ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მარკეტინგული მომსახურება, ვებგვერდის შექმნის, ფონდის ბრენდის ვიზუალური იდენტობის შექმნის მომსახურების შეძენა) ხარჯები. ასევე, განხორციელდა პროექტი - „ყვავილები ყველასთვის ხელმისაწვდომია“, პროექტი - „ქართული ორნამენტი“, პროექტი - „RESISTANCE“ (სკულპტურის შექმნის პირველი და მეორე ეტაპის ანაზღაურება, ავლაბრის

მოედანზე განსათავსებლად), პროექტის - „ქსელი“ ფარგლებში სკულპტურის შექმნა (პირველი ეტაპის ანაზღაურება) ზაარბრიუკენის მოედანზე განსათავსებლად, მეტრო რუსთაველის ესკალატორზე განხორციელებული ხმოვანი პროექტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - ხელოვნების ნიმუშების სხვადასხვა ლოკაციაზე დაინსტალირება და ნამუშევრებით ფართო საზოგადოების დაინტერესება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 5 პროექტი (მათ შორის მეტრო რუსთაველის ესკალატორზე განხორციელებული ხმოვანი პროექტი).

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში
დაფინანსებულია 1,359.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1,370.0 ათასი ლარის 99.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 115.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საჯარო და კერძო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“, გამარჯვებული გუნდების წევრები დაჯილდოვდნენ წიგნებით; რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის მოეწყო კულტურული/გასართობი ღონისძიება; ჩატარდა სპორტული ღონისძიება - „გლდანის თასი მინი ფეხბურთში - 2023“; სპორტული ღონისძიება - „გლდანის თასი ქუჩის კალათბურთში - 2023“; რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები, ასევე გლდანის რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სკოლებში მყოფი შშმ ბავშვებისთვის (სულ 120

ბავშვი) წინასაახალწლოდ მოეწყო ორდღიანი ღონისძიება გასართობ ცენტრში (ფურშტით, საახალწლო საჩუქრებით); მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და შეჭირვებულ ოჯახებში მცხოვრები ბავშვებისთვის წინასაახალწლოდ მოეწყო კულტურული ღონისძიებები, კერძოდ, გლდანის თეატრში გაიმართა საბავშვო თეატრალური სპექტაკლები (2 დღის განმავლობაში 4 სპექტაკლი, სულ 600 ბავშვისთვის), სპექტაკლის ბოლოს თოვლის ბაბუამ გადასცა ბავშვებს ტკბილეულის სასაჩუქრე პაკეტები; შშმ პირებისთვის და ღონისძიებებში აქტიური მონაწილეებისთვის მოეწყო კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიება, ჩატარდა შემეცნებითი-სამოტივაციო ტრენინგი, მოწვეულებს გადაეცათ სიგელები, წიგნები და სასაჩუქრე ვაუჩერები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა 8 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 2 სპორტული და 6 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 8 სხვადასხვა სახის ღონისძიების ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნამალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნამალადევის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 99.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია „ბაკურიანი 2023 წელი“ და „მთის ეტლითხილამურის ჩემპიონატში“ მონაწილე შშმ პირთათვის ტრანსპორტისა და სასტუმროს მომსახურების ხარჯები; სავატეს, მინი

ფეხბურთის, ფრენბურთის ჩემპიონატების ორგანიზების; გამგეობის მიერ ორგანიზებული ტრენინგის „წიგნი-ერი“ ფარგლებში მოსწავლეების სატრენინგო მომსახურების და წიგნების შესყიდვის; ბავშვთა დაცვის დღის აღსანიშნავად დადგმისა და სახელოვნებო მომსახურების; კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების, ინტელექტ-კლუბის რა? სად? როდის? გამარჯვებული მოსწავლეებისთვის წიგნების და მომსახურების შესყიდვის; საახალწლო ღონისძიების ორგანიზების და ღონისძიების ორგანიზების მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 10 სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 16 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის - 5 სპორტული და - 11 კულტურული).

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 368.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიები: საახალწლო ღონისძიება; „გაზაფხულის დღესასწაულები - 2023“; „მე ვამაყობ შენით“, „დიდუბის სკოლის მედალოსნები -2023“ და „მასწავლებლის დღე 2023“; სპორტული ღონისძიები: „სპორტი ყველა ეზოში“ ; „ქუჩის კალათბურთი დიდუბე 2023“; „ფრენბურთი დიდუბე 2023“; „მინი ფეხბურთი დიდუბე 2023“, „სპორტი ჯანმრთელობისთვის“, „ჩოგბურთი დიდუბე 2023“; დიდუბის რაიონის ტერიტორიაზე არსებული ააიპ „ბავშვი და გარემო“ -ს ბენეფიციარი (მიუსაფარი და შშმ) ბავშვებისთვის შესყიდულია ელექტრონული პიანინო.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 8-10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა 10 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 7 სპორტული და 3 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მიზნით იგეგმება 11 ღონისძიების ჩატარება (მათ შორის 6 სპორტული და 5 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 12 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 6 სპორტული და 6 კულტურული).

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩულურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩულურეთის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 140.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 138.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა რაიონში მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის სპორტული ღონისძიება (გარბენი - „ჩემი გაზაფხული-2023“ და საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ჩემპიონატი), 4 კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება (საგანმანათლებლო კვირეულის ორგანიზება, დაჯილდოება „ჩულურეთის სკოლების მედალოსნები - 2023“, რაიონში მცხოვრები სტუდენტებისათვის კულტურული ღონისძიების ორგანიზება და რაიონის საჯარო სკოლების წარმატებული მოსწავლეებისა და მათი პედაგოგებისათვის კულტური ღონისძიების მოწყობა). აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 576 მოსწავლე-ახალგაზრდობა და 203 პედაგოგი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 4 სპორტული და 3 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 3 სპორტული და 5 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 2 სპორტული და 4 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა დედის დღესთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი დედეებისთვის და დამსახურებული პენსიონერი ქალბატონებისთვის კულტურული ღონისძიების, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო ღონისძიების მოწყობის, ვაკის რაიონში მცხოვრები შეჭირვებული ოჯახების ბავშვებისათვის ცირკის ბილეთების შეძენის ხარჯები, ფრენბურთის, კალათბურთის, ღია საჩოგბურთო ტურნირის ორგანიზების, ქართული ჭიდაობისა და მინი-ფეხბურთში ტურნირის „ვაკის თასი - 2023“ ჩატარების ორგანიზების ხარჯები. ამასთან გაწეულია ტურნირის - „რა? სად? როდის?“ ორგანიზებისა და ამ ტურნირის გამარჯვებულთათვის წიგნის ვაუჩერების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 13 სპორტული და კულტურული ღონისძიება, მათ შორის 2022 წელს ჩატარდა 7 სპორტული, 3 კულტურული და 4 ახალგაზრდული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 6 სპორტული, 3 კულტურული და 3 ახალგაზრდული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 5 სპორტული, 3 კულტურული და 3 ახალგაზრდული ღონისძიება.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 130.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტული ღონისძიებებისათვის (7 ღონისძიება) ინვენტარის შეძენისა და დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები. ასევე, გაწეულია დიდგორობის დღესასწაულთან, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან, „თბილისობა 2023“ დღესთან, „დიდი დიღმის დაბადების დღესთან“ (2 ღონისძიება) და ახალი წლის დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 7 სპორტული და 7 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 15 სხვადასხვა სახის ღონისძიება (მათ შორის 7 სპორტული, 7 კულტურული და 1 შემეცნებითი ღონისძიება).

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 7 სპორტული და 7 კულტურული ღონისძიება.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 96.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია რაიონში მცხოვრები მრავალშვილიანი ქალბატონებისათვის კულტურული ღონისძიებისა და ამავე ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ოთხდღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები, სოციალურად შეჭირვებული ახალგაზრდების გუნდისათვის სპორტული საქონლის შეძენის ხარჯები, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები და სპორტული ღონისძიების - კრივის ღია პირველობის ტურნირის გამარჯვებულების დაჯილდოებისათვის პრიზების შეძენის ხარჯები; რაიონის ტერიტორიაზე მინი-ფეხბურთის ტურნირის „შაქარას თასი“ მონაწილე გუნდისათვის სპორტული საქონლის შეძენის ხარჯები, კულტურული ღონისძიება ესეების კონკურსის „რამ შემქმნა ადამიანად“ დაჯილდოების ცერემონილის ორგანიზების ხარჯები, სომხეთში მოყვარულთ შორის ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის გუნდისათვის „თბილისი“ სპორტული საქონლის შეძენის ხარჯები, სპორტული ღონისძიების მინი ფეხბურთის ტურნირის „ისნის თასი 2023“ ორგანიზების ხარჯები, ბარბარობის და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საბავშვო-კულტურული ღონისძიებების ხარჯები და კავშირი ადამიანებისათვის განსაკუთრებულ ზრუნვას, რომ საჭიროებენ-მიერ გამოფენის ორგანიზების (მოხეწილი ფანერის შეძენა) ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად იმართება საშუალოდ 10-15-მდე სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის 2022 წელს ჩატარდა 13 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 12 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის: 4 სპორტული, 4 საგანმანათლებლო და 4 კულტურული ღონისძიება).

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 12 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, **დაფინანსდა** - 96.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ტურნირი ჭიდაობაში (თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), დედის და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები, დაბა ბაკურიანში საგანმანათლებლო კვირეული, თბილისი ცის ქვეშ ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა სამგორის რაიონის 50 წლის საიუბილეო და ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ასევე, გაწეულია ფრანგული კრივი - სავატეს ორგანიზების, სპორტულ ღონისძიებაზე მაგიდის ჩოგბურთში, სამგორის რაიონის ახალგაზრდების სპექტაკლის და ახალი წლის ღონისძიების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო - სპორტული აქტივობა (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა 10 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 18 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 9 სპორტული და 9 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 12 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 7 კულტურული).

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 117.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 116.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია დედისა (3 მარტი) და ქალთა საერთაშორისო დღისადმი (8 მარტი) მიძღვნილი ღონისძიებების (მრავალშვილიანი დედებისათვის სასაჩუქრე პაკეტების შექმნა) ორგანიზების ხარჯები, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის, ქუჩის კალათბურთის, კიკ-ბოქსის და მინიფეხბურთში შვიდდღიანი ტურნირების ჩატარების ორგანიზების ხარჯები, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, წიგნის დღესთან დაკავშირებით წარჩინებული მოსწავლეებისათვის მხატვრული ლიტერატურის შექმნის და „კრწანისობა-2023“ ღონისძიების ხარჯები, იოსებ გრიშაშვილის იუბილესთან და ახალი წლის დღესთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიების ჩატარების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 9 სპორტული და კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 4 სპორტული და 6 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2023 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 98.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და მოსახლეობის ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ფრენბურთის ტურნირი, ქუჩის კალათბურთის ტურნირი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიება, საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის სპორტულ-ინტელექტუალური თამაშის და ქართული ჭიდაობის ტურნირის ორგანიზება, წინასაახალწლო კულტურული ღონისძიება, მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების მოსწავლეებს შორის შემოქმედებითი კონკურსის, სახელწოდებით - „დამწყები მწერალი“ ორგანიზება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (მათ შორის 2022 წელს ჩატარდა 9 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 4 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 7 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 4 სპორტული და 3 კულტურული).

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2023 წლის გეგმა - 522.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მრავალფეროვანი რეპერტუარით და საერთაშორისო კავშირების დამყარებით, ქართული თანამედროვე ცეკვის/ბალეტის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 55.5 ათასი ლარი) და შენობის იჯარის ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: დასმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს პატრიარქისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტში, რომელიც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა (წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიული კომპოზიცია, ი.ს. ბახის „გოლდბერგის ვარიაციებიდან“ პიანისტ დუდანა მაზმანიშვილის სცენაზე ცოცხალი შესრულებით); იანვარ-სექტემბერში განახლდა თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსი და სამოყვარული კლასები; დაიგეგმა მეშვიდე სეზონის შემოქმედებითი გეგმების პოპულარიზაციის მიზნით Silk Factory Studio - ში სპეციალური ფოტო და ვიდეო გადაღება; ქალთა საერთაშორისო დღეს, მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „ბეატრიჩე“ ქუთაისის მერიის მიწვევით, წარმოდგენილი იყო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, საგასტროლო წარმოდგენაში დასთან ერთად მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო კამერულმა ორკესტრმა „საქართველოს სინფონიეტამ“ და მოწვეულმა ტექნიკურმა პერსონალმა. გარდა ამისა, დასის შესახებ გამოვიდა ორი სტატია: MARIAM ALEKSIDZE AND TBILISI CONTEMPORARY BALLET - ილია თავბერიძის სტატია ინგლისურენოვან მედია პლატოფორმაზე ATINATI და ცეკვა გალაკტიონის პოეზიის თანხლებით - დავით ბუხრიკიძის სტატია „პუბლიკაში“; დასმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო გალა-კონცერტში; 13 ივნისს - მარიამ ალექსიძისა და დავით მაზიშვილის ფილმ-ბალეტის „მზიანას“ - მონაწილეობა დუბლინის BLOOMSDAY კინოფესტივალში; 15 ივლისს - თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში, გაიმართა წარმოდგენა - „დოვინ-

დოვენ-დოვლი...“, რითაც დაიხურა დასის 2022/2023 წლის თეატრალური სეზონი; 5 სექტემბერს - მარიამ ალექსიძის მონო-ქორეოგრაფიული კომპოზიცია „ადას ოთახი“ ნაჩვენები იყო იერუსალიმის International Solo Dance Festival - ზე, 30 სექტემბერს - სამეფო უბნის თეატრში გაიხსნა დასის მერვე, 2023-2024 წლის თეატრალური სეზონი, სადაც წარმოდგენილი იყო გიორგი ალექსიძის ქორეოგრაფიის სადამო და სხვა; პარიზში დავით მაზიაშვილმა მულტიმედიური ალბომი “ბეატრიჩე” გადასცა საფრანგეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას და სორბონას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას; იტალიაში, რომში, ფლორენციის სასახლეში დანტე ალიგიერის საზოგადოების სათავო ოფისში, დანტე ალიგიერის საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა მულტიმედიური ალბომის „ბეატრიჩეს“ პრეზენტაცია; დასმა Facebook-ის გვერდზე წარმოადგინა ვიდეოპრემიერა - „მზიანი წალვერი“. მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 28 ღონისძიება, 7 გასტროლი, ხოლო ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 7500.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 30-მდე ღონისძიება (მათ შორის 2022 წელს შედგა სამი პრემიერა და განხორციელდა 16 ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 28 ღონისძიება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 7000-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 7500 ვიზიტორი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 3-მდე გასტროლი საშუალოდ წლის განმავლობაში

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 10%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში განხორციელდა 7 გასტროლი

08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 172.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 137.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 80.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემეცნებითი და შემოქმედებით პროექტების ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართვა და ადაპტაცია სოციალურ გარემოში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარუფლებიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაკონტრაქტებული 13 პროექტიდან (მათ შორის მიმდინარეობის პროცესშია 6 პროექტი), დაფინანსდა შემდეგი პროექტები: „ჩვენთან ერთად და არა ჩვენთვის“, „პარაორკესტრი 2 აპრილისთვის“, "ხელოვნება ინტეგრაციისთვის", "შემოდგომის ფერები", ემოციები-კოხლეარული იმპლანტის მქონე ანიმაციური გმირის თავგადასავალი", "ინკლუზიური საცეკვაო სკოლა", "შექმენი შენი პერსონაჟი", "მზე ჩვენი მეგობარია", "ციფრული სამყარო", კლასიკური მუსიკის ინკლუზიური კონცერტი "კამერტონი", "ირაკლი გიორგაძის პერსონალური გამოფენა“, "სამკერვალო და გამოყენებითი ხელოვნების თერაპია შშმ პირთა სოციალური ინკლუზიისთვის", "დამოკიდებულებითი მდგომარეობის მქონე მოზარდთა მხარდაჭერა" და "კონტაქტის ზონა". ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 22.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრისათვის“ ჟურნალის „სინათლე“ ბრაილის შრიფტით გამოცემის უზრუნველსაყოფად.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:


საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ ფინანსდება 15-მდე ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშემწყობი პროექტი, მონაწილეების საშუალო რაოდენობა 350-მდე შშმ პირი (მათ შორის 2022 წელს განხორციელდა 11 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა 10%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 14 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი

❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება





09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

2023 წლის გეგმა - 1,817.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,632.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,564.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 89.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაცული მუნიციპალური ობიექტები, მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვისა და ვანდალიზმის პრევენციის გაძლიერების მიზნით, უსაფრთხოების, ვიდეო სამეთვალყურეო და აუდიო სისტემების დანერგვა, ქსელში ჩართული კამერები. კვების უზრუნველსაყოფად ულუფების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებისა და საგანგებო სიტუაციის დროს, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3892 ულუფა საკვები; შეძენილია მონიტორების სამაგრი ლითონის კონსტრუქცია (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი), კომუტატორი (სვიჩი) (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი); ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით (თანმდევი მომსახურებით-მოწყობა და კონფიგურაცია) აღიჭურვა (სულ 434 კამერა): ზემო ფონიჭალის სკვერი,

ვაზისუბნის სკვერი, ივერთუბანი, პუშკინის სკვერი, გეგეშიძის სკვერი, დოდო აბაშიძის სკვერი, მოსკოვის გამზირის მიმდებარედ არსებული ვარძიის სკვერი, ზემო ფონიჭალაში, კორპ N2-3-7-9-11-ის მიმდებარედ არსებული სკვერი, რ. ხომლელისა და გ. აბაშიძის ქუჩების მიმდებარედ არსებული პარკი, ქეთევან წამებულის მოედნის მიმდებარედ არსებული ერევნის სახელობის სკვერი და მიმინოს სკვერი, კოსტავას ქუჩაზე, სპორტის სასახლის მიმდებარედ არსებული სკვერის, ავჭალის დასახლებაში არსებული სკვერები (დ.სარაჯიშვილის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია (მთლიანი ქუჩის შუა ზოლი), N6-ის მიმდებარედ არსებული სკვერის და ლიბანის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი), ლვოვის ქ.N56 (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის ოფისი) ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით (თანმდევი მომსახურებით - მოწყობა და კონფიგურაცია) აღჭურვა; ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებისთვის ლიცენზიების (340 ცალი) შეძენა (თანმდევი მომსახურებით - ინსტალაცია); უწყვეტი კვების წყაროს (UPS) აკუმულატორების (93 ცალი), მონიტორინგის ცენტრისათვის მონიტორების (თანმდევი მომსახურებით - მონტაჟი), ვიდეო ჩამწერი მოწყობილობის სერვერის (თანმდევი მომსახურება: მონტაჟი) და მყარი დისკების (თანმდევი მომსახურება: მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება) შეძენაზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს დასაცავი ობიექტების რაოდენობა არის 87.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით, 2023 წელს დასაცავი ობიექტების რაოდენობა იქნება 100.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ღონისძიებებსა და საგანგებო სიტუაციების დროს დაცვის თანამშრომელთა კვების უზრუნველსაყოფად შეძენილია წლის განმავლობაში საშუალოდ 3600 ულუფა საკვები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 4000 ულუფა საკვები.


მიღწეული მაჩვენებელი - დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3892 ულუფა საკვები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვის და ვანდალიზმის თავიდან აცილების მიზნით, ქსელში სულ ჩართულია 1035 კამერა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩართული იქნება 434 ცალი კამერა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

09 02 ცხოველთა მონიტორინგი საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 6,068.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 6,046.1 ათასი ლარი (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,248.1 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ი და 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1,763.4 ათასი ლარით მეტია. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 78.7%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 20.9%.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის შემენილ იქნა ავტომანქანები, კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი, გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა, დაიწყო თავშესაფრის ტერიტორიაზე სამი 10 ვოლიერიანი, საწყობის და საოპერაციო ბლოკის შენობების, ასევე, მთლიანი

ტერიტორიის კაპიტალური ღობის მშენებლობა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 59.3 ათასი ლარი), ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 72082 შეტყობინება (მათ შორის 68036 სატელეფონო და 4046 წერილობითი), რეაგირება განხორციელდა 16254 შეტყობინებაზე, რის შედეგადაც დაჭერილი და თავშესაფრის ტერიტორიაზე გადაყვანილ იქნა 11535 ცხოველი და ქვეწარმავალი;

მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 808 ცხოველი, მიეკედლა 1814 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა 142 და ბუნებრივ არეალში გაშვებულ იქნა 5748 ცხოველი; სხვა თავშესაფრებში გადაყვანილ იქნა 454 ცხოველი; მიმდინარე პერიოდში ცხოველებს ჩაუტარდა 6839 ოპერაცია, მათ შორის 4415 სტერილიზაცია, 2114 კასტრაცია და 310 სხვა სახის ოპერაცია, ლეტალური შედეგი დაუფიქსირდა - 2339 ცხოველს (მათ შორის ევთანაზიით); სააგენტოს ეკიპაჟებმა სამაშველო ოპერაციების შედეგად 318 ცხოველი გადაარჩინეს;

ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით, სააგენტო ინტენსიურ რეჟიმში ახორციელებდა ქუჩის ბინადარი ძაღლებისა და კატების მასობრივ ანტირაბიულ ვაქცინაციას (ვაქცინაცია ცხოველს წელიწადში ერთხელ უტარდება), ვაქცინაცია ჩაუტარდა 7500-მდე ცხოველს; თბილისის სხვადასხვა რაიონში მიუსაფარი ძაღლებისათვის განთავსდა 40 ხის სახლი;

ფასიანი მომსახურების ფარგლებში განხორციელდა ცხოველის 738 იდენტიფიკაცია, 648 - ტრანსპორტირება, 219 - დაჭერა-გაყვანა, 57 - ოპერაცია, 148 ვაქცინაცია; გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 61.0 ათასი ლარი; ოპერატიული სამორიგეო ეკიპაჟების მიერ 278 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე განხორციელდა შესაბამისი საჯარიმო სანქცია, რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 6.5 ათასი ლარი;

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბაზაზე, სააგენტოს 45 სპეცილისტი-მაშველმა და სადღეღამისო 8 ოპერატორმა გაიარა სპეციალური გადამზადების თეორიული და პრაქტიკული კურსი;

მიმდინარე პერიოდში სააგენტომ დაიწყო ქვეწარმავლების საწინააღმდეგოდ ტერიტორიების დამუშავება რეპელენტით, რის შედეგადაც დამუშავებული იქნა 257 ობიექტი, ფართობით - 559 667 კვ.მ;

მიუსაფარი ცხოველების გამოსაკვებად, სააგენტომ ფიზიკური და იურიდიული პირისგან უსასყიდლოდ მიიღო 1225 კგ ძაღლების საკვები, რომლებიც გადაეცა, სხვადასხვა ცხოველთა დამცველ ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს;

მოსახლეობის ვეტერინართან კონსულტაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სააგენტოს ვეტერინარებმა დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა მისამართზე ძაღლების მეპატრონეებს უფასო კონსულტაცია შესთავაზეს, ხოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით თბილისის მასშტაბით სკოლების დაწყებით კლასებში ჩატარდა საინფორმაციო - შემეცნებითი გაკვეთილები;

სააგენტომ დაიწყო საინფორმაციო კამპანია, რომელშიც მონაწილეობას იღებენ ვეტერინალური კლინიკები, ვეტაფთიაქები და ზოომდაზიები. სააგენტო კამპანიის ფარგლებში აღნიშნულ ბიზნეს სუბიექტებში ათავსებს საინფორმაციო ხასიათის პოსტერებს ცხოველების რეგისტრაციისა და სტერილიზაცია-კასტრაციის შესახებ;

სააგენტომ ძაღლების გასეირნებასთან დაკავშირებული საინფორმაციო დაფები დედაქალაქის მასშტაბით, არაერთ ბაღსა და სკვერში განათავსა, სადაც სააგენტოს ეკიპაჟები ძაღლების მეპატრონეების მიერ გასეირნებასთან დაკავშირებული წესების დაცვას და რეგისტრაციის ვალდებულების შესრულებას ინტენსიურ რეჟიმში ამოწმებენ. ასევე, არაერთხელ განხორციელდა მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქებული ცხოველების მონიტორინგი, სადაც სააგენტოს წარმომადგენლები მეპატრონეებს მათი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციას აწვდიან (მათ შორის ცხოველების რეგისტრაციისა და გასეირნების წესს განუმარტავენ და შესაბამის საინფორმაციო ფლაერებს გადასცემენ).

მუნიციპალურ თავშესაფარში ყოველდღიური სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების პარალელურად, საკონტროლო დეზინფექცია სისტემატურად ტარდება. ასეთ დროს დამატებით დეზინფექცირდება თავშესაფრის შიდა და გარე ვოლიერები, საოპერაციო და პოსტოპერაციული ბლოკები, კატებისათვის განკუთვნილი სივრცე, საკარანტინე განყოფილებები, ასევე, ეზო და გასასეირნებელი პერიმეტრი. ამასთან, დამატებითი სტერილიზაცია უტარდება ინვენტარსა და ხელსაწყოებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისთვის ოპერატიული ეკიპაჟებისათვის საჭიროა ავტომანქანების შეძენა და არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზის განახლება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ოპერატიული ეკიპაჟებისათვის ავტომანქანების შეძენა, განახლდება არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზა (მათ შორის სხვადასხვა სახის ტექნიკა/ინვენტარის შეძენა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს ინფრასტრუქტურა შედგება სხვადასხვა შენობებისგან (ადმინისტრაციული შენობა, საკარანტინო შენობა, ბოსელი, საკატე, ცხოველთა გამოსასეირნებელი), რომელიც პერიოდულად საჭიროებს სარემონტო სამუშაოების განხორციელებას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 3 ათ ვოლიერიანი, ლაბორატორიის, საოპერაციო ბლოკის შენობების და თავშესაფრის განყოფილების მთლიანი ტერიტორიის კაპიტალური ღობით შემოღობვა.


მიღწეული მაჩვენებელი - დაიწყო თავშესაფრის ტერიტორიაზე სამი 10 ვოლიერიანი, საწყობის და საოპერაციო ბლოკის შენობებისა და მთლიანი ტერიტორიის კაპიტალური ღობის მშენებლობა. გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული განვითარების მიზნით, ყოველწლიურად საჭიროა თანამშრომელთა გადამზადება;

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ 58 გადამზადებული თანამშრომელი (მაშველი სპეციალისტი და ოპერატორები);

მიღწეული მაჩვენებელი - 45 სპეციალისტი-მაშველმა და სადღეღამისო 8 ოპერატორმა გაიარა გადამზადების ტრენინგ კურსი

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები




10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 19,918.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 19,405.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 97%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 8,964.7 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 8,592.0 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 203.3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 1,115.1 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 530.4 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 75,755.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 68,087.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 89%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 33,385.0 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება - 26,895.8 ათასი ლარი, გრანტები - 24.1 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 519.7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები - 1,768.9 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 5,493.6 ათასი ლარი. ამასთან, წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) დაფინანსებულია 20,815.9 ათასი ლარით (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 29.7 ათასი ლარი), საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10 03) - 2,267.0 ათასი ლარით (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 1,284.1 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) - 753.3 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) - 867.1 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) - 6,924.7 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) - 670.9 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) - 1,514.4 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) - 1,927.4 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) - 7,560.9 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) - 916.7 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) - 1,318.3 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) - 1,051.7 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (10 27) - 2,169.4 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) - 2,211.5 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) - 1,997.1 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) - 1,722.0 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) - 2,218.1 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) - 1,986.1 ათასი ლარი, ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) - 2,290.0 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) - 2,311.2 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) - 2,255.4 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) - 2,338.1 ათასი ლარი (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით გაწეულია - 77.7 ათასი ლარი).

10 18 სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 15,572.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 12,785.3 ათასი ლარი (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 2.6 ათასი ლარი), რაც გეგმიური მაჩვენებლის 82.1% და 2022 წლის

შესაბამის მაჩვენებელზე 5,945.7 ათასი ლარით მეტია¹⁴. სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა - 81.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 0.2%.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის შექმნილია შლაგბაუმი და Wifi როუტერი ადაპტერი, გ. ცაბაძის 17ა-ში განთავსებულ შენობაში მოხდა პირველი, მე-2 და მე-7 სართულების შეუზღუდავი ინტერნეტით უზრუნველყოფა, გარემონტდა ამავე შენობის პირველი სართულის ნაწილი, მე-4 და მე-7 სართულები, მოპირკეთდა ეზო, დაიგო ასფალტი, დაიხაზა სატრანსპორტო საშუალებების (მათ შორის შშმ პირთათვის განკუთვნილი) პარკირების ადგილები, გაკეთდა შშმ პირთათვის ადაპტირებული შემოსასვლელი) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 2,499.3 ათასი

¹⁴ 2022 წელს გათვალისწინებული იყო ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 985.3 ათასი ლარი საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, M2 კატეგორიის ავტობუსებით, სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების სხვადასხვა რეგიონში გადაყვანისათვის, გაწეული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, ხოლო მიმდინარე წლის 1 ივლისიდან სააგენტოს სამ სტრუქტურულ ერთეულში: მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში მგზავრობის საფასურის გადახდის კონტროლის სამსახური, სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახურსა და მონიტორინგის სამსახური გაიზარდა საშტატო რიცხოვნობა (საქმიანობის განხორციელების მიზნით ასაყვანი თანამშრომლები სააგენტოში გადაყვანილი იქნენ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან“).

ლარი), მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 113 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ;

განხილულ იქნა და შესაბამისი რეაგირება მიეცა „ცხელ ხაზზე“ შემოსულ 111322 წინადადებასა და შენიშვნას;

საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების თანამშრომლები, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურ მონაწილეს იღებენ დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა (ე.წ. BUSLANE) და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევისა და დაგეგმვის პროცესში;

მომზადდა ჟვანიას მოედანი, უნივერსიტეტის ქუჩა, თამარაშვილი-ამირეჯიბი, ქავთარაძე-ვაჟა-ფშაველა, მოსკოვის გამზირი, მიქელაძე-პაიჭაძე, მიშველაძე-პაიჭაძე, დადიანის ქუჩების, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდისა და გმირთა მოედნის მოდელირებები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ მონაკვეთებზე ძირეულად იცვლება მოძრაობის მიმართულებები (ჩნდება სპეციალური ზოლები სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მათ შორის საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებითაც). აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა ეფექტურ მომსახურებას და დადებითად იმოქმედებს მიმდებარე ქუჩებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის ორგანიზების 1586 დროებითი და 2190 მუდმივი სქემა. წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამდენჯერმე ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ

მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა სამართალ დარღვევებზე შემოვიდა 7 273 პროტესტი/საჩივარი და განხილული იქნა 6 048 პროტესტი/საჩივარი;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილი სამსახურის თანამშრომლების მიერ შედგენილ იქნა 390358 საჯარიმო ქვითარი მათ შორის: ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია“ და „დგომა აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობა 245249 ქვითარი, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა 68053 ქვითარი, ველოსიპედის ბილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობა, გაჩერება ან დგომა 38227 ქვითარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევისათვის 7062 ქვითარი, ევაკუაციის ჯარიმა 29732 ქვითარი, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით განხორციელება 1305 ქვითარი, საგზაო მოძრაობის სქემის დარღვევა 730 ქვითარი; თბილისის მასშტაბით მოეწყო 11302 ზონალურ-საათობრივი პარკირება (მათ შორის 327 შშმ პირთა პარკირების ადგილი), პერიოდულად მიმდინარეობს ტაქსებისათვის, ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება);

ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში, მოხდა 35620 „A“ კატეგორიის უვადო ნებართვის უსასყიდლოდ გადაეცემა, რომელთაგან აქტიური სტატუსით სარგებლობს ფიზიკური პირის შემთხვევაში - 11897, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - 161;

2023 წლის 1-ლი აგვისტოდან სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო განისაზღვრა პარკირების ოპერატორად, აღნიშნულის ფარგლებში სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ

ორგანოებთან გაფორმდა პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ 272 ხელშეკრულება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული სატრანსპორტო საშუალებების პარკირების საფასურის გააქტიურების შედეგად 2023 წლის 1- ლი აგვისტოდან ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სულ შემოსულია 3 637.2 ათასი ლარი (მათ შორის 6 თვიანი - რაოდენობა 52652, 1 წლიანი - რაოდენობა 14529, 1 კვირიანი - რაოდენობა 37056, 1 დღიანი (ზონალური) - რაოდენობა 1972, 1 კვირიანი (ზონალური) - რაოდენობა 240, 1 თვიანი (ზონალური) - რაოდენობა 54, 6 თვიანი (ზონალური) - რაოდენობა 378, 1 წლიანი (ზონალური) - რაოდენობა 1472);


განაშენიანების რეგულირების გეგმების მართვისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებების შედეგად, დამტკიცებულ იქნა: განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება/კორექტირება - 114, განაშენიანების რეგულირების გეგმა/პროექტის კორექტირება - 125, ხოლო ანალიტიკის და ურბანული დაგეგმარების სამსახური მონაცემთა მონაცემების ნაწილში ჩართული იყო შემდეგ პროექტებში: თბილისის სატრანსპორტო გეგმა, სუპერბლოკების განვითარების პროექტი, ველო გადაადგილების გენერალური გეგმა, მდგრადი ურბანული მობილობა (ITS), თბილისის ავტობუსების პროექტი, ბლუმბერგის კონკურსი (საბურთალო);

გადამოწმდა 1400 ობიექტი, საიდანაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1341 მუხლით შედგენილ იქნა სულ 730 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი; 650 ობიექტზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობდა უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის სქემის შესაბამისად;

ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 2.6 ათასი ლარი საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, M2 კატეგორიის ავტობუსებით (შპს „თბილ ლაინი“) სამედიცინო პერსონალისა და საკარანტინე ზონებში მყოფი მოქალაქეების სხვადასხვა რეგიონში გადაყვანისათვის, გაწეული მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.


10 20 სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 2,386.0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 2,324.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.4% და 2022 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 232.3 ათასი ლარით მეტია. სამსახურისათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 97.1%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 0.3%.

(ათასი ლარი)



